PRIME Time

N8 (309) ორშაბათი, 2 მარტი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015
Coca-Cola PROUD PARTNER

„ოსკარზე“ აგორებული სკანდალი

რატომ დარჩა ია სუხიტაშვილი წითელი ხალიჩის გარეშე

EXCLUSIVE

„ია რა ინფორმაციას ფლობდა, არ ვიცი. მიშამ უთხრა, – რაღაცას ვიზამთ და შევალთო“

საქმე #244 – რა სქემით გაჰყავდათ ჩვილები საქართველოდან

დახურული საქმის დეტალები არ ხმაურდება

... შემდეგ სუროგატი დედა ნოტარიუსის წინაშე ამბობდა უარს „შვილზე“. უარის თქმამდე სუროგატი დედის მიერ სახელდებოდა ბავშვის მამა, რომელიც იყო უცხოელი

EXCLUSIVE

რა ცვლილებები იგეგმება „რუსთავი 2“-ზე

ნიკა გვარამია: „არხზე ახალი პოლიტიკური თოქშოუს დამატებას არ გამოვრიცხავ“

კორუფციული პირამიდა მერიაში

რა სიურპრიზს უმზადებს ჯოკია ბოდოკია დავით ნარმანიას? EXCLUSIVE

EXCLUSIVE

სკანდალური საქმე

რა კითხვები აქვს პროკურატურას და რა კავშირი აქვს სამხარაულის მკვლელობას FBI-ს საიდუმლო მასალებთან

გამოძიება 10 წლის შემდეგ. ერთადერთი მოწმე დაკითხულია

„მოწმე სამხარაულის ვიზიტს იხსენებდა მის მკვლელობამდე. ის პირველი გაეცნო FBI-ს მასალებს და სერიოზული საქმე იყო... ამბობდა, შეკვეთილი მკვლელობაა... პროკურატურა მალე სკანდალურ შედეგებს დადებს“

SCANDAL

რატომ მოკლეს ჟვანიას საქმის პირველი ექსპერტი

EXCLUSIVE

დავით გამყრელიძე პოლიტიკაში ბრუნდება?

EXCLUSIVE

სამედიცინო სკანდალი - წამყვანმა კლინიკებმა 33 წლის პაციენტის გადარჩენა ვერ შეძლეს

გარდაცვლილის დედა: „შვიდი დღე არ გვაჩვენა შვილი, არ ვიცოდით, ცოცხალი იყო თუ მკვდარი“

EXCLUSIVE

რა პოლიტიკური სკანდალები უკავშირდება გიორგი ქადაგიძეს

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი პატარკაციშვილისა და ივანიშვილის ბანკების გაკოტრებაში ფიგურირებს

გლამურული წყვილის სკანდალით დაწყებული და დასრულებული სიყვარული

EXCLUSIVE

გიორგი ვარდოსანიძე: „იმ ბინას ვყიდი. ვისვენებ ყველაფრისგან. ხომ მაქვს უფლება, ცოტა მეც დავისვენო?!“

ექსკლუზიური ინტერვიუ ლევან ფირცხალავასთან

რა კავშირი ჰქონდა ირაკლი ფირცხალავას ძმას ნარკოტიკებთან და იცნობდა თუ არა კორტებთან ჩაცხრილულ ალექსანდრე ხუბულოვს?

„ჩემს დაკავებაზე სოდ-ს „ნაკოლი“ მისცა არა ხუბულოვმა, არამედ ჩემმა ძმამ, ირაკლი ფირცხალავამ“

EXCLUSIVE

სუბარის უწყება სკანდალში გაეხვია

უკრაინიდან ჩამოსულ ლტოლვილებს საქართველოში ფულს სძალავენ

„საქმე რომ გაგიკეთო, 2000 დოლარი დაგიჯდებაო. ჩემს დასაც იგივე უთხრა“

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბორის ნემცოვის მკვლელობაზე რუსეთში

პუტინის ეშინოდა,



ქეთი ხატიაშვილი

ერთ დროს მას დიდ პოლიტიკურ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ერთ დროს ის იმედისმომცემ პოლიტიკოსად ითვლებოდა. ბორის ნემცოვის კარიერა 90-იან წლებში დაიწყო, მაშინ მას ელცინის მემკვიდრედაც მოიაზრებდნენ. 1998 წელს, ელცინის პრეზიდენტობისას, ის ვიცე-პრემიერის პოსტს იკავებდა. მანამდე ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნატორი იყო. თუმცა, ყველაფერი ისე არ წავიდა, როგორც ნემცოვი ხედავდა თავის ნათელ მომავალს. პოლიტიკური კულუარებიდან ნემცოვმა ნელ-ნელა ქუჩაში გადაინაცვლა. თუმცა, ვერტიკალიდან შორსაც ახერხებდა, აქტიური და გავლენიანი ყოფილიყო. პუტინის ოპოზიციაშიც ხედავდა ძალას და იმედი ჰქონდა, რომ ძალიან მალე პუტინი დასრულდებოდა.

ჯერჯერობით მსოფლიო ნემცოვს ეთხოვება და რუსეთის პრეზიდენტისგან გამოძიებას ითხოვს...

ბორის ნემცოვს კარგად ვიცნობდი. მას ძირითადად სტრასბურგში ვხვდებოდი ხოლმე. ბოლო წლებში ევროსაბჭო ის ერთადერთი ადგილი იყო, სადაც რუს დეპუტატებს შეხვდებოდი და დაელაპარაკებოდი. რამდენჯერმე, უფრო ადრე, მოსკოვშიც შევხვედრივარ... პრინციპული, მაგრამ ფრთხილი იყო. ყოველ შემთხვევაში მაშინ. პუტინის მიმართ შიში ჰქონდა, ხშირად პირად საუბრებშიც უთქვამს, რომ რუსეთში პოზიციის დაფიქსირება ჭირს.

თუმცა, თუ მის ბოლოდროინდელ განცხადებებს გადავხედავთ, ის საკმაოდ მკვეთრი იყო, განსაკუთრებით უკრაინის კრიზისის შემდეგ. თუმცა, ეს უკვე კრიზისი აღარ არის, ეს უკვე ანექსიაა... შესაძლოა, ამიტომაც მოიკრიბა გამბედაობა...

sobesednik.ru-სთვის მიცემულ ინტერვიუში, აცხადებდა კიდეც: „ვშიშობ, ვლადიმერ პუტინი ჩემს მკვლელობას „შეუკვეთს“:

„არასოდეს ვმალავდი ჩემს პოლიტიკურ შეხედულებებს. ვფიქრობ, რომ სწორედ მან (ვლადიმერ პუტინმა) დაიწყო ომი უკრაინაში. ვერ ვიტან მას, განსაკუთრებით ბესლანისა და „ნორდ-ოსტის“ შემდეგ“.

ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში კი აცხადებდა:

– ჩემს ძვირფას დედას, ღვთის წყალობით, მარტში 87 წელი შეუსრულდება. ის დამსახურებული ექიმი პედიატრია, უკვე დიდი ხანია პენსიაზეა, თუმცა დღემდე ინტერესდება ყველა იმ სიახლით, რაც მედიცინას

„ყოველთვის, როცა დედას ტელეფონზე ვესაუბრები, მეუბნება: როდის უნდა შეწყვიტო პუტინთან მტრობა? ის შენ მოგკლავს!.. და ამას სრული სერიოზულობით ამბობს“

უკავშირდება. მან საკმაოდ მძიმე ცხოვრება გამოიარა, ომის მძიმე პერიოდი... შემდეგ ორი შვილი გაგვზარდა. ახლა მე მოსკოვში ვცხოვრობ, დედა – ნიჟნი-ნოვგოროდში. მარტოა, მაგრამ მაინც კარგად და მხნედ არის. მას ნაკლები ჭაღარა აქვს, ვიდრე მე, არ აწუხებს სკლეროზი, აბსოლუტურად საღად აზროვნებს, მასთან განვიხილავ ჩემი შვილებისა და მისი შვილიშვილების წარმატებებს. გარდა ამისა, დედასთან პოლიტიკაზე საუბარი ძალიან მიყვარს. ის კატეგორიული წინააღმდეგია ყოველივე იმისა, რაც ახლა უკრაინაში ხდება, მიაჩნია, რომ ეს კატასტროფა და აბსოლუტური კომმარია. მაგრამ უკრაინაზე მეტად მას პუტინი აშფოთებს. ყოველთვის, როცა დედას ტელეფონზე ვესაუბრები, მეუბნება: როდის უნდა შეწყვიტო პუტინთან მტრობა? ის შენ მოგკლავს!.. და ამას სრული სერიოზულობით ამბობს.

ბუნებრივია, რატომაც აქვს პუტინისადმი ასეთი დამოკიდებულება და კიდევ უფრო გასაგებია მისი შიში – ბოლოს და ბოლოს, მე მისი შვილი ვარ. დედა ყოველთვის მასნავლიდა, რომ ყველაფერზე საკუთარი აზრი მქონოდა, ვყოფილიყავი დამოუკიდებელი, თავისუფალი... რა ვიცი,

მან თავიდანვე ასე აღმზარდა და ახლა ნერვიულობს, როცა ამ პრინციპებიდან გამომდინარე პუტინს ვუპირისპირდები, რომელიც სწორედ იმ თავისუფლებას გვართმევს, რაც ასე ფასეული იყო და არის ჩვენთვის. დედას სერიოზულად ეშინია, რადგან ფიქრობს, რომ ჩემი ბოლოდროინდელი გამოსვლებისა და აქტიურობისთვის, შეიძლება პუტინმა მომკლას და ვიმეორებ, ეს სახუმარო სულაც არ არის – დედაჩემი ძალიან გონიერი ადამიანია! ამიტომ დედას პუტინის ძალიან ეშინია, მით უმეტეს წინ არაერთი მაგალითი აქვს, იგივე ხოდორკოვსკისა და ნავალნის ამბავი. მათი ამბავი ძალიან განიცადა, მაგრამ ჩემზე განსაკუთრებით ნერვიულობს, ის ხომ არა მათი, არამედ დედაჩემია?!

– და თქვენ, დედასთან ასეთი საუბრების შემდეგ, არ გეშინიათ, რომ მისი წინათგრძნობა ახდეს?

– თქვენ წარმოიდგინეთ, კი... ცოტათი მეშინია! ისე ძალიან არა, როგორც დედას, მაგრამ მაინც... ძალიან რომ მშინებოდა, ძნელი წარმოსადგენია, ოპოზიციური პარტიის ლიდერი ვყოფილიყავი. წარმოუდგენელი იქნებოდა ის საქმე მეკეთებინა, რასაც ახლა ვაკეთებ.

– ვიმედოვნებ, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს და პუტინი არ მოგკლავთ!

– ღმერთმა ქნას! მეც იმედი მაქვს!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სკანდალური ვერსიები დაიდო ბრძოლის - ალა!

ამერიკის ელჩმა რუსეთში ნემცოვის მკვლელობის ადგილას უკრაინის დროშა მიიტანა. ამით მან, შეიძლება ითქვას, დასავლეთის პოზიცია გამოხატა. ნემცოვი უკრაინის ოკუპაციასთან ბრძოლას შეეწირა – სწორედ ეს იკითხებოდა ტაფტის ამ ჟესტში...



დაპირისპირება პუტინთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკრაინის ანექსიის ფონზე სულ უფრო გამწვავდა. ნემცოვი 1-ელ მარტს ახალ მოძრაობას უნდა ჩასდგომოდა სათავეში. „ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, ნემცოვი მოსკოვში მასშტაბური დემონსტრაციის მომზადებაზე მუშაობდა უკრაინაში ომის წინააღმდეგ, სახელწოდებით – „ვესნა“. იმავე BBC-ის ინფორმაციით, ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში ნემცოვმა განაცხადა, რომ მას ეშინოდა, რომ პუტინი მოკლავდა მისი კრიტიკული პოზიციის გამო უკრაინასთან ომთან მიმართებაში.

სხვათა შორის, თბილისში სობჩაკის დედა იყო ჩამოსული. მასთან ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ, დიდხანს მიყვებოდა, როგორი დაძაბული და შეშინებული იყო ქსენია სობჩაკის პოლიტიკური აქტიურობის გამო. სხვა დეტალების გახსენებაც შეიძლებოდა, მაგრამ, რადგან საუბარი პირადი ხასიათის იყო, თავს შევიკავებ. ეს საუბარი მხოლოდ იმიტომ გავიხსენე, რომ მეჩვენებინა, რამდენად დაძაბულია რუსეთში ვითარება.

რუსეთი უკვე დიდი ხანია, რაც აღაც სახელმწიფოა და აღარც ქვეყანა. ეს არის შიშის ზონა, სადაც კანონის ადგილს კალაშნიკოვი იკავებს, ადამიანის უფლებების ნაცვლად მუშტი მოქმედებს... სადაც ტერაქტები და შეკვეთილი მკვლელობები თითქმის წესად იქცა...

შეიძლება ითქვას, რომ „კურსკი“ იყო პირველი. ნყალქვეშა ნავის საიდუმლო ჩაძირვის შემდეგ, ბევრი ვარაუდობდა, რომ „კურსკი“ პუტინის პოლიტიკურ კარიერასაც თან გაიყოლებდა.

თუმცა, მერე ბევრი რამ მოხდა, ლიტვინენკოსა და იუშჩენკოს მონამვლა. ლიტვინენკო გარდაიცვალა, იუშჩენკო დაავადდა; ტერორისტული დემარშები, „ნორდ ოსტი“ და ბესლანი – ჩახოცილი უდანაშაულო ადამიანები; ჩეჩნების გენოციდი, პოლიტკოვსკაიას შეკვეთილი მკვლელობა. ითქვა, რომ ეს იყო პუტინის საჩუქარი მისი დაბადების დღისთვის. მოსკოვში აფეთქებული საცხოვრებელი კორპუსები, კაჩინსკის ჩამოგდებული თვითმფრინავი, საქართველო, უკრაინა, მანამდე აზერბაიჯანი, მოლდოვა... ნემცოვის შედეგ ყველას გაუჩნდა კითხვა – ვინ იქნება შემდეგი?

ამერიკის ელჩმა რუსეთში ნემცოვის მკვლელობის ადგილას უკრაინის დროშა მიიტანა. ამით მან, შეიძლება ითქვას, დასავლეთის პოზიცია გამოხატა. ნემცოვი უკრაინის ოკუპაციასთან ბრძოლას შეეწირა – სწორედ ეს იკითხებოდა ტაფტის ამ ჟესტში...

პუტინის ხმა უკვე აღარ ისმის, მისი სიტყვები ტყვიის ეფექტს უფრო ახდენს.

მით უფრო ცინიკურია ის ვერსიები, რომელიც რუსეთში მკვლელობის დღეს გავრცელდა:

პირველი ვერსიით, ნემცოვის მკვლელობა უკრაინის ოლიგარქებმა შეუკვეთეს. მათი მიზანი რუსეთის საზოგადოების გახლეჩა და ქუჩაში რაც შეიძლება ბევრი ხალხის გამოყვანა იყო. რუსეთის ერთ-ერთი გამოცემა წერს, რომ კიევმა ამ ამოცანის შესრულება ვერ შეძლო, რომ რუსეთში საზოგადოება ამ მკვლელობამ შეკრა...

მეორე ვერსიაც უკრაინელ ოლიგარქებს უკავშირდება. ითქვა, რომ ნემცოვმა დაკვეთა ვერ შეასრულა, დიდი ფული აიღო და მოსკოვში ანტიპუტინური ტალღის აგორება ვერ შეძლო.

მესამე ვერსიით, ნემცოვის მკვლელობით რუსეთში დესტაბილიზაციის აგორება სურდათ. ამით პუტინის ხელისუფლებას დაარტყეს.

დაბოლოს, სასიყვარულო სამკუთხედი. მკვლელობის დროს ბორის ნემცოვი ახალგაზრდა მოდელთან ერთად იყო. 23 წლის უკრაინის მოქალაქეს, როგორც პრესაში წერენ, ნაკანრიც კი არ აქვს. ჟირინოვსკის განმარტებით, შესაძლოა, ამ გოგონას საქმრო ჰყავდა ან ვიღაც „უხაჟორი“, რომელმაც იეჭვიანა.

ეს ოფიციალური ვერსიებია.

რუსეთის ინტელიგენცია კი ბრალდებებს პუტინს უყენებს და გამოძიების შედეგებს ელოდება.

„ცოტათი მეშინია! ისე ძალიან არა, როგორც დედას, მაგრამ მაინც... ძალიან რომ მშინეგოდა, ძნელი წარმოსადგენია, ოპოზიციური პარტიის ლიდერი ვყოფილიყავი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ მოკლა ჟვანიას საქმის პირველი ექსპერტი

ირაკლი მამალაძე

მთავარი პროკურატურის ინ-ფორმაციით, სახელმწიფო სამე-დიცინო ექსპერტიზის ბიუროს ხელმძღვანელის საქმეზე გამო-ძიება ინტენსიურად მიმდინარ-ეობს და სავარაუდოდ, შედეგები საზოგადოებისთვის ცნობილი უახლოეს მომავალში გახდება. სხვა განმარტებებს ამ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურა არ აკეთებს.

„პრაიმტაიმისთვის“ კი ცნობ-ილი ხდება, რომ 10 წლის შემდეგ განახლებულმა გამოძიებამ უკვე დაკითხა ის პირები, ვისაც ამ საქმ-ესთან შეხება ჰქონდა. ერთ-ერთი ასეთი საკვანძო მოწმე ზეზვა ას-აბაშვილია. ის ლევან სამხარაულის მკვლელობის თვითმხილველია. ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ ზე-ზვა ასაბაშვილმა გამოიყვანა ექსპ-ერტიზის ბიუროს ხელმძღვანელი სახლიდან მკვლელობის დღეს. და პირველად სწორედ ასაბაშვილი დაჭრა ფეხში მკვლელმა. ამის შე-მდეგ კი ლევან სამხარაული გამი-ზნულად მოკლა. ოფიციალური ვერსიით, ლევან სამხარაულსა და ზეზვა ასაბაშვილს მათივე თანა-კლასელი დავით მჭედლიშვილი 2005 წლის 22 მაისს ცეცხლსას-როლი იარაღით გაუსწორდა. ამავე ვერსიის თანახმად, დავით მჭედ-ლიშვილმა მკვლელობის შემდეგ თავი 2 გასროლით მოიკლა. ძიების მასალებში მკვლელი ფსიქიკურად გაუწონასწორებელ პირად არის მოხსენიებული. მომხდარ მკვლელ-ობას კი მე-10 კლასში დავით მჭედ-ლიშვილსა და ლევან სამხარაულს შორის მომხდარი კონფლიქტი და-ედო საფუძვლად. თუმცა ამ ვერს-იას არ ეთანხმებიან სამხარაულის



ლევან სამხარაული

კლასელები. ძიების თავდაპირველი ვერსია ეჭვქვეშ არ დამდგარა წინა ხელისუფლების დროს. მეტიც, მაში-ნდელმა პროკურატურამ სამხარაუ-ლის საქმეზე გამოძიება მკვლელობ-იდან რამდენიმე დღეში შეწყვიტა და სრული სურათი მომხდარ ფაქტზე, შეიძლება ითქვას, არ დადებულა. სწ-ორედ ეს მიზეზი დაასახელა ყოფი-ლმა მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა და საქმეს მსვლელობა 10 წლის შემდეგ მისცა. ამის შემდეგ სამხარაულის საქმე ისევ მიჩუმათდა, თუმცა ზურაბ ჟვანიას საქმეზე პა-სუხისგებაში მიცემული ექსპერტის, ლევან ჩაჩუას სასამართლო პროც-ესებმა სამხარაულის მკვლელობა კვლავ რეზონანსული გახადა. ამ ეტაპზე არსებული არაოფიციალ-ური ინფორმაციით, პროკურატურ-ამ უკვე დაკითხა რამდენიმე მოწმე, მათ შორის სამხარაულის კლასელ-ები, რომელებსაც ეჭვი აქვთ, რომ ქვეყნის პირველი ექსპერტის მკ-ვლელობა წინასწარ მომზადდა და მასში რამდენიმე პირი მონაწილეო-ბდა. სამხარაულის კლასელების სახელით გავრცელებულ წერილში, რომელიც განახლებულ გამოძიებამ-დე რამდენიმე თვით ადრე პრესაში გამოქვეყნდა, იმ პირების ვინაობა სახელდებოდა, ვინც, მათი თქმით, მკვლელობას ამზადებდა. კერძოდ, ყვარლის რაიონის კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი გელა ფიცხელაური, რომელიც მკვლელს, დავით მჭედლიშვილის დაუახლოვ-და და სწორედ ის დაეხმარა იარაღის შეძენაში. ამავე წერილში საუბარია ზეზვა ასაბაშვილზეც, რომელმაც მკვლელობის დღეს გამოიყვანა სა-ხლიდან სამხარაული, რის შემდეგაც მკვლელი მათ მანქანას დაედევნა და შეიარაღებული თავდასხმა განახო-რციელა. შემთხვევის უშუალო მონა-წილეა ზეზვა ასაბაშვილი, რომელმ-

„ვისოლის“ გუნდის წევრი სანდრო თავართქილაძე „წლის საუკეთესო მრბოლელი“ გახდა

ნატა ჯალაღონია

27 თებერვალს კაჭრეთის „ამბა-სადორმა“ წლის მთავარი საავტო-მობილო მოვლენის დაჯილდოებას უმასპინძლა.

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციისა და „AUTO BUILD საქართველოს“ ორგანიზებით გამართულმა წლის შემაჯამებელმა საავტომობილო ღონისძიებამ უკვე სისტემატური ხასიათი მიიღო, სადაც ვლინდებიან ავტოსპორტში საქართვე-ლოს ჩემპიონატში და აგრეთვე, წლის საუკეთესო ავტომობილების სხვადა-სხვა კატეგორიაში გამარჯვებულები.

რჩეული ავტომობილების ხმის მიცემის პროცედურა WWW.AUTO-BUILD.GE-ზე მიმდინარეობდა და მასში 30 ათასამდე ავტომოყვარულმა მიიღო მონაწილეობა. „წლის საუკეთესო ყვ-ელაზანმავალი მანქანის“ კატეგორიაში გაიმარჯვა RANGE ROVER SPORT-მა „კომპაქტურიქროსოვერების“ კატეგო-რიაში კი - MERCEDES GLA-მ. აგრეთვე გამარჯვებული ავტომობილი გამოვლ-ინდა „წლის სპორტ ავტომობილის კა-ტეგორიაში“, რომელშიც პირველობა NISAN GT-R - ს ერგო წილად.

საავტომობილო კონკურსი „ოქროს საჭე 2014“ დასრულდა

რაც შეეხება ავტომრბოლელე-ბს - „წლის საუკეთესო მრბოლელი“ „ვისოლის“ გუნდიდან გახდა 15 წლის სანდრო თავართქილაძე, კლას 2000-ში „აღმართის დაძლევაში“ ჩემპიონი „ვისოლის“ გუნდის მეორე წევრი შაკო ციხელაშვილია, „ფორმულა ალფას კლასში“ კი ორივემ ერთად გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს, „აღმართის დაძლევაში“ გამარჯვებულის ადგილი დაიკავა - სანდრო ლომაძემ, გარდა ამისა, კიდევ რამდენიმე კლასში გამო-ვლინდა გამარჯვებულები, მათ შორის კლას „აბსოლუტში“, კლას 1600-ში და ა.შ. გამარჯვებული მრბოლელები მთ-ელი წლის განმავლობაში იბრძოდნენ იმ ქულებისთვის, რომელმაც მათი ჩე-მპიონობა განსაზღვრა.

„ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო ჯილდო, თუმცა ძალიან გამეხა-რდა. „წლის საუკეთესო მრბოლელის ტიტული ჩემთვის ძალიან დიდი სტ-იმულია. ეს პირველი სრული სეზონი იყო ფორმულაში, სადაც მე და შაკო ციხელაშვილი „ვისოლის“ გუნდს წარმ-ოვადგენდით. „ვისოლის“ გარეშე ასეთ წინსვლას ვერ მივაღწევდით და დიდი მადლობა მათ ამისთვის“, - აცხადებს სანდრო თავართქილაძე.

სანდრო თავართქილაძემ პროფ-ესიონალი მრბოლელის ლიცენზია 13 წლის ასაკში აიღო. ის ცნობილი მრბოლელის ოთარ თავართქილა-ძის ვაჟია და 2012 წლის წყვილთა რბოლაში ვიცე-ჩემპიონია. ის ასევე 2012 წლის GT Unlimited კლასის პრ-იზიორია და 2013 წლიდან ფორმულა ალფათი ასპარეზობს.

„ალბათ, პირველობა ყოველთვის ყველასთვის სასიხარულოა, მაგრამ ავტოსპორტში სიხარულის ეს შე-გრძნებები კიდევ უფრო გაძლიერე-ბულია, რადგან როდესაც პირველი ხარ, გრძნობ, რომ შენმა შრომამ, სპონსორის გვერდში დგომამ, გუნდ-ურმა ტაქტიკამ და მეგობრების მხ-არდაჭერამ შედეგი გამოიღო. მე გა-ვხდი 2014 წლის საქართველოს ჩემპ-იონი „აღმართის დაძლევაში“, რაც, მინდა აღვნიშნო, რომ ტიტულის გარდა ჩემთვის დიდი მოტივატორი იქნება 2015 წელს. ასევე მინდა აღ-ვნიშნო ჩვენი გუნდური შედეგი, რაც „ფორმულა ალფას“ კლასში მოპოვე-ბულ მესამე ადგილს გულისხმობს და ჩემი გუნდელის წარმატება, რო-მლის შედეგებმაც მთელი ავტოსპ-ორტი აღფრთოვანებული დატოვა. ჩვენ მზად ვართ 2015 წელს უკეთესი შედეგებით აღვაფრთოვანოთ და გა-ვახაროთ ჩვენი გულშემატკივრები“,- აცხადებს შაკო ციხელაშვილი.

შაკო ციხელაშვილმა პროფესიონ-ალი მრბოლელის ლიცენზია 14 წლ-ის ასაკში აიღო და უკვე 2012 წელს წყვილთა რბოლაში და 2012-2013 წელს ზამთრის სეზონის საქართვე-ლოს ჩემპიონატზე ჩემპიონის ტი-ტული მოიპოვა. ის, ასევე 2013 წლის ვიცე-ჩემპიონია წრიულ რბოლაში Touring 2000-ის კლასში და აბსო-ლუტ კლასის პრიზიორია. ასევე ჩე-მპიონია გუნდურ ჩათვლაში. 2014 წლის სარბოლო სეზონზე შაკო ცი-ხელაშვილი ფორმულის ბოლიდით ასპარეზობს.

„მინდა წარმატება ვუსურვო „ვი-სოლის“ გუნდს, რადგან მათ თავისი პროფესიონალიზმით, ახალგაზრ-დული ჟინით, უმაღლესი ხარისხის „ეკოს“ საწვავით, „ტოტალის“ საავ-ტომობილო ზეთით და ავტომომსახ-ურების ქსელ „ვიანორში“ შერჩეული საბურავებით საკუთარი ავტომობი-ლის შესაძლებლობების სრულყო-ფილი გამოვლენა შეძლეს და წლის საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს.

წლის ყველაზე მნიშვნელოვანი საავ-ტომობილო კონკურსი „ოქროს საჭე 2014“ კი წელს განსაკუთრებულად მასშტაბური გამოვიდა, სადაც მს-ოფლიოს წამყვანი ბრენდების უა-ხლესი მოდელები მონაწილეობდნენ. მათთვის კი რეკომენდებული სწორ-ედ უახლესი ევროპული სტანდარტ-ის, უმაღლესი ხარისხის საწვავია, რომლის რეალიზაციასაც საქართ-ველოში „ვისოლი“ „ეკოს“ პროდუქ-ტების სახით ახდენს. შესაბამისად, „ვისოლი“ მოხარულია იყოს მხარ-დამჭერი საავტომობილო სივრცეში წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ღო-ნისძიებისა“, - აცხადებს „ვისოლ პე-ტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი ვასილ ხორავა.

„AUTOBUILD საქართველოს“ გე-ნერალური რედაქტორის - შალვა ბუაჩიძის თქმით, ღონისძიება აუცი-ლებლად იქნება სისტემატური ხასი-ათის და მომავალ წლებში კიდევ უფ-რო მასშტაბურ სახეს მიიღებს.

ღონისძიების თანაორგანიზატო-რი იყო რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი, პარტნიორი - „ვისო-ლი“, ხოლო სპონსორი - „ბიფორვარ-დი“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარიტა სამხარაული: „თავს შევიკავებ ყველანაირი ეჭვის გამოთქმისგან გამოძიების დასრულებამდე“

გამოძიება 10 წლის შემდეგ განახლდა – სამხარაულის მკვლელობის ერთადერთი მოწმე დაკითხულია

ზეზვა ასაბაშვილი

EXCLUSIVE

აც, სავარაუდოდ, იცის, რა საუბარი შედგა მოკლულსა და მკვლელს შორის. ასევე, რა მიზნით გამოიყვანა ლევან სამხარაული სახლიდან, მაშინ როცა ექსპერტიზის ბიუროს ხელმძღვანელი ყვარლიდან თბილისში წამოსასვლელად ემზადებოდა. ზეზვა ასაბაშვილი მკვლელობის დეტალებზე არ საუბრობს. ჩვენ მასთან დაკავშირებას შევეცადეთ, თუმცა მოწმე დუმილს არ არღვევს. მიზეზად მისი სამსახურებრივი მდგომარეობა სახელდება. უკვე წლებია, ასაბაშვილი შსს-ში მუშაობს. ასაბაშვილის დაკითხვასთან დაკავშირებით კომენტარს არც პროკურატურა აკეთებს. „პრაიმტაიმს“ კი ასაბაშვილის ახლო მეგობარი პირად საუბარში უყვება, რომ თავად ასაბაშვილსაც გამოუთქვამს ეჭვები მკვლელობის ვერსიასთან დაკავშირებით და ის არ გამორიცხავდა, შეკვეთილი მკვლელობა წინასწარ დაეგეგმათ. პასუხი კითხვაზე: რა აძლევდა ამის თქმის საფუძველს ასაბაშვილს. მისი მეგობარი ამბობს, ზეზვა ლევან სამხარაულის ვიზიტს იხსენებდა, რომელიც შეერთებულ შტატებში შედგა მის მკვლელობამდე. ლევანი პირველი გაეცნო ფედერალური ბიუროს მასალებსო და სერიოზულ საქმეზე იყო. სწორედ ეს გაიხსენა რატომღაც ზეზვამ, თუმცა კონკრეტიკისგან თავი შეიკავა. ჩვენთვისაც გასაგები გახდა, რაზეც საუბრობდა. ამის იქით საუბარი არ წასულა. ფაქტია, რომ ის ჟვანიას საქმეს გულისხმობდა. ანუ ჩვენი წყაროს ცნობით: „მოწმე სამხარაულის ვიზიტს იხსენებდა მის მკვლელობამდე. ის პირველი გაეცნო FBI-ს მასალებს და სერიოზული საქმე იყო... ამბობდა, შეკვეთილი მკლელობააო... პროკურატურა მალე სკანდალურ შედეგებს დადებს“.

ამ დროისთვის ჩვენთვის უცნობია, რა უთხრა გამოძიებას 10 წლის შემდეგ ასაბაშვილმა. თუმცა მისი ჩვენება, ალბათ, ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. ლევან სამხარაულის მეგობარს, სავარაუდოდ, იმ გარემოების ახსნაც მოუწევს, როგორ გადაურჩა ის სიკვდილს და რატომ ესროლა მას მჭედლიშვილმა ფეხში. ხოლო სამხარაულის მიმართულებით სროლა მხოლოდ მას შემდეგ შეწყვიტა, რაც დარწმუნდა, რომ ის გარდაცვლილი იყო. რამ გამოიწვია მჭედლიშვილის ასეთი მოქმედება, თუ ის ფსიქიკურად შეურაცხადი იყო და რა საუბარი უძღოდა მკვლელობას წინ. ამ კითხვებს ცხელ კვალზე დაწყებულმა გამოძიებამ პასუხი ვერ გასცა, რადგან ადეიშვილის უწყებამ საქმეს მსვლელობა არ მისცა. მართალია, მთავარმა პროკურატურამ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ გამოძიება განაახლა, მაგრამ, როგორც ირკვევა, ოჯახისთვისაც უცნობია, გამოიკვეთა თუ არა ახალი გარემოებები. ამ თემასთან დაკავშირებით ჩვენს კითხვებს ლევან სამხარაულის დამ, **მარიტა სამხარაულმა** უპასუხა:

– მარიტა, გამარჯობა, რა ეტაპზეა განახლებული გამოძიება თქვენი ძმის საქმეზე?

– გამოძიებასთან დაკავშირებით ჩემთვის ცნობილი ახალი არაფერია.

– თუ იცით, დაიკითხა თუ არა საქმეზე ზეზვა ასაბაშვილი?

– გამოძიებას დაველოდებით. ზეზვას დაკითხვაში საინტერესო და ახალი, ჩემი აზრით, არაფერია.

– ის ხომ მკვლელობის ერთადერთი თვითმხილველია?

– არა, ზეზვაზე ის ვიგულისხმე, რომ გასაკვირი არ არის, რომ მას დაკითხავდნენ. თავს შევიკავებ ყველანაირი ეჭვის გამოთქმისგან გამოძიების დასრულებამდე.

– თქვენი აზრით, რატომ დაანონსდა ლევან სამხარაულის საქმის ხელახალი გამოძიება? ფიქრობთ თუ არა, რომ პროკურატურას ახალი სამხილები აქვს?

– რაც მთავრობა შეეცვალა, მას შემდეგ აანონსებენ ჟვანიასა და ლევანის საქმეს, ასე არ არის? ასე რომ, სამხილებთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, ალბათ, დაიდება და გამოძიებაც საბოლოოდ დასრულდება.

სამხარაულის საქმეზე გამოძიების დასრულებას ელოდება, სავარაუდოდ, ზურაბ ჟვანიას ოჯახიც. ქართული მედია და პოლიტიკოსები სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროს ხელმძღვანელის მკვლელობას ზურაბ ჟვანიას ბურუსით მოცულ საქმეს პირდაპირ უკავშირებდნენ. მეტიც, ზოგიერთი ამ ორ მკვლელობას ერთ საქმედ განიხილავს, რადგან ლევან სამხარაულის ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობდა გარდაცვლილი პრემიერის ცხედრის გამოკვლევა. და მასვე მოუწია ფედერალურ ბიუროსთან თანამშრომლობა და იმ დასკვნის გამოქვეყნება, სადაც მნიშვნელოვანი უზუსტობა გაიპარა, რომელიც მოგვიანებით თარჯიმანს დაჰბრალდა. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ექსპერტიზის ბიუროს ხელმძღვანელის საქმეში, რაზეც სამედიცინო ექსპერტები ვერ თანხმდებიან. საუბარია დავით მჭედლიშვილის თვითმკვლელობაზე. კერძოდ, სამხარაულის მკვლელმა, ოფიციალური ვერსიით, ორი იარაღით მოიკლა თავი. მჭედლიშვილს ერთი ტყვია თავში ჰქონდა მოხვედრილი, ხოლო მეორე – გულში, შემთხვევის ადგილზე კი ორი იარაღი იქნა ნაპოვნი. სწორედ ამ გარემოებას ვერ ხსნიდნენ სამედიცინო ექსპერტები და მათთვის დღემდე გამოცანად რჩება, როგორ შეძლო დავით მჭედლიშვილმა ორი იარაღიდან ერთდროულად გასროლა და ორი სასიკვდილო ჭრილობის მიყენება თავისა და გულის არეში.

როგორ გადარჩა თავად და რა კითხვები აქვს პროკურატურას

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კორუფციული პირამიდა მერიაში

ვალერი გელბახიანი: „ჯოკია ბოდოკიას მიერ გაჟღერებულ მუქარას რაღაც საფუძველი აქვს. ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ნარმანიას მოადგილის, ბატონი მარგიშვილის განთავისუფლებაც“

ალექსანდრე მარგიშვილი

ხათუნა მგალობლიშვილი

კორუფციულ გარიგებაში მხილებული, მერიის ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციის უფროსი ჯოკია ბოდოკია ამ დრომდე დუმილის უფლებას იყენებს და ჩვენების მიცემაზე უარის ამბობს, თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სასამართლოში მისი საქმის არსებითი განხილვის დროს ბოდოკია ხმაურიანი განცხადების გაკეთებას გეგმავს. დაასახელებს თუ არა ის სასამართლო პროცესზე მერიის მოქმედ მაღალჩინოსნებს? ამის შესახებ ბრალდებულის ადვოკატს ინფორმაცია არ აქვს. ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს მსგავსი არაფერი უხსენებია. ადვოკატის ინფორმაციითვე, პროკურატურის მიერ გადმოცემულ საქმის მასალებში არც ერთი მაღალჩინოსნის გვარი არ ფიგურირებს.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით კი, ჯოკია ბოდოკიამ კონკრეტულ მაღალჩინოსნებს ოჯახის წევრების მეშვეობით მუქარის შემცველი შეტყობინება გაუგზავნა და მიანიშნა, რომ სასამართლო სხდომაზე ალაპარაკდება. მართალია, ის ამჟამად დუმილის უფლებას იყენებს, მაგრამ, როგორც ჩვენი წყარო გვიყვება, მალე ის არაერთ მაღალჩინოსანს გადაიყოლებს. საუბარია მერიისა და კულტურის სამინისტროს მოქმედ მაღალჩინოსნებზე.

აი, რას გვიყვება ჩვენი წყარო:

– როგორც ვიცი, ჯოკიამ ოჯახის ახლობლის პირით შეუთვალათ, რომ გაჩუმებას აღარ აპირებს და მალე ალაპარაკდება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მის მიმართ რაიმე შემამსუბუქებელ ზომებს არ გამოიყენებენ. ასე რომ, სრულიად ლოგიკურია, რომ გამოიკვეთოს მერიის მოქმედი მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხი. როგორც ცნობილია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე გაითხოვა ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილისა და კიდევ ერთი სპეციალისტის საქმეები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შსს-ც მუშაობს ამ მიმართულებით. რაც შეეხება მარგიშვილს, გარწმუნებ, რომ კორუფციული სქემა არ მთავრდებოდა მხოლოდ ზედამხედველობის სამსახურის დონეზე და ამ სქემაში ჩართულნი იყვნენ მერის მოადგილეები, მათ შორის ალექსანდრე მარგიშვილი, რომლის განთავისუფლებაც უცნაურად დაემთხვა ამ ყველაფერს. განმარტება, რომ ეს პიროვნება ინვესტიციების მოზიდვის მიზნით გადაჰყავთ სხვა უწყებაში, სასაცილოა. რეალურად მარგიშვილი ჩამოაშორეს საპასუხისმგებლო პოსტს. ძალიან დიდი ეჭვია, რომ ისიც ჩართული იყო ამ კორუფციულ პირამიდაში.

– რა მიმართულებით?

– ის გახლდათ მერის მოადგილე და ჰქონდა საკმაოდ სერიოზული ბერკეტები მშენებლობის ნებართვის გაცემის მიმართულებით. მანამდე კი, როგორც იცით, მარგიშვილი იკავებდა კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობას. გამომდინარე იქიდან, რომ ბოდოკიას საქმეში საუბარია თაბუკაშვილის ქუჩაზე სასტუმროს მშენებლობაზე, ეს ადგილი გახლავთ ისტორიულ ზონაში და, შესაბამისად, პროექტის შეთანხმებას სჭირდებოდა კულტურის სამინისტროს თანხმობა. ჩემი ინფორმაციით, სწორედ ამ მიმართულებით იყო ჩართული მარგიშვილი და კულტურის სამინისტროში საკუთარი კავშირების გამოყენებას ცდილობდა.

იურისტი ვალერი გელბახიანი, ასევე, არ გამორიცხავს, რომ სასამართლო პროცესზე ჯოკია ბოდოკიამ მერიის ხელმძღვანელობას სერიოზული სიურპრიზი მოუწყოს.

„ბოდოკია ელის, რომ სახელმწიფოსგან მიიღოს შეღავათი საპროცესო გარიგების სახით. ასეთი შეღავათი თუ ვერ მიიღო, რა თქმა უნდა, ის სხვა მაღალჩინოსნებს დაასახელებს. როგორც ვიცი, ის დაიმუქრა კიდეც, რომ ალაპარაკდება. ამიტომ უნდა დაველოდოთ, რას შესთავაზებს გამოძიება ჯოკია ბოდოკიას. შესაძლებელია, მან სასამართლო პროცესზე სიურპრიზი მოუწყოს მერიის ხელმძღვანელობას. ცხადია, მის მიერ გაჟღერებულ მუქარას რაღაც საფუძველი აქვს. სავარაუდოდ, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ნარმანიას მოადგილის, ბატონი მარგიშვილის განთავისუფლებაც, თუმცა, ცხადია, დასკვნების გაკეთება ჯერჯერობით ნაადრევია“, – ამბობს ვალერი გელბახიანი.

ამჟამად ჯოკია ბოდოკია წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. პროკურორ მალხაზ გეწაძის განცხადებით, ბოდოკიამ შპს „დარიოუშის“ (DARYOUSH) წარმომადგენელ ნათია მახარაშვილს, საერთო ჯამში, 181 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა, საიდანაც წინასწარ 50 000 მიიღო.

„ეს თანხა იმ მოტივით იყო მოთხოვნილი, რომ ბოდოკია ნათია მახარაშვილს თაბუკაშვილის #32 ნომერში მდებარე მინის ნაკვეთზე სასტუმროს მშენებლობის ნებართვის მოპოვებას, ასევე, მშენებლობის დასრულებამდე სამსახურებრივ მფარველობას დაჰპირდა. შესაბამისად, ის პირობას იძლეოდა, რომ ყველა პრობლემას მოაგვარებდა, რომელიც მშენებლობის პროცესში წარმოიქმნებოდა“, – აღნიშნა პროკურორმა.

მისივე თქმით, ქრთამის მიმცემი ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, რადგან მან გამოძიებასთან თანხის მიცემამდე ითანამშრომლა.

მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის ყოფილი უფროსი წარდგენილ ბრალდებას არ აღიარებს და აცხადებს, რომ ქრთამი არ აუღია, – ამის შესახებ ჯოკია ბოდოკიას ადვოკატმა გიორგი ყავლაშვილმა განაცხადა.

რაც შეეხება ბრალდებულის პოზიციას, ადვოკატმა აღნიშნა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი დუმილის უფლებას იყენებს, თუმცა, ამასთანავე, კატეგორიულად არ ეთანხმება ბრალდების ფორმულირებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის უფროსი ჯოკია ბოდოკია დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებას გულისხმობს და სასჯელის სახით 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

რა სიურპრიზს უმზადებს ჯოკია ბოდოკია დავით ნარმანიას?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა პოლიტიკური სკანდალები უკავშირდება გიორგი ქადაგიძეს

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კავშირი პატარკაციშვილისა და ივანიშვილის ბანკებთან

ქეთი ხატიაშვილი

წაყენებული მძიმე ბრალდებების შემდეგ არ გამორიცხავენ, რომ პარლამენტში ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმე კვირაში კანონმდებლებმა ირაკლი ქადაგიძის მოხსენება უნდა მოისმინონ და დაამტკიცონ. თუ არ დაამტკიცეს და საბოტაჟში ამხილეს, მას თანამდებობის ერთი წლით ადრე დატოვება მოუწევს.

ექსპერტების ნაწილი მოვლენების ამგვარ განვითარებას არ გამორიცხავს. თუმცა, მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ეროვნული ბანკის გადაყენებამ კრიზისის ფონზე შესაძლოა, ვითარება კიდევ უფრო გაამწვავოს, პირველ რიგში, დასავლეთის საფინანსო ორგანიზაციებთან – ყველა აღიარებს, რომ ქადაგიძეს დასავლეთში მაღალი ნდობა აქვს. თუმცა, ვალუტის კრიზისის ფონზე მის მიმართ კითხვის ნიშნები გაჩნდა. და ახლა ქადაგიძეს შესაძლოა, გაუჭირდეს იმის დამტკიცება, რომ რეზერვების დაცვაა მისთვის პრიორიტეტული და არა საბოტაჟი.

გაუჭირდება იმიტომ კი არა, რომ არგუმენტები არ ექნება, არამედ იმიტომ, რომ კრიზისმა უკვე მიიღო პოლიტიკური ხასიათი და პრობლემას იმის მიხედვით აფასებენ, ვის უჭერენ მხარს – ივანიშვილს თუ სააკაშვილს. შესაბამისად, ყოფილი პრემიერი ბრალს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს უყენებს; ყოფილი პრეზიდენტი კი მმართველ ეკონომიკურ გუნდს.

თუმცა, პოლიტიკური ელფერი გიორგი ქადაგიძეს ამ კრიზისმა არ შესძინა. პოლიტიკურ თამაშებში ის ჩათრთული იყო ამ პოსტზე მის დამტკიცებამდეც.

მისი სახელი ორი ბანკის გაკოტრების საქმეში ფიგურირებს. ერთი ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნოდა, მეორე – ბიძინა ივანიშვილს.

პოლიტიკაში ჩართვის შემდეგ, როგორც მაშინდელი მედია ნერდა, პრობლემები შეუქმნეს პატარკაციშვილის ფინანსურ აქტივებს: „მთაწმინდის პარკსა“ და „ტელეიმედს“, შემდეგ „სტანდარტ ბანკს“. ბანკის თემაში სწორედ გიორგი ქადაგიძე ფიგურირებს. 2007 წლის ნოემბერში ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, დავით ამაღლობელის განკარგულებით, „სტანდარტ ბანკში“ დროებითი ადმინისტრაცია დაინიშნა. დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად კი - გიორგი ქადაგიძე, რომელიც მანამდე ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ხელმძღვანელობდა.

„ნეტგაზეთის“ შეფასებით, „ეს საკმაოდ მოულოდნელი გადაწყვეტილება იყო, რადგან პატარკაციშვილის პოლიტიკაში ჩართვამდე „სტანდარტ ბანკი“ ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი და წარმატებული ფინანსური ინსტიტუტი გახლდათ. 2007 წელს ეროვნულმა ბანკმა „სტანდარტ ბანკს“, „CAMEL“ სისტემის მიხედვით, მეორე კატეგორია მიანიჭა, რაც უმაღლესი კატეგორიაა ქართულ კომერციულ ბანკებს შორის“.

ქადაგიძის ხელმძღვანელობით მოხდა სწორედ პატარკაციშვილის ბანკის ლიკვიდაცია. თუმცა, ყველა მონაცემით, მას ფუნქციონირება შეეძლო:

„ქადაგიძე აცხადებდა, რომ ბანკის ლიკვიდაცია არ მოხდებოდა და ეროვნული ბანკი მეანაბრეების ინტერესებს დაიცავდა. 2007 წელს კომპანია „სელფორდის“ ხელმძღვანელი ირაკლი რუხაძე აცხადებდა, რომ 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ „სტანდარტ ბანკის“ მეანაბრეებსა და კორპორაციულ კლიენტებზე ზეწოლა განხორციელდა და ბანკიდან კაპიტალის გადინება დაიწყო. კაპიტალის გასვლის დინამიკა საკმაოდ მაღალი იყო – ორ კვირაში ბანკიდან 40 მილიონი ლარი გავიდა. სწორედ ლიკვიდურობის პრობლემა გახდა „სტანდარტ ბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის მიზეზი. თუმცა მაშინ „სელფორდის“ წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ბაკის ფინანსური რესურსების შევსება შეეძლოთ. მათ ამის საშუალება არ მიეცათ“. – **წერს „ნეტგაზეთი“.**

ქადაგიძე აცხადებდა, რომ ბანკის ლიკვიდაცია არ მოხდებოდა და ეროვნული ბანკი მეანაბრეების ინტერესებს დაიცავდა

ლიკვიდაციის ოპერაცია წარმატებით დასრულდა – 2008 წელს „სტანდარტ ბანკის“ აქციების 100% „კორბანკმა“ შეიძინა.

მოგვიანებით ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვის შემდეგ, უკვე „ქართუ ბ ა ნ კ ი ს“ გაკოტრების სქემა ამუშავდა. ამ პროცესში გიორგი ქადაგიძე ჩართული იყო უკვე, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი, ვის მფლობელობაშიც იყო არსებული ბანკი, აცხადებს, რომ ქადაგიძეს ამ მცდელობის გამო ბოდიშიც მოიხადა.

პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნა მიღებული თავის დროზე მის დანიშვნასთან დაკავშირებითაც. სანამ პარლამენტმა გიორგი ქადაგიძეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე უყარა კენჭი, მანამდე ზუსტად ორი დღით ადრე ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად დაამტკიცა. ეს იმისთვის გახდა საჭირო, რომ პრეზიდენტს მისი კანდიდატურის წარდგენის კანონიერი უფლება ჰქონოდა – ამ ორგანოდან ხდება პრეზიდენტის მიერ კანდიდატურის შერჩევა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ქადაგიძე 2009 წელს დაინიშნა, მან ამ პოსტზე სწორედ რომან გოცირიძე შეცვალა. თუმცა, ახალ დანიშვნამდე მოვალეობას დავით ამაღლობელი ასრულებდა.

სააკაშვილის გარდა, მისი ფიგურა თავიდანვე ზურაბ ადეიშვილს დაუკავშირდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ 2006-2007 წლის ივლისამდე ის ზურაბ ადეიშვილის გენპროკურორობის პერიოდში, პროკურატურის ეკონომიკურ დეპარტამენტს ედგა სათავეში, მანამდე საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი, ხოლო უფრო ადრე (2005 წელს) თბილისის მერიის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი იყო.

ექსპერტები შეფასებისგან თავს იკავებენ.

შესაძლოა, შემთხვევითი არ არის, რომ ზოგიერთი ექსპერტი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბოლო დროს გადადგმულ ნაბიჯებშიც პოლიტიკურ მოტივებს კითხულობს. ვარაუდობენ, რომ გადაყენების ან ვადის ამოწურვის შემდეგ ის შეძლებს პოლიტიკაში ჩართვას. ყველაზე ეფექტური ნაბიჯი რაც გადადგა, ის იყო, რომ კომერციულ ბანკებთან შეხვედრა და მოქალაქეებისთვის იპოთეკური კრედიტის გადავადების გრაფიკის შედგენა ითხოვა. ამ საშუალო ფენაზე იმუშავა. სოციოლოგების განმარტებით, სწორედ ეს ფენაა არჩევნებში გადამწყვეტი. ამ ნაბიჯით კი მან ელექტორატის სწორედ ეს ნაწილი განაწყო დადებითად.

თუმცა, იგივე შეეძლო ხელისუფლებასაც გაეკეთებინა, თანაც გაცილებით ადრე.

მიხეილ სააკაშვილის გარდა, მისი ფიგურა თავიდანვე ზურაბ ადეიშვილს დაუკავშირდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ 2006-2007 წლის ივლისამდე ის ზურაბ ადეიშვილის გენპროკურორობის პერიოდში, პროკურატურის ეკონომიკურ დეპარტამენტს ედგა სათავეში

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქმე #244

რა სქემით გაჰყავდათ ჩვილი ბავშვები საქართველოდან

დაცურული საქმის დეტალები არ ცმაურდება

EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

ბოლო ინფორმაციით, საქართველოდან ოცამდე ახალშობილია გაყვანილი უცხოელ ერთსქესიან წყვილებზე გაშვილების მიზნით. საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებს და როგორც უწყებაში აცხადებენ, ამ ეტაპზე აქტიური საგამოძიებო სამუშაოები მიმდინარეობს, დაკითხულია ყველა პირი, ვინც საქმეში ფიგურირებს. დამატებითი ინფორმაციები, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ვრცელდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომდე ჩვილების გაშვილების ფაქტებს პროკურატურა რამდენიმე წლის წინათ იძიებდა. საქმე #244-ის ირგვლივ თავის დროზევე ბევრი კითხვის ნიშანი არსებობდა, თუმცა ყურადღების ცენტრში მას შემდეგ მოექცა, როდესაც გამოძიება „ამნისტიის შესახებ“ კანონის გათვალისწინებით შეწყდა. საქმეზე მომუშავე ადვოკატების განცხადებით, გამოძიება აუცილებლად ბოლომდე უნდა მისულიყო, მისი შეწყვეტის მიზეზებზე საუბრისას კი ისინი ერთადერთ მიზანს ასახელებენ: „როგორც ჩანს, ვიღაცების ინტერესებში არ შედიოდა გამოძიებული საქმის გასაჯაროება“.

ადვოკატ შალვა ხაჭაპურის განმარტებით, დანაშაულის გამოძიების შემთხვევაში დეტალები სრულიად საზოგადოებისთვის გახდებოდა ცნობილი, ახლა კი საქმეში არსებულ დოკუმენტაციაზე თავად იმ ადვოკატებსაც არ აქვთ სრული ინფორმაცია, რომელზეც თავად მუშაობდნენ.

შალვა ხაჭაპურიძე, ადვოკატი:

– ძალიან საეჭვო გარემოებაში შეწყდა საქმე. არის ქალბატონი, რომელიც ასახელებს სახელებსა და გვარებს. როგორც ეს ქალბატონი ამბობს, სწორედ სუროგატ დედებს აჩენინებენ ბავშვებს და შემდეგ უკანონოდ აშვილებენ მათ. მეტსაც გეტყვით, იმ პერიოდში შეხვედრა მქონდა ფინანსური პოლიციის თანამშრომლებთან და მათაც ჰქონდათ მსგავსი ინფორმაციები. მასალები, ბუნებრივია, ჩვენთვის უცნობია. ჩემი აზრით, კანონმდებლობის თანახმად, სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას.

– კონკრეტული პირის მიმართ?

– არ ვამბობ, რომ კონკრეტული პირის მიმართ, კონკრეტულ გვარს სწორედ გამოძიება დაადგენს. ფაქტია, რომ გამოძიება უნდა ჩატარდეს და ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს საკითხი, აქვს თუ არა ადგილი ბავშვების უკანონო გაშვილებას საზღვარგარეთ. ის ადამიანი, ვის მიმართაც თამარ ხაჭაპურიძეს კითხვები აქვს, ცუდ დღეშია, რადგან მისი სახელი და გვარი ყოველდღე ტრიალებს, კლიპები გადის. თუ დანაშავე არ არის, თავად შეიტანოს სარჩელი სასამართლოში ღირსებისა და პატივის შელახვისთვის.

– სუროგატი დედები დაიკითხნენ?

– დეტალებს ვერ გეტყვით. ეს ყველაფერი ჩვენთვის გაურკვეველია, რადგან თავის დროზე ზურაბ ადეიშვილმა სისხლის სამართლის ისეთი კოდექსი დაგვიტოვა, რომ რას აკეთებს გამომძიებელი, არავინ იცის.

– ანუ თქვენთვის უცნობია, რა სქემით ხდებოდა ბავშვების გაშვილება?

– ჩემთან ერთ-ერთმა მოქალაქემ მოიტანა მასალები, რომელიც მას პროკურატურაში ჰქონდა შეტანილი. შემდეგ მომიტანა საქმის შეწყვეტის დადგენილება. საქმის შეწყვეტის დადგენილება კი ნიშნავს იმას, რომ დანაშაულს ადგილი ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ მას შეეხო ამნისტია. მიმაჩნია, რომ ამნისტია არასწორად შეეხო ამ საქმეს. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე არ უნდა შეწყვეტილიყო. თუნდაც ამნისტიის გამო რომ შეწყდა საქმე, ესეც იმის დასტურია, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულს, ანუ კანონდარღვევის ფაქტს ადგილი ნამდვილად ჰქონდა. თავის დროზე, როდესაც აღნიშნულ მასალებს გავეცანით, იურისტ მეცნიერთა ჯგუფიც შეიქმნა ამის გამო და ვმუშაობდით.

– რა დაასკვნა ამ ჯგუფმა?

– დავასკვენით, რომ დანაშაულის ნიშნები ნამდვილად იყო. ყველა მივიჩნევდით, რომ გამოძიება უნდა დაწყებულიყო, თუმცა საქმეს მსვლელობა არ მიეცა, ისევე როგორც ბევრ სხვა საქმეს.

დანაშაულის არსებობას პროკურატურაც ადასტურებს საკუთარ საპასუხო წერილში, რომელიც ორგანიზაცია „მომავლის იმედის“ ხელმძღვანელს, თამარ ხაჭაპურიძეს გაეგზავნა. წერილი 2013 წლის 20 მაისით არის დათარიღებული და მას პროკურორი შალვა ცერცვაძე აწერს ხელს. თავის მხრივ, თამარ ხაჭაპურიძემ საგამოძიებო უწყებას იმავე წელს მიმართა და დოკუმენტაციის გამყალბებლების გამოვლენა და დასჯა მოითხოვა. საპასუხოდ კი შემდეგი შინაარსის განცხადება მიიღო: „თქვენ მიერ გადმოგზავნილ განცხადებებზე, რომელიც დოკუმენტების გაყალბების გამო დამნაშავე პირთა დასჯის მოთხოვნას შეეხებოდა, ქალაქ თბილისის პროკურატურაში ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ცალკეული მუშაკების მხრიდან ადგილი ჰქონდა დოკუმენტების გაყალბებას – საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებას, თუმცა საქართველოს კანონის „ამნისტიის შესახებ“ მე-2 მუხლის თანახმად, ნასამართლობის არმქონე პირები, რომლებსაც ბრალად ედებათ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, სრულად თავისუფლდებიან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და სასჯელის მოხდისგან“. სწორედ ამ მიზეზით შეწყვიტა 2013 წლის 7 მაისს პროკურატურამ გამოძიება.

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა სამი სუროგატი დედის მხოლოდ გვარი, რომელთა ბავშვებიც საზღვარგარეთ გაშვილების მიზნით არიან გაყვანილები: ღონღაძე, მოღალაშვილი, ჯავაშვილი... ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაცია „მომავლის იმედი“ ავრცელებს. მისი ხელმძღვანელი კი კონკრეტულ ორგანიზაციას ადებს ხელს და ირწმუნება, რომ ბავშვების უკანონო ვაჭრობას სწორედ ის ეწევა, თუმცა ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, ამ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია, ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს, რეალურად ხდებოდა და ხდება თუ არა დღესაც ბავშვების უკანონო გაშვილება საზღვრებს მიღმა და დამნაშავე დაისაჯოს.

საქმე #244-ის შესწავლაში თავის დროზე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც“ აქტიურად იყო ჩართული. კახა კოჟორიძემ მაშინ საგანგებო განცხადებაც გაავრცელა და სქემაც დეტალურად აღწერა, როგორი თანმიმდევრობით ხდებოდა ჩვილების ქვეყნიდან გაყვანა.

კახა კოჟორიძე: „საქმე ეხება ჩვილი ბავშვების საზღვარგარეთ უკანონოდ გაყვანას, დანაშაულის სავარაუდო სქემა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: დონორთა უჯრედების გამოყენებით ხდებოდა ემბრიონის შექმნა, სუროგატი დედის დახმარებით იბადებოდა ბავშვი. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს კანონმდებლობა სუროგატ დედას ბიოლოგიურ დედად არ მიიჩნევს, საზღვარგარეთ ბავშვის გასაყვანად კი საჭიროა ბიოლოგიური დედის თანხმობა, სუროგატ დედას არეგისტრირებდნენ ბიოლოგიურ დედად, შემდეგ სუროგატი დედა ნოტარიუსის წინაშე ამბობდა უარს „შვილზე“. უარის თქმამდე სუროგატი დედის მიერ სახელდებოდა ბავშვის მამა, რომელიც იყო უცხოელი. შესაბამისად, მას შემდეგ, როდესაც ბავშვზე უარს იტყოდა ქართველი სუროგატი დედა, რომელიც ბიოლოგიურ დედად იყო დარეგისტრირებული, უცხოელ პირს, ანუ ბავშვის მამას, სრული უფლება რჩებოდა, ბავშვი ქვეყნიდან გაეყვანა.

„საია“-ში დღეს აცხადებენ, რომ მათი მიზანი მაშინ ფაქტის გასაჯაროება იყო, საქმის აღძვრის შემდეგ კი ძიებისთვის თვალყური აღარ მიუდევნებიათ. შესაბამისად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქმესთან დაკავშირებულ ახალ დეტალებს არ ფლობს. შესაბამისად, მათთვის უცნობია, დღესაც ხორციელდება თუ არა იგივე დანაშაული.

კახა კოჟორიძე: „დანაშაულის სავარაუდო სქემა შემდეგნაირად გამოიყურებოდა...“

შალვა ხაჭაპურიძე: „საქმის შეწყვეტის დადგენილება ნიშნავს იმას, რომ დანაშაულს ადგილი ნამდვილად ჰქონდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

5 მილიონ ევროდ შეფასებული ავეჯი

ირაკლი მამალაძე

„ერთ-ერთი ინფორმაციით, ეს ავეჯი ერმიტაჟის საკუთრება იყო, მაგრამ მერე ქართველი გენერლის მფლობელობაში აღმოჩნდა“

ამ ფოტოებზე მე-17 საუკუნის ამპირის ავეჯია. ხელოვნების ეს ნამდვილი ნიმუში 5 მილიონ ევროდ არის შეფასებული და, როგორც ექსპერტები ამბობენ, იმდენად უნიკალურია, რომ მხოლოდ პარიზის ლუვრის მუზეუმისა და ერმიტაჟის საგამოფენო სივრცე შეესაბამება, თუმცა არც პარიზში და არც პეტერბურგში არ ვყოფილვართ ამ უნიკალური ავეჯის სანახავად. მე-17 საუკუნის ანტიკვარული ნივთები თბილისში ერთ-ერთი ოჯახის საკუთრებაა. „პრაიმტაიმი“ იცავს კონფიდენციალურობას და, მათივე თხოვნით, არ ვასახელებთ მფლობელის ვინაობას. თუმცა დეტალურად მოგიყვებით ისტორიას, რომელიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშს უკავშირდება.

როგორ მოხვდა ამპირის ავეჯი საქართველოში?

„პრაიმტაიმთან“ საუბარში ოჯახის დიასახლისი იხსენებს, რომ უძველესი ნივთები მისი მამამთილის საკუთრება იყო და გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით ერგოთ.

– როგორც გადმოცემით ვიცი, ეს ანტიკვარული ავეჯი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხვდა ჩვენს ოჯახში. ჩემი მამამთილი ცნობილი ფინანსისტი იყო და ქართველ ებრაელებთან ერთად მუშაობდა. მაშინ თბილისში ჯერ კიდევ უამრავი ებრაელი ცხოვრობდა და მათი ქონებისა და ანტიკვარების შესახებ ლეგენდებს დღემდე ყვებიან. სწორედ მათი დახმარებით შეიძინა ჩემმა მამამთილმა მე-17 საუკუნის საწოლი და კაბინეტი, ანუ მაგიდა, 12 სავარძელი, ტახტი და კარადა.

– თუ იცით, ვის ეკუთვნოდა ეს ავეჯი თქვენს მამამთილამდე?

– ასევე, გადმოცემით ვიცი, რომ ქართველი გენერლისგან შეიძინა, რომელიც პეტერბურგში მოღვაწეობდა. ერთ-ერთი ინფორმაციით, ეს ავეჯი ერმიტაჟის საკუთრება იყო, მაგრამ მერე ამ გენერლის მფლობელობაში აღმოჩნდა. სწორედ მისგან შეიძინა და შემდეგ თბილისში ჩამოიტანა.

– როგორც წესი, ასეთი ავეჯის დამზადებას წლები სჭირდება და თან ის კონკრეტული დიდგვაროვნისთვის ან მეფისთვის მზადდებოდა. ხომ არ არის მითითებული, ვისთვის იყო დამზადებული?

– არა, ეს ინფორმაცია არ იყო დატანილი. ეწერა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვიღაცას დასჭირდა კვალის წაშლა.

– ეს ავეჯი თქვენს სახლზე 50-ჯერ ძვირი ღირს და რატომ არ ყიდით?

– არის ძალიან დიდი დაინტერესება. მოდიოდნენ და დღემდე მოდიან ბროკერები, საელჩოს თანამშრომლები... უღებენ ფოტოებს, გაკვირვებულები არიან, მაგრამ, როცა გაყიდვაზე მიდგება საქმე, ხან ფასზე ვერ ვთანხმდებით, ხანაც ჩვენი მიზეზით იშლება გარიგება. მთავარი მიზეზი მაინც ჩემი მეუღლეა, რომელმაც რამდენჯერმე ჩაშალა გარიგება, ვერ ელევა და ამიტომ. ისე, თუ გავყიდით, მირჩევნია, საქართველოში დარჩეს, რადგან ძალიან რთულად მოხდა მისი ქვეყანაში შემოტანა და არ მინდა, რომ თბილისი დატოვოს.

– ქართველ ბიზნესმენებს არ გამოუთქვამთ მისი შეძენის სურვილი?

– არა, მე პირადად არ შემითავაზებია, მაგრამ არც ეგენი მოსულან...

– რომელი ქვეყნების ელჩები იყვნენ დაინტერესებული?

– თითქმის ყველა ნამყოფია, ბოლოს საფრანგეთის ელჩი იყო. შეიძლება ითქვას, სამუზეუმო სივრცე მაქვს სახლში. გაოცებულები მიდიან, ვერ იჯერებენ, რომ ასეთი უნიკალური ავეჯი ნახეს თბილისში.

მე-17 საუკუნის ნივთების ნახვამ ხელოვნებათმცოდნე ნაზი მაისურაძეც აღაფრთოვანა. ექსპერტი აცხადებს, რომ ხელოვნების ნიმუში კარგ მდგომარეობაშია.

– ეს მართლაც უნიკალური ავეჯია. იცით, ამ სიტყვასაც ვერ უწოდებ. შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ შეიძლება მისი ანალოგი მსოფლიოში არც იყოს. ნამდვილად მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშია.

– ქალბატონო ნაზი, რა ღირს ეს ავეჯი?

– ასეთ ნივთებს ფასს ხშირად ბროკერები ადებენ და აუქციონზე იყიდება ისინი. მსოფლიოს წამყვანი აუქციონები სიამოვნებით გაიტანდნენ ლოტში. ისე კი, მისი ფასი შესაძლოა, რამდენიმე მილიონ დოლარს ასცდეს.

– თავად ნაკეთობაზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?

– ფაქტია, რომ ის დამზადებულია დიდგვაროვანისთვის. სავარაუდოდ, რომელიმე ევროპული ქვეყნის მეფისთვისაც კი. ეს არის ძალიან სკრუპულოზული, ძალიან მდიდრული, დახვეწილი და გემოვნებიანი ნამუშევარი.

– თქვენი ვარაუდით, როგორ შეიძლებოდა მოხვედრილიყო ეს ავეჯი თბილისში?

– რთული კითხვაა. ფაქტია, ე.წ. შავ ბაზარზეა შეძენილი. 40-იან და 50-იან წლებში ასეთი ნივთები სამუზეუმო სივრცეებიდან იკარგებოდა და პირად კოლექციებში ხვდებოდა, რა თქმა უნდა, უკანონოდ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ПОЛИТИКА

დავით გამყრელიძე პოლიტიკაში ბრუნდება

„ახლების“ ლიდერმა პირობა 2012 წლის არჩევნების წინ დადო, თუ მისი პარტია საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავდა, ის პოლიტიკიდან წავიდოდა. პირველი ოქტომბრის არჩევნებში ახლებმა 1%-ზე ნაკლები მიიღეს. ლიდერმა პირობა შეასრულა და მას შემდეგ არათუ პოლიტიკაზე, პირად ცხოვრებაზე, ბიზნესსა და საკუთარ ცხოვრებაზეც კი არ საუბრობს. ნებისმიერი შინაარსის ინტერვიუზე უარს აცხადებს და მედიაში ყოფილი პოლიტიკოსის ამპლუაშიც აღარ ჩნდება. ეს მისი არჩევანი იყო.

როგორც ჩანს, პოლიტიკურმა ცვლილებებმა მას გააქტიურებისკენ უბიძგა, მით უფრო, რომ მისი გუნდის წევრები თავიდანვე მიიჩნევდნენ, რომ გამყრელიძე არასწორ ნაბიჯს დგამდა პოლიტიკის დატოვებით. სამაგიეროდ, შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ის ერთადერთი იყო, ვინც პოლიტიკიდან წასვლაზე გაკეთებული განცხადება შეასრულა, რადგან ძალიან ბევრი ფაქტი იყო მანამდეც და „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერის შემდეგაც, როცა კონკრეტული თარიღის წინ პირობას დებდნენ, შეუსრულებლობის შემთხვევაში პოლიტიკას ვშორდებიო, მაგრამ წაგების შემთხვევაში საკუთარ სიტყვებს, უბრალოდ კი არ ივიწყებდნენ, კატეგორიული ტონით უარყოფდნენ კიდეც, მსგავსი პირობა არ დამიდიაო...

2012 წელს გაუჩინარებული პოლიტიკოსი, როგორც ამბობენ, მოლაპარაკებებს აწარმოებს საკუთარ გუნდთანაც და ნაციონალებთანაც. არ არის გამორიცხული, დავით გამყრელიძე ჯერ საკუთარ პარტიას დაუბრუნდეს და ამის შემდეგ ახლად შექმნილ კოალიციაშიც გაწევრიანდეს. როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი „ახალი მემარჯვენეები“ ნაციონალების წევრებთან კოალიციის შექმნაზე აქტიურად საუბრობენ. ინფორმაციას „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენლები ჯერჯერობით უარყოფენ. ისინიც, „თავისუფალი დემოკრატების“ მსგავსად, ფიქრობენ, რომ ნაციონალებთან ერთად გამოჩენა ნებისმიერ პოლიტიკურ სცენაზე მათთვის საბოლოო დასამარების გარანტი გახდება. ახლების წევრებმა 2012 წლის შემდეგ უკვე ბევრჯერ განაცხადეს უარი სხვადასხვა საპროტესტო აქციაში მონაწილეობაზე მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ის კონკრეტული აქცია ნაციონალებთან ასოცირდებოდა.

არასაპარლამენტო ოპოზიცია 100-ათასიანი მიტინგით იმუქრება

დაპირებული საგაზაფხულო საპროტესტო აქციები იწყება. კახა კუკავა, გოჩა ჯოჯუასთან ერთად, მოსახლეობას ოთხშაბათს ჯერ რესპუბლიკის მოედანზე შეკრებს და შემდეგ ავტოკოლონით ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციისკენ დაიძვრება. კუკავას განცხადებით, ხელისუფლებას ძალაუფლების შენარჩუნების ერთადერთი გზა აქვს დარჩენილი – რაც შეიძლება მალე დაიწყოს დაპირებული რეფორმების გატარება, წინაღმდეგ შემთხვევაში არასაპარლამენტო ოპოზიცია ასი ათასიანი მიტინგით იმუქრება.

კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:

– ჩვენ და გოჩა ჯოჯუას პარტია ბიძინა ივანიშვილს შევახსენებთ მის მიერ გაკეთებულ წინასაარჩევნო დაპირებებს. ავტოკოლონა შეიკრიბება რესპუბლიკის მოედანზე და შემდეგ მსვლელობა მოეწყობა ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციისკენ. ძირითადად თბილისის მოსახლეობა შეიკრიბება, თუმცა რეგიონებიდანაც ბევრი გვიკავშირდება და აქციაში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს.

– იმედი გაქვთ, რომ ბევრი ადამიანი მოვა?

– ჩვენ არ ვჩქარობთ, არ არის ჩვენი თვითმიზანი, რომ რომელიმე კონკრეტულ აქციაზე ასი ათასი ადამიანი მოვიდეს, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, ასი ათასი ადამიანი აუცილებლად გამოვა და ეს მოხდება ორ თვეში, თუ მანამდე, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მე მაქვს დიდი აქციების ორგანიზების გამოცდილება და მინდა გითხრათ, რომ საზოგადოებაში უკვე იმდენი უკმაყოფილებაა დაგროვებული, რომ ასიათასიან აქციას ნამდვილად ეყოფა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. ამიტომ მთავრობას ორი გზა აქვს: ან გაატაროს რეფორმები და შეამციროს უკმაყოფილება, რაც საზოგადოებაში არსებობს, ან დაელოდოს ასიათასიან აქციას, რომელიც მთავრობას შეცვლის.

– უკვე გაჩნდა მოსაზრება, რომ შეიძლება თქვენ ნაციონალების დავალებით მოქმედებთ?

– რა თქმა უნდა, მსგავსი ჭორების გავრცელებას ველოდებით, ამას მიზანმიმართულად ავრცელებენ სახელისუფლებო პროპაგანდისტული საშუალებები, ისევე როგორც ადრე ხდებოდა, წინა მთავრობის დროს. უბრალოდ, მაშინ გვბრალდებოდა, რომ რუსეთის დავალებებს ვასრულებდით. დღევანდელი ხელისუფლება სააკაშვილის დავალებების შესრულებას გვაბრალებს, სიმართლე გითხრათ, მიხარია, რადგან ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს მოქმედი ხელისუფლების სისუსტეს.

– აქცია ერთჯერადი იქნება?

– არა, აქციები გაგრძელდება მანამ, სანამ ეს რეჟიმი არ დასრულდება. ჩვენ ვიწყებთ საპროტესტო აქციებს, რომელსაც პერმანენტული ხასიათი ექნება.

– ვისი ფინანსებით ხდება აქციების ორგანიზება?

– ყველა თვითონ ასხამს თავის ბენზინს, არანაირი ფინანსები ამ აქციებს არ აქვს.

როგორ ემზადებიან პარტიები არჩევნებისთვის

ქეთი ხატიაშვილი

ისე ჩანს, თითქოს მთელი ოპოზიციის მთავარი საზრუნავი საქართველოში ვადამდელი არჩევნების დანიშვნა და კრიზისის (სააკაშვილის დროს – პოლიტიკურის, ახლა კი – ეკონომიკურის) გაღრმავებაა. ისინი, ვინც ვერტიკალზე საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურებიან, ოპოზიციაში უკვე ან მოთმინებას კარგავენ, ან ფორმას. ნინო ბურჯანაძემ, მაგალითად, ორივე დაკარგა. თუმცა, ეს სულ სხვა ისტორიაა. უბრალოდ, მაგალითისთვის მოვიყვანე.

ჰოდა, ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით, ახლა საპარლამენტო ოპოზიციაც გამოდის. ეს მავნე ჩვევა ვერც ნაციონალებმა აიცილეს თავიდან. მათ გაზაფხული-შემოდგომის ქუჩის აქციების დაანონსების ტრადიციაც გადაიღეს.

ახალი ანონსი ასეთია – ლარის კურსი 3,5 ნიშნულზე ავა და ქუჩის აქციებიც დაიწყება, ხალხი თავად გამოვა ქუჩაში, ხელისუფლება გადადგება და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართება.

ბიძინა ივანიშვილს თავიდანვე ურჩევდნენ ახალი სახეების პოლიტიკაში შემოყვანას, თუმცა, მაშინ ფსონი ძველ სახეებზე დაიდო და ბევრმა მათგანმა იმედები გაუწბილა...

და როცა „ნაციონალური მოძრაობის“ შეთქმულებისთეორიებსა თუ არეულობის გეგმებზე საუბრობენ, აქ აქცენტი „მაიდანის“ მოდელზე კეთდება. უბრალოდ, მოვლენების განვითარებას თუ დავაკვირდებით, რამდენჯერმე შეიცვალა მოტივი. ჯერ ამბობდნენ, რომ „მაიდანი“ მოეწყობა იმიტომ, რომ ხელისუფლება არ აპირებს, ხელი მოაწეროს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას; შემდეგ ითქვა, რომ ხელისუფლებამ საბოლოოდ აღიარა ცხინვალისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა და რუსეთი მისთვის ოკუპანტი აღარ არის; ახლა „მაიდანის“ მოწყობის მიზეზად ვალუტის კრიზისი დასახელდა. თუმცა, ლარმა უკვე დაიწყო გამყარება.

ოპოზიცია ოპტიმისტურად განწყობილი არ არის. ვადამდელი არჩევნების ჩატარებას ჯერ გაზაფხულზე ელოდნენ, ახლა შემოდგომაზე ელიან. ამბობენ, რომ „ქართულ ოცნებაში“ უკვე მობილიზაცია გამოცხადდა, რომ შტაბების დაკომპლექტება დაიწყო. ამ ინფორმაციას მმართველ პარტიაში არ ადასტურებენ.

მიუხედავად ამისა, საპარლამენტო ოპოზიცია ითხოვს, არასაპარლამენტოს კი დიდი იმედი აქვს, რომ არჩევნები ვადაზე ადრე დაინიშნება.

როგორი იქნება ახალი პარლამენტი? ეს ერთადერთი საკითხია, სადაც პოლიტიკური პარტიები თანხმდებიან – უმრავლესობას, ცალკე აღებული, ვერც ერთი პარტია ვერ დაიკავებს, მომავალ პარლამენტში მხოლოდ ევროპული ტიპის უმრავლესობის შექმნა იქნება შესაძლებელი. ანუ კოალიციას რამდენიმე პარტია შექმნის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ПІ ДА ПРЕМІЕРЕБІ

და მთავრობასაც ის დააკომპლექტებს.

პოლიტიკურმა კინკლაობამ თავისი შედეგი გამოიღო, ნაცები და ქოცები იმდენად დიდ დროს უთმობენ და მნიშვნელობას ანიჭებენ ერთმანეთის ლანძღვას, რომ „პრაიმტაიმის“ ქუჩის გამოკითხვებში საინტერესო ტენდენცია გამოჩნდა – ახალგაზრდობა პოლიტიკაში ახალი თაობის გამოჩენას ელოდება.

თუმცა, ექსპერტების ვარაუდით, ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში პოლიტიკურ ძალებს შესაძლოა, განახლებისთვის დრო არ ეყოთ და მწვავე კონკურენციისა და დაპირისპირების ფონზე საარჩევნო რინგზე კარგად ცნობილი ძველი სახეები ავიდნენ.

არასაპარლამენტოდან დავიწყოთ:

აქ ლიდერის პოზიციებს ჯერ მაინც ნინო ბურჯანაძე ინარჩუნებს, თუმცა ის ერთადერთი პრორუსული გაერთიანება არ არის. არ გამორიცხავენ, რომ ნატოს მოწინააღმდეგე სხვა ძალებიც საარჩევნოდ სწორედ მასთან გაერთიანდნენ და ერთი დიდი კოალიცია შექმნან, ლოზუნგით: „არ გვინდა ნატო, საქართველო პროქართული უნდა იყოს!“ რა თქმა უნდა, მას სათავეში ნინო ბურჯანაძე ჩაუდგება და მთავრობის დაკომპლექტების დროსაც ივაჭრებს.

ნინო ბურჯანაძეს პარლამენტის თავმჯდომარეობა აღარ დაინტერესებს, მან ეს პოზიციები ორი ვადით გაიარა. პრემიერობის სურვილი შეიძლება, აქვს თუმცა, საეჭვოა, პარლამენტში სარფიანად ვაჭრობისთვის საჭირო რაოდენობის ადგილები დაიკავოს. პრემიერობისთვის მას ძალები არ ეყოფა. ესეც რომ არა, ბურჯანაძის ქართული ოცნება ყოველთვის მაინც პრეზიდენტობა იყო. აკი რამდენიმე დღის წინ განაცხადა კიდეც: დიახ, აუცილებლად გავხდები პრეზიდენტიო.

ვინ მიიჩნევა მის პარტნიორად? როგორც ჩანს, ყველა, ვინც ნატოს წინააღმდეგია და პოლიტიკაში პროქართულ მიმდინარეობას აღიარებს. ასეთია, მაგალითად, „ფორუმი“. არ არის გამორიცხული, მომავალ არჩევნებში გუბაზ სანიკიძე და კახა შარტავა სწორედ ნინო ბურჯანაძის კოალიციაში აღმოჩნდნენ. ისევე როგორც ირმა ინაშვილისა და თარხან-მოურავის პოლიტიკური დუეტი.

რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციას, ვალერი გელბახიანის ვარაუდით, „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებში სხვა სუბიექტებს არ გაიერთიანებს და საარჩევნო რინგზე მარტო ავა. თუმცა, არსებობს სხვა მოსაზრებაც – ნაციონალებს პლუს ირაკლი ალასანია. გელბახიანის მოსაზრებით, თავისუფალი დემოკრატები და რესპუბლიკელები ერთ საერთო კოალიციას გააკეთებენ.

სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, ამ კოალიციას ახლებიც შეუერთდნენ და მაშინ ალიანსი ძველი სახით აღდგება. მათი ლიდერი კი ძველებურად ირაკლი ალასანია იქნება. თუმცა, ამ მოსაზრებას სკეპტიკოსებიც ჰყავს და მათაც საკუთარი არგუმენტი აქვთ. ერთ-ერთი ძველ ანდაზისა არ იყოს, ორჯერ ერთ მდინარეში არ შედიან...

ირაკლი რუხაძე

„თუმცა ყველას, ვინც ბადრის სახელის გამოყენებას შეეცდება პოლიტიკაში, ძალიან გაუჭირდება, თუკი ვითარებას ბადრის პარტიის წევრებთან არ გაარკვევს. ამჯერად მეტს არაფერს ვიტყვი“

ახლები ამბობენ, რომ საუბრები რაიმე სახის კოალიციებზე ჯერ არ დაწყებულა. შესაბამისად, კონკრეტული მონახაზიც კი არ არსებობს.

სხვათა შორის, ახლები ყოველთვის იყვნენ დაკავშირებულნი ბადრი პატარკაციშვილთან. იგივე ვალერი გელბახიანი არ გამორიცხავს, რომ პატარკაციშვილის ოჯახს პოლიტიკური ინტერესები ჰქონდეს:

– ბადრის სახელი ყოველთვის მუშაობდა, პატარკაციშვილის მიმართ ნოსტალგია ისევ არსებობს. ოჯახს ფინანსური რესურსი აქვს და შესაბამისად, არ არის გამორიცხული, მის გარშემო გარკვეული პოლიტიკური ძალები გამოჩნდნენ.

პატარკაციშვილების ოჯახის პოლიტიკური ინტერესები, ვინ არის ირაკლი რუხაძე და რას უთვლის მას ვალერი გელბახიანი

სხვათა შორის, ერთ-ერთი ინფორმაციით, ირაკლი რუხაძე, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის ბიზნესპარტნიორი, „სალფორდ ჯორჯიას“ ხელმძღვანელი იყო, პოლიტიკაში ჩართვას აპირებს. **ვალერი გელბახიანი** არ გამორიცხავს, რომ რუხაძეს პოლიტიკური ამბიციები გაუჩნდეს:

– ვფიქრობ, მას პოლიტიკური ამბიციები ექნება. ადამიანს, რომელსაც იმდენი ამბიცია აქვს, რომ ოჯახის ბიზნესპირამიდას სათავეში მოექცა, რა გასაკვირია, რომ პოლიტიკური ინტერესებიც გაუჩნდეს. თუმცა, ყველას, ვინც ბადრის სახელის გამოყენებას შეეცდება პოლიტიკაში, ძალიან გაუჭირდება, თუკი ვითარებას ბადრის პარტიის წევრებთან არ გაარკვევს. ამჯერად მეტს არაფერს ვიტყვი.

როგორ განვითარდება მოვლენები, ძნელი სათქმელია. თუმცა, როგორც ცნობილია, ირაკლი რუხაძის პოლიტიკური ამბიცია პრემიერობაა. ამბობენ, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმაც იგეგმება.

ბადრის ოჯახს ახლა არამხოლოდ ფინანსები, ტელევიზიაც აქვს, ეს კი პოლიტიკური კარიერისთვის ორი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

ყველაზე დიდი კითხვის ნიშნები მაინც „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებთ არის. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაურკვეველია. პარტია ახალ სახეებს ეძებს და ეს ლოგიკურია. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილს თავიდანვე ურჩევდნენ ახალი, სმარტი სახეების პოლიტიკაში შემოყვანას, თუმცა, მაშინ ფსონი ძველ სახეებზე დაიდო, ბევრმა მათგანმა იმედები გაუწბილა, ბევრიც იმდენად აგრესიული და რადიკალური გახდა, რომ საზოგადოებაში პოპულარობა დაკარგა.

ვარაუდობენ, რომ ის კოალიციას შეინარჩუნებს მრეწველებთან და კონსერვატორებთან. ზოგიერთების გათვლებით, მმართველ კოალიციაში ადგილის შენარჩუნებას რესპუბლიკელებიც შეეცდებიან.

როგორც ჩანს, საარჩევნო რინგზე მხოლოდ კოალიციები ავლენ. თუმცა, ვალერი გელბახიანი მიიჩნევს, რომ კოალიციის სიდიდეც და რაოდენობაც მხოლოდ ახალი კონსტიტუციის მოდელზე იქნება დამოკიდებული. ანუ ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, დარჩება თუ გაუქმდება მაჟორიტარული სტრუქტურა. თუ პარლამენტში მაჟორიტარებს აღარ ავირჩევთ, მაშინ დიდი კოალიციების შექმნის აუცილებლობაც ნაკლებად დადგება, მიიჩნევს გელბახიანი.

ასე რომ, ჯერჯერობით ყველაფერი ვერსიების დონეზეა. როგორ განვითარდება მოვლენები, ამის ზუსტი განსაზღვრა და ანალიზი ექსპერტებს ძალიან უჭირთ.

რა სიახლეები გველის საარჩევნო რინგზე?

მომავალ არჩევნებში, შესაძლოა, ორი ახალი ფიგურა გამოჩნდეს. ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის ინტერესები, რომლის წამყვანი და გამწევი ძალაც ირაკლი რუხაძე იქნება; ელოდებიან ლევან ვასაძის გააქტიურებასაც, რომელსაც მხარს უჭერს ეკლესიის გარკვეული ნაწილი და ასევე, იმ ლოზუნგის მომხრეა, რომელიც პრორუსობას „რბილად“ გამოხატავს – „არა ნატოს, ჩვენ პროქართველები ვართ!!!“ ვალერი გელბახიანი მიიჩნევს, რომ ის, თავისი გამოჩენით, მაინც გიორგი მარგველაშვილის ფრთას წარმოადგენს პარლამენტში.

გამოდის, რომ საარჩევნო რინგზე ერთი მსხვილი ცენტრალური მოთამაშე იქნება „ქართული ოცნება“. აქ ექსპერტები სრულიად განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ. ბევრი მაინც მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი კოალიციის საარჩევნო სიის პირველ ნომრად დასახელდება. პირადად მე მეეჭვება, ეს უკვე მარცხის აღიარება იქნება, რადგანაც პოლიტიკაში დაბრუნება მოუწევს და მეორეც, თუკი პოლიტიკაში ახალ თაობას აძლევს გზას, მაშინ ეს შანსი ბოლომდე უნდა მისცეს.

მმართველ კოალიციაში ჯერჯერობით ორი ლიდერი იკვეთება – ღარიბაშვილი და კალაძე.

პროდასავლურ ფლანგზე ორი ლიდერი იომებს – ირაკლი ალასანიას კოალიცია და მიხეილ სააკაშვილის მოძრაობა.

პრორუსულ ფლანგზე კი შესაძლოა, ერთმანეთს ნინო ბურჯანაძე და ლევან ვასაძე დაუპირისპირდნენ.

ირაკლი ალასანიას, ნინო ბურჯანაძის მსგავსად, პრეზიდენტობა სურს და პარლამენტში სწორედ ამ ოცნებისთვის იბრძოლებს.

ბურჯანაძისა და ალასანიასგან განსხვავებით, პრემიერობას უმიზნებენ ვასაძე და რუხაძე. თავის ფსონს წარმოადგენს „ქართულ ოცნებასაც“. აქ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერჯერობით ღარიბაშვილი და კალაძე ლიდერობენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სალომე ჭაჭუა და გიორგი

my View
თამარ გონგაძე

სალომე ჭაჭუა და გიორგი ვარდოსანიძე გაიყარნენ. ამაზე უკვე ერთი თვეა კულუარებში საუბრობენ. რუბრიკა „ერთი დღისთვის“ წყვილის გადაღება რომ გვინდოდა, სამჯერ საეჭვოდ გადაგვიდეს ფოტოსესია. მიზეზად მუდმივი მოუცლელობა დაასახელეს. პირველი ეჭვი მაშინ გაგვიჩნდა, აქ რაღაც ისე ვერ იყო. გასულ პარასკევს „პროფილში“ თანამეწყვილესთან ერთად მისულმა ჭაჭუამ კი ეჭვი თითქოს გაამყარა. მაია ასათიანის შეკითხვაზე - თქვენი ოჯახი დაინგრა, მართალია? სალომემ პასუხის გაცემა არ ისურვა - ამაზე არანაირი კითხვა რა, საერთოდ. ახალ უკრაინელ მეწყვილეზე კი დიდი გატაცებით საუბრობდა. 20 ოქტომბრიდან „მარაოზე“ წყვილს „ცეკვის გაკვეთილები“ მიჰყავდა. დეკემბრის შემდეგ გადაცემა ეთერში არ გასულა.

ჭაჭუა-ვარდოსანიძის წყვილი უკვე ორი წელია საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. ერთმანეთს მიუზიკლიდან - „ვერის უბნის მელოდიები“ იცნობენ. გათანამედროვებული ვერსია ფრანგმა ქორეოგრაფმა და რეჟისორმა რედა ბენიფორტემ დადგა. მათი რომანი სკანდალით დაიწყო, „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობისას ერთმაც მიატოვა შეყვარებული და მეორემაც. ეს იოლი გადასატანი არც ერთი მხარისთვის არ ყოფილა. სალომე გიორგის გამო რვაწლიან სიყვარულის ისტორიას გამოეთხოვა და თავის კოლეგას, მოცეკვავე გიგი გაჩეჩილაძეს დაშორდა. გიორგის შეყვარებულიც მისი კოლეგა, მსახიობი თამთა შალამბერიძე იყო, წყვილი სამი წელი ხვდებოდა ერთმანეთს. „პირველი დანახვისთანავე მოვიხიბლე კი არა, „გავჭედე“, იქ უამრავი მოდელი, ლამაზი გოგო ტრიალებდა, მაგრამ თამთა რომ დავინახე, გარშემო ყველა და ყველაფერი ნაიშალა, გადავირიე“. თამთა რუსთაველის თეატრში შეყვარებულის საგულშემატკივროდ ყველა ლაივკონცერტზე დადიოდა. შოუში დაწყებულ რომანზე კულუარულად საუბრობდნენ, თუმცა პირველად წყვილმა ჩვენი გაზეთის მეშვეობით აღიარა, რომ ერთმანეთი უყვარდათ, თავს ბედნიერად გრძნობდნენ და არ იცოდნენ, რა იქნებოდა მომავალში. „ასე ხმამაღლა ჯერ ვერ ვიტყვი, რომ შეყვარებული ვარ. ვნახოთ, რა როგორ იქნება. ეს დროზე და ურთიერთობაზეა დამოკიდებული“, - ამბობდა სალომე... „ვერავის დავუშლი, რომ ჩემს პირადზე ილაპარაკონ, თუმცა მე კი მეცინება ჭორებზე. ილაპარაკებენ, დაიღლებიან და მაგრად არ მაინტერესებს. სიმართლე ვიცი მე და ჩემმა ახლობლებმა. ცუდად არ გამიგოთ, სხვები არ მაინტერესებს. პროექტი რომ დასრულდა, მე და თამთა დავშორდით, მერე დაემთხვა და გიგი და სალომე დაშორდნენ. მე და სალომე ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით. თვე-ნახევარია მეგობრობა სხვა რამეში გადაგვეზარდა. მეგობრობიდან სიყვარულში გადაზრდილი ურთიერთობა ძალიან მყარია. გაპრანჭვა და ურთიერთობის თავიდან დაწყება არ გჭირდება. 24-საათიანი მეგობრობა გვქონდა. დაიწყო პიკნიკები, სამეგობროსთან ერთად ოთხი მანქანით ერთად ვმოძრაობდით. ასე გადაიზარდა და გადაიზარდა... ახლა კარგად ვარ და ჩუმად ვარ. ურთიერთობაზე ყოველგვარი სახელის დარქმევის გარეშე ვარ კარგად. მეზიზღება რაღაცას რომ ვარქმევ. ამაზე უკვე წავიტეხე ცხვირი. მივხვდი, რომ ჩემს პირადზე ბევრი ვილაპარაკე და ეს იმიტომ არ მომივიდა, რომ გამჟღავნება მინდოდა. უბრალოდ, მაშინ ძალიან კარგად ვიყავი. ალბათ, ბევრსაც ვლაპარაკობდი. მერე მივხვდი, რომ პირადული იმდენად კარგი სიტყვაა, რომ ბევრს ნიშნავს. უფრო მეტად აღარ დავკონკრეტდები. მე კარგად ვარ, სალომეც კარგადაა. ვისაც გაუხარდება, გაუხარდეს, ვისაც არა და ნუ გაუხარდება“. - ექსკლუზიურად გვითხრა მაშინ მსახიობმა. ეს ამბავი ჩვენი მეშვეობით გახმაურდა კიდეც.



თამთა შალამბერიძე: „რაღა დროს ამის გახსენებაა? ორი წელი გავიდა. ეგ იმათ ჰკითხეთ“

გიგი გაჩეჩილაძე: „ეგ თემა დიდი ხანია გავიარეთ და დაბრუნება არ ღირს“

ლარისა გაჩეჩილაძე და სალომე

„უბრალოდ, მაშინ ძალიან კარგად ვიყავი. ალბათ, ბევრსაც ვლაპარაკობდი“

შარშან თებერვალში წყვილმა ჯვარი სვეტიცხოველში დაიწერა. ცხოვრებაც ბედნიერად დაიწყეს. მანამდე კი გიორგიმ წინასაახალწლოდ ბანკიდან სოლიდური სესხი აიღო, რომ ნუცუბიძის პლატოზე ბინა ეყიდა და საცხოვრებლად სალომესთან ერთად გადავიდა. ბინა ერთობლივად მოაწყეს. „170 000 ლარი მაქვს ვალი და მეღადავებიან, ღამე როგორ გძინავსო. გაჭირვების ფასიც ვიცი, მუშაობის ფასიც, ვიცი რა შემიძლია და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება“,- ინტერვიუში ამბობდა გიორგი.

სალომე „თელას“ სტუდიიდან წამოვიდა და თავისი ცეკვის სტუდია „პრაიმ დენსი“ გახსნა. (სტუდიის ფეისბუქგვერდზე შესულს ახალ მეწყვილესთან, მაქსიმ რიჟიკოვთან ერთად გადაღებული სელფი დაგხვდებათ) ახლად დაქორწინებული გიორგი კი შარშან პრესას ასეთ ინტერვიუს აძლევდა.

„2014 წლის დასაწყისი ძალიან იღბლიანი აღმოჩნდა, რადგან რამდენიმე ადგილზე დავიწყე მუშაობა, მანქანა გამოვცვალე, სახლი ვიყიდე და, რაც ყველაზე მთავარია, საყვარელ ქალთან ერთად დავიწყე ცხოვრება. ერთმანეთისთვის დიდი სტიმული ვართ, ერთიმეორეს გვერდში ვუდგავართ, ამიტომ ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი მაგრად მიდის. ცალკე ცხოვრება, მით უმეტეს, საყვარელ ადამიანთან ერთად, ძალიან მაგარი ყოფილა“.

იმ დროს შვილის ბედნიერებით სავსე დავით ვარდოსანიძე (გიორგის მამა) პრესას თავის ემოციებს უზიარებდა. „გიორგიმ მეორე ადგილზე გადაინაცვლა, პირველი ადგილი სალოსია. ჩემი ოცნება იყო, ქალიშვილი მყოლოდა და სალო მყავს ახლა. ულამაზესი ქალიშვილი მაჩუქეს ღმერთმა და გიომ. ძალიან მინდოდა, ასეთი ლამაზი რძალი მყოლოდა. სალომე ლამაზი არამხოლოდ ფიზიკურადაა, მინიმუმი, ათი იმდენი შინაგანი სილამაზე აქვს!“.

მაია ასათიანი: „მათი გადაცემა გაჩერდა, მაგრამ არა არხის მიზეზით. მეტს ვერაფერს გეტყვით“



- ეს გადაცემა გაჩერდა, მაგრამ არა არხის მიზეზით. მეტს ვერაფერს გეტყვით.

გამოდის, რომ წყვილმა თავისი გადაწყვეტილებით დახურა გადაცემა. თუ დაშორდნენ რა ეგადაცემებოდათ?

პრესასთან საუბარი არ სურს სალომეს. მან ჩვენს ზარს ასე უპასუხა.

სალომე ჭაჭუა: არანაირ ინტერვიუს არ ვაძლევ ამ თემასთან დაკავშირებით და მეორედ ამ თემაზე არ დამირეკოთ. მადლობა, ნახვამდის.

მასთან შედარებით ლოიალური აღმოჩნდა გიორგი.

გიორგი ვარდოსანიძე: არ მინდა ამ ეტაპზე კომენტარის გაკეთება. მოდი, ყველას აზრსა და სურვილს პატივი ვცეთ.

- ერთგვარად გვიდასტურებ გაყრის ამბავს?

- ეგ, მოდი ვისაც როგორ უნდა, ისე გადაწყოდა და სალო მყავს ახლა. ულამაზესი ქალიშვილი მაჩუქეს ღმერთმა და გიომ. ძალიან მინდოდა, ასეთი ლამაზი რძალი მყოლოდა. სალომე ლამაზი არამხოლოდ ფიზიკურადაა, მინიმუმი, ათი იმდენი შინაგანი სილამაზე აქვს!“.

იყო პერიოდი, როდესაც სალომეს ხერხემლის პრობლემა შეექმნა და მზრუნველი ქმარი მას მასაჟებს და მკურნალობის კურსს არ აკლებდა. „ასეთი პრობლემები მოცეკვავეებს და სპორტულ ტანმოვარჯიშეებს ხშირად ექმნებათ, აქტიური ვარჯიშის გამო ხერხემალი „გამიცვდა“- შარშან მაისში ხუმრობდა სალომე.

ახალ ტელევიზიაში წყვილს გადაცემის წაყვანა შესთავაზეს. „მარაოზე“ მიჰყავდათ „ცეკვის გაკვეთილები“.

გიორგი ფიქრობდა, რომ სალომე წამყვანობას კარგად მოერგო და თუ თავის დროზე მეუღლე ცეკვას ასწავლიდა, გადაცემისთვის ის ცდილობდა სალომე მეტყველებაში ევარჯიშებინა.

„სახლში გაკვეთილებს ვუტარებენის გასატეხებში, სუნთქვის სავარჯიშოებში, დიაპაზონის განაწილებაში. სხვათა შორის, კარგად ითვისებს. ეს გოგო ყველაფერში ნიჭიერი გამოდგა“.

წყვილის დაშორებას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ეს გადაცემა ეთერში აღარ გადის. ამაზე კომენტარის გაკეთება „მარაოს“ დირექტორს მაია ასათიანს ვთხოვე.

- მაია, რატომ არ გადის „ცეკვის გაკვეთილები?“

გიორგი ვარდოსანიძე: „იმ ბინას ვყიდი. ხო, ბევრი მქონდა ძალიან გამოტანილი. ვისაც როგორ უნდა, ისე გადაწყვიტოს. ვისვენებ ყველაფრისგან. ხომ მაქვს უფლება ცოტა მეც დავისვენო?! არ ვიცი ეს ეტაპი რამდენ ხანს გაგრძელდება, ერთი დღე თუ ერთი თვე...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვარდოსანიძე გაიყარნენ



ცოლს გაყრილი გიორგი ვარდოსანიძე ბანკის ვალის გამო ბინას ყიდის

EXCLUSIVE

ვიტოს. მე ამ ეტაპზე კომენტარს არ ვაკეთებ.

- როდის დაგირეკოთ?

- არ ვიცი. ვისვენებ ყველაფრისგან. ხომ მაქვს უფლება ცოტა მეც დავისვენო?! არ ვიცი ეს ეტაპი რამდენ ხანს გაგრძელდება, ერთი დღე თუ ერთი თვე...

- ამ ეტაპზე თავს როგორ გრძნობ?

- შემართებით ვარ, რომ საქმეს მივხედო.

- საქმეზე გადართულხარ.

- როგორც ყოველთვის.

- გიორგი, ბანკის ვალის და ბინის თემა როგორ გადაწყვიტე?

- იმ ბინას ვყიდი, მარტივად - ვყიდი!

- ერთ შენ ინტერვიუში ამოვიკითხე, 170 ათასი ლარი მაქვს გამოტანილიო.

- ამდენი კონკრეტიკა და ციფრები რად გინდა? ხო, ბევრი იყო ძალიან გამოტანილი.

- იქვე ხუმრობდი, მეგობრები მეუბნებიან, როგორ გძინავს ამდენი ვალის პატრონს ღამეო.

- საკაიფოდ მძინავს. მაგრამ მოსაშორებელია.

სალომე წლების მანძილზე „თელას“ სტუდიის მოცეკვავე იყო. სტუდიის ხელმძღვანელები კი გიგის მშობლები ლარისა და თენგიზ გაჩეჩილაძეები არიან. გიგისთან დაშორების შემდეგ სალომე სტუდიიდან წავიდა.

- ქალბატონო ლარისა, გსმენიათ რაიმე სალომეს და გიორგი დაშორებაზე?

- არანაირი ინფორმაცია არ მაქცს. ეგ ჩემთან აღარ ცეკვავს.

ჩვენ გიგისაც დავუკავშრდით.

გიგი გაჩეჩილაძე: მე რა შუაში ვარ? არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, მაგ თემაში არ ვერევი. არ მაინტერესებს. „პროფილის“ პრომოში ვნახე მაია რომ ეკითხებოდა, მეტი არაფერი ვიცი.

- ის, რომ ორი წლის წინ სალომე დაკარგე, ეს მისი ბრალი იყო?

- ეგ თემა დიდი ხანია გავიარეთ და დაბრუნება არ ღირს.

- სალომესთან საერთოდ აღარ კონტაქტობთ?

- საქმიანი კონტაქტი გვიწევს. მისი სტუდია ჩემს ფედერაციაშია გაწევრიანებული. სხვა ურთიერთობა არ გვაქვს.

- შენ პირადში სიახლეა?

- არაფერი. ვმუშაობ და ვარ ძალიან კარგად.

ეს ამბავი არ იცოდა არც გიორგის ყოფილმა შეყვარებულმა თამთა შალამბერიძემ. თამთას მეუღლე გიორგი ხურცილავაა, მსახიობ ჯაპანას ვაჟი.

თამთა შალამბერიძე: გიორგის პირადი ცხოვრება არ მაინტერესებს, მე გავთხოვდი და შვილი მყავს.

- თამთა, თავის დროზე თქვენი დაშორება სალომეს ბრალი იყო?

- არ ვიცი. რაღა დროს ამის გახსენებაა? ორი წელი გავიდა. ეგ იმათ ჰკითხეთ.

წყვილის გაყრის მიზეზი არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში ამაზე პრესასთან არავინ საუბრობს. საღღაც ითქვა, რომ გიორგისაც მძიმე ხასიათი აქვს და სალომესაც და ვერ შეენყვნენო. სადღაც ისიც დაინერა, გიორგიმ მექალთანეობას მიჰყო ხელი, სალომე კი სულ თავის სტუდიაში იყოო. ეს მხოლოდ წყვილმა იცის, ფაქტია, რომ ოჯახი დაინგრა. ეს კი თავისთავად ცუდი ფაქტია.

მაქსი და სალომე

სალომე ჭაჭუა: „არანაირ ინტერვიუს არ ვაძლევ ამ თემასთან დაკავშირებით და არ დამირეკოთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



„ვიღაცის წერილების არ მეშინია“

არქიმანდრიტი ანთიმოზი: „ფეისბუკი“ არის ურთიერთობის საშუალება, სადაც ვაკეთებ რელიგიურ ჩანახატებს“

EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

საპატრიარქოს არქიმანდრიტ ანთიმოზის დასჯას სთხოვენ. ინფორმაციას თავად მამაო ავრცელებს facebook-ის საშუალებით: „თურმე, საპატრიარქოში წერილი წერილზე მიდის, დასაჯეთ არქიმანდრიტი ანთიმოზიო! რა დაგიშავეთ, ადამიანებო! ვცხოვრობ ჩემთვის მარტო გამოქვაბულში. ავუკრძალოთ მამა ანთიმოზს წერა! აბა, მეტს არაფერს ვაშავებ და“...

მოგვიანებით გაირკვა, რომ წერილებს საპატრიარქომდე არ მიუღწევია, „პრაიმტაიმთან“ საუბარში არქიმანდრიტმა განაცხადა რომ მას უცხო ადამიანები facebook-ზე უგზავნიდნენ მუქარის შემცველ წერილებს და ჰპირდებოდნენ რომ იგივე წერილებს საპატრიარქოშიც გადააგზავნიდნენ, თუმცა პირობა ჯერჯერობით არ არის შესრულებული. რატომ, გადაიფიქრეს და რა სასჯელს ითხოვდნენ ისინი არქიმანდრიტისთვის უცნობია. სამაგიეროდ თემაა ნაცნობი, ეს ახალი ამბავი არ არის, ჩემი დასჯის სურვილი 17 მაისის შემდეგ ყველას აქვსო...

არქიმანდრიტი ანთიმოზი:

– არანაირი წერილები საპატრიარქოში არ არის. ჭორი ყოფილა.

– არასწორი ინფორმაცია გავრცელდა წერილებზე?

– facebook-ზე, „ინბოქსში“ მწერდნენ და მემუქრებოდნენ, წერილებს ვწერთ და შენს თავს დავასჯევინებთო.

– რამ გამოიწვია ამ ადამიანების გაღიზიანება, იცნობთ თუ არა მათ პირადად და როგორ ფიქრობთ, რატომ გადაიფიქრეს საპატრიარქოში წერილების გაგზავნა?

– არა, იმ ადამიანებს არ ვიცნობ. მემუქრებოდნენ, რომ საპატრიარქოში წერილები გაგზავნეს. ეს ახალი თემა არ არის. 17 მაისის მოვლენების შემდეგ სულ ითხოვდნენ ჩემს დასჯას. იმაზეც გაღიზიანდნენ, სასამართლომ რომ გამამართლა. ეს ხალხი უფრო ეკლესიის მტერი მგონია.

– ეკლესიის მტერი ვინ არის?

– პატრიარქსა და ეკლესიაზე თავდასხმა იგივე იესო ქრისტეზე თავდასხმაა, რომელსაც ახორციელებენ საქართველოს მტრები, ფულით მოსყიდული ქართველების მიერ. პირდაპირ რომ ვთქვათ, ეს არის ანტიქრისტეს იდეოლოგია.

– facebook-ზე აქტიურობის გამო საპატრიარქოს შენიშვნა ხომ არ მოუცია?

– „ფეისბუკი“ არის ურთიერთობის საშუალება, სადაც ვაკეთებ რელიგიურ ჩანახატებს, მაქვს ურთიერთობა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან, მყავს ჩემი მკითხველი, ჩემი ნაწერები არ სცილდება მართლმადიდებლურ სწავლებას, მყავს მკითხველი და შენიშვნა რატომ უნდა მოეცათ? თუ რამე არასწორს დაინახავენ, შენიშვნას აუცილებლად მომცემენ. მაგალითად, წყლის გადასხმაზე მომცეს შენიშვნა, რომელიც საჯაროდ მოვინანიე. 28 წელია, ეკლესიის წევრი ვარ და კარგად მიცნობენ. ასე რომ, ვიღაცის წერილების არ მეშინია.

– 17 მაისის მოვლენების შემდეგ სულ ითხოვდნენ ჩემს დასჯასო, ამბობთ, მანამდე არ ყოფილა იგივე შინაარსის მუქარა?

– არასოდეს...

– იქიდან გამომდინარე, რომ 17 მაისის შემდეგ თქვენ მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება გაჩნდა, მსგავსი აქციის საწინააღმდეგო გამოსვლაში კვლავ მიიღებდით მონაწილეობას ამ ყველაფრის შემდეგ?

– ეკლესიიდან თუ იქნება ნებართვა, აუცილებლად. მე არა ვარ იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომელსაც გადახრა აქვს, გადახრები „არა იმრუშოს“ ნაირსახეობებია და აღიარებს, რომ სცოდავს, წინააღმდეგი ვარ ცოდვის ლეგალიზაციის. ცოდვა რომ გამეფდება დედამიწაზე, ანუ როდესაც ცოდვა არ ჩაითვლება ცოდვად, მაშინ მოდის ანტიქრისტე. ვიღაცას ეს ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპარი ჰგონია. ეს ქრისტიანული ესქატოლოგიაა და ვისაც ეს არ სჯერა, ის, უბრალოდ, ქრისტიანი არ არის.

– როგორ ფიქრობთ, რატომ არის საზოგადოებისთვის მიუღებელი, როცა სასულიერო პირი საკუთარ მოსაზრებას საპროტესტო აქციით ან თუნდაც facebook-ზე გამოხატავს?

– ვფიქრობ, საზოგადოების ნაწილის შეხედულება სასულიერო პირებზე არის ინერცია ათეისტურ-კომუნისტური აზროვნებისა. სასულიერო პირი საზოგადოების ნაწილია, როგორც, ვთქვათ, იტალიაში პადრე და გერმანიაში პასტორი.

– შეგიძლიათ, გვითხრათ, როდის შეხვდით ბოლოს პატრიარქს და როგორია მისი დამოკიდებულება თქვენი აქტიურობის მიმართ?

– უწმინდესსა და უნეტარესს თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ვნახულობ სამებაში. მე არ ვაქტიურობ, საკმაოდ კარჩაკეტილ ცხოვრებას ვეწევი სიმარტოვეში, ჩემს ჩანაწერებს, ან ჩანახატებს თუ გულისხმობთ „ფეისბუკზე“, ეს სხვა საქმეა.

– ხშირად გამიგია, ზოგიერთი მამაო facebook-ით იბარებს აღსარებასო, მართალია თუ არა და რამდენად სწორია ასეთი ურთიერთობა მღვდელსა და მრევლს შორის?

– „ფეისბუკსა“ და მობილურზე აღსარების მიღება მიუღებელია, შეიძლება სხვისთვისაც მისაწვდომი გახდეს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ, შენდობის ლოცვას ვერ ნაუკითხავ.

„შვიდი დღე არ გვაჩვენა შვ

ხათუნა მგალობლიშვილი

კუჭის ოპერაცია ერთ-ერთ ურთულეს ოპერაციად ითვლება, რომლის გაკეთებაზეც ბევრი ქირურგი იკავებს თავს. მიზეზი პოსტოპერაციული გართულებებია. შესაბამისად, არ არსებობს ქირურგი, რომელიც პაციენტს ოპერაციის წარმატებით დასრულების გარანტიას წინასწარ მისცემს.

გარდაცვლილის მეუღლე: „დიდი ეჭვი მაქვს, რომ ლევანმა მეორე ოპერაცია ვეღარ გადაიტანა, ოპერაციის მსვლელობისას დაილუპა და ექიმი ამას გვიმალავდა“

ლევან ხარჩილავა 33 წლის იყო და 175 კილოს იწონიდა, მომატება რამდენიმე წლის წინათ დაიწყო და წონა ძალიან აწუხებდა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ოპერაციის გაკეთება და ქუთაისში, „Medical city“-ს, იგივე ყოფილი ინფექციური საავადმყოფოს ქირურგს, ოთარ მარშავას მიმართა. ოჯახის წევრების განცხადებით, მარშავამ ლევან ხარჩილავას განუმარტა, რომ ეს იყო უმარტივესი ოპერაცია, რომელსაც არანაირი გართულება არ მოჰყვებოდა. თუმცა შედეგად პაციენტი გარდაიცვალა. ოჯახის წევრებს ეჭვი აქვთ, რომ ლევან ხარჩილავა მეორე ოპერაციის მსვლელობისას დაილუპა და ექიმი მის გარდაცვალებას 7 დღის განმავლობაში მალავდა.

დალი ხარჩილავა, ლევან ხარჩილავას მეუღლე:

– დიდი ეჭვი მაქვს, რომ ლევანმა მეორე ოპერაცია ვეღარ გადაიტანა, ოპერაციის მსვლელობისას დაილუპა და ექიმი ამას გვიმალავდა. სწორედ ამიტომ არ გვიშვებდნენ არავის მასთან მთელი შვიდი დღის განმავლობაში. ოჯახის წევრების გარდა, ჩვენი მეგობრებიც ეხვეწებოდნენ, ერთი წამით გვანახე ავადმყოფიო...

ღუდუშაურის კლინიკის ქირურგიული განყოფილების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კუჭის ოპერაცია ერთ-ერთი ყველაზე სარისკოა, რადგან ადამიანი, რომელიც ას კილოზე მეტს იწონის, ქირურგიული ჩარევის შემდეგ შეიძლება, უბრალოდ, სუნთქვის უკმარისობითაც კი დაილუპოს. შესაბამისად, ნებისმიერი ქირურგი ვალდებულია, წინასწარ განუმარტოს პაციენტს შესაძლო გართულებების შესახებ და ინფორმაციის გაცნობის შემდეგ პაციენტის თანხმობა ხელმოწერით დააფიქსიროს.

ლევან ხარჩილავას მშობლების განცხადებით, მათს შვილს არც გაფრთხილება მიუღია ოთარ მარშავასგან და არც ხელი მოუწერია არანაირ დოკუმენტზე. თუმცა სრულიად საპირისპიროს ირწმუნება თავად მარშავა, რომელმაც „პრაიმტაიმის“ კითხვების მხოლოდ ნაწილს უპასუხა და განაცხადა, რომ ექსპერტიზის დასკვნას ელოდება...

ლევან ხარჩილავა ოპერაციიდან თითქმის ერთი თვის შემდეგ დაილუპა. გარდაცვლილის მშობლები აცხადებენ, რომ ოპერაცია არასწორად გაკეთდა და შედეგიც დადგა. მოპასუხე მხარე კი ირწმუნება, რომ პაციენტს ოპერაციის შემდეგ ფილტვის თრომბი განუვითარდა და გართულებებიც სწორედ ამან გამოიწვია...

ოჯახმა ექიმის წინააღმდეგ სარჩელი უკვე შეიტანა. სასამართლო პროცესის დაწყებამდე ორივე მხარე ექსპერტიზის პასუხებს ელოდება, რომელიც სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს, წესით, 18 თებერვალს უნდა დაედო, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო დაზარალებულის ოჯახს დღემდე არ მიუღია.

დარეჯან მალანია, გარდაცვლილის დედა:

– სრულიად ჯანმრთელი იყო ჩემი შვილი, საერთოდ არაფერს უჩიოდა, გარდა ჭარბი წონისა. მხოლოდ და მხოლოდ დაკლების მიზნით მივიდა ექიმთან. ექიმმა უთხრა, რომ ეს იყო მარტივი ოპერაცია, რომელსაც არანაირი გართულება არ მოჰყვებოდა, როგორც კი ოპერაციას გაგიკეთებ, მეხუთე დღეს სახლში იქნებიო. მოილაპარაკეს, რომ ზუსტად ერთ თვეში უნდა გაეკეთებინა ოპერაცია. ოპერაციის წინა დღემდე მთელი დატვირთვით მუშაობდა, არაფერი აწუხებდა.

– როდის გაიკეთა ოპერაცია?

– 26 ნოემბერს და თანაც ექიმი აჩქარებდა, მერე შეიძლება საზღვარგარეთ გავფრინდე და არ გადადოო. ოპერაცია ზუსტად ექვსი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. მოგვიანებით გვითხრა, ნაღვლის ბუშტი ამოვჭერი, დიაფრაგმა ჰქონდა გახსნილი და ის ამოვკერე, კუჭზე წყლული ჰქონდა და ის მოვაშორე, ამიტომ დამჭირდა ექვსი საათიო. ოპერაციიდან მერვე დღეს გამოწერა საავადმყოფოდან, ჯერ კიდევ დრენაჟები ჰქონდა ჩადგმული. სახლში მოვიყვანეთ თუ არა, უკვე ცუდად იყო, სუნთქვა უჭირდა, ნნევა უვარდებოდა, საშინელი ტკივილები ჰქონდა და გამოწერიდან მესამე დღეს საავადმყოფოში დავბრუნდით. გადასხმებს უკეთებდა, ცოტა უკეთ იგრძნობდა თუ არა ჩემი შვილი თავს, მაშინვე სახლში გვიშვებდა, სახლში ისევ ცუდად ხდებოდა და ასე დავდიოდით წინ და უკან. ამასობაში ნოპერაციები გაეხსნა. ერთ-ერთ მისვლაზე დაგვიწერა 500 ლარის წამლები, არც რეცეპტები მოგვცა, არც მიმართვა, უბრალოდ, ფურცელზე დაგვიწერა, რომელი წამლები უნდა გვეყიდა, რომელ აფთიაქში მოგვცემდნენ და გამოგვიშვა. სახლში ვუკეთებდით გადასხმებს, ვასმევდით მის მიერ დანიშნულ წამლებს, მაგრამ უფრო და უფრო უარესად ხდებოდა. რამდენიმე დღეში

გარდაცვლილის დედა: „ექიმმა უთხრა, რომ ეს იყო მარტივი ოპერაცია, რომელსაც არანაირი გართულება არ მოჰყვებოდა, როგორც კი ოპერაციას გაგიკეთებ, მეხუთე დღეს სახლში იქნებიო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ილი, არ ვიცოდით, ცოცხალი იყო თუ მკვდარი“

EXCLUSIVE

იძულებულები გავხდით, კვლავ საავადმყოფოში გადაგვეყვანა. ნაოპერაციევი ისევ გახსნილი იყო, ნაკერები ხელახლა დაადო, თან რამდენჯერმე. გვარწმუნებდა ყველაფერი კარგად არის, სერიოზული არაფერიაო. საავადმყოფოში მეხუთე მისვლაზე ჩემს შვილს წნევაც და ჰემოგლობინიც დაუვარდა და ერთ-ერთმა ექიმმა გვითხრა, საკარაუდოდ, შინაგანი სისხლდენის ბრალიაო. რასაც ვაჭმევდით, ყველაფერი დრენაჟში გამოდიოდა. მარშავა ირწმუნებოდა, არაფერი არ სჭირსო, მაგრამ ნაკერზე თავიდან მოუწია ხელახალი ნაკერის დადება. რამდენიმე დღეში ნაკერი მაინც გაუსკდა და სისხლდენა დაეწყო. მარშავასთვის ერთ-ერთ ექიმს რომ უთქვამს, შინაგანი სისხლდენაა, ყვირილი დაუწყია, ყველაფერი კარგად არისო. ამ დროს ჩემს შვილს უკვე ხველების დროსაც სისხლი ამოსდიოდა და მარშავამ გამოგვიცხადა, ეს ფილტვის თრომბის ბრალია, თქვენი შვილი ჩემი ავადმყოფი აღარ არისო და ქუთაისის რკინიგზის საავადმყოფოში, ქირურგიულ განყოფილებაში გაგვწერა.

– რატომ არ გადმოიყვანეთ თქვენი შვილი თბილისში?

– არ გვატანდნენ საავადმყოფოდან, ექიმი გვეუბნებოდა, საგანგაშო კი არ არის, მაგრამ სიცხეები აქვს და ვერაფრით ვერ გაგატანთ თბილისშიო. ამის გამო ვიჩხუბე კიდეც საავადმყოფოში, თუ საგანგაშო არაფერია, რატომ არ მაძლევთ თბილისში გადაყვანის საშუალებას-მეთქი, არც პასუხს მაძლევდნენ და არც შვილს მატანდნენ. პნევმონია აქვსო, მიმტკიცებდა ექიმი და ქირურგი მკურნალობდა. როდესაც ექიმს „ფორმა 100“ მოვთხოვე, ასე მიპასუხა, არც კი ვიცი, რა უნდა ჩაგიწეროთ საბუთში, ისიც კი არ ვიცი, რას ვმკურნალობ, ეს ავადმყოფი ოთარ მარშავას გამო დავაწვინე ჩვენთანო. სასწრაფოდ მოვითხოვეთ, რომ მოეცათ ნება, იმ საავადმყოფოში გადაგვეყვანა, სადაც ჩვენ გვინდოდა, მაგრამ მარშავამ ისევ თავის საავადმყოფოში დაგვაბრუნა და ვიზიტში 50 ლარიც გადაგვახდევინა, თან გვეუბნებოდა, ამ საავადმყოფოს ამერიკელები აკონტროლებენ, აქ ყველგან კამერებია დამონტაჟებული და ყველაფერი იწერებაო. ანალიზები აუღო და გვითხრა, შეიძლება გართულება კუჭის წყლულის ბრალი იყოს და ასეთ შემთხვევაში 2 ათასი ლარის გადახდა მოგიწევთო.

– ხომ თქვით, კუჭის წყლული ოპერაციის დროს ამოაჭრაო?

– ასე გვითხრა თავიდან, როდესაც პირველი ოპერაცია გაუკეთა, წყლული მოვაშორეო. იგივე ვკითხე მეც და უარყო, თორმეტგოჯა ნაწლავთან რა მინდოდაო. ამ საუბრის შემდეგ კვლავ სახლში გაგვიშვა. რამდენიმე დღეში ლევანი ისე ცუდად გახდა, რომ იძულებულები გავხდით, ზუგდიდის საავადმყოფოში გადაგვეყვანა. თავიდან თბილისში გვინდოდა წამოყვანა, მაგრამ ისე ცუდად იყო, შეგვეშინდა, რომ თბილისამდე ცოცხალს ვერ ჩამოვიყვანდით. ზუგდიდის საავადმყოფოში სუნთქვის აპარატზე შეაერთეს, რადგან კიდევ უფრო დამძიმდა. მაშინ თავადვე მოინდომეს თბილისში გადმოყვანა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც ერთი თავისუფალი სუნთქვის აპარატი არ იყო და ყველა საავადმყოფო უარს აცხადებდა ახალი პაციენტის მიღებაზე. ბოლოს გადაწყდა, რომ ჩაფიძის კლინიკაში უნდა გადავსულიყავით, ღამის ორ საათზე წამოვედით თბილისში.

– გულის კლინიკაში?

– კი, თავადაც არ ვიცით, რატომ მიგვიღეს ან რა უნდოდა ჩემს შვილს გულის კლინიკაში, როდესაც კუჭის გამო კვდებოდა. ჩაფიძეში თქვეს, რომ გული არაფერ შუაში იყო და ყველაფერი კუჭზე არასწორად გაკეთებული ოპერაციის გამო ხდებოდა. იგივე დიაგნოზი დასვა არამიანცის ექიმმა, ლაშა კვარაცხელიამ. მარშავა ისევ ამტკიცებდა, რომ გართულება ფილტვის თრომბმა გამოიწვია, მე ყველაფერი ხუთიანზე მაქვს გაკეთებულიო. ბოლოს თვითონ გვითხრა მარშავამ, პადვალ-პადვალ რომ დაგყავთ, ნორმალურ საავადმყოფოში გადაიყვანეთ თქვენი შვილი და გადაარჩენენო... ჩაფიძეში გვითხრეს, ეს ჩვენი ავადმყოფი არ არის, სხვაგან გადაიყვანეთ, თორემ გარდაიცვლებაო. გვითხრეს, რომ ღუდუშაურში უნდა გადაგვეყვანა. ღუდუშაურის



Page 1 of 2

ქ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტალური და კლინიკური ქირურგიის მრავალფიცი ცენტრი
თბილისი, 0151, ჩაჩავა ქ№5
ტელ.: 252 09 74; 235 97 28

2015011005526.
K. ERISTAVI NATIONAL CENTER OF CLINICAL AND EXPERIMENTAL SURGERY
5'Chachava Str.,0159,Tbilisi, Georgia
Tel.: 252 09 74; 235 97 28

დანართი-N7
ფორმა №IV-200-6/ა

პაციენტის სახელი, გვარი ლევან ხარჩილავა

ბარათის ნომერი 189.15 ასაკი 33

ფილტვის არტერიის კტ. ანგიოგრაფია FBDD1A; JXDD3A

ჩატარებული იქნა ფილტვის არტერიის კტ. ანგიოგრაფია და მუცლის ღრუს კტ. კვლევა დინამიური კონტრასტირებით(22:00სთ).
პაციენტს მიღებული აქვს პერ-ოს-საკონტრასტო ნივთიერება (ბარიუმი), რომელიც იძლევა არტეფაქტებს.
ჩატარებული ინტრავენური კონტრასტირების შემდეგ ფილტვის ღეროს დიამეტრი 28მმ –ია,
მარჯვენა ფილტვის არტერიის დიამეტრი შეადგენს 22მმ ს; მარცხენა ფილტვის არტერიის დიამეტრი 24მმ–ია. ფილტვის ღეროში, მთავარ, წილოვან და სეგმენტურ ტოტებში თრომბემბოლიის კტ. ნიშნები არ გამოვლინდა.გულქვეშდი დეფორმაციის გარეშეა. შუასაყრის სტრუქტურები ედემიდი არ არის; ტრაქეა, საყლაპავი,მთავარი ბრონქები გამავალია,ხილული პათოლოგიის გარეშეა.
ორმხრივ, ფილტვების ინფენმატიზაცია დაქვეითებულია, მარჯვნივ გაფანტულად [illegible] და შუა წილის პროექციაზე ვლინდება ნაზი კეროვან-ინფილტრაციული [illegible] პლევრა რეაქტიულად გასქელებულია.
მარცხნივ-პლევრის ღრუში ზედა წილის დონეზე ვლინდება [illegible]
თავისუფალი სითხე; სითხე ასევე ვლინდება ქედა წილის [illegible]
1,9სმ. ამ მხარეს ფილტვის პპიკალურ სეგმენტში ისახება ინფილ[illegible]
წილი პრაქტიკულად სრულად ატელექტაზირებულია, [illegible]
გუმბათის ვიზუალიზაცია სრულად ვერ ხერხდება; მე [illegible]
კოსტალურ პლევრასთან სიახლოვეს ვლინდება ჰა[illegible]
საკონტრასტო ნივთიერების ჰორიზონტალური დონეთ[illegible]
უმეტესი სიახლოვეს(კაუდალურად) ვლინდება მსხვილ[illegible]
მიგთავსია საკონტრასტო ნივთიერება, საკონტრას[illegible]
აღნიშნული ნაწლავის ირგვლივ ელენთის ზედა [illegible]
ფილტვის მიმდებარედ, თუმცა მათ შორის კაკვშირის [illegible]
აღნიშნული მიდამო კავშირშია მუცლის ღრუსკენ [illegible]
ნივთიერების ბილიკს(ფისტულას?), რომელიც ეკ[illegible]
დორსალურ ზედაპირზე. პარიქსულ პერიტონ[illegible]
ქსოვილების სისქეში) ხოლო მისი ბოლო ისახება [illegible]
ობილი ქსოვილების დეფუქტთან (ფრენაგის შემდ[illegible]
ობილი ქსოვილების შემუშავება. მხვილი ნაწ[illegible]
რეკეცირებული კუჭის მარცხენა ლატერალურ მ[illegible]
ინფილტრაცია; ჩვენს მიერ მიკეთებული პერ[illegible]
ექსტრავაზატის კტ. ნიშნები არ გამოვლინდა [illegible]
პიპერდენსიური სიმკვრივის უბანი, რომელიც [illegible]
(კლიპსები?).
ღვიძლი გადიდებული არ არის, არ სცილდება ნეკნ[illegible]
ნიშნები არ ვლინდება. ღვიძლშიდა და ღ[illegible]
დილატირებული არ არის.
ნაღვლის ბუშტი არ ვიზუ[illegible]
პარენქიმა ერთგვაროვანი,
დაზიანების ნიშნები არ
სცილდება ნეკთა რკალს.
ერთგვაროვანი. კეროვანი [illegible]
ორივე თირკმლის მდებ[illegible]
ერთგვაროვანი, მეჩეხ-ფიალ[illegible]





MEDLIFE SERVICE CENTER

სამედიცინო დახმარების ცენტრი
შ.პ.ს. "MEDLIFE"
საქართველო, თბილისი, თემქის დასახლება, II მკრ. 1 ამ.
№ 5 საავადმყოფოს ტერიტორია
Aura: 272 80 80; 272 90 90

რიცხვი 13. თვე 04 2015

მიმდინარეობის ბარათი № თანმხლების ბარათი

პაციენტი [illegible]

დიაგნოზი [illegible]

სტაციონარში მოყვანის დრო (წელი, თვე, რიცხვი,საათი) 13.04.15 [illegible]

მანიპულაცია	დრო	შენიშვნა
[illegible]		

გარდაცვლილის დედა: „არ გვატანდნენ საავადმყოფოდან. ექიმი გვეუბნებოდა, საგანგაშო კი არ არის, მაგრამ სიცხეები აქვს და ვერაფრით ვერ გაგატანთ თბილისშიო“

კლინიკაში, ექიმ ზურა თუზბაიას რომ ვაჩვენეთ ანალიზები, გვითხრა, რომ საჭირო იყო სამეტაპიანი ოპერაცია, რის შემდეგაც საჭირო იქნებოდა დიდხნიანი რეაბილიტაცია. ხანგრძლივი მკურნალობისა და ოპერაციებისთვის კი მინიმუმ 50 ათასი ლარი იყო საჭირო. მოითხოვა მარშავას გარანტიის ფურცელი, რომ ის საკუთარ თავზე აიღებდა ამ ხარჯებს.

– თავის თავზე რატომ უნდა აეღო მარშავას?

– იმიტომ რომ მის მიერ გაკეთებული ოპერაციის გამო კვდებოდა ჩემი შვილი, ბოლომდე არც გვითხრეს, იმდენი რამ იყო დაზიანებული, ოპერაცია საერთოდ არასწორად იყო გაკეთებული, მუცლის ღრუში უკვე ლპობა იყო დაწყებული და სისხლი მოწამლული იყო თურმე. ოთარ მარშავა, როგორც კი გაიგო, რომ ღუდუშაურის ექიმი მისგან ხარჯების საკუთარ თავზე აღებას ითხოვდა, იმავე საღამოს ჩამოვიდა თბილისში. არ ვიცი, რა ილაპარაკეს, მაგრამ ღუდუშაურის ექიმმა გვირჩია, რადგან პირველი ოპერაცია მარშავამ გაუკეთა, სჯობს, კვლავ მან გამოასწოროს თავისი შეცდომა და უმჯობესი იქნება, თუ ისევ ქუთაისში გადაიყვანთ და ოპერაციას ხელმეორედ გაუკეთებთო...

– როგორ ენდეთ ისევ ასეთ ექიმს?

– სხვა გზა არ გვქონდა... მეორე ოპერაცია შვიდ საათზე დიდხანს გაგრძელდა.

– რისი ოპერაცია გაუკეთდა მეორედ?

– თავიდან გვითხრა, რომ დიაფრაგმის ოპერაცია კეთდებოდა, მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, კუჭის ოპერაცია გაუკეთებია ხელახლა. ოპერაციის დასრულების შემდეგ არც ერთი არ შეგვიშვა ავადმყოფთან.

– რა მიზეზით?

– ხან რას იმიზეზებდა და ხან – რას. მისთვის ემოცია არ შეიძლება, უფრო ცუდად გახდებაო, გვიმტკიცებდა, ყველაფერი იდეალურად არისო.

– რამდენი დღე ვერ ნახეთ თქვენი შვილი?

– შვიდი დღე არ გვაჩვენა შვილი, არ ვიცოდით, ცოცხალი იყო თუ მკვდარი.

– მას ხომ ამის უფლება არ ჰქონდა, რატომ არ მოითხოვეთ?

– ვითხოვდით ავადმყოფის ნახვას, მაგრამ იმ საავადმყოფოს რეანიმაცია საერთოდ არ ჰქონდა და ისიც არ ვიცოდით, რომელ ოთახში ჰყავდათ გამოკეტილი. დილიდან ღამემდე საავადმყოფოში ვიყავით, იქაურობას არ ვშორდებოდით. სხვა ექიმი შეგვპირდა, შეგიყვანთ და განახებთ შვილსო, მაგრამ მერე ისიც დაგვემალა. ერთ-ერთ დღეს ჩემს მეუღლეს ცარიელი ფურცელი გამოუტანა ოთარ მარშავამ და ხელი მოაწერინა, ფორმალობაა, რაღაცებს ვავსებთო.

– რატომ მოუწერა ხელი ცარიელ ფურცელზე?

– დაბნეულები ვიყავით, გვეშინოდა, არ გაბრაზებულიყო, რადგან ჩვენი შვილის სიცოცხლე მის ხელში იყო. ახლა ეჭვი გვაქვს, რომ სასამართლოზე ამ ფურცელს სათავისოდ გამოიყენებენ. ოპერაციიდან მეშვიდე დღეს, გვიან დაგვირეკა თავად ოთარ მარშავამ და გვითხრა, თქვენი შვილის მდგომარეობა დამძიმდა და სასწრაფოდ მოდითო. ათ წუთში ადგილზე ვიყავით და ჩემი შვილი მკვდარი დაგვხვდა, მარშავა კი – გაქცეული.

– სარჩელი უკვე შეიტანეთ?

– დიახ და ექსპერტიზის პასუხებს ველოდებით.

– როდის იქნება პასუხები?

– წესით, უკვე უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ ვიცით, რატომ არ არის, ერთი თვე გავიდა უკვე.

„პრაიმტაიმთან“ საუბარი არ ისურვეს ჩაფიძის კლინიკის წარმომადგენლებმა, ოჯახის წევრებმა მოგვმართონო. მათ მაგივრად კითხვებზე ღუდუშაურის კლინიკის ქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ზურაბ თუზბაიამ გვიპასუხა. ოჯახმა თუზბაიას დასახმარებლად მაშინ მიმართა, როდესაც ლევან ხარჩილავა მძიმე მდგომარეობაში სწორედ ჩაფიძის კლინიკაში იმყოფებოდა. როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, ხარჩილავას გამო ჩაფიძეში ექიმების კონსილიუმი შეიკრიბა, რომ გადაწყვეტილება ერთობლივად მიეღოთ, თუ სად და როგორ უნდა გაგრძელებულიყო პაციენტის მკურნალობა. კონსილიუმის მონაწილე იყო სწორედ ზურაბ თუზბაია. ქირურგის განცხადებით, ექიმებმა ერთობლივად გადაწყვიტეს, რომ ლევან ხარჩილავას მკურნალობა ან კვლავ ოთარ მარშავას უნდა აეღო საკუთარ თავზე, ან მასთან ერთად და მისივე ხარჯებით ღუდუშაურის კლინიკაში უნდა მოთავსებულიყო პაციენტი.

ზურაბ თუზბაია, ღუდუშაურის ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელი:

– გახსოვთ, როგორი იყო პაციენტის მდგომარეობა?

– კი, მახსოვს. მშობლებს კი უნდოდათ, ჩვენთან რომ გადმოეყვანათ, მაგრამ სიტუაცია იყო უმძიმესი. თავად ის ექიმი, რომელმაც პირველი ოპერაცია გაუკეთა, ამბობდა, რომ ხელმეორე ოპერაცია საჭირო არ იყო, რომ პაციენტს ფილტვების ანთება ჰქონდა.

– გადარჩენის პერსპექტივა როგორი იყო?

– გადარჩენის პერსპექტივა თითქმის არ იყო. საერთოდ, ჩვენთან გადმოჰყავთ პაციენტები, რომელთა მდგომარეობა ძალიან მძიმეა. რეგიონებიდან გეგმურ ოპერაციებზე ჩვენთან პრაქტიკულად არ მოდიან.

– ჩაფიძეში რამდენად სწორად მოხვდა პაციენტი, მას ხომ კუჭის პრობლემები ჰქონდა?

– მას ჰქონდა სუნთქვის უკმარისობა და ამიტომაც დაანწვინეს ჩაფიძეში, თუმცა, როდესაც მდგომარეობა გაირკვა და ჩვენც ჩავერთეთ, მკურნალ ექიმსაც და ოჯახსაც ჩვენი რეკომენდაცია მივაწოდეთ, რომ საჭირო იყო ხელახალი ოპერაცია.

– რატომ არ გაუკეთდა ხელმეორე ოპერაცია ღუდუშაურში?

– რადგან ოთარ მარშავა პროფესორია და თან მისი მკურნალი ექიმი იყო, გადაწყდა, რომ ხელმეორე ოპერაცია მას უნდა გაეკეთებინა.

– თუმცა მარშავა აცხადებდა, რომ ოპერაცია საჭირო აღარ იყო...

– დიახ, ის ასე მიიჩნევდა, თუმცა მდგომარეობა ავუხსენით და მეორე ოპერაციის გაკეთების რეკომენდაციაც მივეცით, ან შევთავაზეთ, რომ თბილისში ჩამოსულიყო და ერთობლივად გვემკურნალა პაციენტისთვის. საბოლოოდ, მარშავასთან და მშობლებთან შეთანხმებით, გადაწყდ, რომ პაციენტი კვლავ ქუთაისში გადაეყვანათ.

– საავადმყოფოში, სადაც რეანიმაცია არ არის, შეიძლება ოპერაციის გაკეთება?

– არ შეიძლება, რა თქმა უნდა.

ქუთაისის ყოფილ ინფექციურ საავადმყოფოში, სადაც ლევან ხარჩილავას ოპერაცია ჩაუტარდა, რეანიმაცია არ არსებობს. ეს მარშავამ ღუდუშაურის კლინიკის წარმომადგენლებთან საუბარშიც განაცხადა, თუმცა მას მაინც მიეცა უფლება, ხელმეორე ოპერაცია კვლავ იგივე პირობებში ჩაეტარებინა. დღეს კი მარშავა აცხადებს, რომ გარდაცვლილს შაქრიანი დიაბეტიც ჰქონდა და ოპერაციის მიზანი, წონის დაკლებასთან ერთად, დიაბეტის განკურნებაც იყო.

ოთარ მარშავა, ექიმი:

– შაქრიანი დიაბეტი ჰქონდა კიდევ და ოპერაციაც სწორედ ამიტომ გაუკეთდა. შაქრიან დიაბეტს, ოპერაციის გარდა, არაფერი შველის. მშობლებმა იცოდნენ ამის შესახებ, ოპერაციაზე რომ გავიყვანე, 500 ჰქონდა შაქარი.

– და მაინც გაუკეთეთ ოპერაცია?

– მაინც კი არა, მაგისთვის ჩაუტარდა ოპერაცია. ასეთი ოპერაცია სამ შემთხვევაში კეთდება: როდესაც სიმსუქნის პრობლემაა, როდესაც დიაბეტი აქვს ადამიანს და როდესაც ორივე ერთადაა. ავადმყოფის ისტორიაში ყველაფერი დევს, ახლა ექსპერტიზის პასუხს ველოდებით, მანამდე ვერაფერს გეტყვით.

გარდაცვლილის ოჯახის წარმომადგენლები ოთარ მარშავას უმკაცრესად დასჯას ითხოვენ და აცხადებენ, რომ მარშავამ, მათი შვილის გარდა, კიდევ რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეინირა...

ზურაბ თუზბაია: „მშობლებს კი უნდოდათ, ჩვენთან რომ გადმოეყვანათ, მაგრამ სიტუაცია იყო უმძიმესი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნიკუშა შენგელაია - „მე და ეკა 19 წელია

my View
თამარ გონგაძე

„დინების საწინააღმდეგოდ“ ნიკუშა შენგელაიას წარმოგიდგენთ. ჩემი რესპონდენტი დინებას ბრმად არასდროს ნაჰყოლია. არ შემიძლია ცხოვრებას ყურმოჭრილი მივყვეო, ამბობს. სხვანაირად შეუძლებელიც იყო. როდესაც შენი ბებიები – ნატო ვაჩნაძე და ვერიკო ანჯაფარიძე არიან, ბაბუები – მიხეილ ჭიაურელი და ნიკოლოზ შენგელაია, ხოლო მშობლები სოფიკო ჭიაურელი და გიორგი შენგელაია, ინდიფერენტული ვერ იქნები. თვითონაც გაგიჩნდება თავის დამკვიდრების ამბიცია. ნიკუშა შენგელაიას საზოგადოებაში თავისი ადგილი აქვს დამკვიდრებული. ფერმწერი გადასაღებ მოედანს მაინც ვერ გაექცა და ფილმების დამდგმელი მხატვარი ყოფილა, მათ შორის მამის ბოლო ნამუშევრების. ამბობს, რომ გენები დიდ როლს თამაშობს, თუმცა ერთადერთი, რაც ოჯახიდან არ „წამოუღია“ და თავისია – სიზარმაცეა.

ნიკუშა შენგელაია: ყველა ადამიანი თავისი გზით ცხოვრობს, რა ზნეობრივი შიდა ხმა, სამყაროს აღქმა და ესთეტიკური მოთხოვნილებაც აქვს, ამით არსებობს და ცხოვრობს. შეიძლება რაღაცას შეეგუო, გარე პირობების გამო იძულებული იყო. მაგრამ ესეც პროტესტს და სტრესებს აღძრავს. განსაკუთრებულად შემოქმედი ადამიანები არიან ასე მოწყობილნი. ამ ადამიანებისთვის სამყარო მხოლოდ არსებობის გარემო არ არის. ადამიანი ბევრი რამისგან შედგება. როგორც ქრისტემ თქვა, ადამიანი არამხოლოდ პურით არსო. მეც მივდიოდი დინების წინააღმდეგ. არ შემიძლია ცხოვრებას ყურმოჭრილი მივყვე. არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ წავსულვარ. ხელოვანი მგრძნობიარეა. ვერ ვიტანთ, როდესაც ვხედავთ, რომ ადამიანებს ატყუებენ, ძალადონენებენ. ვერ ვიტანთ, როდესაც კარიერისტები და ურაპატრიოტები მრავლდებიან და ხალხზე არ ფიქრობენ. ამას ვერ ეგუები.

პატივს ვცემ ტრადიციებს, მაგრამ არ მიყვარს დოგმები. დოგმა ადამიანებს ვერ ავითარებს. ქრისტედან მოყოლებული სოკრატეთი დასრულებული რეფორმატორები იყვნენ და დოგმის წინააღმდეგნი იყვნენ. ცხოვრების არსს ადამიანის უფლებებში, სიყვარულში და მის ბედნიერებაში ხედავდნენ.

- ბავშვობაში მშობლების სურვილის წინააღმდეგ წასულხართ? „მეს“ დასამკვიდრებლად რა გიკეთებიათ?

- რაღაცაში რომ არ მენდობოდნენ, ვბრაზდებოდი და მინდოდა მეჩვენებინა, რომ მართალი ვარ. საბედნიეროდ, ჩემი მშობლები მეგობრულები იყვნენ. არასდროს ზედმეტს არ მთხოვდნენ და არც იმას მპატიობდნენ, რისი გაკეთებაც შემეძლო და არ ვაკეთებდი. „მეს“ დასამტკიცებლად იყო ის, რომ ასეთი ოჯახის მიუხედავად პროფესიაში ჩემით მივაღწიე ყველაფერს. ჩემი ოჯახის სახელით არასდროს მისარგებლია. ეს, როგორც ჩემთვის, ისე მათთვისაც მიუღებელი იყო. სამხატვრო აკადემიაში რომ ჩავაბარე, ჩემებმა არც იცოდნენ, თბილისში არც იყვნენ, გადაღებებზე გახლდნენ. მხატვრობა ბევრად თავისუფალი პროფესიაა, ვიდრე რეჟისორობა. რაკი ჩემები ჭიპმოჭრილები იყვნენ რეჟისურასა და მსახიობობაში, ჩემი თავის გამოსახატად ეს პროფესია ვარჩიე. საბედნიეროდ ხატვის ნიჭი აღმომაჩნდა. თუმცა რეჟისურის სურვილი მქონდა. რამდენიმე კლიპი გადავიღე. მაგრამ ფული, პროდიუსერი შენ უნდა გეშოვნა... და გავჩერდი. მხატვრობა ბედნიერებაა. ეს ყველაფერი არ გჭირდება. საბჭოთა დროს სახელმწიფო დებდა კინოში ფულს და უკან არც გთხოვდა. ამიტომ აყვავდა კინო მაშინ. ხელოვან ხალხს აღიარება ყოველთვის უნდა, ეს სტიმულია. ჩვენ თუ რამეს ვაკეთებთ, ადამიანისთვის ვაკეთებთ, მონონება ყოველთვის გვინდა. ასე „მეს“ ეძებ და ამკვიდრებ. ამ გზაზე შეიძლება იყოს წარმატებაც, წარუმატებლობაც.

„საბედნიეროდ ჩემი მშობლები მეგობრულები იყვნენ. არასდროს ზედმეტს არ მთხოვდნენ და არც იმას მპატიობდნენ, რისი გაკეთებაც შემეძლო და არ ვაკეთებდი“

- მამის და ბიძის ფილმებიდან რომელს გამოარჩევთ?

- „ალავერდობა“, „ვერის უბნის მელოდიები“, „ფიროსმანი“. ელდარის „არაჩვეულებრივი გამოფენა“ მიყვარს. მამაჩემის ბოლო ფილმების მხატვარი მე ვარ. მათ შორის „ხარება და გოგიას“. ბავშვობიდან კინოსტუდიის გავროში ვიყავი, ოჯახის ყველა წევრი იქ მუშაობდა, რა მექნა? გამნათებლების, მძღოლების, გრიმიორების ხელში გავიზარდე.

- მამასთან თანამშრომლობა როგორი იყო?

- ძალიან კომფორტული. ერთი და იგივე გემოვნება და ესთეტიკა გვაქვს. ეპოქაზე შევთანხმდებოდით და ვმუშაობდით.

- მშობლების ჩრდილიდან გამოსვლის სურვილი არ გქონიათ?

- ამას ხშირად მეკითხებიან, არასდროს სიმძიმედ არ მაწვებოდა ჩემი მშობლების ჩრდილი. მე თუ ჩემი სახელი და გვარი მქვია ამ საზოგადოებაში, ეს მათგან დამოუკიდებლად ხდებოდა. ზოგჯერ შემაწუხებელი იყო ჩემი ოჯახის და მშობლების ქება. იცით, ეს ვისი ბიჭია - და იყო ქება. შიგნით გსიამოვნებს ასეთი საამაყო მშობლები რომ გყავს, მაგრამ გადამეტებული ქება დისკომფორტს იწვევდა. ჩემი გენეტიკა მეხმარება ხოლმე. ნიჭი, ინფორმაცია გადადის, კოდი იდება.

- რა წამოიღეთ დიდი დოზით?

- რა ვიცი, რა წამოვიღე. ჩემი რაც არის და იმათ არ ჰქონიათ – სიზარმაცეა. ეს აბსოლუტურად გაუგებარი იყო ჩემი მშობლებისთვის და ბებია-პაპებისთვის. მთელი დღე შრომაში იყვნენ. მამას ასაკი შემოეპარა, ცოტა შეუძლოდ არის და რაიმეს რომ ვერ აკეთებს, გიჟდება. დედაჩემი ავადაც რომ იყო, პიესა მაინც ეჭირა და კითხულობდა. თუ საქმე არ ჰქონდა, დასაჭედებელს იპოვიდა და მიაჭედებდა. ორივე - სოფიკოც და გიორგიც წლით ხარები არიან და

„გიჟ მამას მეძახდნენ. ეს ქილიკის თემა იყო. შვილებს ყველგან „დავათრევდი“, სულ ჩემ გვერდით იყვნენ“

„სიყვარულს ასაკი არ აქვს. ვინც გიყვარს იმის მიმართ გრძნობის სიმძაფრეზე არა მგონია ასაკი მოქმედებდეს. ამ ასაკში უფრო მეტად ფიქრობ, რომ სიყვარული გასაფრთხილებელია. ახალგაზრდობაში შეიძლება სიყვარულს ვერ გაუფრთხილდე“

„მთავარი ხელის მოწერა კი არა, სიყვარულია. მას ვერც ერთი საიტით ვერ გამოიწერ. უნდა დაგეჯახოს“

ფოტო: მარი ნაჟანი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ერთად ვართ, ხელი კი ახლახან მოვანერეთ“

„ძველი ფიქრის გორელები, მე, ლაშა თაბუკაშვილი ამ უბანში სტუმრად ვგრძნობთ თავს. თბილისს თავისი სული ჰქონდა, რომელიც დაკარგა“

„ბავშვობიდან კინოსტუდიის გავროში ვიყავი, ოჯახის ყველა წევრი იქ მუშაობდა, რა მექნა? გამნათებლების, მძღოლების, გრიმიორების ხელში გავიზარდე“

EXCLUSIVE

თვით - კუროები. ნამდვილი კუროები არიან. შრომისმოყვარეობით ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ. მამაჩემს ერთი სული აქვს გაზაფხულდეს, რომ მოხნას, დათესოს. ფეხები აწუხებს, მაგრამ სავარძლით და სხვისი დახმარებით მაინც ურთიერთობს მიწასთან. მიწა გიორგის მაცოცხლებელი ენერგიაა. მე ორივეს ვგავარ. პაპაჩემსაც მამსგავსებდნენ, მიმას. ისიც მრავალფეროვანი იყო აქანდაკებდა, მღეროდა. რაც გამიკეთებია, არ მყოფნის, კიდევ მინდა. ეს მხატვრის ბუნებაა. ბევრ რამეში მიცდია თავი. საზოგადოებრივ მოვლენებზე, უნებურად, ბევრ ენერგიას ვხარჯავდი. ვფიქრობ, შემოქმედებისთვის მეტი დრო უნდა დამეთმო. ნათქვამია, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოსო. როგორ უნდა აკეთო შენი საქმე, როცა შენს სახლში შენთან შეუთავსებელი რაღაცები ტრიალებს. ჩემს შვილს რომ სიცხე აქვს, მე ვერ ვხატავ. ეს ქვეყანა ჩემი სახლია, აქ ვცხოვრობ. ეგოისტურად მიყვარს. ამ ქვეყანაში ბევრჯერ მივეყუდე სოფელს, მთას, ბარს, ზღვას. არაფერს ვთაკილობდი, არქეოლოგებთან ვმუშაობდი. 14 წლის ვიყავი ჩემებმა რომ გამაგდეს - წადი, ქვეყანა ნახეო. ჩემი ხალხისგან დიდი სითბო და ემოცია მივიღე. ჟინვალში ვმუშაობდი არქეოლოგებთან, პირველი ხელფასი მაშინ ავიღე. მთებში დავდიოდი, ნანგრევებზე ვხატავდი. მოვიარე მთა-თუშეთი, ხევსურეთი... ყველაფერი სხვანაირი იყო. ხალხი უზრუნველყოფილი იყო. დიდი ნაწილი თავის ადგილას მუშაობდა, მეცნიერი მეცნიერი იყო, გლეხი კი - გლეხი. ხევსურეთში სოფლები სავსე იყო. ხალხი თავისი ტრადიციებით ცხოვრობდა, ათანგენობით, დღესასწაულებით. ბოლოს რომ ვნახე მიტოვებული სოფლები სევდიანად ჩამრჩა. და თბილისს რაც შეეხება, ეს ჩემი თბილისი აღარ არის. მხოლოდ მოტივებია დარჩენილი. 400-500 ათასი კაცი ცხოვრობდა ჩემ ახალგაზრდობაში თბილისში. მეგაპოლისად გადაკეთება ყველა დიდ ქალაქში ხდება. პარიზელები მეუბნებიან, ეს ის პარიზი არ არისო. ჩემი ამსტერდამელი მეგობრები (60-იანელები) საერთოდ არ გადიან ქალაქში. ლონდონელებს რომ ჰკითხო, ეს სხვა ლონდონია. თბილისს თავისი სტილი ჰქონდა. ვერაზე უბანში რომ გადიოდი, ყველა თაობის ადამიანს ხვდებოდი. ერთმანეთს იცნობდნენ, ვინ ვისი შვილი იყო. მშობლებს ჩვენი ქუჩაში გაშვების არ ეშინოდათ. მეწაღე გიყურებდა, პურის მცხობელი, ძველი ბიჭები. იცოდნენ უბნელები ვინ იყვნენ. სტუმრიანობის, აღმოსავლურ-დასავლური კულტურის გადაკვეთის ადგილი იყო. ახლა საცობის ქალაქია. დარბის ხალხი, ოფისებში შერბიან-გამორბიან, რომ თავი ირჩინონ. დოკუმენტური ფილმის გადაღების იდეა მქონდა. ვიტრინის წინ კამერა უნდა დააყენო - ყოველ კვირაში იცვლება და ქირავდება. სპორტის სასახლის გარშემო იყო ტყე. ახლა ბეტონების ტყეა. ვარაზის ხევში ვისხედით, კენჭი რომ გაგვერტყა ამომავალი მანქანისთვის. ნახევარი საათი ველოდებით მანქანას. ახლა კენჭს ვერ ჩააგდებ, რომ მანქანას არ მოხვდეს. რამდენიმე წელში კოლაფსის ნიშნები იქნება.

- ფიქრის გორა რას ნიშნავს თქვენთვის?

- მთელი ჩემი განვლილი ცხოვრებაა. 55 წლის ვარ და ამ წლებთან ასოცირდება. ძველი ფიქრის გორელები, მე, ლაშა თაბუკაშვილი ამ უბანში სტუმრად ვგრძნობთ თავს. თბილისს თავისი სული ჰქონდა, რომელიც დაკარგა.

- სახელოსნო უნდა გაგერემონტებინათ.

- ვარემონტებ პაპისეულ სახლში. სამწუხაროდ, დანგრეული მქონდა. ძლივს მოვახერხე, რომ გამეკეთებინა, წყალი არ ჩამოსულიყო, გათბობა ჩართულიყო, იატაკი დამეგო. იმედი მაქვს მაისში შევალ და გავაგრძელებ ხატვას. 80 კვადრატულიც არ არის, სიმაღლე აქვს. საკმარისია ჩემთვის. პორტრეტების კეთება მიყვარს. ადამიანია ყველაფრის საწყისი. ადამიანის ან ბუნების შექმნილი ნივთები. ინსპირაციას იმ გარემოსგან იღებ, რომელიც შენთვის ყველაფრის საწყისია. ვგიჟდები ბუნებაზე, მაგრამ პეიზაჟისტი არ ვარ. ადამიანის ფორმები უფრო მაინტერესებს, მისი განწყობა, თვალები. ბუნებაც მიხატია, მაგრამ ბუნება ისეთი მხატვრის დახატულია რომ... :)

- დინების საწინააღმდეგოდ წასლა არის თუ არა ბოჰემა?

- ბოჰემა პროტესტია. ბოჰემა თავისუფალი სივრცის შექმნის მოთხოვნილებაა, სადაც საკუთარ უნარს თავისუფლად ამჟღავნებ. ეს რაღაც პერიოდია და მერე პასუხისმგებლობა მოდის. ასაკთანაც არის დაკავშირებული. ძნელია ახალგაზრდა ასაკში მხატვრისთვის ბოჰემის გარეშე გაძლება. ვინც ასე იყო ადრე იღუპებოდა, ან ემოციურად, ან ფიზიკურად. მაგრამ სულ ბოჰემა გამორიცხულია. მისი განდევნა ასაკს მოაქვს. ღვინდები, პასუხისმგებლობა გემატება.

- როგორ აირიდეთ ის მძიმე სენი, რომელმაც თაობები შიეწირა?

- თავისი დრო აქვს ყველაფერს. ადამიანს თუ ინტელექტი გაქვს, ყველაფერს ზუსტად გკარნახობს. უნდა მოუსმინო თავს. ამ ერთიდაიგივეობის მიმართ ინტერესს კარგავ. მავნე ჩვევების ადგილს სხვა რამეები იკავებს. ჩვენი თაობა მატერიალური თაობა არ იყო, სულიერი თაობა იყო. ჩვენ გავიზარდეთ ეპოქაში, სადაც ფული ფასეულობა არ იყო. უცებ 90-იანი წლები და თავმოყვარეობა, პატივმოყვარეობა და ფულის საჭიროება რომ დადგა, რეალობიდან გაქცევის სურვილი მოვიდა... დისონანსში იყო ჩემი თაობა. ვერ გავერკვიეთ. დღესაც არ არის ფასეულობა ფულიანი ადამიანი. ამ დროს ამისკენ ტრიალებს ყველაფერი.

- შეადარეთ, როგორი იყავით 17 წლის ასაკში შეყვარებული და ახლა?

- მე გეტყვი შენ, რომ სიყვარულს ასაკი არ აქვს. ვინც გიყვარს იმის მიმართ გრძნობის სიმძაფრეზე არა მგონია ასაკი მოქმედებდეს. ამ ასაკში უფრო მეტად ფიქრობ, რომ სიყვარული გასაფრთხილებელია. ახალგაზრდობაში შეიძლება სიყვარულს ვერ გაუფრთხილდე და სისულელის მსხვერპლი აღმოჩნდეს, ტკივილი მოგიტანოს.

- და ასე ყოფილა?

- რთულია, ვერ გეტყვით. რაც მოხდა, მოხდა. ძნელია მიზეზებზე საუბარი. კონკრეტული მიზეზი არც ერთ შემთხვევაში არ მქონია. კარგია, როდესაც გვერდით ის ადამიანი გყავს, რომელიც გიყვარს. უსიყვარულოდ ცხოვრება ძნელია. ვერ წარმომიდგენია. მეცოდებიან ადამიანები, როცა ამ გრძნობის გარეშე ცხოვრობენ... მე ამ გრძნობის გარეშე ვერ გავჩერდებოდი. მოფრთხილება ასაკს მოაქვს. გააჩნია პარტნიორსაც, როგორ აგიწყობს ფეხს. ორ ადამიანს შორისაა სიყვარული. ნამდვილ გრძნობას ურთიერთპატივისცემა მოაქვს. და უფრთხილდები მას.

მე და ეკა 19 წელია ერთად ვართ. ხელი ახლახან მოვანერეთ. ევროკავშირთან ასოცირების პროცესს ველოდებოდი-მეთქი, ვხუმრობ. აქამდე არ გვჭირდებოდა. ისეთ ასაკში ვართ, უნდა გაგვეფორმებინა, შვილისთვის დაგვჭირდა. მთავარი ხელის მოწერა კი არა, სიყვარულია. ვერც ერთი საიტით ვერ გამოიწერ. უნდა დაგეჯახოს.

- მამობამ შეგცვალათ?

- მგონი, არ შევუცვლივარ. ჩემში პასუხისმგებლობა ბუნებრივად იმდენად მაღალია, შვილები პატარები რომ იყვნენ, მე გიჟ მამას მეძახდნენ. ეს ქილიკის თემა იყო. შვილებს ყველგან „დავათრევდი“, სულ ჩემ გვერდით იყვნენ. მაგათზე კარგებთან ვისთან უნდა ვყოფილიყავი? ვცდილობდი 24 საათის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი დრო გამეტარებინა მათთან. ნატაშკასგან შვილიშვილი მყავს, ლონდონში ცხოვრობენ. გიორგიმ გაისად უნდა ჩააბაროს. ბუდიდან მიფრინავენ.

- ცხოვრება როგორია?

- ვაჟას ლექსი ხომ გახსოვთ - „მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა“. დედამიწაზე რამდენი რამ ხდება, ტრაგედიები, სიყვარულები... ამ დროს შორს რომ გაიწიო და შორიდან დაინახო, რა ფაქიზია ეს ყველაფერი და რომ შეიძლება ეს ყველაფერი გაქრეს - მშვენიერია ცხოვრება, აბა, რა არის? მშვენიერია ის, რომ ღმერთმა დროებით ამის მონაწილე გაგვხადა. ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელმაც იცის, რომ მისი აქ ცხოვრება დროებითობაა. ამ დროებითობაში რამდენი ტრაგედია გაქვს, ვინც გიყვარს იმას გართმევს ეს დროებითობა. სულ არარაობაში არსებობას ჯობია ამ პიესაში მიიღო მონაწილეობა.

„ჩემი ოჯახის სახელით არასდროს მისარგებლია. ეს, როგორც ჩემთვის, ისე მათთვისაც მიუღებელი იყო. სამხატვრო აკადემიაში რომ ჩავაბარე, ჩემებმა არც იცოდნენ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა ცვლილებებს გეგმავს „რუსთავი 2“

ნიკა გვარამია: „არხზე ახალი პოლიტიკური თოქშოუს დამატებას ნამდვილად არ გამოვრიცხავ“



ხათუნა მგალობლიშვილი

სატელევიზიო ეთერზე, როგორც წესი, ყველაზე დიდ გავლენას წინასაარჩევნო პერიოდი ახდენს ხოლმე. 2016 წლის არჩევნებამდე წელიწადზე მეტი დროა დარჩენილი, შესაბამისად, საარჩევნო რეჟიმზე გადასასვლელად, წესით, ჯერ ადრეა. მიუხედავად ამისა, ცნობილი ხდება რომ „რუსთავი 2“ სერიოზულ ცვლილებებს გეგმავს.

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ არხი გასართობი გადაცემების პოლიტიკური თოქშოუებით ჩანაცვლებაზე აქტიურად ფიქრობს. როგორც ამბობენ, გადაწყვეტილება ნიკა გვარამიასა და დემნა ჯაფარიძის სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ მიიღეს. უფრო სწორად ეს სააკაშვილის მოთხოვნა ყოფილა. სხვათა შორის, ინფორმაცია, რომ „რუსთავი 2“ საკუთარ ფინანსებს ძველებურად დაუფიქრებლად აღარ დახარჯავს, გასართობ გადაცემებზე ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გავრცელდა. მაშინვე ითქვა, რომ, დიდი ალბათობით, „მარაო“ საერთოდ დაიხურებოდა და მასთან ერთად „კომედი შოუც“ გაქრებოდა არხიდან. შესაბამისად, მთელი აქცენტი პოლიტიკურ გადაცემებზე გაკეთდებოდა. მას შემდეგ ერთადერთი, რასაც ცვლილება შეეხო, ეს „მარაოა“, რომლის გადაცემებმაც „რუსთავი 2“-ის ეთერში გადაინაცვლა. მაგრამ მას შემდეგ არჩევნების თემა კიდევ უფრო აქტიური გახდა, ზოგიერთმა პოლიტიკურმა ძალამ წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო. თავად „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები კი აცხადებენ, რომ ისინი ყოველთვის მზად არიან არჩევნებისთვის, თუნდაც ეს დაუგეგმავი, ანუ ვადამდელი არჩევნები იყოს.

ზურა ჯაფარიძე, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი:

– ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისია, ჩვენ მზად ვართ არჩევნებისთვის...

როგორც ჩანს, მათს განწყობას პირდაპირ იზიარებს „რუსთავი 2“-იც. ითქვა, რომ „რუსთავი 2“ საინფორმაციო გამოშვებების პარალელურად პოლიტიკურ თოქშოუებს ყოველდღიურად დაამატებს. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ჯერ გადაწყვეტილი არ არის, „არჩევანი გიორგი გაბუნიასთან ერთად“ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გავა, თუ მას, კვირაში ორი დღის გარდა, სხვა, ახალი გადაცემა დაემატება.

ტელევიზიის თანამშრომლები ცვლილებებზე ინფორმაციას არ ადასტურებენ. გადაცემა „არჩევანის“ პროდიუსერის განცხადებით, გიორგი გაბუნია ეთერში ისეთივე სიხშირით გამოჩნდება, როგორც აქამდე ჩანდა.

ნოდარ მელაძე, „არჩევანის“ პროდიუსერი:

– არ არის სიმართლე. „არჩევანი“ ეთერში კვირაში ორჯერ გავა, როგორც აქამდე გადიოდა.

მელაძის მსგავსად, მაია ასათიანიც უარყოფს ნებისმიერ ცვლილებას და აცხადებს, რომ გადაცემების რეიტინგი ისეთივე მაღალია, როგორიც ადრე იყო. თუმცა თავად „რუსთავი 2“-ის თანამშრომლები პირად საუბრებში აცხადებენ, რომ ინფორმაციამ არხზე შემცირებებისა და ხელფასების დაკლების შესახებ მათთანაც მიაღწია. როგორც ამბობენ, ეს არ შეეხება პოლიტიკურ თემებზე მომუშავე ჟურნალისტებს.

ნიკა გვარამია, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი:

– „არჩევანთან“ დაკავშირებით არანაირი ცვლილება არ იგეგმება, ამაზე მსჯელობა ნამდვილად არ ყოფილა არასდროს. არხზე ახალი პოლიტიკური თოქშოუს დამატებას ნამდვილად არ გამოვრიცხავ. ბაზარზე მოთხოვნის არსებობიდან გამომდინარე. ვიმსჯელებთ ამაზე, მაგრამ გაბუნიას ეთერისთვის ყოველდღიური ხასიათის მიცემა გამორიცხულია.

– რაც შეეხება ახალ გადაცემას, შეგიძლიათ დამატებითი ინფორმაცია მოგვაწოდოთ?

– კონკრეტულად ახალი არაფერია, თუ ბაზარზე საჭირო იქნება, შევატყობთ და მაშინ ვიმუშავებთ ამ მიმართულებით.

– გასართობი გადაცემების შემცირებაზე არის მსჯელობა?

– „მარაოზე“ გარკვეულწილად რეორგანიზაცია უკვე გატარდა, ჩვენ მივყვებით რეიტინგებს და მაყურებლის სურვილებს და ამის მიხედვით ვაკორექტირებთ. „მარაო“ ახალი არხია და იქ კიდევ მოხდება რეორგანიზაცია, სანამ საბოლოო სახეს მიიღებს. რაც შეეხება ჩვენს არხს, გარკვეული პროექტები იხურება, რაც, კიდევ ერთხელ გეტყვით, მაყურებლის მოთხოვნისა და რეიტინგის მიხედვით ხდება, ახალი პროექტები იწყება. ეს მუდმივი პროცესია და არაფერი გასაკვირი არ არის.

„რუსთავი 2“-ის პარალელურად, როგორც ამბობენ, ცვლილებები იგეგმება „იმედზეც“. არ არის გამორიცხული, გადაცემა „რეაქცია“ კვირაში ერთის ნაცვლად ორჯერ გავიდეს, თუმცა ჯერჯერობით ინფორმაციას თავად „იმედში“ არ ადასტურებენ.

ოპოზიციაში მიიჩნევენ, რომ ცვლილებების შემთხვევაში ორივე ტელევიზია სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, რადგან საზოგადოება გაცილებით მეტ ინფორმაციას მიიღებს მთავრობის მუშაობის შესახებ და მიაჩნიათ, კიდევ უფრო კარგი იქნება, თუ გადაცემებში უბრალო მოქალაქეებიც ჩაერთვებიან. ეს, მათი აზრით, კიდევ უფრო მეტად დაეხმარება მთავრობას, გაიგოს მოსახლეობის მოთხოვნები.

რომელი გადაცემები შეიძლება დაიხუროს „რუსთავი 2“-ზე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საგანელიძე პარლამენტიდან მიდის

შეეწირა თუ არა უმრავლესობის ლიდერი გუნდის შიგნით არსებულ დაპირისპირებას?

მირიან ბოქოლიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე პარლამენტიდან მიდის. გავრცელებული ინფორმაციით, ის უახლოეს მომავალში პოლიტიკიდან საერთოდ წავა, თუმცა თავად საგანელიძე ამბობს, რომ „ერთ-ერთ საპასუხისმგებლო სფეროს ჩაიბარებს“. პარლამენტის კულუარებში ამბობენ, რომ უმრავლესობის ლიდერი გუნდის შიგნით, დეპუტატთა ერთ ნაწილთან დაპირისპირებას შეეწირა. მას ხშირად ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღებაში სდებდნენ ბრალს. ამასთან დაკავშირებით, უმრავლესობის 22-კაციანმა ჯგუფმა საგანგებო განცხადებაც კი გააკეთა.



„საგანელიძის დამოკიდებულება ჩემდამი საქვეყნოდ ცნობილია. მე მის მიმართ მორატორიუმი მაქვს გამოცხადებული, ამიტომაც მის ამ მოსაზრებებზე კომენტარს არ გავაკეთებ და არც მის შეურაცხყოფებს ვუპასუხებ“

გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, სწორედ ამ ჯგუფმა წარადგინოს საგანელიძის ადგილას უმრავლესობის ლიდერის პოსტზე ზაქარია ქუცნაშვილის კანდიდატურა. თავად ქუცნაშვილს უმრავლესობის ჯერ კიდევ მოქმედ თავმჯდომარესთან მიმართებაში მორატორიუმი აქვს გამოცხადებული და ამბობს, რომ „მის შეურაცხყოფებზე პასუხის გაცემას არ აპირებს“.

რა ხდება მმართველ კოალიციაში? ემზადება თუ არა „ქართული ოცნება“ ვადამდელი არჩევნებისთვის და ვინ შეცვლის დავით საგანელიძეს? ამ საკითხებზე „პრაიმტაიმი“ დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილს ესაუბრა, რომლის კანდიდატურა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე დაიბლოკა. ვნახოთ, ექნება თუ არა მას მხარდაჭერა უმრავლესობის ლიდერის პოსტზე.

ზაქარია ქუცნაშვილი, დეპუტატი:

– უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატად მე დამასახელეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. ჩვენ გამოვთქვით პროტესტი, რომ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია დაუშვებელია, რადგან ამ ნიშნით რომ შეზღუდვები დავაწესოთ, ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდება უფლებაშეზღუდული.

– პირადად თქვენ დაუჭერთ მხარს ნინო გვენეტაძის კანდიდატურას?

– მე ჯერჯერობით თავს შევიკავებ ჩემი პოზიციის ჩამოყალიბებისგან. პროცესი მიდის და არ მინდა ჩემი შეფასებებით რაიმე გავლენა მოვახდინო ამ პროცესზე.

– თქვენი და უმრავლესობის კიდევ არაერთი დეპუტატის უკმაყოფილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ გუნდის შიგნით გადაწყვეტილებების მიღება არ ხდება დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით... კვლავ ძალაშია ეს პრეტენზია?

– ჩვენი უკმაყოფილება ეხებოდა თანასწორუფლებიან ჩართულობას ამა თუ იმ პროცესში და დისკრიმინაციული მიდგომების აღმოფხვრას. აქ უჩვეულო და არაეთიკური არაფერია. არ არის სამართლიანი მიდგომა, როდესაც იმ ხალხს, ვინც მთელი ცხოვრება იბრძოდა ქართველი ხალხის მხარდამხარ და ბარიკადებზე იდგა, ტაბუ დაედოს, ისინი კი, ვინც მუდამ კონფორმისტები იყვნენ და სამზარეულოში თავისუფალი დისკუსიის ფარგლებს არ გასცდენიან, გზა გაეხსნათ. მე ვხედავ რესურსს, რომ გავზარდოთ პარლამენტის საქმიანობის ეფექტურობა, ამიტომაც მაქსიმალურად ვიბრძოლებ, რომ ეს შიდა რესურსი მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

– და როგორი იქნება თქვენი პოზიცია, თუ დაინახავთ, რომ ეს რესურსიც ამოწურულია?

– ასეთ შემთხვევაში, მე პირადად მხარს დავუჭერ ვადამდელ არჩევნებს. თუ დავრწმუნდებით, რომ პარლამენტი ვერ ამართლებს საზოგადოების მოლოდინებს და ვერც მთავრობას აკონტროლებს, ასეთ შემთხვევაში სხვა გამოსავალი არ არის, თუ არა რიგგარეშე არჩევნები.

– იყო თუ არა თქვენთვის ცნობილი, რომ „ქართული ოცნება“ მუშაობს გუნდის გადახალისებაზე და ამ მიზნით ახალ სახეებს ეძებს... საუბარია იგივე ინტელექტუალთა კლუბის წარმომადგენლებზე..

– არა, ამ მოლაპარაკების თაობაზე ჩემთვის არაფერი იყო ცნობილი.

– როგორც ცნობილია, უმრავლესობის ლიდერი საკმაოდ მწვავე შეფასებებს აკეთებს თქვენთან დაკავშირებით... აქედან გამომდინარე, გაქვთ მოლოდინი, რომ ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში კვლავ იქნებით „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში?

– საგანელიძის დამოკიდებულება ჩემდამი საქვეყნოდ ცნობილია. მე მის მიმართ მორატორიუმი მაქვს გამოცხადებული, ამიტომაც მის ამ მოსაზრებებზე კომენტარს არ გავაკეთებ და არც მის შეურაცხყოფებს ვუპასუხებ.

– ახალი სახეების ძიება ნიშნავს თუ არა ძველის ჩაჩოჩებას?

– ის, თუ ვინ უნდა იყოს საქართველოს პარლამენტში, ან ვიქნები თუ არა მე, დამოკიდებულია ხალხზე და პიროვნულ სურვილზე.

– თუმცა საარჩევნო სიას ადგენს პარტიის ლიდერშიპი და არა ხალხი...

– მაშინ, ეს შეკითხვა უნდა დაუსვათ ირაკლი ღარიბაშვილს, ან კახი კალაძეს. პირადად მე არ მიფიქრია ამ საკითხზე.

– საგანელიძემ მოგიწოდათ, გამოხვიდეთ და ღიად თქვათ, რატომ დატოვეთ ფრაქციის თავმჯდომარის პოსტი... შეგიძლიათ, გაგვიმხილოთ მიზეზები?

– მე მაშინ ვთქვი, რომ დუმილის უფლებას გამოვიყენებდი, ამის პირობა მივეცი ერთ ადამიანს და ამ პირობას არ დავარღვევ.

– რატომ დაგიპირისპირდათ საგანელიძე? კონკურენტს ხომ არ ხედავს თქვენში?

– არ მინდა ამ თემაზე საუბარი, რადგან მომიწევს, ჩემ მიერ მიცემული პირობა დავარღვიო. ამიტომაც მის შეურაცხყოფებს არ ვუპასუხებ.

– ითქვა, რომ ის მალე დატოვებს საქართველოს პარლამენტს... უმრავლესობის ლიდერის პოსტზე კი დეპუტატთა ნაწილმა შესაძლოა, თქვენი კანდიდატურა წარადგინოს... მართალია?

– მე საგანელიძის გეგმებზე ვერაფერს გეტყვით. ამ პიროვნებასთან დაკავშირებით საუბარი საერთოდ არ მსურს. რაც შეეხება ჩემს კანდიდატურას, ჩემი მიზანი არასდროს ყოფილა რაიმე თანამდებობა. საქართველოს პარლამენტში 3 სხვადასხვა თანამდებობა მაქვს დატოვებული. ასე რომ, ეს ჩემთვის აქტუალური თემა არ გახლავთ.

ზაქარია ქუცნაშვილი: „არ არის სამართლიანი მიდგომა, როდესაც იმ ხალხს, ვინც მთელი ცხოვრება იბრძოდა ქართველი ხალხის მხარდამხარ და ბარიკადებზე იდგა, ტაბუ დაედოს, ისინი კი, ვინც მუდამ კონფორმისტები იყვნენ და სამზარეულოში თავისუფალი დისკუსიის ფარგლებს არ გასცდენიან, გზა გაეხსნათ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

BUSINESS Time
www.primetimenews.ge

ტოვებს თუ არა საქართველოს ღია ცის პოლიტიკა ღია ცის ქვეშ 600-მდე EXCLUSIVE ადამიანს

შეცდომები, რომელიც მთავრობამ დაუშვა

EXCLUSIVE

რა დაგვიჯდება საბანკო შელავათები, რომელიც სოლიდარობის მიზნით სავალუტო კრიზისის დროს ბანკებმა დაგვიანონესეს

EXCLUSIVE

პერსონა ცენზურ ჩოხელი

გადარჩება თუ არა ქართული წარმოება

„ბოინგის“ ყოფილი ხელმძღვანელი შევარდნაძესთან, ადეიშვილთან და ბენდუქიძესთან შეხვედრების დეტალებს ყვება

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა დაგვიჯდება საბანკო შეღავათები, რომელიც სოლიდარობის მიზნით სავალუტო კრიზისის დროს ბანკებმა დაგვიანონსეს

ლელა წიკლაური

„როცა დოლარში იღებთ სესხს, ყოველთვის იღებთ სავალუტო რისკს. დავუშვათ, ლარის კურსი რომ გამყარებულიყო, მაშინ თქვენ წახვიდოდით მოგებაში, ანუ ეს რისკი თავიდანვე აიღეთ“

„ეს ეხება კეთილსინდისიერ გადამხდელებს, რომლებსაც არ ჰქონდათ პრობლემები და ლარის გაუფასურების გამო წარმოეშვათ“

პირველი „თი-ბი-სი“ ბანკი და „საქართველოს ბანკი“ გამოვიდნენ და თქვეს, რომ სავალუტო კრიზისის გამო მსესხებლების სოლიდარობის მიზნით მომხმარებლებს კრედიტების დაფარვის ახალ პირობებს სთავაზობენ. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კომერციული ბანკების ხელმძღვანელები დაიბარა და მათთან შეხვედრა გამართა. ყველა ბანკმა ცალ-ცალკე უნდა წარმოადგინოს ამ კვირაში საკუთარი გეგმები. მანამდე კი პრინციპული შეთანხმება შედგა, რაც გულისხმობს, რომ მომხმარებელ ფიზიკურ პირებს, ვისაც შემოსავალი – ეროვნულ ვალუტაში, ხოლო სესხი აშშ დოლარში აქვს აღებული და, აგრეთვე, აქვს კარგი საკრედიტო ისტორია, შეუძლიათ, ბანკს მიმართონ, რომელიც ავტომატურად გაუგრძელებს სესხის ვადას. ასეთი შეთავაზება, ბანკირების განცხადებით, მომხმარებელს შესაძლებლობას მისცემს, ლარში ყოველთვიურად გადაიხადონ იგივე თანხა, რასაც დევალვაციამდე იხდიდა. ამასთანავე, მომხმარებელს შეუნარჩუნდება არსებული საპროცენტო განაკვეთი.

ბანკების მიერ გაკეთებულმა ამ განცხადებამ კითხვები მაშინვე გააჩინა. კრედიტორთა ნაწილი ფიქრობდა, რომ ეს შეღავათი კი არა, მავნებლობაა, ზოგიერთი კი აცხადებდა, რომ სავალუტო კრიზისის პირობებში ბანკების მიერ მიღებული გადაწყვეტილება დროული და სამართლიანია.

იმ ეჭვების გასაფანტად, რაც საზოგადოებაში გაჩნდა, „business time“ ბანკების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს გოგიტა ცუცქირიძეს ესაუბრა:

– ბატონო გოგიტა, შეგიძლიათ, მარტივად განგვიმარტოთ, რას ნიშნავს კრედიტის გახანგრძლივება? ამ ტერმინის ქვეშ შეიძლება ბევრი რამ მოვიაზროთ. კონკრეტულად რა შეღავათებს გვიკეთებენ ბანკები?

– აი, მაგალითად, თქვენ გაქვთ ბანკის ვალი და ეს ვალდებულება ბანკის წინაშე წარმოქმნილია უცხოურ ვალუტაში. დავუშვათ, ყოველთვიურად სესხის დასაფარად იხდიდით 500 ლარს და ახლა, რადგან დევალვაცია მოხდა, გიწევთ 650 ლარის გადახდა. ბანკების მიერ შემოთავაზებული საშეღავათო პირობით თქვენ ყოველთვიურად ისევ გადაიხდით 500 ლარს, ოღონდაც არა ერთ წელიწადში, არამედ, დავუშვათ, წელიწად-ნახევარში. მიდიხართ ბანკის კრედიტოფიცერთან და ახდენთ მასთან შეთანხმებას.

– მაგრამ იყო ინფორმაცია, რომ ეს შეღავათი ყველას არ შეეხება. არ შეეხებათ, მაგალითად, ნეგატიური ისტორიის მქონე კრედიტორებს.

როცა პრობლემური სესხების პორტფელმა 43 მილიონს გადააჭარბა, ადვილად წარმოსადგენია, რამდენი ადამიანი დარჩება შეღავათით სარგებლობის გარეშე. რატომ გადაწყდა საკითხი ასე?

– ტოქსიკურ სესხებს ეს არ ეხება, ანუ სესხებს, რომლებიც დევალვაციამდე გაპრობლემდა. ეს ეხება კეთილსინდისიერ გადამხდელებს, რომლებსაც არ ჰქონდათ პრობლემები და ლარის გაუფასურების გამო წარმოეშვათ.

– ყველა ბანკი ჩაერთო სოლიდარობის აქციაში?

– დიახ, თავად ბანკებმა გამოხატეს სოლიდარობა თავის მსესხებლებთან მიმართებაში და ეს იყო კეთილი ნება.

– იყო გამოთქმული ეჭვები, რომ ბანკი სესხის გახანგრძლივებით უფრო მეტ მოგებაზე გავა და დაზარალებულები ისევ ჩვენ აღმოვჩნდებით. უფრო რომ დავკონკრეტდეთ, ბანკი მე მითვლის სესხს ახალი კურსით, მაგრამ თუკი მე გაზრდილი თანხის გადახდა არ შემიძლია, განსხვავების დაფარვისთვის მიხანგრძლივებს დროს, მაგრამ რამდენ თვეზეც გამიხანგრძლივებს დაფარვის კალენდარს, იმდენი თვე დამემატება ბანკის პროცენტი?

– დიახ, რადგან, როცა დოლარში იღებთ სესხს, ყოველთვის იღებთ სავალუტო რისკს. დავუშვათ, ლარის კურსი რომ გამყარებულიყო, მაშინ თქვენ წახვიდოდით მოგებაში, ანუ ეს რისკი თავიდანვე აიღეთ.

როგორც გილაურმა განაცხადა, „საქართველოს ბანკმა“ აღნიშული გადაწყვეტილება მომხმარებლის ინტერესების დაცვის მიზნით მიიღო.

მისივე თქმით, კაპიტალის მდგომარეობა და გრძელვადიან რესურსებზე წვდომა საშუალებას აძლევს ბანკს, მომხმარებელს აღნიშნული წინადადება შესთავაზოს.

„თავად ბანკებმა გამოხატეს სოლიდარობა თავის მსესხებლებთან მიმართებაში და ეს იყო კეთილი ნება“

ვინ შემო

ვინ შემოიყვანა პირველად საქართველოში ბოინგი. რატომ არ ენდობოდნენ ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ამერიკული სალიზინგო კომპანიები

ლელა წიკლაური

რა ჭირს ქართულ ავიაციას და ვისთვის არის ცის პოლიტიკა ღია. რა საფრთხეებს შეიცავს რუსული „აეროფლოტისთვის“ ქართული ცის დათმობა. „Business time“-ს ექსკლუზიურად კომპანია „ბოინგის“ მარკეტინგის ყოფილი დირექტორი ვლადიმერ სილვესტინი ესაუბრა. როგორ და ვისი ძალისხმევით გამოჩნდა ქართულ ბაზარზე პირველად ბოინგის ტიპის ლაინერები, ვინ იყო ბოინგის პირველი კლიენტი საქართველოში და რაზე ჰქონდათ მოლაპარაკებები ექსპრეზიდენტ შევარდნაძესთან, ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილთან და აწგარდაცვლილ კახა ბენდუქიძესთან. ინტერვიუში ვლადიმერ სილვესტინი ჩვენი ქვეყნის დიდ ავიაციაში არსებულ ვითარებას აფასებს.

– ძალიან დიდი მადლობა, რომ დაგვთანხმდით ინტერვიუზე. ჩემი პირველი კითხვა ასეთია, რამდენი წელი მუშაობდით ძალიან მსხვილ, ცნობილ კომპანია „ბოინგში“ და რა პოზიციები გეკავათ.

– „ბოინგში“ სხვადასხვა პოზიციებზე ვიყავი და 1989 წლიდან 2013 წლამდე ვმუშაობდი. ვიყავი მთავარი ინჟინერი და მარკეტინგის დირექტორი, ასევე ვხელმძღვანელობდი თვითმფრინავების გაყიდვების დეპარტამენტსაც ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში. შუა აზიისა და კავკასიის ქვეყნებში, ეს არის მთელი ჩემი გზა „ბოინგში“.

– როდის გაუჩნდა პირველად იდეა კომპანია „ბოინგს“ მოლაპარაკებები ეწარმოებინა საქართველოში. კონკრეტულად ვისთან ხდებოდა ამ თემის განხილვა და როგორ ფიქრობდით, ვინ იქნებოდა მაშინ თქვენი კლიენტი, რადგან იმ დროს როცა ქართულ ცაზე ბოინგის ტიპის ლაინერი გამოჩნდა, ქვეყანაში არცთუ სახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა იყო. თქვენ მაშინ „ბოინგში“ საკმაოდ მაღალი რანგის თანამდებობა გეკავათ და როგორც ვიცი, პირადად იყავით ჩართული მოლაპარაკებებში.

ვლადიმერ სილვესტინი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ამერიკულმა სალიზინგო კომპანიებმა ედუარდ შევარდნაძეს უარი უთხრეს, რადგან საქართველოს არც თუ ისე კარგი საკრედიტო ისტორია ჰქონდა“

– რასაც ახლა მოგიყვებით ეს არის „ბოინგის“ უკვე ყოფილი თანამშრომლის მოსაზრებები და ფაქტები. ჩვენ, „ბოინგის“ თანამშრომლები, პირველად საქართველოს 1998 წელს ვეწვიეთ. დაახლოებით ხუთი ვიზიტის შემდეგ დასკვნები ამ ქვეყნის შესახებ არც თუ ისე სასიხარულო აღმოჩნდა. ჩვენ ქართული ავიაცია, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვნახეთ. იყო ერთი სახელმწიფო კომპანია, რომელიც გაუგებარი დარჩა როგორ მუშაობდა. ბაზარზე არსებობდა კიდევ ერთი კერძო კომპანია „ეარ ჯორჯია“ და რატომღაც ორივე კომპანია მოძველებული საბჭოთა თვითმფრინავებით დაფრინავდა და ორივე კომპანიას ძალიან სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ რეისების ნაკლებობა არ იყო, არც ევროპიდან და არც რუსეთის მიმართულებით. ჩვენ მაშინ ვერ დავინახეთ იმის რესურსი, რომ ქართული კომპანიები შეძლებდნენ თავიანთი თვითმფრინავების პარკი გაეახლებინათ და გადასულიყვნენ თანამედროვე ეკონომიკურ ლაინერებზე. მაშინ, როცა ნავთობზე ფასები კატასტროფულად იზრდებოდა, თანამედროვე სტანდარტის თვითმფრინავები სამ-ოთხჯერ ნაკლებ საწვავს მოიხმარდნენ. მაშინ ჩვენ ვფიქრობით, რომ ამ ქვეყანაში თანამედროვე ავიაციის განვითარება შეუძლებელი იყო. ორწლიანი დაკვირვების შემდეგ ჩვენ შევხვდით მაშინდელ პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს; მაშინ ექსპრეზიდენტმა გაგვაცნო საქართველოს ბიზნესგარემო. ჩაგვაყენა საქმის კურსში საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებაც და ის იყო პირველი, ვინც „ბოინგთან“ თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

– ჩემთვის ცნობილია, რომ პირველი ბოინგი საქართველოში ავიაკომპანია „აირზენამ“ შემოიყვანა. როდის შეხვდით მაშინ ერთადერთ კერძო ავიაკომპანიის ხელმძღვანელებს, როგორ დაიწყო თქვენი თანამშრომლობა მის დამფუძნებელ თამაზ გაიაშვილი.

– ჩვენ უკვე ვიცნობდით მაშინ თამაზ გაიაშვილს, როგორც ავიაციის წარმომადგენელს. ჩვენი პირველი შეხვედრა შედგა ვენაში. მაშინ „აირზენა“ იჯარით აღებული რუსული ლაინერებით დაფრინავდა. სწორედ ვენაში დავიწყეთ საუბარი თანამედროვე ტიპის ბოინგის ტიპის ლაინერების დაქირავების ან შეძენის შესახებ. კონტაქტი შედგა და 1999 წლის მაისში, კარგად მახსოვს, ექსპრეზიდენტი შევარდნაძე ვაშინგტონში იმყოფებოდა ჩვენ ერთად, ველაპარაკებოდით ამერიკულ სალიზინგო კომპანიებს, რათა სამი, ან ხუთი წლით საქართველოსთვის იჯარით მიეცათ ბოინგის ლაინერები. ამერიკულმა სალიზინგო კომპანიებმა ედუარდ შევარდნაძეს უარი უთხრეს, რადგან საქართველოს არც თუ ისე კარგი საკრედიტო ისტორია ჰქონდა. მე მაინც მეგონა, რომ ამ ქვეყანაში რაღაც გამოვიდოდა და როცა თამაზ გაიაშვილთან განვაგრძეთ მოლაპარაკება, მივხვდი, რომ ამ ადამიანს საქართველოში რაღაც ცვლილებები უნდოდა. ამერიკაში არის ასეთი გამოთქმა, ავიაციის ფანატიკოსი, რომლებსაც შეუძლიათ ავიაციის გულისთვის თავი გაწირონ და თამაზ გაიაშვილი არის სწორედ ასეთი. ბოინგი საქართველოში შემოვიყვანეთ და ამაში დიდი წვლილი მეც მიმიძღვის. მე მჯეროდა მისი, მიუხედავად იმისა, რომ ბოინგის ხელმძღვანელები მიმტკიცებდნენ, რომ საქართველოში არაფერი გამოვიდოდა. ჩვენ მოვძებნეთ გერმანული სალიზინგო კომპანია „ხაპაგლოდი“. გერმანელები, როგორც იცით, შევარდნაძეს მიიჩნევდნენ გერმანიის გამაერთიანებლად, მისმა რეპუტაციამ და მოლაპარაკებების რამდენიმე რაუნდმა გაჭრა და კომპანიამ საქართველოსთვის ორი ბოინგი გაამზადა. ძალიან კარგად მახსოვს 2000 წლის 1 იანვარი, როდესაც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ორი ბოინგის ტიპის სამგზავრო ავიალაინერი დაეშვა.

– მე ვიცი, რომ ბოინგის საქმიანობა საქართველოში ადვილი არ იყო. ძალიან დიდი პრობლემები შეგხვდათ, როგორ მოაგვარეთ პრობლემატური საკითხები და როგორ დაეხმარეთ მაშინ ავიაკომპანია „აირზენას“.

– იცით, პრობლემები იმაზე მეტი დაგვხვდა, ვიდრე გვეგონა. აქ არ იყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ტექნიკური შესაძლებლობები. მაშინ ბოინგი შესაბამისი ინიციატივით გამოვიდა, რომ გადაგვემზადებინა პერსონალი. ამისთვის „ბოინგმა“ ქართულ კომპანიას 500 000 დოლარი გამოუყო. თითქმის ყველაფერი შესაცვლელი იყო, ყველაფერი კარგად დალაგდა. თამაზ გაიაშვილმაც იცოდა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე განვითარება შეუძლებელი იყო. კომპანია ბოინგი ყველაფერს აკეთებდა, რომ ქართული ავიაცია ფეხზე დამდგარიყო და ამაში ედუარდ შევარდნაძეც ხელს გვიწყობდა. როცა თანამედროვე ტიპის ავიალაინერები ექსპუატაციაში ჩაეშვა, უკვე მომზადებულები იყვნენ ინჟინრები, ტექნიკური პერსონალი და პილოტები. გადამზადება გაიარეს ბორტგამცილებლებმაც.

– ბატონო ვლადიმერ, ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენ ხვდებოდით, როგორც ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, ასევე შემდეგ შეხვედრები გქონდათ ყოფილ მინისტრთან ზურა ადეიშვილთან და აწგარდაცვლილ კახა ბენდუქიძესთანაც. რა საკითხთან დაკავშირებით გიხდებოდათ მათთან საუბრები. რას იტყვით ამ გადმოსახედიდან, როცა „ბოინგის“ თანამშრომელი აღარ ხართ. იქნებ უფრო თავისუფლად მოგვიყვეთ საუბრის დეტალები.

– ბენდუქიძეს მაშინ შევხვდი, როცა მან პირველად განაცხადა ღია ცის პოლიტიკის შესახებ. ამბობდა, რომ ქართული ცა ყველასთვის გახსნილია. რაც უფრო მეტი მგზავრი იქნება, მით უფრო კარგი და ა.შ. მაშინ ჩვენ ავუხსენით ბენდუქიძეს, რომ ყველა განვითარებულ ქვეყანას, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, განსხვავებული ხელშეკრულებები ჰქონდა გაფორმებული სხვადასხვა ქვეყნებთან, მაგრამ კახა ბენდუქიძეს ამის გაგონებაც კი არ უნდოდა. ამბობდა, რომ ყველამ უნდა იფრინოს. ჩვენი პოზიციები პრინციპულად განსხვავებული იყო, ამიტომ კახა ბენდუქიძესთან მეტი აღარ მისაუბრია. შევხვდი ადეიშვილსაც, ის გვერდში გვედგა ყველა საკითხის მოგვარებისას. იყო დრო, როცა ავიაციას სერიოზული პრობლემები ჰქონდა და ერთად ვეძებდით გზებს, როგორ გადაგვერჩინა ქართული ავიაცია; მახსოვს, როცა სიეტლში ვცხოვრობდი და თამაზ გაიაშვილი მირეკავდა საქმეებზე, თქვენი დროით იყო ღამის 2,3,4, და 5 საათიც. მაშინ კომპანიის ხელმძღვანელი ღამეებს ათენებდა.

„ჩვენი პოზიციები პრინციპულად განსხვავებული იყო, ამიტომ კახა ბენდუქიძესთან მეტი აღარ მისაუბრია. შევხვდი ადეიშვილსაც, ის გვერდში გვედგა ყველა საკითხის მოგვარებისას“

– მოდით შევეხოთ დღეს არსებულ სიტუაციას, როგორია კონკურენცია, და როგორ აფასებთ თავად ბოინგის პარტნიორის „აირზენას“ მენეჯმენტს. დღეს იმასაც ამბობენ, რომ ამ კომპანიას მაღალი ფასები აქვს. ბაზარზე რუსული „აეროფლოტიც“ შემოვიდა, როგორ გაუწევს ეროვნული ავიაკომპანია კონკურენციას რუსულ სახელმწიფო კომპანიას, რომელიც რუსული ბიუჯეტიდან ფინანსდება?

– მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მე მინდა გავიხსენო წარმატებული ავიაკომპანიები, მაგრამ ვერ ვიხსენებ. ეს კომპანია იყო მაგალითი, ვინც ვერ შეძლო განვითარება ამ სფეროში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. ჩვენ მათ ვეუბნებოდით, წადით საქართველოში და ნახეთ როგორ მუშაობს კერძო კომპანია. ჩვენთვის, ზოგადად, რთულია შევაფასოთ სხვისი მენეჯმენტი. ყველა კომპანიას საკუთარი მიდგომები აქვს. ხელმძღვანელი პასუხს აგებს, როგორც შემოსავლის, ასევე ხარჯვით ნაწილზეც. „აირზენას“ მაგალითად, მარტივი, მაგრამ მკაცრი მენეჯმენტი აქვს. ყველას ჰგონია, რომ ავიაბიზნესში ოქროს წვიმაა, ეს ასე არ არის. თუ გინდა, რომ მომგებიანი საავიაციო ბიზნესი დაიწყო, მაშინ ძალიან დიდი კაპიტალი უნდა ჩადო. აქ არ არის ძალიან დიდი მოგება, აქ არის ძალიან დიდი ხარჯი. ძალიან დიდი ფასი საავიაციო საწვავზე. მე ვერ გეტყვით როგორ დგინდება ფასი ავიაბილეთზე კომპანიებში, თუმცა ერთი შემიძლია გითხრათ და შევადარო „აირზენას“ ფასები საერთაშორისო ფასებს. თუ ავიღებთ იგივე ლუვთანზას ფასებს, „აირზენას“ ძალიან დაბალი ფასები აქვს. აქ თავისებური თამაშის წესებია. მაგალითად, თუ ბაზარზე არის ავიაკომპანია, რომელსაც აქვს 300-მდე ავიალაინერი, შედიან მსოფლიოს უმსხვილეს კომპანიებში, მათ შუძლიათ დემპინგური ფასების დაწესება. რაც საერთოდ აკრძალულია. თამაზ გაიაშვილს მე მგონი ექვსი თუ შვიდი თვითმფრინავი ჰყავს და მას არ შეუძლია ასეთი რამ გააკეთოს. ის ფასები, რაც ამ კომპანიას აქვს, თვითღირებულებასთან შედარებით მინიმალურია. აქ არ არის უსაზღვროდ გამდიდრების სურვილი, აქ არის ფრენის და ნორმალური ავიაკომპანიის არსებობის სურვილი, რომელიც უნდა იყოს კიდეც. კონკურენცია დღეს ქართულ ბაზარზე, სადაც რამდენიმე თურქული ავიაკომპანიაა, ძალიან რთულია, მათ 300-ზე მეტი ავიალაინერი ჰყავთ. იყო დრო, როდესაც ისინი კვირაში 4-5 რეისს ასრულებდნენ. ახლა კი, მე მგონი, დღეში ახორციელებენ მაგდენივე რეისს. ამბობენ, რომ დემპინგური ფასებით, მაგრამ ამ საქმეში ნამდვილად არ მინდა ჩავერიო. ბაზარი მისახედია. ამ ვითარებაში კონკურენცია რთულია. კონკურენცია რთულია რუსულ ავიკომპანიასთანაც. ის სახელმწიფო კომპანიაა და მას შუძლია 10 დოლარადაც იფრინოს, მაგრამ ამის უფლებას ვერც ერთი კერძო ავიაკომპანია ვერ მისცემს საკუთარ თავს, რომელიც საკუთარი ბიზნესის შემოსავლების ხარჯზე არსებობს. ამის უფლებას თავის თავს ვერც „აირზენა“ მისცემს. ეს უსამართლობაა. თუმცა „აირზენამ“ შესაძლოა კონკურენცია გაუწიოს მას, რადგან არა აქვს მაღალი ფასები. თუ ვინმე მეტყვის, რომ ამ ავიაკომპანიას მაღალი ფასები აქვს, მაშინ შევიდნენ ტურისტული სააგენტოების ვებგვერდზე და ნახონ რა ღირს თბილისი ამსტერდამი მაგალითად. რა ეღირება ეს „აირზენაში“ და რა ეღირება ეს ნებისმიერ ევროპულ ავიაკომპანიაში. ფასები რაციონალურია. სახელმწიფოში არსებობს ეროვნული ავიკომპანია და სახელმწიფოს თავი არ სტკივა ამისთვის. ეს კომპანია თავს ირჩენს, დაფრინავს და არ ითხოვს სახელმწიფოსგან დოტაციას. მე მგონი ამით უნდა ვამაყობდეთ.

„სახელმწიფოში არსებობს ეროვნული ავიკომპანია და სახელმწიფოს თავი არ სტკივა ამისთვის. ეს კომპანია თავს ირჩენს, დაფრინავს და არ ითხოვს სახელმწიფოსგან დოტაციას. მე მგონი ამით უნდა ვამაყობდეთ“

„ბოინგის“ ყოფილი ხელმძღვანელი შევარდნაძესთან, ადეიშვილთან და ბენდუქიძესთან შეხვედრების დეტალებს ყვება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პერსონა -

ლელა წიკლაური

აქციზის გადასახადის გაზრდით დაბალშემოსავლიან პირებს მთავრობა ლუდის დალევას უკრძალავს

ვინ გადაარჩენს ქართული ლუდის წარმოებას? - ჩვენ ვერა! რადგან ვერანაირი ზეპატრიოტული გრძნობა ვერ მაიძულებს, ჩემი გაზრდილი ხარჯით მის გადარჩენაზეც ვიზრუნო. უბრალოდ, ვერ ვიყიდი გაძვირებულ ლუდს და ეს, გარდა იმისა, რომ ჩემს სამომხმარებლო კალათას შეამსუბუქებს, ცარიელტარიელს დატოვებს ლუდის საწარმოების ბევრ თანამშრომელსაც. ქართული ლუდის მწარმოებლები მძიმე ამოცანის წინაშე დგანან. უნდა გადაიხადონ მომატებული გაზის გადასახადი, უნდა დაფარონ ლარის გაუფასურების გამო გაძვირებული საბანკო კრედიტები, უნდა შემოიტანონ ნედლეული, რომელშიც უკვე გაცილებით მეტ ლარს იხდიან, უნდა გათვალონ გაძვირებული აქციზის გადასახადიც, და ეს მაშინ, როცა ლუდის მწარმოებლები საკუთარი მოგების ხარჯზეც კი ველარ შეძლებენ ფასის დაჭერას. ლუდი დაახლოებით 25 თეთრამდე გაძვირდება.

მთავრობა არასდროს ამბობს უარს იმაზე, რაც არ ეკრძალება, ჩვენც მათ შორის, მაგრამ ერთი განსხვავებით, ის იღებს იმას, რაც უნდა კანონიერი გზით და თუ არ არსებობს, ქმნის მათ. ჩვენ კი, ვემორჩილებით. მაგალითად, აქციზის გადასახადის გაზრდით დაბალშემოსავლიან პირებს მთავრობა ლუდის დალევას უკრძალავს.

ფინანსთა მინისტრი გამოდის და ამბობს, აქციზი 10 თეთრით გაძვირდაო. არა ჩემო ბატონო, აქციზი უფრო ბევრად გაძვირდა, რადგან 10 თეთრს ავტომატურად 18%-იანი დღგ-ს გადასახადი და სხვა თანმდევი ხარჯიც ემატება, ასე რომ, საბოლოო ციფრი ერთი შეხედვით უწყინარ 10 თეთრზე გაცილებით მეტია. რას აპირებენ ლუდის მწარმოებელი კომპანიები, როგორ შეძლებენ სირთულეების დაძლევას. შეელევიან თუ არა ნლობით ნალოლიავებ, პროფესიონალ თანამშრომლებს. რას მიიღებს ქვეყნის მთავარი ხაზინა და რას ქართული ეკონომიკა, გრძელვადიან პერსპექტივაში. კითხვები ბიზნესმენ ცეზარ ჩოჩელს დავუსვით.

– ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ თქვენ სერიოზული პრობლემები გაგიჩნდათ. ახლაც დაყადაღებულია თქვენი კომპანიების ნაწილი. როგორ ახერხებთ ბაზარზე მაინც იყოთ ლიდერები. თქვენს პროდუქციაზე მოთხოვნა არ მცირდება, არ ვიცი როგორ განვითარდებით აქციზის, გაზისა და ლარის დევალვაციის პირობებში, მაგრამ თქვენ რჩებით და აგრძელებთ ბრძოლას ყველა მიმართულებით.

– ეს მარტო ჩემი დამსახურება არ არის. ჩვენი კომპანიის წარმატებულ მომავალზე მთელი ჩვენი გუნდი ერთობლივად ზრუნავს, ამ გუნდის წევრი კი მეც ვარ. ერთ-ერთი, რამაც ჯგუფში შემავალი კომპანიები გადაარჩინა და დღემდე, მიუხედავად არსებული პრობლემებისა, წარმატებით მუშაობს, შრომისმოყვარეობა, საქმისადმი სიყვარული, გუნდურად მართვის პრინციპი და ერთგულებაა.

– როგორი მართვის სტილი გაქვთ. ჰოლდინგის მმართველ რგოლზე და მის მეთაურზე ბევრი რამ არის დამოკიდებული და განსაზღვრავს წარმატების ხარისხს.

– არის საკითხები, რომელსაც ერთპიროვნულად ვიღებ და ვფიქრობ, რომ ასეა საჭირო, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც გუნდურობის პრინციპით მიიღება. ჩვენი გუნდი პროფესიონალი ადამიანებისგან შედგება და საერთო თამაშის წესები გვაქვს, ამიტომ არის სიტუაცია, როცა გადაწყვეტილებებს მარტო ვიღებ და არის ვითარება, როცა გუნდურად, თუმცა ერთი მეორეს არასდროს ეწინააღმდეგება.

– ყოფილა შემთხვევა, როცა ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილება გინანიათ, რამდენად ამართლებს ხოლმე.

– არა, არასდროს მინანია, შეიძლება გული დამწყვეტია გარკვეულ გადაწყვეტილებაზე. ყველაზე მეტად მაინც, გული დამწყდა, როცა „ნატახტარი“ გავყიდეთ.

– ყველაზე ხშირად რა ფრაზას იყენებთ მართვის პროცესში? რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი მართვის პროცესში?

– ერთგულება. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ჩვენ გარშემოა, უნდა გამოირჩეოდეს საქმისადმი ერთგულებით. თავისი საქმე უნდა უყვარდეს. მე ყველა თანამშრომელს ვაძლევ შანსს თავისი თავი ბოლომდე გამოავლინოს და მისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოიყენოს. წარმატებისთვის, იმ საქმის სიყვარული, რომელსაც აკეთებ, ყველაზე მთავარია.

- როგორ არჩევთ კადრებს, თქვენ საკმაოდ ბევრი ადამიანი გყავთ დასაქმებული კომპანიებში, რომელსაც მართავთ. უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა კომპანია, რომელიც ფუნქციონირებს წარმატებულია.

– ეს არის ცოდნა. კომპანიებში თანამშრომლები პროფესიონალიზმის მიხედვით ირჩევა და წინაურდება ასევე პროფესიონალიზმისა და საქმის სიყვარულის მიხედვით. ახლა 3 000-ზე მეტი ადამიანი მუშაობს კომპანიებში, ადრე უფრო მეტი იყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, ბოლო წლებში, ოპტიმიზაცია რამდენჯერმე მოგვიხდა. ვფიქრობ, რომ წელს დავიწყებთ ახალი პროექტების განხორციელებას და ადამიანების დასაქმების პროცესიც განახლდება.

– თქვენ ირგვლივ ატეხილმა აჟიოტაჟმა და სასამართლო პროცესებმა რამდენიმე კომპანიაას პრობლემები შუქმნა, საწარმოებს ყადაღის პირობებში უწევდათ მუშაობის გაგრძელება. ამ დროისთვის ჯგუფის რამდენი კომპანია ფუნქიონირებს სრულყოფილად.

– დღეის მდგომარეობით ზედაზენი მუშაობს, ბარამბო ყადაღის პირობებში მუშაობს, რკინა-ბეტონის კონსტრუქციები მუშაობს, მიქსორი მუშაობს, ვიწყებთ ახალ პროექტებს. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ თანამშრომელთა რაოდენობა გაიზრდება.

– რა სიახლეებს უნდა ველოდოთ ბიზნესმენ ცეზარ ჩოჩელისგან კიდევ. მოდით კონკრეტულად ავხსნათ, რა გეგმები გაქვთ, ვიცი, რომ სახელმწიფო პროექტებშიც გსურთ მონაწილეობა. რამდენად გიწყობთ ხელს ხელისუფლება წარმატებულ ბიზნესმენს კიდევ უფრო დიდი წარმატების მიღწევაში? რა პრობლემების წინაშე დგახართ ამ დროისთვის. გიწყობთ თუ გიშლით ხელს მთავრობა ახალი საწარმოების ამუშავებაში?

– ბოლო წლებში შექმნილმა პრობლემებმა და სასამართლო პროცესებმა, ბანკებთან, პოტენციურ ინვესტორებთან და პარტნიორებთან პრობლემები შეგვიქმნა, ჩვენი რეპუტაციაც ეჭვქვეშ დადგა, იმ კომპანიების, რომლებიც ბიუჯეტში გადასახადებს პატიოსნად იხდიდა და არც თუ პატარა თანხას და იმ კომპანიების, რომლებმაც ქართული პროდუქტი შექმნეს, ადამიანები დაასაქმეს. ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ჰოლდინგში შემავალი კომპანიების მუშაობა შეაფერხა. მიუხედავად ამისა, ვცდილობთ შევინარჩუნოთ ლიდერის პოზიციები.

– თქვენი აზრით, როგორია ბიზნესგარემო საქართველოში, რამდენად გეწყობათ ხელი?

– ყველაზე დიდი პრობლემა მაინც ძვირი ფულია. წარმოება ვერ უძლებს იმ საპროცენტო განაკვეთებს, რაც საქართველოს საფინანსო ორგანიზაციებშია. ამიტომ, ახალი პროექტები დროში გაგვწელა. ვეძებთ იაფ ფულს. დღეს საქართველოს ბანკებში არსებული ფული ძვირია. ვაჭრობისთვის კიდევ მისაღებია, მაგრამ წარმოება ვერ უძლებს, რადგან მარტო ერთი წელი მშენებლობისთვის გვჭირდება, წარმოების გაშვების შემდეგ კიდევ ერთი წელი კი დამკვიდრებას, ამიტომ ქვეყანაში არსებული ფინანსური რესურსი და ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი ფაქტობრივად ახრჩობს წარმოებას.

„საბიუჯეო შემოსავლების გაზრდის მიზნით. წელს ამან შეიძლება გამოიღოს შედეგი, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს იქნება დარგისთვის გამანადგურებელი“

– ხელისუფლება ხშირად აგზავნის მესიჯს ბიზნესმენებისთვის, რომ ისინი წარმოების განვითარებას ხელს უწყობენ და ბიზნესის განვითარებისთვის ზრუნავენ. თქვენ გრძნობთ მთავრობის მხარდაჭერას?

– ჩვენი მხრიდან ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ცოტა უხერხულია, რადგან ჯგუფში შემავალი კომპანიები მთელი ორი წლის განმავლობაში დაყადაღებული იყო და დღეს „ბარამბო“ კიდევ რჩება დაყადაღებული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს პროცესი მალე

„არასდროს მინანია, შეიძლება გული დამწყვეტია გარკვეულ გადაწყვეტილებაზე. ყველაზე მეტად მაინც, გული დამწყდა, როცა „ნატახტარი“ გავყიდეთ“

„ძალიან გვენანება იმ ხალხის გაშვება, ვინც დიდი ხანია აქ მუშაობს. მათ გადამზადებაში კი უდიდესი ინვესტიცია გვაქვს ჩადებული. რეალურად გამოდის, რომ წყალში გადაყრილი ფულია. არ გაუშვათ და კომპანიას უკვე ფინანსური სიძნელეები უჩნდება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გადარჩება თუ არა ქართული წარმოება

ვის წინააღმდეგ განხორციელდა საკონტროლო გასროლა

EXCLUSIVE

ვის ესროლა თავში ხადურმა

„ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ჰოლდინგში შემავალი კომპანიების მუშაობა შეაფერხა. მიუხედავად ამისა, ვცდილობთ შევინარჩუნოთ ლიდერის პოზიციები“

„რამდენად უწყობს ხელს ხელისუფლება ბიზნესს შეგვიძლია ვიმსჯელოთ. მაგალითად, სახელმწიფო პროექტი „აწარმოე საქართველოში“ იდეა სწორია, მაგრამ სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ის ხორციელდება, გაუმართლებელია და მე ვფიქრობ, რომ თუ ის პრინციპები არ შეიცვალა, რომელიც ამ პროექტშია წარმოდგენილი, ძნელია წარმატების მიღწევა“

უნდა დასრულდეს. რამდენად უწყობს ხელს ხელისუფლება ბიზნესს შეგვიძლია ვიმსჯელოთ. მაგალითად, სახელმწიფო პროექტი „აწარმოე საქართველოში“ იდეა სწორია, მაგრამ სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ის ხორციელდება, გაუმართლებელია და მე ვფიქრობ, რომ თუ ის პრინციპები არ შეიცვალა, რომელიც ამ პროექტშია წარმოდგენილი, ძნელია წარმატების მიღწევა.

– რა ხარვეზებს ხედავთ?

– პირველ რიგში, ეს დაფინანსების შეზღუდვაა. მე სადაც მეძლევა შესაძლებლობა, რომ ჩემი შეხედულება გამოვთქვა ამ საკითხზე ვმსჯელობ და არ მერიდება ხარვეზებზე საუბარი. შესაცვლელია მიდგომა. აქ განსაზღვრულია, რომ 500 000 დან 2 000 000 მლნ-დე უფინანსებენ მეწარმეებს ახალ პროექტს, ეს ფაქტობრივად წარმოუდგენელია. ამ ზომის წარმოებებით ეკონომიკა ვერ აშენდება. წარმოება ვერ განვითარდება და სახელმწიფო ვერ მიიღებს იმას, რისი მოლოდინიც აქვს. მე პირიქით ვფიქრობ, როდესაც ქვეყანას აქვს 9 მილიარდიანი ბიუჯეტი, უნდა გამოინახოს ნელი-ნადში დაახლოებით 100 000 000 მლნ და არ უნდა იყოს შეზღუდვა აკეთებ 500 000 ლარიან წარმოებას, თუ 50 მილიონიან წარმოებას. ერთ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც სახელმწიფო უნდა უფინანსებდეს იმ საპროცენტო განაკვეთს გაურკვეველი პერიოდის განმავლობაში, რომ ქვეყანაში საინტერესო გახდეს წარმოების შექმნა და განვითარება. სახელმწიფო თუ გამოყოფს 100 000 000 მლნ ლარს საპროცენტო განაკვეთის დასაფინანსებლად, ბიზნესი წარმოების განვითარებაში ჩადებს მილიარდს. მარტო დღგ-ს ნაწილში სახელმწიფო უკან იბრუნებს 180 მლნ ლარს. ქარხნებში კი დასაქმდება ათი ათასობით ადამიანი. მოიხსნება დასაქმების პრობლემა. შესაბამისად, როგორც კი ეს ქარხნები მუშაობას დაიწყებენ, სახელმწიფოს უჩნდება დამატებითი შემოსავალი. ეს ვერ დავუმკიცე ვერავის, რომ გაცილებით უკეთესია მოიხსნას შეზღუდვები, მე საქართველოში არ მეგულება მეწარმე სუბიექტი, რომელიც 50 მილიონიან სესხს არ აიღებს, თუკი სახელმწიფო მას ორი წლის მანძილზე მაინც საპროცენტო განაკვეთის ტვირთს შეუმსუბუქებს.

– თეორიულად რა მიმათულებით შეიძლება ჩვენთან წარმოების განვითარება, გვაქვს დიდი შესაძლებლობები და პოტენციალი მრავალფეროვანი ქართული პროდუქტი შევქმნათ?

– საქართველოში არც ისეთი დიდი პოტენციალი გვაქვს, როგორც ნარმოუდგენიათ, რომ ყველა მიმართულებით ფრთებს გავშლით და ძალიან ბევრი წარმოების გაკეთება შეიძლება. აქ არის მხოლოდ რამდენიმე მიმართულება და მერე უკვე ამ დიდ კომპანიებს მიებმებიან ნვრილი კომპანიები, რომელთა განვითარებაც გაცილებით ადვილი იქნება. თუკი „აწარმოე საქართველოში“ პროექტში პრინციპული მიდგომები შეიცვლება, მე დარწმუნებული ვარ, 4-5 წელინადში აშენდება და ექსპლუატაციაში ჩაეშვება ყველა ის წარმოება, რომელიც შეიძლება ამ ქვეყანაში გაკეთდეს. ამ პროექტის შედეგი აგერ უკვე ორი წელია ვერ დავინახეთ და თუ ასე გაგრძელდა კიდევ კარგა ხანი, ვერ დავინახავთ. ჩვენც შეტანილი გვაქვს რადენიმე პროექტის შესახებ განაცხადი ეკონომიკის სამინისტროში და ველოდებით მათგან პასუხს.

– მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, რა ახალი ქართული პროდუქტის წარმოებას გეგმავს ცეზარ ჩოჩელი.

– რამდენიმე პროექტი გვაქვს ისეთი, სადაც ჩვენი წარმოება უცხოურ ნედლეულზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ ქართული ეკონომიკისთვის მომგებიანი იქნება, მაგალითად, ყავა. ბაზარი მთლიანად გაჯერებულია იმპორტით. ჩვენი ქვეყნიდან გადის 30 მილიონი. ადგილობრივი წარმოების ამუშავებით 25 მილიონი ადგილზე დარჩება. ზოგადად ჩვენი ჯგუფი ძირითადად ორიენტირებულია ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით შექმნილი პროდუქტის წარმოების განვითარებაზე. ჩვენს ქვეყანაში, სადაც დიდი რაოდენობით არის კირქვები, თიხები, ხემასალები, სხვადასხვა სახეობის ქვა, ჩვენი პროექტები ძირითადად ადგილობრივი ნედლეულისგან დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის შექმნას ითვალისწინებს. ეს პროექტები მზად არის და ახლა ინვესტორის ძიების პროცესში ვართ. ეს არის კლინკერის წარმოება, ეს არის კერამო–გრანიტის ფილების წარმოება, ქვის წარმოება, კონცენტრატებისა და ეთერზეთების წარმოება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ირანულ, თურქულ, ჩინურ და ნაწილობრივ ევროპულ პროდუქციას ჩავანაცვლებთ ადგილობრივი ნაწარმით.

– სასამართლო დავა შპალების ქარხანასთან დაკავშირებით დასრულდა, დასრულდა ასევე ლტოლვილებთან დაკავშირებული სასამართლო დავა და მარტის ბოლომდე კიდევ ელოდებით, როგორც ვიცი, კიდევ ერთი დავის დასრულებას, მაგრამ თქვენს ამ პრობლემებს დაემატა სახელმწიფოს ახალი რეგულაციები. აქციზი ლუდზე ერთ წელინადში ორჯერ გაიზარდა, ამას ემატება ლარის დევალვაციის პროცესიც, მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის შემცირება, როგორ აპირებთ ამ პრობლემებთან გამკლავებას?

– სანამ აქციზის გადასახადის დამძიმებაზე გადავალთ, მოდით ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ჩვენ უკვე მივიღეთ დარტყმა ფულის ინფლაციის გამო. ლარი გაუფასურდა დაახლოებით 25%-ის ფარგლებში. თითქმის ყველა ქარხანას შემოგვაქვს მაღალი ხარისხის, საკმაოდ ძვირადღირებული ნედლეული, რომელიც გაგვიძვირდა 20%-ით. ამასთან ერთად სავალუტო კურსის ცვლილებიდან გამომდინარე გაზიც გაგვიძვირდა. ამ სეგმენტმა უკვე განიცადა ზარალი. თუკი ადრე ჩვენ გვიხდებოდა შემოსული ერთი ლარიდან 50 თეთრის დაკონვერტირება და უცხოეთში ნედლეულის შესაძენად გაგზავნა, ახლა გვიხდება 65 თეთრის დაკონვერტირება, რომ იგივე ნედლეული მივიღოთ, ეს ერთი, მეორე პრობლემა კომპანიებისათვის, საბანკო სესხებია. ჩვენი ჯგუფის საბანკო ვალი 50 მილონამდეა დოლარში. როდესაც ჩვენ დოლარის საყიდლად ერთ ლარსა და 70 თეთრამდე ვხარჯავდით, ახლა ორ ლარზე მეტს ვხარჯავთ. გაგვიძვირდა კრედიტიც და ეს პრობლემები ყველა მეწარმეს ეხება. და ამას ემატება უკვე აქციზის გადასახადის კიდევ უფრო გაზრდა, რასაც დავარქვი საკონტროლო გასროლა თავში. ჩვენ უკვე საკუთარი მოგების ხარჯზე ფასის დაჭერის შესაძლებლობა აღარ გვაქვს. მოსახლეობას არ აქვს იმის უნარი, რომ გაცილებით მეტი გადაიხადოს პროდუქტში და დღეს ვზრდით აქციზს, ეს სხვა არაფერია, თუ არა საკონტროლო გასროლა თავში ამ დარგისთვის. შემცირდება კომპანიების შემოსავლები, შესაბამისად, შემცირდება რეინვესტირების შესაძლებლობები და დარგი დაკარგავს საინვესტიციო მიმზიდველობას. დღეს ჩვენი კომპანია დგას ძალიან რთული ამოცანის წინაშე. ძალიან გვენანება იმ ხალხის გაშვება, ვინც დიდი ხანია აქ მუშაობს. მათ გადამზადებაში კი უდიდესი ინვესტიცია გვაქვს ჩადებული. რეალურად გამოდის, რომ წყალში გადაყრილი ფულია. არ გაუშვათ და კომპანიას უკვე ფინანსური სიძნელეები უჩნდება. და ორ წყალს შუა ვართ. დღემდე ვფიქრობთ, როგორ შევინარჩუნოთ ის კადრები, რომლებიც ჩვენთვის ძვირფასია.

– რატომ მიიღო ხელისუფლებამ გადაწყვეტილება აქციზის გაზრდის შესახებ. ვფიქრობ, შედეგებზე მათაც უნდა ეფიქრათ.

– საბიუჯეო შემოსავლების გაზრდის მიზნით. წელს ამან შეიძლება გამოიღოს შედეგი, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს იქნება დარგისთვის გამანადგურებელი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლუდი გაძვირდა!

2015 წლის 1-ლი მარტიდან ლუდის აქციზის ფასი იზრდება, რაც გამოიწვევს მის გაძვირებას

რატომ გაძვირდა აქციზი ერთ წელში ორჯერ

რას ერჩოდა ხადური ლუდის მწარმოებლებს

ლელა წიკლაური

ლუდის მწარმოებლებსა და შემომტანებს აქციზის გადასახადს უკვე მეორედ უძვირებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართულ დახლებზე წარმოდგენილი ლუდი მაქსიმუმ 25 თეთრამდე გაძვირდება. ასე რომ, დაბალშემოსავლიანი ოჯახისთვის ეს საკმაოდ დიდი ხარჯია. 1-ლი მარტიდან 1ლიტრ ლუდზე აქციზის გადასახადი გაორმაგდება და, 40 თეთრის ნაცვლად, 80 თეთრი გახდება. ლუდის ინდუსტრია კი, აქციზის ზრდის გამო, წარმოების შემცირებას პროგნოზირებს. თუ ამას ხელისუფლება, როგორც ექსპერტთა ნაწილი აცხადებს, ბიუჯეტის შესავსებად აკეთებს, მაშინ სად არის ლოგიკა? თუკი ლუდის წარმოება, გაზრდილი ფასის გამო, გაყიდვების კლებასთან ერთად, შემცირდება, განა რა თანხა უნდა შევიდეს ბიუჯეტში იმაზე მეტი, ვიდრე შედიოდა? ხომ არ შეიძლება, ხადურმა ბიუჯეტი ქართული მენტალიტეტისა და ჩვევაში გადასული ფსიქოლოგიური მოთხოვნების იმედად დაგეგმოს. ქართველებს გერმანელებსა და ჩეხებზე მეტად არ გვიყვარს ლუდი, მაგრამ მას საზოგადოების დიდი ნაწილი მაინც ვერ შეელევა. ვერ შეელევა ფინანსთა მინისტრი ბიუჯეტის შემოსულობებსაც. ხადური ყველაფერს არ ამბობს. ამბობს მხოლოდ იმას, რომ აქციზი კიდევ 10 თეთრით გაიზრდება. არ ამბობს იმას, რომ ამ ციფრს დამატებითი ღირებულების გადასახადიც ემატება, ანუ 18% და აქციზი 10 თეთრით კი არა, 12 თეთრამდე ძვირდება. რა ელით ლუდის მწარმოებლებს. „Business time“ ლუდის მწარმოებლებს ესაუბრა.

კახა პაიჭაძე, „ზედაზენის“ მენეჯერი:

„ხელისუფლებასთან შეხვედრა და საუბარი ვერ მოვახერხეთ. აქციზის გაზრდის შემდეგ კომპანიას რეინვესტირების შემცირება და კიდევ უფრო მაღალი ხარისხის ლუდის წარმოებაზე უარის თქმა მოუწევს. ეს კი მარკეტინგულადაც და ფინანსურადაც წამგებიანია. მთავრობა მხოლოდ ერთ რამეს გვეუბნება, რომ ისინი ევროდირექტივებით სარგებლობენ, თუმცა, ჩვენი დიდი თხოვნის მიუხედავად, კონკრეტული დოკუმენტი შესაბამისი დირექტივით ვერ გვანახვეს. შესაბამისად, ვერც ასოცირების ხელშეკრულებაში მივაგენით დამოუკიდებლად მსგავს ჩანაწერს. ჩვენი წყალი უნიკალურია და წარმოების გაფართოებით სერიოზულ როლს ვითამაშებდით ექსპორტის წილის გაზრდაში. ქართული ლუდი საზღვარგარეთ ძალიან მოსწონთ. ვფიქრობთ, ლუდის გაყიდვების წილი ქართულ ბაზარზე დიდად მაინც არ შემცირდება, რადგან ჩვენი პროდუქტი მოთხოვნადია, მაგრამ წინ ვერ წავალთ, ვერ დავასაქმებთ უფრო მეტ ადამიანს და ა.შ. აქციზის გაზრდის ახსნა ასოცირების შეთანხმებით სრულიად უსაფუძვლოა. ასოცირების შეთანხმების მიხედვით, საქართველოს ეკისრება ვალდებულება, რომ 100 ლიტრ ლუდზე აქციზი მინიმუმ 8,5 ევროს შეადგენდეს. დღეს კი აქციზი უკვე 18,5 ევროა, რაც ევროკავშირის 12 ქვეყნის, მათ შორის, გერმანიისა და ჩეხეთის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება. აქციზის ოდენობის ზრდას რამდენიმე სახის ნეგატიური ეფექტი მოჰყვება, კერძოდ: მომხმარებლისთვის ფასების ზრდა; ბაზრისა და, შესაბამისად, წარმოების შემცირება; სამუშაო ადგილების შემცირების საფრთხის შექმნა; სხვადასხვა სახის გადასახადების (დღგ, საშემოსავლო, მოგების) შემცირება; დარგის საინვესტიციო მიმზიდველობის დაკარგვა და, ზოგადად, ბიზნესგარემოს გაუარესება“.

აქციზის 50%-ით გაძვირება, რაც 2015 წლის 1-ლი მარტიდან მოხდა, არაერთ პრობლემას შექმნის და წარმოებაზე უარყოფითად აისახება.

„აქციზის ოდენობის ზრდას რამდენიმე სახის ნეგატიური ეფექტი მოჰყვება, კერძოდ: მომხმარებლისთვის ფასების ზრდა; ბაზრისა და, შესაბამისად, წარმოების შემცირება; სამუშაო ადგილების შემცირების საფრთხის შექმნა; სხვადასხვა სახის გადასახადების (დღგ, საშემოსავლო, მოგების) შემცირება; დარგის საინვესტიციო მიმზიდველობის დაკარგვა და, ზოგადად, ბიზნესგარემოს გაუარესება“

შეცდო

ლელა წიკლაური

მთავრობა ამბობს, რომ ლარის კურსი მალე დასტაბილურდება. ბიძინა ივანიშვილი საკუთარ განცხადებებში პროგნოზირებს, რომ 1 დოლარი მინიმუმ 2 ლარი ეღირება, მაგრამ სავალუტო კურსს, ალბათ, საბოლოოდ მაინც ბაზარი დაადგენს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამ დღეებში საკუთარი შეცდომები აღიარეს და სამოქმედო გეგმაც განერეს, თუმცა ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ მთავარი დამნაშავე მაინც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძეა, რის გამოც მისივე თანამოაზრეებისა და მოკავშირეების მხრიდან მკაცრი შენიშვნებიც მიიღო. „business time“-მა გამოკითხა ფინანსისტები, ეკონომისტები და ექსპერტები. დაისვა საკითხი, ვინ არის მთავრობის 4-კაციანი ეკონომიკური გუნდიდან ყველაზე მეტად დამნაშავე, ყველა ერთადაა დამნაშავე, თუ ცალ-ცალკე. აჟიოტაჟის ატეხისთვის და პრობლემის წინ წამოწევისთვის ლარის კურსის გაუფასურება ჩვენ, მედიის წარმომადგენლებსაც გვბრალდება და ყველაზე მთავარი, მოსალოდნელი შიმშილის გამო პანიკის შექმნისთვის ეროვნული ვალუტის დევალვაციაში ბრალი თავად ხალხსაც დასდეს. მართალია, ფსიქოლოგიური მომენტი ამ დროს თავის როლს თამაშობს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც საქართველოში რეალურად ხდება.

„შეიძლება ვისაუბროთ ეროვნული ბანკის შეცდომებზეც, მაგრამ მთავრობის ამ დიდ გარღვევას სავალუტო რეზერვების კლების კუთხით ეროვნული ბანკი არ უნდა დათანხმებულიყო“

როგორია პროგნოზები, რა გველის? - ამ აქტუალურ კითხვაზე და კიდევ ბევრ სხვაზე ექსპერტებს ვესაუბრეთ.

რომან გოცირიძე:

– ყველაზე დიდი შეცდომა იყო ეკონომიკური კურსის შეცვლა, როდესაც მათ გამოავლინეს სრული არაკომპეტენტურობა. ეგონათ, რომ საარჩევნო პროგრამით, რომელიც ნახევრად დილეტანტურია, ისევე, როგორც ყველა პარტიის საარჩევნო პროგრამა, და პოპულიზმზე აგებული, მართლაც შეიძლებოდა ქვეყნის ეკონომიკის მართვა და დაიწყეს ამ საარჩევნო პროგრამის თეზისების შესრულება და კიდევ კარგი, რომ მათი 85% ვერ შესრულდა. მაგრამ ის 15%-იც კი, რომელიც მათ წამოიწყეს, სერიოზული შემაფერხებელი აღმოჩნდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. ამას ჰქვია სახელმწიფო როლის გაძლიერება ქვეყნის ეკონომიკის მართვაში. შემდეგ მოხდა მრავალი მარეგულირებელი რგოლის აღდგენა, უამრავი ბარიერი, შეზღუდვა და ამას დამატებული შტატების გაბერვა, როგორც ადგილობრივ თვითმმართველობის, ასევე ცენტრალურ დონეზე. ბიუროკრატიის ზრდა, სანათესავო, სამეგობრო პარტიული ნიშნით. უამრავი ორგანიზაციის დაფუძნება. აი, ახლა ერთ-ერთ ასეთ უაზრობას ვხედავთ თბილისის მერიასთან რაღაც მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის შექმნის სახით. ანუ ვიღაც ადამიანების ფინანსურ თავშესაფრებს ქმნიან და ასეთი თავშესაფარი ბევრია მთავრობაში. ყველაზე სასაცილოდ გამოიყურებოდა ეს ყბადაღებული ეკონომიკური საბჭო სიმბოლური 41 კაცის შემადგენლობით. ხომ შეიძლებოდა 19 ყოფილიყო ან 42. სწორედ ამის შედეგად მივიღეთ ძალიან არაჯანსაღი ბიუჯეტი, რომლის უზარმაზარი ნაწილი იყო სუბსიდირება და სოციალური მხარდაჭერა, მაშინ როდესაც ქვეყანას ამის რესურსი არ ჰქონდა. პირველ წელს ის განხორციელდა წინა ხელისუფლების მიერ ბიუჯეტში დატოვებული 900-მილიონიანი ნაშთით, რომელიც გათვალისწინებული იყო 2014 წლის საგარეო ვალის დასაფარავად, როდესაც პიკური, მაღალი წელი დაუდგებოდა და ნაწილობრივ ინფრასტრუქტურული პროექტებისთვისაც. ეს დახვედრილი სიმდიდრე უცებ წავიდა ხვნა-თესვის, ჯანდაცვისა და სხვა სახის პროგრამებში. შემდეგ, მეორე წელსაც იგივე ვალდებულებების წინაშე აღმოჩნდა მთავრობა და ამის კომპენსირება მოხდა შიდა ვალის ზრდით. ძალიან დიდი – 1,2 მილიარდით გაიზარდა შიდა ვალი კომერციული ბანკებიდან 2

„ვიღაც ადამიანების ფინანსურ თავშესაფრებს ქმნიან და ასეთი თავშესაფარი ბევრია მთავრობაში. ყველაზე სასაცილოდ გამოიყურებოდა ეს ყბადაღებული ეკონომიკური საბჭო სიმბოლური 41 კაცის შემადგენლობით“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მეხი, როგელიც მთავრობამ დაუშვა

მთავრობა თუ ეროვნული ბანკი - ვის რა წვლილი მიუძღვის ჩვენს გაღარიბებაში

წლის განმავლობაში. ამას ემატება უამრავი საინვესტიციო პროექტის გადახედვა, რომელიც ეკონომიკურ ზრდას უნდა მოხმარებოდა. შემდეგ უკვე ბიუჯეტის არარიტმული შესრულება, როდესაც წლის ბოლოს სრულდება ბიუჯეტი ზედიზედ 2 წლის განმავლობაში. დაგვიანება იმ ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის განკუთვნილი უცხოური გრანტებისა და უცხოური სესხებისა, რომლიც ქვეყანაში სავალუტო მარაგების ზრდას უნდა მოხმარებოდა და წლის ბოლოს ხდებოდა მათი შემოტანა. ყველაფერ ამას მოჰყვა ინვესტორების დაკარგვა და ამას დაემთხვა საგარეო ფაქტორები რუსეთის კრიზისისა და უკრაინის ომის სახით. ამიტომ ქვეყნის შეცვლილი ეკონომიკა, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა მზად არ აღმოჩნდა გარე შოკების თავიდან ასაცილლებლად.

– რატომ არ მიაქციეს ყურადღება დევალვაციის პროცესს პირველ ჯერზე?

– თითქმის ამავე სიმძიმის დევალვაცია იყო, მაგრამ ამას ყურადღებას იმიტომ არ აქცევდნენ, რომ მხოლოდ 10 პუნქტით დაეცა. ამას დაემატა ეროვნული ბანკის მიერ 470 მილიონი დოლარის რეზერვების დახარჯვა 2013 წლის დეკემბერსა და 2014 წლის იანვარში და წელს ეროვნული ბანკი ამ მოვლენებს შეხვდა განიარაღებული, რადგან მთელი რეზერვები მანდ ჩააქცია. 10 წლის განმავლობაში ხდებოდა რეზერვების ზრდა და ბოლო 2 წელია რეზერვები იკლებს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის შეცდომაა. შეიძლება ვისაუბროთ ეროვნული ბანკის შეცდომებზეც, მაგრამ მთავრობის ამ დიდ გარღვევას სავალუტო რეზერვების კლების კუთხით ეროვნული ბანკი არ უნდა დათანხმებულიყო. ეროვნული ბანკის შეცდომა იყო სწორედ ის, რომ 470 მილიონი არ უნდა დაეხარჯა მაშინ. მაგრამ დახარჯა იმიტომ, რომ ახალი ხელისუფლება მოვიდა, იყო კოჰაბიტაციის პერიოდი. ყველა თანამდებობებიდან დაიხსნა, თუმცა, კონსტიტუციის თანახმად, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ვერავინ შეეხებოდა. საკმარისი იყო, მაშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეთქვა, რომ კონომიკური ზრდა 6% არ იქნებოდა (3% იყო) და მას ათასგვარ ქმედებაში დაადანაშაულებდნენ. მაშინ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელს დასდეს ბრალი საბოტაჟში და ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართ ქმედებაში და ეროვნული ბანკიც დაჰყვა ამ ზეწოლას. მაშინ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები იყო, მერე საპრეზიდენტო და მას რეზერვების ხარჯვაზე უარის თქმა ხელისუფლების წინააღმდეგ საბოტაჟში რომ არ ჩათვლოდა, დაჰყვა ამ პოლიტიკურ ზეწოლებს და 470 მილიონით გაამყარა ლარი. არ უნდა გაემყარებინა. ლარი მაშინ უნდა დევალვირებულიყო გარკვეულ ჩარჩოებამდე, რომ დევალვაციის ასეთი სურათი ახლა არ ყოფილიყო.

– ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება და პრივატიზაციის გააქტიურება, რამდენად უშველის გაუფასურებულ ლარს? ემხრობით თუ არა მთავრობის მიერ აღებულ კურსს, თქვენც მოუწოდებთ ხელისუფლებას, რომ რეგულაციები შემცირეს, რაც აღნიშნეთ კიდეც ზემოთ, და გადასახადები შემცირდეს?

– პრივატიზაციის გააქტიურება სწორი გადაწყვეტილებაა. მე მთელი ორი წელი არ მესმოდა სიტყვა პრივატიზაცია. ველოდებოდი, რომ მთავრობა ამ პროცესს დაიწყებდა, მან კიდევ უფრო მეტი უნდა გაყიდოს. უამრავი ქონება აქვს მთავრობას, იგივე საპარტნიორო ფონდმა გააკეთა სასტუმრო ლიკანში, რომლის ნახევარიც მთავრობას ეკუთვნის, უნდა გაყიდოს აუცილებლად. აქვს, ასევე, თბოელექტროსადგურიც. საპარტნიორო ფონდის საწარმოები არის ჯანსაღი სახელმწიფო აქტივი, რომელსაც მყიდველი გამოუჩნდება.

– გადასახადების შემცირების მოთხოვნასთან მიმართებაში თქვენ რა აზრის ხართ?

– პრივატიზაციის დაჩქარების პოლიტიკა არის სწორი, მაგრამ რაც შეეხება სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, რომელიც თურმე კადრებსა და ხელფასებს არ უნდა შეეხოს, ნურას უკაცრავად. ეს უნდა შეეხოს ყველას, მეგობრებს, ნათესავებს და აპარტიული ნიშნით დასაქმებულ ადამიანებს, რომლებისთვისაც უამრავი საშტატო ერთეული შეიქმნა. ბიუჯეტის ხარჯი ამ მიმართულებით უნდა შემცირდეს, სულ მცირე, 25%-ით. და სწორედ სახელმწიფო მმართველობის გაჯანსაღების მიმართულებით უნდა მოხდეს სერიოზული ცვლილება და ბიუჯეტის ხარჯი უნდა დაახლოებით 300-400 მილიონი ლარით შემცირდეს. აი, მაშინ გაჯანსაღდება ვითარება და გაჯანსაღდება ლარი.

ირაკლი ლექვინაძე, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში:

– რა მოხდა, ბატონო ირაკლი, რა არის მთავრობის კონკრეტული შეცდომები, რომლებმაც ხელი შეუწყო ლარის გაუფასურებას?

– მარეგულირებელი კანონმდებლობა, მიწის მორატორიუმი, სავიზო რეგულაციები, რომელიც გასწორდა, მაგრამ დრო დაიკარგა და დღესაც არის მცდელობა. იგივე შრომის ინსპექციის შექმნა, შრომითი მიგრაციის კანონმდებლობა – ეს ინვესტორისთვის ცუდი სიგნალის მატარებელია.

– კონკრეტულად რაში გამოიხატება შრომის ინსპექციის არსებობის უარყოფითი ეფექტი?

– ეს არის ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივაა, რომელსაც სურს, მონიტორინგი გაუწიოს დასაქმებულების უფლებებს, მაგრამ ეს ნებისმიერი ბიზნესისთვის არასასურველი თემაა, ამიტომ ასეთი ტიპის კანონმდებლობები აუცილებლად უნდა გავწიოთ გვერდზე და ეს თითქოს კეთილი მიზნებით დაწესებული შეზღუდვები არ იძლევა კონკრეტულ შედეგს.

– თუმცაღა მმართველი გუნდიდან სულ ისმის ამაზე პასუხი, რომ ეს კონკრეტული რეგულაციები ვერ მოახდენდა ლარის დევალვაციაზე ძლიერ ზეგავლენას.

– რა თქმა უნდა, ამის გარეშეც ის მოხდებოდა, რაც მოხდა. მანდ დიდი წილია საგარეო ფაქტორის, მარტო ჩვენთან რომ ხდებოდეს, რაც ხდება, კი ბატონო, მაშინ შეიძლებოდა ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის პასუხისმგებლობის საკითხი დასმულიყო, მაგრამ ახლა იგივე ხდება სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქეთში. უკრაინასა და რუსეთში, თითქმის 33%-ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტები დოლართან მიმართებაში.

– გარდა საგარეო ფაქტორებისა, რა საშინაო ფაქტორები იყო, რაზეც შეიძლებოდა ცოტა უფრო ადრე გვეფიქრა, იგივე ინვესტიციის შემოდინებაზე ზრუნვის გააქტიურება და ა.შ.

– საინვესტიციო პროექტების დაჩქარება მართლაც შეიძლებოდა, იგივე ჰესების პროექტების, იგივე მშენებლობის პროექტების, იგივე პანორამაზე ერთი ამბავია. სწრაფი და გაბედული გადაწყვეტილებები თუ გვინდა, საჭიროა შედეგი დავდოთ. ყოველთვის იქნება ვიღაც, ვინც გამოვა, ზოგი პოლიტიკური მიზნით, ზოგი აჟიტირებული, ზოგი ვიღაცის ინტერესებით, რომელიც ასეთ კურსს შეეწინააღმდეგება, მაგრამ ხელისუფლება იმიტომ არის, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები სწრაფად მიიღოს.

– პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, თუმცა რამდენად საკმარისია ბიზნესთან შეხვედრა, ბანკებთან კონსულტაციები, გრძელვადიან პერსპექტივაში რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ?

– ძალიან კარგი მოხდა, ამას ვსაუბრობდით ჩვენ დიდხანს. ორი მინისტრის შეხვედრა ბიზნესთან და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბანკებთან. ამან მისცა ძალიან კარგი სიგნალი ბაზარს და გუშინ და დღეს კლების დინამიკაა ბაზარზე. ანუ აჟიოტაჟური სიგნალები მოიხსნა, ასეთი ტიპის კომუნიკაცია უნდა გაგრძელდეს. აჟიტირების ნაწილი, რაც წინა კვირაში იყო, უნდა გამოირიცხოს.

– იყო მცდელობები გადინებების, როცა რეგიონის სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობა აქ დოლარს ყიდულობდა მასიურად, ამანც იქონია გავლენა...

– იმიტომაც ავიდა დოლარი 1 და 32-ზე იმ დღეებში. პრივატიზაცია კარგია, რასაც აკეთებენ და კიდევ უნდა გააგრძელონ ეს კურსი. საინვესტიციო აქტივობა, მზა პროექტების დაჩქარება, რომელიც არსებობს. და ახალი პროექტების ჩაშვება, რაც შეიძლება სწრაფად.

– იყო თუ არა შანსი, ხელისუფლებას ასეთი მძიმე შედეგი თავიდან აერიდებინა?

– შეიძლებოდა, ოდნავ შეერბილებინა, მაგრამ დევალვაციის პროცესს თავს ვერ აარიდებდა. ეს გარდაუვალი იყო, რადგან გარე ფაქტორებს გვერდს ვერ ავუვლიდით. მაგალითად, გზავნილებს ჩვენ ვერაფერს ვუზამდით. რაც არ უნდა მოვიმოქმედოთ გრძელვადიან პერსპექტივაში, იმპორტს ექსპორტით ვერ ჩავანაცვლებთ, ამიტომ უნდა მოხდეს კომპენსირება ინვესტიციებით.

ემზარ ჯგერენაია, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში:

– იმის თქმა, რომ, რაც საქართველოში ხდება, ერთი ადამიანის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრალია, მარტივი და არასწორია. სამწუხაროდ, ლარი არის ჩვენი ქვეყნის მიმდინარე ბალანსზე არსებული სიტუაციის სუფთა ასლი. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ეკონომიკური შედეგების ბრალია და უფრო რთულია, ვიდრე ერთი კაცისთვის დაბრალება. ექსპორტის მინუსი, ტრანსფერების მინუსი, ეკონომიკური ზრდის დაბალი დონე – ეს არის შიდა ფაქტორები, ასევე ომი უკრაინასა და რუსეთში და ჩვენს პარტნიორებთან არსებული სიტუაციები. თუმცა ეკონომიკურ გუნდს უფრო მეტი უნდა გაეკეთებინა, მაგრამ, მეორე მხრივ, საგარეო ფაქტორებში ჩვენი გუნდი ვერ ჩაერევა, ვერც ევროპის ეკონომიკას გავაუმჯობესებთ, ვერც რუსეთს შევუმცირებთ სანქციებს და ვერც უკრაინის ომს მოვრჩებით. ეს ფაქტორები არსებობს და ჩვენ მხოლოდ ინვესტიციების მოზიდვაზე შეგვიძლია ფიქრი. სწორედ ამაში ვართ პრობლემატურები. ხელი უნდა შევუწყოთ ინვესტორებს და სხვადასხვა ბარიერები არ შევუქმნათ. ჩემი პირველი რჩევაა, მოვიზიდოთ ინვესტიციები. მეორე რჩევაა, მოვიზიდოთ ინვესტიციები და მესამე რჩევაა, მოვიზიდოთ ინვესტიციები.

„ქვეყნის შეცვლილი ეკონომიკა, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა მზად არ აღმოჩნდა გარე შოკების თავიდან ასაცილებლად“

„სამწუხაროდ, ლარი არის ჩვენი ქვეყნის მიმდინარე ბალანსზე არსებული სიტუაციის სუფთა ასლი“

„დიდი წილია საგარეო ფაქტორის, მარტო ჩვენთან რომ ხდებოდეს, რაც ხდება, კი ბატონო, მაშინ შეიძლებოდა ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის პასუხისმგებლობის საკითხი დასმულიყო, მაგრამ ახლა იგივე ხდება სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქეთში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ტოვებს თუ არა საქართველოს ღია ცის პოლიტიკა ღია ცის ქვეშ 600-მდე ადამიანს

ლელა წიკლაური

რა საფრთხეებს შეიცავს რუსებისთვის გახსნილი ქართული ცა

რას ნიშნავს ღია ცის პოლიტიკა ჩვენთვის და რას საერთაშორისო საზოგადოებისთვის. საქართველოს ხელისუფლება საქართველოს ავიაბაზარს, ერთი მხრივ, ხსნის, მეორე მხრივ კი კეტავს. დღეს ქართული ბაზრის 91% უცხოურ ავიაკომპანიებს უჭირავს. ეროვნულ ავიაკომპანია „აირზენას“ კი – დანარჩენი 9%. ბოლო დროის გახმაურებულ თემებს შორის „ჯორჯიან ეარვეისის“ ყოფნა-არყოფნის საკითხი მსჯელობისა და მეტიც, მწვავე დებატების საგანი გახდა. დაპირისპირების თემა რუსული აეროფლოტის გამოჩენა და ფრენების სიხშირე იყო. „აირზენას“ თანამშრომლები პერმანენტულ აქციებსაც კი მართავდნენ და მთავრობას პარიტეტის დაცვისკენ მოუწოდებდნენ. მთავრობამ პარიტეტი დაიცვა და თან ისე დაიცვა, რომ ქვეყანაში არსებული ერთადერთი ეროვნული ავიაკომპანია ამიერიდან თბილისი-მოსკოვის მიმართულებით ცარიელი ავიალაინერით, ან საერთოდ ვეღარ იფრენს. მაგრამ, მეორე მხრივ, ვერაფერს იტყვი, ღია ცის პოლიტიკა ღია ცის პოლიტიკაა და ბაზარზე ახალი ავიაკომპანიის შემოსვლაზე უარს ვერავის ეტყვი.

ვინ აიძულებს ეროვნულ კომპანიას ქართული ბაზრის დატოვებას და ვისი ფულით ამდიდრებენ რუსულ „აეროფლოტს“

თუ კომპანია „აირზენა“ ბაზარს დატოვებს ან გაკოტრდება, მაშინ 600-მდე თანამშრომელი უსამსახურო რჩება

თავის დროზე რუსულ „აეროფლოტთან“ მოლაპარაკების შემდეგ ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გამოვიდა და ავიაკომპანია „აირზენა“ ძვირი საფასო პოლიტიკის გამო დატუქსა. თქვა, რომ კომპანიას ავიაბილეთებზე მაღალი ფასი აქვს და ქართულ ბაზარზე ახალი ავიაკომპანიის შემოყვანით ავიაბილეთების ფასის გაიაფებაზე ზრუნავს. ეკონომიკის მინისტრმა იზრუნა და ახლა ყველა ავიაკომპანიას, მათ შორის ავიაკომპანია „აეროფლოტსაც“ ორ გზაზე თბილისი-მოსკოვი-თბილისის მიმართულებით ერთი და იგივე ფასი – 260 ევრო აქვს, არადა რამდენიმე კვირა რუსული „აეროფლოტი“ მგზავრების მოსაზიდად დემპინგურ ფასად 50 ევროდ დაფრინავდა, რისთვისაც ის არავის დაუსჯია.

მთავრობამ პარიტეტი დაიცვა, ერთი შეხედვით თავის გასამართლებელი არგუმენტიც აქვს, რადგან რუსულ აეროფლოტსა და ქართულ „აირზენას“ კვირაში თანაბარი სიხშირით ფრენის საშუალება მისცა. პარიტეტი დაცულია 18/18 ზე. ანუ ორივე კომპანიამ კვირაში 18-18-ჯერ უნდა განახორციელონ ფრენა და ამ გადაწყვეტილებით ეკონომიკის სამინისტრომ ეროვნული ავიაკომპანია რეისიდან თბილისი-მოსკოვის მიმართულებიდან, ფაქტობრივად, ჩახსნა.

18/18-ზე სიხშირე ნიშნავს იმას, რომ ავიაკომპანიებმა დღეში თბილისი-მოსკოვის მიმართულებით მაქსიმუმ 5-5 რეისი უნდა განახორციელონ. ამ რეისით ძირითადად რუსეთის მოქალაქეები სარგებლობენ და, ბუნებრივია, ისინი ნაციონალურ ავიაკომპანიას ამჯობინებენ. მათ ქართული ავიაკომპანიით ფრენას ვერ აიძულებ, ვერ აიძულებ ვერც საქართველოს ბიუჯეტის გამდიდრებაზე ზრუნვას. ასე რომ, 1:0 რუსული „აეროფლოტის“ სასარგებლოდ – მგზავრთა დიდი ნაკადი „აეროფლოტს“ დარჩა. თავიდან არავინ დაუშალა რუსულ „აეროფლოტს“ ბაზარზე დემპინგური ფასით შემოსვლა. რუსულმა სახელმწიფო კომპანიამ, რომელსაც, ფაქტობრივად, რუსეთის ფედერაციის ხაზინა არჩენს, ფრენა 50 ევროდ დაიწყო. დემპინგური ფასით მგზავრები გადაიბირა და შემდეგ ავიაბილეთი, როგორც მოსალოდნელი იყო, გააძვირა კიდეც. ესეც 2:0 რუსული „აეროფლოტის სასარგებლოდ“. ასე რომ, მოგებული ჩრდილოელი მეზობელია. რა მოვიგეთ ჩვენ, გასარკვევია...

მოდით, მივყვეთ ლოგიკას. თუკი ხელისუფლება მოქალაქეების ჯიბეზე ზრუნავს, რატომ არ შეინარჩუნა რუსულმა „აეროფლოტმა“ ავიაბილეთის იაფი ფასი (50 ევრო)?, თუკი ხელისუფლებამ სამართლიანად გადაანაწილა სიხშირეები ქართულ და რუსულ ავიაკომპანიებს შორის, მაშინ როგორ შეძლო რუსულმა „აეროფლოტმა“, ბაზარზე შემოსვლისთანავე დაბალი ფასით გადაებირებინა მგზავრთა ნაკადის უმეტესი ნაწილი. თბილისი-მოსკოვი-თბილისის რეისით დღეღამის განმავლობაში 250-მდე მგზავრი დაფრინავს. თუკი მათი უმეტესობა „აეროფლოტის“ მომსახურებით ისარგებლებს და ქართულ „აირზენას“ ნახევრად ცარიელი ავიალაინერით მგზავრობა მოუწევს, ის იძულებული გახდება, ხარჯების ასანაზღაურებლად ან ფასი აწიოს, რაც გაუმართლებელია, ან ბაზარი დატოვოს. სად არის აქაც ლოგიკა, ვის ვუხურავთ და ვის ვუხსნით ქართულ ცას? რასაკვირველია, დაისმება კითხვა: თუ ფასები ყველა კომპანიას ერთი და იგივე აქვს, მაშინ სერვისით გაუწიონ ერთმანეთს კონკურენციაო, მაგრამ აქაც ერთი მთავარი საკითხია, როგორც ზემოთ ვთქვით, ადამიანების, რომლებიც თბილისი-მოსკოვის რეისით სარგებლობენ, უმეტესობა რუსეთის მოქალაქეა და ისინი მგზავრობას „აეროფლოტით“ ამჯობინებენ. ასე რომ, თითქმის გამოუვალი მდგომარეობაა. ერთი ხელით ვირჩევთ ნატოს, მეორე ხელით კი ქართულ ცას ვუხსნით რუსულ „აეროფლოტს“. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ თუკი ქართულმა „აირზენამ“ მართლაც გადაწყვიტა ქართული ბაზრის დატოვება, ღმერთმა ნუ ქნას და ფორსმაჟორულ სიტუაციაში (არ მინდა, მაინცდამაინც საომარი მოქმედებები ვიგულისხმო) რომელ ავიაკომპანიას გამოიყენებს სახელმწიფო ინტერესებისთვის მთავრობა – რუსულ „აეროფლოტს“, თურქულ, ირანულ, ყაზახურ თუ ევროპულ ავიაკომპანიებს? ეს, უბრალოდ, კითხვა გაჩნდა.

თუ კომპანია „აირზენა“ ბაზარს დატოვებს ან გაკოტრდება, მაშინ 600-მდე თანამშრომელი უსამსახუროდ რჩება. რას გვავალდებულებს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რას გვავალდებულებს „იკაო“, რომელიც საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციაა. რას ამბობენ საქართველოს მფრინავთა ასოციაციაში.

მფრინავთა ასოციაციის პრეზიდენტი ალბერტ ნურბეკიანი სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, იგივე „იკაოს“ იმ ნორმებზე ამახვილებს ყურადღებას, სადაც სახელმწიფოს მხრიდან ავიაკომპანიებზე მზრუნველობის ვალდებულებაზეა საუბარი. ის ქართულ ავიაციაში შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობას ეკონომიკის სამინიტროს აკისრებს.

„ეროვნული ავიაციის განვითარება სახელმწიფოს მოვალეობაა. ეკონომიკის მინისტრმა ელემენტარული წესები არ იცის, არც მისმა მოადგილეებმა. ისინი თავისი უვიცობით ჩვენს ავიაციას ანადგურებენ. ნებისმიერმა სახელმწიფომ ნაციონალური ავიაკომპანიების დასაცავად ქმედითი მექანიზმი უნდა შექმნას. ყველა განვითარებულ ქვეყანაში ასეთი წესია, ჩვენთან კი „აირზენას“ ხელოვნურად ჩაძირვა სურთ. უნდა მოვუფრთხილდეთ იმ კომპანიას, სადაც 600-მდე ადამიანი მუშაობს. ჩვენი ავიაციის პირველი მტერი ეკონომიკის სამინისტროა, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს არა მარტო საზოგადოება, არამედ ქვეყნის ხელისუფლებაც“.

ეკონომიკის მინისტრს რუსული ავიაკომპანიების ლობირებაში ადანაშაულებს კომპანია „აირზენას“ გენერალური დირექტორი. ქვეყანაში ორივე ორი რუსული ავიაკომპანია, „სიბირი“ და „აეროფლოტი“, დაფრინავს. როგორ გაუწევს კონკურენციას ქართული „აირზენა“ მათ და აქვს თუ არა შანსი ეროვნულ ავიაკომპანიას, ბილეთის ფასი გააიაფოს. კომპანია „აირზენას“ გენერალური დირექტორი იასე ზაუტაშვილი „business time“-თან ავიაბილეთის საფასო პოლიტიკაზე საუბროს. ის ამბობს, რომ, თუ კომპანია დოტაციაზე არ არის, ავიაბილეთის იმაზე მეტად გაიაფება, რაც ახლა ღირს, უბრალოდ, შეუძლებელია.

„მოდით, კონკრეტულად განვიხილოთ ავიაბილეთის ფასის შემადგენელი კომპონენტები, თუნდაც თბილისი-მოსკოვის რეისის მაგალითზე. პირველი შემადგენელი ნაწილი ეს არის ავიასაწვავი, რომელიც ფასის 33%-ს შეადგენს. მეორე შემადგენელი ნაწილია ლიზინგისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რომელიც ავიაბილეთის ღირებულების 21%-ია. დაზღვევის ხარჯი 3%. აეროპორტის მომსახურების გადასახადები და ე.წ. „ტაქსები“ 22%-ს შეადგენს, აქ გასათვალისწინებელია 22 დოლარი, რომელიც დაუბეგრავად მიაქვს „ტავურბანს“ თავის ბიუჯეტში. ეკიპაჟის ხარჯები – 1%, საწარმოო ხარჯები, რომელიც ყველა ავიაკომპანიას აქვს, – 10%. დაბოლოს, რენტაბელობა, ანუ კომპანიის მოგება, რომელიც 10%-ია. ხედავთ, რომ 70%-ზე მეტი არის ის ხარჯები, რომელსაც ავიაბილეთის ღირებულება მოიცავს. აქედან გამომდინარე, თუ ვინმე გვეტყვის, როგორ ვიფრინოთ კონკრეტულად ამ რეისის თუნდაც ერთი მიმართულებით 57 ევროდ, მაშინ მადლიერები ვიქნებით, ამიტომ ჩვენ ხელისუფლებას ვთხოვთ, დავაწესოთ ის ქვედა ზღვარი, რომლის ქვემოთაც თვითღირებულებაზე ნაკლებად გაყიდული ავიაბილეთი ჩაითვლება დემპინგურად და დაუშვებელი იქნება. ასევე, დავაწესოთ ზედა ზღვარი და ამ შემთხვევაში ამის საშუალებას იძლევა საერთაშორისო ხელშეკრულებაც, რომ ბაზარზე რეგულაციის პრინციპი იქნას შენარჩუნებული და იყოს ჯანსაღი კონკურენცია“.

რუსული „აეროფლოტის“ შემოსვლისთანავე რუსულ მედიაში გაჩნდა სტატიები სათაურებით: „საქართველოს ხელისუფლება რუსეთის მხარესაა“. წერდა „ვესტნიკი“. ტოვებს თუ არა ღია ცის პოლიტიკა ღია ცის ქვეშ 600-მდე ადამიანს? რა მოხდება, თუკი ბაზრიდან ეროვნული ავიაკომპანია „აირზენა“ გავა? ამას, ალბათ, მაშინ გავაცნობიერებთ, როცა შედეგები დადგება.

იასე ზაუტაშვილი: „ჩვენ ხელისუფლებას ვთხოვთ, დავაწესოთ ის ქვედა ზღვარი, რომლის ქვემოთაც თვითღირებულებაზე ნაკლებად გაყიდული ავიაბილეთი ჩაითვლება დემპინგურად და დაუშვებელი იქნება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჯოზეფ ლიბა - არსებობს დიდი პროგრესი და ეს დამაკმაყოფილებელია

მაგდა კლდიაშვილი

გადამწყვეტ ფაზაში შედის თბილისის 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თამაშებისთვის მზადების პროცესი. გასულ კვირას, „თბილისი 2015“ წლის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა, ალექსი ახვლედიანმა ევროპის ოლიმპიური კომიტეტის საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარესთან, ჯოზეფ ლიბასთან ერთად, სპორტული ობიექტების ინსპექტირება ჩაატარა, შემდეგ კი პრესკონფერენცია გამართა საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში. გარდა ამ შეხვედრისა, 26 თებერვალს, „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტმა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიც გააფორმა.

ლიბას შეფასებით, კომიტეტის წინა ვიზიტთან შედარებით ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ობიექტებზე პროგრესი შეინიშნება. როგორც ევროპის ოლიმპიური კომიტეტის საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, წინსვლა აღინიშნება, როგორც სპორტსმენთა სოფლის მშენებლობის თვალსაზრისით, ასევე სპორტული ობიექტების კუთხითაც.

ჯოზეფ ლიბა:

„დღეს ჩვენ დავასრულეთ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ობიექტების ინსპექტირება. მდგომარეობა შევამოწმეთ, თუ რამდენად მზად იქნებიან ივლისის ბოლოსთვის ფესტივალის ჩასატარებლად. დიდი პროგრესი შეიმჩნევა წინა ვიზიტის შემდეგ. წინსვლა აღინიშნება, როგორც სპორტსმენთა სოფლის მშენებლობის თვალსაზრისით, ასევე სპორტული ობიექტების კუთხითაც. ბოლო ინსპექტირების დროს გარკვეული პრობლემები არსებობდა ხელბურთისა და ცურვის სპორტულ ბაზებთან დაკავშირებით, მაგრამ დღეს დავინახე, რომ არსებობს დიდი პროგრესი და ეს დამაკმაყოფილებელია“, - განაცხადა ევროპის ოლიმპიური საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარემ, ჯოზეფ ლიბამ.

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის, „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, ალექსი ახვლედიანის თქმით, სადამკვირვებლო მისია დარწმუნდა, რომ ახალგაზრდულ ფესტივალს თბილისში საფრთხე არ შეექმნება.

„ღონისძიების წინ, ფაქტობრივად, ეს არის ბოლო ინსპექტირება. როგორც ჩვენმა სადამკვირვებლო მისიის წევრებმა განაცხადეს, ყველა სამუშაო, იქნება ეს ინფრასტრუქტურული, თუ საორგანიზაციო საკითხები, მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკით, უფრო მეტიც, ჩვენ ბევრ ინფრასტრუქტურულ ნაწილში წინსწრებაც კი გვაქვს. სადამკვირვებლო მისია კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ არანაირი საფრთხე არ შეიქმნება და თბილისში იქნება ერთ-ერთი უმაღლესი და საუკეთესო ოლიმპიური ფესტივალი“, - განაცხადა ალექსი ახვლედიანმა.

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტსა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი 26 თებერვალს გაფორმდა.

შესაბამის დოკუმენტებს ხელი თბილისი 2015-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსი ახვლედიანმა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა მამუკა თავხელიძემ მოაწერეს.

მემორანდუმი თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებებით ითვალისწინებს: ერთობლივი სტრატეგიის შემუშავება, რომლის ფარგლებში სპეციალური პროექტები და კამპანიები დაიგეგმება, რომელიც ხელს შეუწყობს მოხალისეთა მოტივაციის ამაღლებას და მათი აქტივობის პოპულარიზაციას. ასევე, საორგანიზაციო კომიტეტის მიერ სტუდენტებისთვის განკუთვნილ საერთო ტრენინგებისთვის და საინფორმაციო ტიპის შეხვედრებისთვის

„სადამკვირვებლო მისია კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ არანაირი საფრთხე არ შეიქმნება და თბილისში იქნება ერთ-ერთი უმაღლესი და საუკეთესო ოლიმპიური ფესტივალი“

უნივერსიტეტი შესაბამის აუდიტორიებს და სხვა საჭირო ინვენტარს გამოყოფს.

მემორანდუმის ფარგლებში უნივერსიტეტის სტუდენტები ოფიციალურად გახდნენ ოლიმპიური ფესტივალის მხარდამჭერები და მოხალისეების რანგში აქტიურად ჩაერთვებიან ფესტივალის საორგანიზაციო საკითხებში.

„ეს დღე ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ამ მემორანდუმით მოხდა ახალგაზრდების მენტალობის გარდატეხა, მე მიხარია, რომ ეს დოკუმენტი არ ფორმდება ძალდატანებით, აქ არის გამოხატული სტუდენტთა კეთილი ნება“, - განაცხადა მამუკა თავხელიძემ.

ჟურნალისტებთან ინტერვიუში ალექსი ახვლედიანმა მადლობა გადაუხადა სტუდენტებს გამოჩენილი ინიციატივისთვის და თანამშრომლობისთვის და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სწორედ მოხალისეები წარმოადგენენ ფესტივალის ჩატარებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს.

ხელმოწერის მერე გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის რექტორმა მამუკა თავხელიძემ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, ალექსი ახვლედიანს და მედიის წარმომადგენლებს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული აუდიტორიები დაათვალიერებინა, რომელიც უმაღლესი სტანდარტების მიხედვითაა მოწყობილი.

„ეს დღე ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ამ მემორანდუმით მოხდა ახალგაზრდების მენტალობის გარდატეხა, მე მიხარია, რომ ეს დოკუმენტი არ ფორმდება ძალდატანებით, აქ არის გამოხატული სტუდენტთა კეთილი ნება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარგველაშვილის უარი ნაციონალებს

ნაციონალებმა კულუარული ვაჭრობა წააგეს

ქეთი ხატიაშვილი

„ნაციონალური მოძრაობა“ მთავარი ოპოზიციური ძალაა. ის ყველაზე ორგანიზებულია და რეგიონებში პოლიტიკური ქსელიც აქვს. თუმცა, ბოლო მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პოლიტიკურ ვაჭრობაში ის შეიძლება ბანკროტადაც გამოცხადდეს. ანუ ის კულისებში ვაჭრობისთვის მიმზიდველ „პარტნიორად“ აღარ ითვლება. ნაციონალებმა კულისებში უკვე ორჯერ წააგეს.

პირველად მაშინ, როცა კულისებში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტისთვის დიდი პოლიტიკური ვაჭრობა მიმდინარეობდა. კონფიდენციალური წყაროს ცნობით, გიორგი მარგველაშვილს დახურული შეხვედრები ნაციონალების წარმომადგენლებთანაც კი ჰქონდა. ამბობენ, რომ მათ შორის თავად კოტე კუბლაშვილთანაც. ელოდებოდნენ, რომ კანდიდატი, რომელსაც პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან პარლამენტს წარუდგენდნენ, სწორედ ნაციონალებთან იქნებოდა შეთანხმებული. და ეს არ იქნებოდა პოლიტიკური ფიგურა.

თუმცა, საბოლოოდ, პირველ რიგში, სწორედ ნაციონალებისთვის მოულოდნელად გიორგი მარგველაშვილმა ნინო გვენეტაძის კანდიდატურა წამოაყენა.

მარგველაშვილმა, როგორც ჩანს, რესპუბლიკელებთან არჩია გარიგება. ნინო გვენეტაძე სწორედ მათი დალობირებულია. პრეზიდენტის განმარტების მიხედვით, ის დღემდე „რესპუბლიკური პარტიის“ წევრია. წარდგენის დროს მარგველაშვილმა თქვა, რომ გვენეტაძეს პარტიის წევრობა შეჩერებული აქვს. რაც, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ის წევრია, თუმცა პარტიაში განგვიმარტეს, რომ გვენეტაძემ პარტიის რიგები დატოვა.

პრეზიდენტმა არა მხოლოდ ნაციონალებთან კულუარული შეთანხმებები დაარღვია, არამედ ის საყოველთაო შეთანხმებაც, რომელსაც უკვე ღია კონსულტაციების შედეგად მიაღწიეს – არ დაესახელებინა პოლიტიკასთან ასოცირებული ფიგურაც კი, არათუ პარტიული.

ვაჭრობის მეორე თემა, რომელიც, ასევე, კულისებში მიდიოდა, და ჩაიშალა, საგანგებო სხდომის დანიშვნა იყო, რომელიც ნაციონალებთან ერთად თავისუფალმა დემოკრატებმაც მოთხოვეს. ნაციონალებმა დისტანციური განცხადებები გააკეთეს და მარგველაშვილს ეკონომიკური კრიზისის ფონზე რიგგარეშე სხდომის დანიშვნისკენ მოუწოდეს, ირაკლი ალასანია კი საპარლამენტო ფრაქციასთან ერთად ეწვია მარგველაშვილს და სხდომის დანიშვნა სთხოვა.

პრეზიდენტმა შემდეგ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მოითხოვა შეხვედრა. როგორც ჩანს, პოლიტიკურ ვაჭრობაში პრეზიდენტიც კარგად გათვითცნობიერდა. მან მიიღო ოპოზიციის წარმომადგენელი, რაც მესიჯი იყო მთავრობისთვის, თუ საგანგებო სხდომა არ გინდათ, მეწვიეთო. ჰოდა, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრები ეწვივნენ. თუმცა, ეს სულაც არ იყო კონსტიტუციურად მისი ფუნქცია. მაგრამ კრიზისის ფონზე პოლიტიკური დივიდენდები მარგველაშვილმაც სარფიანად ჩაიწერა. მინისტრების მიღების შემდეგ პრეზიდენტმა არჩევანი ხელისუფლების „სასარგებლოდ“ გააკეთა და თქვა, რომ საგანგებო სხდომის ჩანიშვნის აუცილებლობას ვერ ხედავს.

– მე დღეს შევხვდი ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლებს, რომლებიც, ისევე, როგორც სხვა დეპუტატები, სრულიად ლეგიტიმურად არიან დაინტერესებულნი, რანაირად დაიძლევა ის სირთულეები, რომელიც ამ ბოლო დროს ჩვენს სავალუტო კურსს დაუკავშირდა. მე ასევე შევხვდი მთავრობის ეკონომიკურ გუნდს, რომელმაც წარმომიდგინა სავალუტო სტაბილიზაციის მიმართულებით გასატარებელი ქმედებების ძირითადი მიმართულებები. ეკონომიკური გუნდის მინისტრები ახლა ინტენსიურად მუშაობენ სავალუტო ფონდის მისიასთან, რომელიც საქართველოში იმყოფება და უახლოეს მომავალში, სავარაუდოდ, სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტის დასრულებისთანავე, ქართველ საზოგადოებას წარმოუდგენენ სავალუტო სტაბილიზაციის მიმართულებით გასატარებელი მოკლე და საშუალოვადიანი ქმედებების გეგმას. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ჩვენ ამ ეტაპზე მთავრობის ეკონომიკურ გუნდს უნდა მივცეთ დრო, რათა ძალიან კონკრეტულად წარმოუდგინონ საზოგადოებას თავიანთი ხედვა არსებული სირთულეების დაძლევის მიმართულებით...

კულისებში ორჯერ წაგებული პოლიტიკური ვაჭრობის შემდეგ ნაციონალებმა მწვავე რეაქცია მისცეს. ისინი არც ნინო გვენეტაძეს დაუჭერენ მხარს, რაც სრულიად ბუნებრივია. პრეზიდენტს კი „უნებისყოფო“ უწოდეს.

გიგა ბოკერიას განმარტებით:

– მაშინ როცა ქვეყანა ეკონომიკური უფსკრულისკენ მიექანება, ივანიშვილის მთავრობა, საპარლამენტო უმრავლესობა და პრეზიდენტი თანხმდებიან იმაზე, რომ არ სურთ, პარლამენტმა იმსჯელოს ამ კრიზისიდან გამოყვანის გზაზე და იმ კონკრეტულ გეგმაზე, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს. ეს არის ამ პოლიტიკური გუნდის განაჩენი. ეს უპასუხისმგებლობა ნაწილდება ყველა ფიგურაზე – პირველ რიგში, ივანიშვილზე, მაგრამ ამ შემთხვევაში უნებისყოფო პრეზიდენტზე.

როგორც ჩანს, სიტყვა „უნებისყოფო“ იმის მაჩვენებელია, რომ მარგველაშვილი კულისებში ერთხელ უკვე მიღწეულ შეთანხმებას მოულოდნელად რადიკალურად ცვლის ხოლმე. ანუ არ გააჩნია ნებისყოფა, ბოლომდე დაიცვას შეთანხმება.

ასეა თუ ისე, მარგველაშვილი ერთხელ რესპუბლიკელებს გაურიგდა, მეორედ კი – ხელისუფლებას. ნაციონალები ვარაუდობენ, რომ პრეზიდენტი ხელისუფლებას გაურიგდა.

კულუარულ თამაშებში თამაშგარე მდგომარეობაში სწორედ ნაციონალები დარჩნენ. თავისუფალმა დემოკრატებმა როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაშიც მხარი მარგველაშვილის გადაწყვეტილებას დაუჭირეს. ასე, მაგალითად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ჰყავდათ საკუთარი კანდიდატურა, თუმცა, საბოლოოდ მათთვის გვენეტაძის კანდიდატურაც მისაღები აღმოჩნდა. და კიდევ, პრეზიდენტს პირადად სთხოვეს, რიგგარეშე სხდომა დანიშნეო, თუმცა, მარგველაშვილის შემდეგ ამის აუცილებლობაში თავადაც დაეჭვდნენ. ზურაბ აბაშიძემ პირდაპირ განაცხადა, რომ საგანგებო სხდომის გამართვის აუცილებლობა არ არსებობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უკრაინიდან ჩამოსულ ლტოლვილებს საქართველოში ფულს სძალევენ

მირიან ბოქოლიშვილი

აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის აგრესიის შემდეგ საკუთარი სახლ-კარის დატოვება უამრავ ადამიანს მოუწია. უკრაინიდან 500-მდე ლტოლვილი საქართველოში ჩამოვიდა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა გარკვეულწილად ადრეც დაკავშირებული იყო საქართველოსთან. ეს ადამიანები ახლა ლტოლვილის სტატუსის მოპოვებისთვის საჭირო პროცედურებს გადის, თუმცა ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე მათგანი დახმარების ნაცვლად თაღლითების მახეში გაეხვია. მათ შორის გახლავთ ნაროუშვილების ოჯახი, რომელიც ბოლო 30 წელი ლუგანსკის ოლქში ცხოვრობს და უკრაინის დატოვება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც რუსეთი აგრესიულ საბრძოლო მოქმედებებზე გადავიდა. მცირეწლოვანი ბავშვების სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დადგა, ამიტომაც ოჯახმა საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო. ცირა ნაროუშვილი უკრაინის მოქალაქეა და მას საქართველოში საცხოვრებელი არ გააჩნია. დახმარებისთვის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართა. სწორედ სამინისტროს ეზოში გაიცნო პიროვნება, რომელიც ნაროუშვილს სოზარ სუბარის სახელით საცხოვრებელ ბინას დაჰპირდა.

ვინ ითბობს ხელს ლტოლვილებისა და დევნილების ხარჯზე?

ცირა ნაროუშვილი, ლტოლვილი უკრაინიდან:

– ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში ვიყავი მისული, სადაც გავიცანი ვინმე ზაზა კახიანი. მან მითხრა, რომ პირადად იცნობს მინისტრს და შეუძლია ჩემი დახმარება ბინის საკითხზე. რა თქმა უნდა, გამიხარდა, ვიფიქრე, ჩემი მფარველი გამოჩნდა ვიღაცმეთქი. წამიყვანა სანზონაში, მაჩვენა კონკრეტული ბინა, რომელიც ვითომ ჩემთვის უნდა გადმოეცათ.

– დახმარების სანაცვლოდ რა მოითხოვა?

– საქმე რომ გაგიკეთო, 2000 დოლარი დაგიჯდებაო. ჩემს დასაც იგივე უთხრა, ოღონდ მას 3000 დოლარი მოსთხოვა. მარწმუნებდა, სოზარ სუბარი ჩემი ძალიან ახლობელია და ეს საქმე გაკეთდებაო. 1500 დოლარი გადავეცი და დარჩენილი თანხა მოგვიანებით უნდა მიმეცა.

– როგორ აღმოაჩინეთ, რომ თაღლითთან გქონდათ საქმე?

– დამიბარა სამინისტროში. მითხრა, ეზოში დამელოდე, მე სუბარს უნდა შევხვდეო. შევიდა შენობაში, მაგრამ მერე სად წავიდა, ან საიდან გავიდა, არ ვიცი. რამდენიმე საათი ველოდე. შემდეგ დაცვის ბიჭები დაინტერესდნენ ჩემი ამბით, საიდანაც გავიგე, რომ თავად ეს პიროვნებაც დევნილი ყოფილა, ხშირად დადის სამინისტროს ეზოში და არანაირი შეხება სოზარ სუბართან არ აქვს. მაშინვე საქმის კურსში ჩავაყენე შესაბამისი უწყება და მინდა თქვენი საშუალებით მადლობა გადავუხადო ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსს, ზვიად ლათიბაშვილს. მან გულთან ახლოს მიიტანა ჩემი პრობლემა და რომ არა მისი ძალისხმევა, იმ 1500 დოლარის დაბრუნებას ვერ მოვახერხებდი. საბოლოოდ ეს თაღლითი დააკავეს.

ინფორმაცია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროშიც გადავამოწმეთ, სადაც განმარტეს:

„უკრაინის მოქალაქე ცირა ნარუაშვილს თბილისში ბინის გადაცემის სანაცვლოდ აფხაზეთიდან დევნილმა ზაზა კახიანმა თაღლითური გზით გამოსძალა 1500 აშშ დოლარი. აღნიშნული პიროვნება მხილებული იქნა სამინისტროს აუდიტის დეპარტამენტისა და შსს-ს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლების მიერ. ზაზა კახიანი მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაზარალებულ მოქალაქეს სრულად დაუბრუნდა კუთვნილი თანხა“.

სუბარის უწყებამ არაერთი საქმე გაგზავნა პროკურატურაში – ყალბი მიღება-ჩაბარების აქტები, მრავალჯერადად გაცემული ბინები და კომპენსაციები

ჩვენ სოზარ სუბარის უწყებიდან ასევე გამოვითხოვეთ ინფორმაცია გამოძალვისა და დახმარებების უკანონო განაწილების სხვა შემთხვევებზეც.

მიღებული პასუხით ირკვევა, რომ სამინისტროს მაღალჩინოსანმა ბინის გადაცემის სანაცვლოდ პიროვნებას, ქრთამის სახით, 2000 ლარი გამოსძალა.

„ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებული იქნა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსი მერაბ გოგსაძე, რომელმაც ბინის გადაცემის სანაცვლოდ პიროვნებას 2000 ლარი გამოსძალა“.

სამინისტროდან მიღებული წერილით ირკვევა, რომ პროკურატურაში გადაგზავნილია მასალები რამდენიმე მუნიციპალიტეტში დახმარებების უკანონოდ გაცემის შესახებ, სადაც, სავარაუდოდ, ასევე ფინანსური დაინტერესება იკვეთება. მაგალითად, ახალგორისა და ერედვის მუნიციპალიტეტებში ერთჯერადი დახმარება კონკრეტულ ოჯახებზე რამდენჯერმეა გაცემული. ქურთის მუნიციპალიტეტის აუდიტის შედეგად კი იკვეთება, რომ „73 დევნილ ოჯახს დამატებით გადაეცა საცხოვრებელი ბინები ან ორჯერ გაიცა კომპენსაცია“.



„საქმე რომ გაგიკეთო, 2000 დოლარი დაგიჯდებაო. ჩემს დასაც იგივე უთხრა, ოღონდ მას 3000 დოლარი მოსთხოვა. მარწმუნებდა, სოზარ სუბარი ჩემი ძალიან ახლობელია და ეს საქმე გაკეთდებაო. 1500 დოლარი გადავეცი და დარჩენილი თანხა მოგვიანებით უნდა მიმეცა“

სუბარის უწყების ინფორმაციით, რამდენიმე მაღალჩინოსანი სწორედ დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო სამინისტროს ხელმძღვანელ თანამდებობებს ჩამოაშორეს და საქმე პროკურატურაში გადააგზავნეს. ამ შემთხვევაშიც, დოკუმენტაციის გაყალბების გზით, კონკრეტული პირების ფინანსური დაინტერესება იკვეთება.

„სამინისტროსა და შპს NBG-ს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების მიხედვით დევნილთა გრძელვადიანი განსახლების უზრუნველსაყოფად გარდაბნის რაიონში, ვაზიანის დასახლებაში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს გამოვლენილი დარღვევების გამო სამინისტროდან დათხოვნილ იქნენ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი ამირან გოგიძე, ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი გია ნაჭყებია, სამმართველოს უფროსი თეიმურაზ მაღალდაძე და მთავარი სპეციალისტი რატი სვანიძე. შიდა აუდიტის დასკვნის შედეგად გამოიკეთა, რომ ადგილი ჰქონდა შეუსრულებელ სამუშაოებზე სამინისტროს თანამშრომლებისა და შპს NBG-ს მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებასა და ამ აქტების გაყალბების შემთხვევებს. სისხლის სამართლის ნიშნების შემცველობის გამო დასკვნა შემდგომი რეაგირებისთვის მთავარ პროკურატურაში გადაიგზავნა“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლუკა კურტანიძის

my View
თამარ გონგაძე

ხათუნა მიქაცაძემ და ლუკა კურტანიძემ ერთმანეთი 2012 წლის პეტრე-პავლობას სუფრაზე გაიცნეს. სპორტსმენი მაშინვე მოხიბლულა ახალი ნაცნობით. ცოლთან უკვე ხუთი წლის გაყრილი ყოფილა. საერთო ენა ადვილად გამონახეს, ამაში ლაგოდეხიც დაეხმარათ, საიდანაც არის ხათუნა, ლუკას კი იქ სახლი აქვს. მალე ლუკა ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად დაინიშნა. ხათუნას დახმარება სთხოვა და ქალბატონმა ფედერაციაში საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის თანამდებობაც წარმატებით ჩაიბარა. ეს ხათუნას მრავალფეროვანი სამსახურებიდან ერთ-ერთია. ის „ზედაზენის“ საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი გახლავთ. განათლებით იურისტი 1997 წლიდან მუშაობს, აქვს მცირეხნიანი ჟურნალისტური წარსულიც, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის – ჩაჩავას პიარის ხელმძღვანელი იყო სამი წელი. მუშაობდა პარლამენტში საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის აპარატში, ფინანსთა სამინისტროში პრესასთან ურთიერთობის სამსახურში, ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯიაში“.

წელიწად-ნახევარია ლუკა და ხათუნა ერთად ცხოვრობენ. უფრო და უფრო დამოკიდებული ვხდები ლუკაზეო, რუბრიკა „მეორე ნახევრის“ რესპონდენტი ამბობს.

„იმდენად ბედნიერი ვარ, რომ მისი დამთავრების შიში მაქვს. წლების განმავლობაში მეშინოდა ხვალინდელი დღის. მექნებოდა თუ არა სამსახური, შევძლებდი თუ არა შვილებისთვის საჭმლის მიტანას. ხვალინდელი დღის აღარ მეშინია. მინდა ბევრი ხვალინდელი დღილა იყოს“

ხათუნა მიქაცაძე: იყო პერიოდი სამსახურზე ვიყავი მხოლოდ მომართული. მეორედ ოჯახის შექმნაზე არც ვფიქრობდი. პარალელურად ორი-სამი სამსახური მქონდა. ახლა, როდესაც ოჯახი და მეუღლე მყავს, სახლში საყვარელ ადამიანთან ერთად მეტი დროის გატარება მინდა. ამიტომ ჭიდაობის ფედერაციიდან უნდა წამოვიდე და მხოლოდ „ზედაზენში“ დავრჩები. დროის ნაკლებობა მე და ლუკას ყოველთვის გვქონდა. ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს უერთმანეთოდ რაც ვიცხოვრეთ, იმის შესახებ ბევრი რამ გვაქვს მოსაყოლი. ამისთვის დროა საჭირო.

– მოგვიყევით, რა მოხდა თქვენი და ლუკას გაცნობის შემდეგ? როგორ დაახლოვდით?

– საერთო ენა ადვილად გამოვნახეთ, მეორე შეხვედრისთვის უკვე იმაზე ვსაუბრობდით, რომ ჭიდაობის ფედერაციას ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში უნდა ემასპინძლა ევროპის ჩემპიონატისთვის. ლუკამ ორგანიზებაში დახმარება მთხოვა. მე და ანა დათიაშვილმა ჩემპიონატს ისეთი ორგანიზება გავუწიეთ, რომ ყველა იმაზე საუბრობს, ეს იყო ყველაზე საუკეთესო ევროპის ჩემპიონატი, რომელიც ჩატარებულაო. 2013 წლის მარტში დავინიშნე ფედერაციის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელად. მერე ნელ-ნელა აეწყო ჩვენი ურთიერთობა. შეიძლება სამსახურებრივი რომანი დაერქვას, თუმცა ბავშვობიდან არ მიყვარს ეს სახელი. ლუკა ამბობს, რომ გაცნობისთანავე გაუჩნდა სიმპათია. შეიძლება რთულად დასაჯერებელი იყოს, მაგრამ მე ძლიერი სქესისადმი ბარიერი მქონდა გაკეთებული. ორი შვილი მყავს, მეუღლე გარდაცვლილია და არც ვფიქრობდი ახალი ურთიერთობის დაწყებაზე. ლუკა კურტანიძე ის პიროვნებაა, რომელიც მხოლოდ სახელით და გვარით შეიძლება გიყვარდეს. იცი, რაც უკეთებია ქვეყნის სახელისთვის. ქუჩაში რომ მივდივართ, 15-წუთიან სავალ მანძილს საათში გავდივართ, ყოველ სამ მეტრში აჩერებენ. გერმანიაში ვიყავით, სადაც არავინ გცნობს და შენთვის ხარ. მატარებელში მოვიდა პოლიციის თანამშრომელი და ლუკას ავტოგრაფი სთხოვა. უყვებოდა, რა დონეზე უყვარდა და როგორი ფანია. ამას ვერ წარმოვიდგენდი. ლუკას ყველა უყვარს, მტერიც კი. ადამიანები, რომლებიც მტკენენ, მათ მიმართ მე პროტესტი მაქვს ხოლმე. ლუკას ეს პროტესტი არ აქვს. ძალიან მიმტევებელია. ეს იყო პირველი თვისება, რამაც მომხიბლა. მართლა ძალიან კეთილი და მიმტევებელი დევგმირია. ჭიდაობის ფედერაციაში ატეხილი ამბების დროს ლუკა დუმდა, არაფერს ამბობდა. შეცდომაში შეყვანილი ჩემი ძმაო, ასე ამბობს. ვერ წარმოიდგენია როგორ შეიძლება გულში ამხელა სიყვარულის დატევა. ამან გამაგიჟა...

„მინდა მისგან მიმტევებლობის სწავლა, მაგრამ, არ ვიცი როგორ გამომდის. მტერი არ მიყვარს, ლუკას უყვარს. მე ვერ ვარ ისეთი კარგი, როგორიც შენ ხარ-მეთქი“

– როგორ იქცეოდა?

– ლუკამ შეიძლება არაფერი გითხრას, უბრალოდ, შემოგხედოს და მის მზერაზე ორი ტომი დაწერო. რომანტიკოსია. იების კონას ისე მოგართმევს, ცამდე გაგაბედნიერებს. დათოვლილი მანქანის შუშაზე დაუწერია – მიყვარხარ, ხათო. ეს მისგან ვერ წარმომედგინა.

რომანტიკოსმა დევგმირმა ხათუნას ჭიდაობის ფედერაციის კორპორატიულ წვეულებაზე სიურპრიზად ხელი სთხოვა.

„2013 წლის 29 დეკემბერი იყო. ერთი სამსახურიდან ნამუშევარი გავიქეცი ამ ჩვენს წვეულებაზე. ეჭვი რომ მქონოდა, ხელი უნდა მთოხვოსმეთქი, გავიპრანჭებოდი. ტრადიციული ქეიფის დროს ლუკამ მადლობა გადაუხადა ყველა თანამშრომელს და მე გამომტოვა. ხათუნა გამოგრჩაო, უთხრეს. არ გამომრჩენიაო, თქვა. იქვე იყო ნოდარი, ლუკას ვაჟი. მე გამიკვირდა, ლუკას სუფრებზე არ დაჰყავს შვილები. მან განაგრძო – თქვენ თქვით, რომ მე შევიცვალე, თქვენ თქვით, რომ მე კარგი გავხდი. ეს ერთი ადამიანის - ხათუნას დამსახურებაა, რომელსაც მინდა თქვენი თანდასწრებით ხელი ვთხოვოო. ხომ იცით, არაფრის მეშინია, მაგრამ ახლა ვღელავ და თითქოს მეშინია კიდეცო. არ ველოდი! არ მჯეროდა იმის, რაც გავიგონე. საკუთარი გულის ხმა ყურებში მესმოდა. დედა მირეკავდა და არ ვუპასუხე. დილით დამირეკა, რატომ არ მიპასუხეო. დედა, დავინიშნე-მეთქი. და დედა დადუმდა. ეს ვერ წარმოედგინა. სულ ვმუშაობდი

„თქვენ თქვით, რომ მე შევიცვალე, თქვენ თქვით, რომ მე კარგი გავხდი. ეს ერთი ადამიანის - ხათუნას დამსახურებაა, რომელსაც მინდა თქვენი თანდასწრებით ხელი ვთხოვოო. არ ველოდი! არ მჯეროდა იმის, რაც გავიგონე. საკუთარი გულის ხმა ყურებში მესმოდა“

და სამსახურზე ვიყავი გადართული. ჩემს გათხოვებაზე აღარავინ აღარ საუბრობდა. ხათო, მარტო ქალი ცოდოა, იქნებ ამაზე იფიქროო, მეუბნებოდა. ჩემი პასუხი ასეთი იყო, დედა, შენ თუ ჩემზე ძლიერ მამაკაცს დამისახელებ, გავჩუმდები-მეთქი. ლუკა ის შემთხვევა იყო, დედა თვითონ გაჩუმდა. ლუკა ნამდვილად არის ჩემზე ძლიერი.

ნიშნობის მერე ერთად საცხოვრებლად უცებ არ გადასულან. შვილებმა მშობლების გადაწყვეტილება დადებითად მიიღეს. წყვილს სულ რვა შვილი ჰყავს, ლუკას ექვსი, ხათუნას – ორი. პარასკევ საღამოს იკრიბებიან და უიქენდს ერთად ატარებენ.

„ანუკი და ნიკა ევროპის ჩემპიონატიდან იცნობდნენ ლუკას. ნიკასთვის ჩემი დაქალები არიან, ათვისებული აქვთ ჩემი პომადები და შეიძლება რჩევა მოგცენ, რომელ პომადას რომელი კონტური უხდება.

– რა შეცვალა ერთ ჭერქვეშ ცხოვრებამ?

– მეგონა, ერთად ცხოვრება ფერად და ემოციურ ურთიერთობას გააფერმკრთალებდა. პირიქით მოხდა. ახლა დავდივართ რესტორნებში, კაფე-ბარებში. ხათო, მოდი დღეს მცხეთაში წავიდეთო, მეტყვის ხოლმე. მივხვდი, რომ უფრო მეტი საერთო გვქონია, ვიდრე მეგონა. აღმოვაჩინე, რომ ჩემ საოცნებო სახლს ლუკა აშენებდა. ჩვენ რამდენიმეჯერ გადავიკვეთეთ. 2002 წელს ბაქოში წავედი სემინარებზე, ტრენინგებზე. იმ პერიოდში ლუკა ბაქოში ევროპის ჩემპიონატში ჭიდაობდა. მაშინ ვთვლიდი, რომ არაესთეტიკური სპორტია, მაგრამ ვუგულშემატკივრე. დღ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

ხათუნა მიქაცაძე: „ლუკა ძალას მაძლევს. სახლში რომ გხვდება ადამიანი, რომელსაც იცი, რომ სუნთქვას ურჩევნიხარ, რომელიც გეტყვის, რომ მისთვის უფლის გამოგზავნილი ხარ, ქალისთვის ამაზე სასიამოვნო რა არის?“

ლუკა კურტანიძე თავის დაბადების დღეზე ჯვარს იწერს

ეს ასე არ ვთვლი. წყნეთში ხატებით მორთულ პატარა ხის კელიაში ცხოვრობდა. ახლა, ერთად ლამაზი სახლი ავაშენეთ. კომფორტული და თბილი სახლია. რემონტი დავასრულეთ და ფერების შეხამებაზე ვზრუნავთ. მწვანე ფერი უყვარს დ მეც ვცდილობ, მწვანე დომინირებდეს.

– როგორია თქვენი ოჯახური იდილია?

– დილით, სამსახურში წასვლამდე მე ყავის ადუღებას ვიწყებ. დილით რძიანი ყავის დალევის ტრადიცია არ დაგვირღვევია. საწოლში დალევა ძალიან მიყვარს. გამოუძახებია – რამდენი შაქარი? მომიტან? – მიკითხავს და მოუტანია. მაგიდასთან ფეხმორთხმით მიყვარს დაჯდომა და ლუკა მაგიდიდან მაწვდის ყავას. გადაღლილობის გამო ბოლო დროს სუსტად ყოფნა დამჩემდა. ლუკასთან ვეღარ ვამბობ, რომ სუსტად ვარ. მრცხვენია. ის ნერვიულობს და მე დანაშაულის გრძნობა მაწუხებს. ის ძალას მაძლევს. სახლში რომ გხვდება ადამიანი, რომელსაც იცი, რომ სუნთქვას ურჩევნიხარ, რომელიც გეტყვის, რომ მისთვის უფლის გამოგზავნილი ხარ, ქალისთვის ამაზე სასიამოვნო რა არის? წლების წინ ვფიქრობდი, რომ არაფერი მაკლდა. მყავდა შვილები, მქონდა შემოსავალი, საზოგადოებაში სტატუსი და მდგომარეობა. მაგრამ ახლა ვხვდები, თურმე ჩემს ცხოვრებაში დიდი სიცარიელე ყოფილა. ლუკამ დიდი ადგილი შეავსო. მიკვირს, როგორ ვიყავი ლუკას გარეშე? პრობლემებს თვითონ ვაგვარებდი. ახლა ლუკა აგვარებს. უცნაურად სასიამოვნოა. თურმე მჭირდებოდა. მერჩივნა აქამდე ფიქრისთვის დრო არ დამრჩენოდა. ვერ ვისვენებდი, ვიღლებოდი. მერჩივნა პროექტში ვყოფილიყავი ჩართული. ახლა ვსწავლობ დასვენებას. თავისუფალი დროის ქონის სურვილიც მან გამიჩინა. სამსახურში არასდროს დამიგვიანია, ახლა სულ ვაგვიანებ, სახლიდან გასვლა არ მინდა.

– რას უმზადებთ?

– ბოსტნეულის რაგუ და ყველის კრემსუპი უყვარს. ხანდახან მოითხოვს ხოლმე. პრეტენზია მაქვს, რომ ძალიან კარგი მზარეული ვარ. ტრაბახს მოვყვები ხოლმე. თვითონ შაბათ-კვირას ეზოში მწვადს წვავს, აფხაზურ აჯიკაში წვავს გემრიელ ტაბაკას.

– პარლამენტარობამ და პოლიტიკამ შეცვალა?

– პოლიტიკით შეცვლილი ლუკა კურტანიძე არ მინახავს. მე ვიცნობ სულ პოლიტიზირებულს. პრესას ყოველდღიურად ეცნობა. გარდერობი ჯერ არ განუახლებია. ბევრი პიჯაკი აქვს. უცხოეთში იძენდა სამოსს.

– მის გვერდით ყურადღების ქვეშ მოქცევა უხერხულობას გიქმნით თუ სასიამოვნოა თქვენთვის?

– სასიამოვნოა. ღონისძიებებზე მიჩვეული ვიყავი – „ზედაზენის“ წარმამადგენელი ქალბატონი ხათუნა მიქაცაძე გამოცხადდაო. ახლა უკვე – ბატონო ლუკა, ბატონო ლუკაო... მისკენაა ყურადღება. ის, ვინც ძალიან გიყვარს, ასე რომ უყვართ, ეს განწყობა და სითბო სასიამოვნოა. ამ სითბოსთვის ბედნიერი ვარო, თვითონ ამბობს. როცა ლუკა ბედნიერია, ამით მე კიდევ უფრო ბედნიერი ვარ.

– ფედერაციაში შექმნილი ვითარების დროს გვერდით როგორ ედექით, როგორ ამხნევებდით?

– მე ვეუბნებოდი, რატომ დუმხარ, ხომ იცი საიდან მოდის ეს-მეთქი? მე უფრო მტკივნეულად განვიცდიდი, ვიდრე ის. მშვიდად, გონივრულად უდგებოდა და მე აქეთ მამშვიდებდა. ჩემი ძმაა და შეცდაო, ამბობდა. ყველა ქართველს, მოჭიდავეს და არამოჭიდავეს ძმად მიიჩნევს. მისთვის რთულ სიტუაციაში ლუკა ცდილობდა მე მომფრთხილებოდა. ჯანმრთელობის პრობლემა შემექმნა. აქეთ მეხმარებოდა.

– სამომავლოდ რა გაქვთ დაგეგმილი?

– ვერაფერს ვგეგმავთ. უახლოეს მომენტში გერმანიაში ვაპირებდით დასასვენებლად წასვლას. მაგრამ პარლამენტარი გახდა. კარგი თუ ცუდი მიზეზით ხელი შეგვეშალა. ლუკას დაბადების დღეზე 16 აპრილს ვგეგმათ ჯვრისწერას. ჯერ გადაწყვეტილი არ გვაქვს სად დავიწერთ ჯვარს.

– რას სწავლობთ მისგან?

– მინდა მისგან მიმტევებლობის სწავლა, მაგრამ, არ ვიცი როგორ გამომდის. მტერი არ მიყვარს, ლუკას უყვარს. მე ვერ ვარ ისეთი კარგი, როგორიც შენ ხარ-მეთქი, ვეუბნები. დიდი ნებისყოფის ადამიანია.

– რა არის ბედნიერება?

– იმდენად ბედნიერი ვარ, რომ მისი დამთავრების შიში მაქვს. ცხოვრებისგან მიღებული ამხელა საჩუქრის არ მჯერა. წლების განმავლობაში მეშინოდა ხვალინდელი დღის. მექნებოდა თუ არა სამსახური, შევძლებდი თუ არა შვილებისთვის საჭმლის მიტანას. მარტოხელა დედებს ეს საფიქრალი აქვთ ხოლმე. მე ხვალინდელი დღის აღარ მეშინია. მინდა ბევრი ხვალინდელი დილა იყოს.

„თავისუფალი დროის ქონის სურვილიც მან გამიჩინა. სამსახურში არასდროს დამიგვიანია, ახლა სულ ვაგვიანებ, სახლიდან გასვლა არ მინდა“

„წლების წინ ვფიქრობდი, რომ არაფერი მაკლდა. მყავდა შვილები, მქონდა შემოსავალი, საზოგადოებაში სტატუსი და მდგომარეობა. მაგრამ ახლა ვხვდები, თურმე ჩემს ცხოვრებაში დიდი სიცარიელე ყოფილა. ლუკამ დიდი ადგილი შეავსო. მიკვირს, როგორ ვიყავი ლუკას გარეშე?“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თაღლითური სქემით ათეულობით მოქალაქე დაზარალდა, საერთო ჯამში კი 400-მდე ავტომობილი დაიკარგა

EXCLUSIVE

მირიან ბოქოლიშვილი

„პრაიმტაიმი“ არაერთხელ წერდა სხვადასხვა თაღლითურ ჯგუფებზე, რომლებიც მოქალაქეებს სარფიანი დაპირების სანაცვლოდ საკუთარ ხაფანგში იტყუებენ, თუმცა ისტორია, რომლის შესახებაც ახლა გიამბობთ, ჩვენთვისაც სიახლეა. როგორც ჩანს, ეს ახალი თაღლითური სქემაა, რომელმაც თავისი მასშტაბურობით ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

ნინო წიკლაშვილი: „მან საკუთარი კონტაქტები დაამყარა იმპორტიორებთან და მათგან მიჰყავდა მანქანები. შიგადაშიგ, თუ ახალი ავტომობილი გამოჩნდებოდა, მიკავშირდებოდა და კონტაქტებს მთხოვდა“

საუბარია საავტომობილო აფერაზე... დაზარალებული ათეულობით მოქალაქე დღემდე უშედეგოდ ელის კუთვნილი ავტომობილების დაბრუნებას. გამოძიების ინფორმაციით, საერთო ჯამში, თაღლითური გზით 400-მდე ავტომობილის მითვისება მოხდა, თაღლითური სქემის მთავარმა ფიგურანტმა, აზერბაიჯანული ეროვნების საქართველოს მოქალაქემ, 52 წლის ილხან რაგიმოვმა კი საქართველო დატოვა და სავარაუდოდ, აზერბაიჯანში გადავიდა.

როგორც გავარკვიეთ, ილხან რაგიმოვის მიერ შემუშავებული დანაშაულებრივი სქემა ასეთია: ის ზოგჯერ საშუამავლო ფირმის, ზოგჯერ კი პირადი კონტაქტების საშუალებით უკავშირდებოდა ძვირადღირებული ავტომობილების მფლობელებს, ძირითადად იმპორტიორებს. მათთან აფორმებდა ქირავნობის ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც რაგიმოვს ავტომობილის მფლობელისთვის თვეში 1000 ლარი უნდა გადაეხადა, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი მანქანა მის საკუთრებაში გადავიდოდა. მან მოახერხა, ერთდროულად დაკავშირებოდა ათეულობით მოქალაქეს, რომლებსაც ქირავნობის ხელშეკრულებაში საკმაოდ სარფიან პირობებს სთავაზობდა. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კი მას უცხოური ავტომობილები ძირითადად მარნეულის რაიონში ჩაჰყავდა და ადგილობრივებზე საკმაოდ დაბალ ფასში, ზოგჯერ საბაზრო ღირებულების ნახევარ ფასად ყიდდა. ცხადია, სხვის კუთვნილ ავტომობილებს ის ვერ გადააფორმებდა, ამიტომაც მყიდველებს არწმუნებდა, რომ ოფიციალურად მოგვიანებით გადაუფორმებდა. მათგან მიღებული თანხის ნაწილს პირველ ჯერზე ავტომობილების მფლობელებზე ანაწილებდა ყოველთვიური ქირის სახით, რითაც ის ნდობის მოპოვებას ცდილობდა. საბოლოო ჯამში კი, 400 ავტომობილის თაღლითური გზით გადაყიდვა შეძლო და დიდი ოდენობით თანხით ქვეყნიდან გაიქცა.

ავტომობილების მესაკუთრეებმა ილხან რაგიმოვს მშობლიურ მარნეულში ჩააკითხეს, თუმცა მისი სახლი დაკეტილი დახვდათ, მეზობლებმა კი რაგიმოვის ასავალ-დასავალის შესახებ დღემდე არაფერი იციან. ისინი ვარაუდობენ, რომ რაგიმოვი აზერბაიჯანში გადავიდა.

„პრაიმტაიმი“ იმ საშუამავლო ფირმის ხელმძღვანელს ესაუბრა, რომელმაც რაგიმოვი ავტომობილების მფლობელებთან დააკავშირა.

ნინო წიკლაშვილი:

– მე ვაკეთებ რეკლამას გაზეთებსა და ინტერნეტში, მიკავშირდებიან ავტომობილების ყიდვისა და ქირაობის მსურველები, მე მათ ვაკავშირებ გამყიდველთან და ამ მომსახურებაში ვიღებ საკომისიოს 20-30 ლარის ოდენობით. ასე დამიკავშირდა ეს პიროვნებაც. ილხან რაგიმოვი რამდენიმე ავტომობილის მფლობელთან დავაკავშირე, ამის შემდეგ მან საკუთარი კონტაქტები დაამყარა იმპორტიორებთან და მათგან მიჰყავდა მანქანები. შიგადაშიგ, თუ ახალი ავტომობილი გამოჩნდებოდა, მიკავშირდებოდა და კონტაქტებს მთხოვდა.

ნინო წიკლაშვილი

– გამოძიებამ დაგკითხათ?

– დიახ, გლდანი-ნაძალადევის განყოფილებაში დამკითხეს. როგორც იქ მითხრეს, 400 ავტომობილი ჰყავდა წაყვანილი. თავიდან ნორმალურად იხდიდა ქირას, ალბათ, ნდობაში შედიოდა. ერთ მშვენიერ დღეს კი გაუჩინარდა. „გადააგდო“ უამრავი ადამიანი. როგორც მითხრეს, 23 დეკემბერს დატოვა ქვეყანა.

– და ეს ხალხი არ დაინტერესდა, რა მიზნით მიჰყავდა ამდენი მანქანა?

– ეუბნებოდათ, მე იქ შიდა გადავადებას ვაკეთებ და ამით გარკვეულ მოგებას ვნახულობო. იმდენად ჩახლართული სქემა ააწყო ამ კაცმა, რომ კანონიერი მესაკუთრეები საკუთარ ავტომობილებს ვერ იბრუნებენ, უმეტესობამ არც კი იცის, სად არის მათი ავტომობილი. ის ადამიანები, ვინც რაგიმოვისგან იყიდეს მანქანები, უარს ამბობენ მის დაბრუნებაზე, ჩვენ ფული გვაქვს გადახდილიო. ერთ-ერთ დაზარალებულს ფინწლით გამოუდგნენ და თავდასხმის მცდელობასაც კი ჰქონდა ადგილი. მათი პოზიციაც გასაგებია – ფული გადაიხადეს, მაგრამ იმ ხალხმა რა დააშავა, ვისაც ძვირადღირებული ავტომობილები ასე თაღლითურად წაართვეს. ვარკეთილში ცხოვრობს ერთი პიროვნება, ვინმე კობა, რომელსაც მანქანები ჩამოჰყავს. მხოლოდ მისგან 30 მანქანა ჰყოლია წაყვანილი. წარმოიდგინეთ, რამხელა ზარალია.

გოჩა გველესიანი, დაზარალებული:

– ამ პიროვნებამ ასეთი თაღლითობით 6800 ლარით მაზარალა. წაიყვანა ჩემი მანქანა და დღესაც ვერ ვპოულობ, სად არის. გამოძიება არაფერს ამბობს. იძახიან, ვიძიებთო, მაგრამ რას იძიებენ, ვერ გეტყვით. ჩემსავით ასობით ადამიანი ჰყოლია „გადაგდებული“. ყოველდღე დავდივარ, ვეძებ ჩემს მანქანას, მაგრამ უშედეგოდ.

დაზარალებულები უკმაყოფილებას გამოთქვამენ საგამოძიებო მოქმედებებით. მათი თქმით, გამოძიება ვერც ბრალდებულის მიმართ საერთაშორისო ძებნის გამოცხადებას და ვერც კუთვნილი ავტომობილების მათთვის დაბრუნებას ახერხებს. პოლიციის განყოფილებაში კი ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებენ.

ია ლიპარტელიანი, გამომძიებელი: „თუ განმცხადებლებს აქვთ პრეტენზია, რომ არ ხდება საქმის გამოძიება, არსებობს წერილობითი ფორმა და შეუძლიათ წერილობით მოგვმართონ. შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ ზემდგომი ორგანოები. ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს და სხვას ვერაფერს მოგახსენებთ“.

„თუ განმცხადებლებს აქვთ პრეტენზია, რომ არ ხდება საქმის გამოძიება, არსებობს წერილობითი ფორმა და შეუძლიათ, წერილობით მოგვმართონ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პრაიმტაიმის“ სკანდალური სტატია და 5 წლის შემდეგ გამოქვეყნებული ჩანაწერები

„ეჭვი მეპარება ჩანაწერების ავთენტურობაში და მიმაჩნია, რომ რაიმე სერიოზული დასკვნების გაკეთების საშუალებას ეს ჩანაწერები არ იძლევა“

მირიან ბოქოლიშვილი

2011 წელს „პრაიმტაიმში“ გამოქვეყნებულ სტატიას არ გავიხსენებდით, რომ არა რამდენიმე დღის წინ ტელეეთერით გამოქვეყნებული ფარული აუდიოჩანაწერები, სადაც ირაკლი ოქრუაშვილისა და ვალერი ხაბურძანიას საუბარია ასახული. „ხელისუფლების დამხობის ოქროს სცენარი“ – ამ სათაურით გამოქვეყნებულ სტატიას მაშინ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ჟურნალისტი შალვა რამიშვილი, რომელიც იმ დროს ტელეკომპანია „მაესტროზე“ გადაცემა „აკრედიტაციის გარეშე“-ს აკეთებდა, ტელეკამერების თანხლებით ოფისში გვესტუმრა და შეეცადა, სტატიაში გამოქვეყნებული ინფორმაციების გაქარწყლებას. რამიშვილი საკუთარი გადაცემის მაყურებელს არწმუნებდა, რომ „პრაიმტაიმმა“ სისხლიანი გადატრიალების სცენარი უბრალოდ შეთხზა და სინამდვილეში მსგავსი არაფერი იგეგმებოდა.

„რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებულმა ჩანაწერებმა კი დაადასტურა, რომ მაშინ „პრაიმტაიმი“ არათუ „შეთხზულ სცენარს“, არამედ რეალურ ინფორმაციას აქვეყნებდა. ეს კარგად ჩანს ირაკლი ოქრუაშვილისა და ვალერი ხაბურძანიას საუბარში, სადაც ოქრუაშვილი რუსეთის სპეცსამსახურებთან დაახლოებულ ვალერი ხაბურძანიას სწორედ ხელისუფლებაში მოსვლის საკუთარ გეგმას უმხელს და, ასევე, ადასტურებს იმ ფაქტებს, რის გამოც მას თავის დროზე ბრალი ჰქონდა წარდგენილი. საუბარია ე.წ. ზილების რევოლუციაზე, რა დროსაც სამართალდამცავებმა სახელმწიფო გადატრიალების მიზნით შეძენილი შეიარაღება და სხვა სახის ტექნიკა ამოიღეს.

მეტი სიცხადისთვის კიდევ ერთხელ გთავაზობთ ამონარიდს „პრაიმტაიმში“ გამოქვეყნებული სკანდალური სტატიიდან:

„დაანონსებული რევოლუციის დაუანონსებელი დეტალები. მოსკოვი (ამჯერად უკვე) სისხლიანი რევოლუციისთვის ემზადება. ერთ-ერთი ინფორმაციით, საინფორმაციო მხარდაჭერა „მაესტრომ“ უნდა უზრუნველყოს, ოქრუაშვილის აქტივისტები კი პროვოკაციებისთვის ემზადებიან.

ჩვენი ინფორმაციით, ორი რევოლუციური ფლანგიდან ქუჩაში პროცესებს პირველად „გრეჩიხას“ „სასტავი“ უხელმძღვანელებს. ბურჯანაძის სახალხო კრებას დროებით გვერდით ჩააჩოჩებენ. გეგმის მიხედვით, ლოკალურ აქციებს ახალგაზრდების ის ჯგუფი დაიწყებს, რომელიც წლების განმავლობაში ცნობილია თავისი რადიკალიზმით. საუბარია ჯაბა ჯიშკარიანსა და მის ირგვლივ შემოკრებილ ბიჭებზე, რომლებიც ყოველთვის, წარსულშიც და ახლაც, „გრეჩიხას“ ორბიტაზე მოიაზრებიან. ამ ჯგუფის მონაწილეობით, იწყება ხელისუფლების მაღალჩინოსნების სახლებში მივარდნები. თავდასხმის ობიექტები წინასწარაა განსაზღვრული: წყნეთის სამთავრობო აგარაკები, სახელმწიფო დაწესებულებები, ცენტრალური მაგისტრალები. ხელისუფლების მხრიდან არასანქცირებული აქციის

როგორ ამზადებდა ოქრუაშვილი სისხლიან გადატრიალებას და რას ფიქრობს დღეს შალვა რამიშვილი, რომელმაც სკანდალურ სტატიას სპეციალური გადაცემა მიუძღვნა?

აღკვეთას კი უნდა მოჰყვეს ფართომასშტაბიან მიტინგებზე ხალხის მოპატიჟება. გამოცხადდება კონკრეტული თარიღიც... აქ საქმეში უკვე ე.წ. 50-ათასიანი ჯარი ერთვება, რომლის ფორმირებასაც „ქართული პარტია“ ბოლო რამდენიმე თვეა, აქტიურად ცდილობს. ფართომასშტაბიანი აქცია ტრადიციულად რუსთაველზე, პარლამენტის წინ იღებს სტარტს. პარალელურად ლიდერები საზოგადოებას სამოქალაქო დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებენ. ერთდროულად ხდება რამდენიმე სტრატეგიული ობიექტისა და ცენტრალური ქუჩის პიკეტირება. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, სამიზნე ობიექტებს შორისაა საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის სასახლე, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. ასევე, განიხილება რკინიგზის გადაკეტვაც. მოვლენების პიკზე წინასწარ ძერჩეული ჯგუფი ახდენს პრეზიდენტის სასახლეში შეჭრის იმიტაციას, რა დროსაც ხდება გასროლა! მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ ცეცხლის გახსნა უნდა გახდეს საერთო აჯანყების, მასობრივი არეულობისა და სახალხო მღელვარების საბაბი. ამ სცენარის ავტორები აქ უკვე სხვა ოპოზიციური ძალების ჩართვასაც ვარაუდობენ. გათვლა მარტივია: ხელისუფლების მიერ გამოვლენილი უპრეცედენტო ვანდალიზმით აღშფოთებული უბრალო მოქალაქეები იწყებენ პოლიციასთან დაპირისპირებას. ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ ამ არეულობის პერიოდში იგეგმება საქართველოში ამბოხების მთავარი ავტორის, ირაკლი ოქრუაშვილის ჩამოსვლა, რომელიც ვანო მერაბიშვილს – იარაღის დაყრისკენ, პრეზიდენტს კი პოსტის დატოვებისკენ მოუწოდებს. დედაქალაქში მიმდინარე სროლებს თითქმის უწყვეტ რეჟიმში გადასცემს ტელეკომპანია „მაესტრო“...

მოკლედ, ამ გეგმის ერთგულები რეალურად საქართველოში არაბულ ქვეყნებში განვითარებული პროცესების გამეორებას ვარაუდობენ. სახიფათო თამაშები კი შესაძლოა, საბოლოო ჯამში, საერთოდ არ შედგეს. პოლიტოლოგები არ გამორიცხავენ, რომ, სანამ „ძარღვებში სისხლი აჩუხჩუხდება“ საზოგადოებამ კიდევ ერთი ფარული ჩანაწერი იხილოს“, – წერდა 2011 წელს „პრაიმტაიმი“.

ასეთი ფარული ჩანაწერები მართალია, 4 წლის შემდეგ, მაგრამ საზოგადოებამ მაინც იხილა. ამავე ჩანაწერებში ოქრუაშვილი და ხაბურძანია ტელეკომპანია „მაესტროს“ დაფინანსებასა და ვანო ჩხარტიშვილთან კავშირებზე საუბრობენ, რაც ასევე ჩვენს მიერ გამოქვეყნებული სკანდალური სტატიის ერთ-ერთი მთავარი თემა გახლდათ.

„პრაიმტაიმი“ დაინტერესდა ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ შეიცვალა თუ არა აზრი ჟურნალისტმა შალვა რამიშვილმა, რომელიც სტატიის ავტორს დეზინფორმაციის გავრცელებაში მდებდა ბრალს. ირკვევა, რომ რამიშვილის პოზიცია კვლავაც ურყევია. ჟურნალისტი გამოქვეყნებული ჩანაწერების ავთენტურობას ეჭვის თვალით უყურებს.

– შალვა, მაინტერესებს „არჩევანში“ გამოქვეყნებულ ჩანაწერებზე რა აზრის ხარ? ალბათ, გახსოვს ამ თემაზე მომზადებულმა სტატიამ თავის დროზე შენი გაღიზიანება გამოიწვია...

– ეს ჩანაწერები ვნახე. რახან „რუსთავი 2“-მა გაუშვა ეს სისულელე, არ ნიშნავს იმას, რომ, მე მტყუანი ვარ და თქვენ მართალი აღმოჩნდით. დავიწყოთ იმით, რომ მაშინ თქვენი გაზეთიც და „რუსთავი 2“-ც თხზავდა რაღაც ამბებს. ამას ახლაც აკეთებს „რუსთავი 2“, რომელიც ჩემთვის „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირდება. ეს ტელევიზია ახლაც ეწევა პროვოკაციულ პროპაგანდას.

– ეს სხვა თემაა, მაგრამ ჩანაწერებზე რა აზრის ხარ?

– სრული აბსურდია. ორი ნაკლებად აქტუალური პოლიტიკოსი რაღაც სისულელეებზე ლაპარაკობს, რაც არაფერს ნიშნავს. ამას არ აქვს რაიმე მტკიცებულებითი ბაზა. მიმაჩნია, რომ ეს არის იმ პროვოკაციების გაგრძელება, რასაც ნლების განმავლობაში მიმართავდა „რუსთავი2“.

– რას გულისხმობ პროვოკაციაში? ჩანაწერების ავთენტურობაში გეპარება ეჭვი?

– დიახ, ეჭვი მეპარება ჩანაწერების ავთენტურობაში და მიმაჩნია, რომ რაიმე სერიოზული დასკვნების გაკეთების საშუალებას ეს ჩანაწერები არ იძლევა.

– ამ საუბარს თავად ხაბურძანია არ უარყოფს?

– ხაბურძანია არის ჩვენ მიმართ არაკეთილგანწყობილი ქვეყნის სპეცსამსახურების წარმომადგენელი და რატომ უნდა მივანიჭოთ მის ნათქვამს რაიმე მნიშვნელობა. მისი მიზანი ცალსახაა – პრორუსული ძალების საქართველოს ხელისუფლებაში მოყვანა.

– არადა სტატიაში, რომელმაც შენი გაღიზიანება გამოიწვია, სწორედ რუსულ სცენარსა და პრორუსული ძალების შესაძლო გააქტიურებაზე იყო საუბარი...

– შენს სტატიაში ხაბურძანიაზე საერთოდ არ იყო საუბარი. ის ბრალდებები, რომელიც შენს სტატიაში იყო მოყვანილი, სარწმუნო იქნება ერთადერთ შემთხვევაში – თუ დაიდება სასამართლო განაჩენი და მყარი მტკიცებულებები იმისა, რომ ქვეყანაში სისხლიანი გადატრიალება იგეგმებოდა.

„სრული აბსურდია. ორი ნაკლებად აქტუალური პოლიტიკოსი რაღაც სისულელეებზე ლაპარაკობს, რაც არაფერს ნიშნავს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით ოდიკაძე და გიორგი განუგრავა - გვიხარია,

europe-bet.com

მაგდა კლდიაშვილი

ტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ „თბილისი ცენტრალის“ ფილიალმა გაზეთ „პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივ პროექტს სამშაბათს უმასპინძლა. აქციის - „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ საჩხერის „ჩიხურას“ კაპიტანი, დავით ოდიკაძე და ამავე გუნდის მოთამაშე, გიორგი განუგრავა იყვნენ. გარდა ფეხბურთელებისა, აქციაში მონაწილეობა „ჯეოსტარის“ გამარჯვებულმა გიორგი სუხიტაშვილმაც მიიღო. შეხვედრამ კი სასიამოვნოდ ჩაიარა.

დავით ოდიკაძეც და გიორგი განუგრავაც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საქართველოს ფარგლებს გარეთ თამაშობდნენ, ამიტომ მათთვის უცხო არ არის გულშემატკივართან შეხვედრა, მათთვის ავტოგრაფების დარიგება და მსგავსი შეხვედრები, რასაც საქართველოში მოკლებულები არიან როგორც ფეხბურთელები, ისე ქომაგები.

„ევროპაბეთმა“ ორივე სტუმრისთვის სიმბოლური ბილეთები დაამზადა, რომელზეც მათ საკუთარი ფავორიტი დაასახელეს ჩემპიონთა ლიგაზე. როგორც გიორგი განუგრავა გამოგვიტყდა, მისი საყვარელი გუნდი ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედია“, თუმცა გუნდის ბოლოდროინდელი წარუმატებლობების გამო ფსონი ესპანურ გუნდზე გააკეთა. „განუ“ იმედოვნებს, რომ წელს, ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად კატალონიის „ბარსელონა“ ყველაფერს გააკეთებს.

გიორგი განურგავა: ჩემი ფავორიტი გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედია“, თუმცა წელს და ვერც ბოლო პერიოდებში, შედეგებით ვერ ვტრაბაბობთ. ჩემპიონთა ლიგაზე შემორჩენილი გუნდებიდან, მაინც მგონია, რომ „ბარსელონაა“ ფავორიტი და იმედი მაქვს, მოიგებს „სიტისთან“ თამაშსაც და მომავალ მატჩებსაც წარმატებით გაართმევს თავს.

ფეხბურთელის პროგნოზი გამართლდა კიდეც, ლუის ენრიკეს შეგირდებმა ინგლისური გუნდი გასვლაზე 2:1 დაამარცხეს, საქმე თითქმის სანახევროდ გააკეთეს და ახლა განმეორებით შეხვედრაში უმასპინძლებენ მანჩესტერელებს, სადაც ფავორიტის სტატუსს, რასაკვირველია, „ბარსელონა“ ინარჩუნებს.

თანაგუნდელისგან განსხვავებით, „ჩიხურას“ კაპიტანი გერმანული გუნდების გულშემატკივარია და ამ ქვეყნის გუნდების გამარჯვება უნდა, თუმცა, ერთი ფავორიტი მაინც გამოკვეთა და სიმბოლურ ბილეთში მიუნხენის „ბაიერნის“ გამარჯვება დააფიქსირა.

დავით ოდიკაძე: ჩემი ფავორიტი ყველა გერმანული კლუბია, მაგრამ მგონია, რომ მიუნხენის „ბაიერნი“ მოიგებს წლევანდელ წელს.

გერმანელებმა უკრაინაში, დონეცკის „შახტართან“ პირველი მატჩი ვერ მოიგეს. შეხვედრა გატანილი გოლების გარეშე დასრულდა, თუმცა განმეორებითი მატჩის წინ ფავორიტი მაინც პეპ გვარდიოლას გუნდია. ასე რომ, დაველოდოთ მოვლენების გა-

ნვითარებას, განმეორებითი შეხვედრები 10-11 და 17 მარტს გაიმართება.

დავით ოდიკაძეც და გიორგი განუგრავაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნგრეთში თამაშობდნენ, „ოდომ“ შემდეგ კარიერა აზერბაიჯანში გააგრძელა, უფრო მოგვიანებით კი გიორგი სამშობლოში დაბრუნდა სათამაშოდ. ორივე ფეხბურთელი ამბობს, რომ უცხოეთში ფეხბურთი გულშემატკივრების და მათთან შეხვედრების გარეშე წარმოუდგენელია, საქართველოში კი ამის დეფიციტია. „პრაიმტაიმსა“ და ტოტალიზატორ „ევროპაბეთს“ წამონყებას უწონებენ და სურვილს გამოთქვამენ, რომ მომავალშიც ექნებათ ამ აქციაში მონაწილეობის მიღების საშუალება.

როგორც გიორგი განუგრავა ამბობს, ქართველი ფეხბურთელები არ არიან განებივრებული გულშემატკივართან შეხვედრებით, აქციამ კი მასშტაბური სახე უნდა მიიღოს.

გიორგი განუგრავა: პირველ რიგში, ძალიან მიხარია დღეს აქ ყოფნა. მივესალმები და ძალიან კარგია გულშემატკივართან ურთიერთობა თავად ფეხბურთელებისთვისაც, რომ უფრო გაეცნო. მივესალმები ამ წამოწყებას, მიხარია, რომ ვმონაწილეობ. კარგი იქნებოდა, რომ ასეთი აქციები უფრო მასშტაბური ყოფილიყო. ქართველი ფეხბურთელები არ არიან განებივრებული გულშემატკივართან შეხვედრით. ამ სახით რომ მაინც ხდება, ეს უფრო კარგია. იმედია, უფრო ფართო მასშტაბიანი იქნება და ჩვენც მზად ვართ მონაწილეობის მისაღებად.

„ვიტყვი იმას, რომ ძალიან კარგია, რაც ტარდება, რადგან ფეხბურთი ამის გარეშე არ არსებობს, არც ერთ ქვეყანაში“

„ჩიხურას“ კაპიტანი ამბობს, რომ წამოწყება ძალიან კარგია, რადგან ამის გარეშე ფეხბურთი არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს, ხალხთან კომუნიკაცია კი უხარია.

დავით ოდიკაძე:

„ვიტყვი იმას, რომ ძალიან კარგია, რაც ტარდება, რადგან ფეხბურთი ამის გარეშე არ არსებობს, არც ერთ ქვეყანაში. ჩვენი მხრივ, ძალიან გახარებულები ვართ, რომ დღეს აქ მოგვინვიეთ და გულშემატკივართან კომუნიკაცია შედგა. ალბათ, რაც უფრო მასშტაბური იქნება, მით უკეთესი“.

აქციაში მონაწილეობა მიიღო ქართული ფეხბურთის დიდმა გულშემატკივარმა, მომღერალმა გიორგი სუხიტაშვილმა, რომელმაც გათამაშებაში ბურთიც მოიგო და მეგობრებისგან სამახსოვრო ავტოგრაფებიც. როგორც „ჯეოსტარის“ ტრიუმფატორი ვარსკვლავი ამბობს, ქართული ფეხბურთის მაღალ ნიშამდე ასაწევად აუცილებელია ყველა კლუბმა საკუთარი ფან-კლუბი ჩამოაყალიბოს და სისტემატური შეხვედრები გამართოს. კონკრეტულად ამ წამოწყებაზე კი დადებითი აზრისაა და სურვილს გამოთქვას, რომ ის შოუს ელემენტებით გაფორმდეს.

„ჩემი პასუხი ბანალური იქნება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ აუცილებელია ასეთი შეხვედრები. მოვუწოდებ კლუბებსაც, რომ საფეხბურთო ფან-კლუბები ჩამოაყალიბონ და ეურთიერთონ გულშემატკივრები ფეხბურთელებს, რათა უფრო მეტი მაყურებელი მივიდეს სპორტულ ღონისძიებებზე. რაც შეეხება ამ კონკრეტულ აქციას, მივესალმები. მეც მივილე მონაწილეობა. მოგიწოდებთ, გააგრძელოთ, უფრო მასშტაბიანი გახადოთ და შოუს ელემენტებით გააფორმოთ, ჩვენც ყველაფერს გავაკეთებთ იმის-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გულშემატკივართან კომუნიკაცია რომ შედგა



„ქართველი ფეხბურთელები არ არიან განებივრებული გულშემატკივართან შეხვედრით. ამ სახით რომ მაინც ხდება, ეს უფრო კარგია. იმედია, უფრო ფართო მასშტაბიანი იქნება და ჩვენც მზად ვართ მონაწილეობის მისაღებად“

თვის, რომ ქართული ფეხბურთი იყოს მაღალ ნოტზე“.

„პრაიმტაიმისა“ და ტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში ეს უკვე მე-13 შეხვედრა იყო, სადაც ქართველ გულშემატკივარს საშუალება მიეცა გაეცნო ქართული ფეხბურთის ვეტერანი და მომავალი ვარსკვლავები. პროექტის ფარგლებში „ევროპაბეთის“ თბილისისა და რეგიონების ფილიალებში სტუმრად უკვე იმყოფებოდნენ: გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, დავით მუჯირი, ლევან კობიაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურა იონანიძე, გიორგი ილურიძე, გივი კვარაცხელია, გიორგი ფოფხაძე, ლადო ბურდული, დავით სირაძე, ლაშა ჯაკობია, ალექსანდრე ინწკირველი, ზურა ბათიაშვილი, დაჩი ფოფხაძე, დაჩი ცნობილაძე და „თბილისი ცენტრალში“ გამართული შეხვედრის შემდეგ ამ სიას დავით ოდიკაძე და გიორგი განუგრავაც დაემატნენ. რაც მთავარია, შეხვედრის შემდეგ ყველა ფეხბურთელი, მათ შორის ისეთები, როგორიც არიან ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, ლაშა ჯაკობია და სხვ. ამბობდნენ, რომ მათი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში საქართველოში არცერთხელ ყოფილა შემთხვევა, რომ გულშემატკივარს შეხვედროდნენ, მათ გასაუბრებოდნენ და მათთვის ავტოგრაფები დაერიგებინათ.



თუკი ზაფხულში, მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას ფეხბურთელები ფსონს მსოფლიო ჩემპიონატზე დებდნენ, ახლა ჩემპიონთა ლიგის ფავორიტის დასახელება უნევთ. სულ, ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრებიდან, შემდეგი გუნდები გამოიკვეთენ.

მადრიდის „რეალი“ – გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, დავით სირაძე, ლადო ბურდული, გიორგი ილურიძე, ლაშა ჯაკობია, დაჩი ცნობილაძე;

კატალონიის „ბარსელონა“ – გიორგი ფოფხაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი, დაჩი ფოფხაძე, გიორგი განუგრავა;

მიუნხენის „ბაიერნი“ – გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, დავით ოდიკაძე;

ლონდონის „ჩელსი“ – გივი კვარაცხელია;

შეხვედრა „ევროპაბეთის“ „თბილისი ცენტრალის“ ფილიალში დასრულებულია. შემდეგი შეხვედრა „ევროპაბეთის“ კოსტავას ფილიალში შედგება, სადაც გულშემატკივარი გიორგი მიქაბერიძესა და გიორგი ცხადაიას შეხვდება.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დაპირისპირება მიწის ნაკვეთის გამო

„არ გამოვრიცხავ, რომ სამართალდამცავ ორგანოებში დავაყენოთ ფულის გამოძალვის საკითხი გოგიტა აფციაურის მიმართ“

EXCLUSIVE

გოგიტა აფციაური:

„პირდაპირ მივუთითე, რომელ დოკუმენტზეა გაყალბებული ჩემი ხელმოწერები და პირდაპირ ვასახელებ გამყალბებლის სახელსა და გვარს“

ხათუნა მგალობლიშვილი

მიწის ნაკვეთი, რომლის გამოც დავა დღემდე გრძელდება, ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ახალ ეტაპზე გადადის. 2011 წელს გოგიტა აფციაურსა და თამარ კოსტავას შორის საქმიანი პარტნიორობით დაწყებული ურთიერთობა მალევე დაიძაბა, საბოლოოდ კი სასამართლო პროცესებში გადაიზარდა. 1600 კვადრატული მიწის ფართის გამო ერთმანეთს, ერთი მხრივ, გოგიტა აფციაური და, მეორე მხრივ, თამარ კოსტავა და მისი მეუღლე დაუპირისპირდნენ. აფციაური ამტკიცებს რომ მას მიწის ნაკვეთი იძულებით გადააფორმებინეს, მეორე მხარე კი პირობას დებს, რომ ცილისწამების გამო აფციაურის წინააღმდეგ საჩივარს შეიტანს.

„პრაიმტაიმი“ დაპირისპირებული მხარეების პოზიციებს გთავაზობთ.

გოგიტა აფციაური, დაზარალებული:

– მე მქონდა 1600 კვადრატული მიწის ნაკვეთი ყიფშიძის ქუჩაზე. ვეძებდი პარტნიორს ან ინვესტორს, რომელთან ერთადაც ამ მიწაზე ავაშენებდი. 2010 წელს ამ მიზნით გავიცანი თამარ კოსტავა, მოვილაპარაკეთ, რომ მშენებლობისთვის საჭირო ყველანაირ საბუთებს თავად მოაგვარებდა. პირველად ერთად წავედით მერიაში, შევხვდით მთავარ არქიტექტორს, შემდეგ თავად აგვარებდა ყველანაირ საქმეს და მოგვიანებით გაირკვა, რომ მერიაში, ყველა საბუთზე, რაზეც ხელი იყო მოსანერი, ჩემ მაგივრად აწერდა ხელს. ჩვენების მიცემისას პირდაპირ მივუთითე, რომელ დოკუმენტზეა გაყალბებული ჩემი ხელმოწერები და პირდაპირ ვასახელებ გამყალბებლის სახელსა და გვარს. ჩაატარონ ექსპერტიზა და დარწმუნდებიან, რომ სიმართლეს ვამბობ. ერთობლივი საქმიანობის დაწყებიდან ორიოდე თვეში მითხრა, რომ ამერიკიდან ინვესტორი დაინტერესდა მიწის ნაკვეთით და საჭირო იყო კონკრეტული სამუშაოების ჩატარება. სამუშაოებს კი საკმაოდ სოლიდური თანხები სჭირდებოდა. შემომთავაზა, რომ ბანკიდან უნდა აგველო კრედიტი, თუმცა, ჩემი ხელფასიდან გამომდინარე, მე ამას ვერ მოვახერხებდი. სწორედ ამის შემდეგ შევხვდით თამარ კოსტავას მეუღლეს, რეზო სტურუას. სტურუამ თავის მდივანს დაუძახა, სოფიო ქათამაძეს, და მოილაპარაკეს, რომ, რადგან მას მაღალი ხელფასი ჰქონდა, კრედიტიც მას უნდა გამოეტანა და ჩემი მიწაც მასზე უნდა გადაფორმებულიყო.

– მიწა რატომ?

– ბანკს კრედიტი რომ გაეცა, მიზნობრიობა უნდა ეჩვენებინა. მიზნობრიობა კი მიწის ყიდვა იყო. მე ამაზე უარი განვაცხადე. ამის შემდეგ დამიბარეს პირველად სტურუას ოფისში, სადაც შედგა საუბარი ჩვენს შორის. მე კვლავ უარი ვუთხარი. სტურუას ოფისში შეხვედრის შემდეგ დამიბარეს მასთან აგარაკზე, ნავკისში. როდესაც ადგილზე მივედი, იყო მუქარა. ისეთი სიტუაცია შეიქმნა რომ ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე. დავთანხმდი, ნასყიდობის ხელშეკრულება გაკეთდა, გადავუფორმე.

– ჩადო მართლაც ინვესტიცია ამერიკელმა ინვესტორმა?

– ამ ამბიდან რამდენიმე თვე ისე გავიდა, არავინ გამოჩენილა. თავიდან ხშირად მივდიოდი და ვკითხულობდი ამბავს, შემდეგ, როცა სიტუაცია დაიძაბა ჩვენ შორის, უფრო იშვიათად ვხვდებოდი. არც ამერიკელი ინვესტორი ჩანდა და არც მიწის გადმოფორმებაზე მთანხმდებოდნენ. როგორც კი მიწის დაბრუნება მოვთხოვე, სტურუაც და მისი მეუღლეც დამემალნენ და სოფო ქათამაძის მეუღლე, ზვიად ჩოხელი გამოუშვეს, რომელმაც მითხრა, 25 ათას დოლარს ახლავე მოგცემო.

– ამ ფულს მიწის სანაცვლოდ გაძლევდათ?

– არა, სანამ ინვესტორი გამოჩნდება, პრობლემების მოსაგვარებლად აიღე და მერე კიდევ დავილაპარაკოთო. უარი ვუთხარი. უარმა ძალიან გააღიზიანა და მითხრა, თუ გგონია, იმას გამოიყენებ, ხელშეკრულებით ათი დღის ვადაში ფული რომ უნდა მიგეღო ჩვენგან, ცდებიო,. მათ ნასყიდობიდან ათი დღის ვადაში, წესით, თანხა უნდა მოეცათ და სწორედ ამ მიზეზით შევიტანე საჩივარი. პირველივე სასამართლო პროცესი გადაიდო გაურკვეველი ვადით. ამასობაში ჩემი მიწის ნაკვეთი გადაფორმდა მესამე პირზე, ზვიად ნაზღაიძეზე. როგორც შემდეგ გავარკვიე, ამ პიროვნებას და სოფო ქათამაძის მეუღლეს ერთმანეთთან ნათელ-მირონი აკავშირებდათ. ნაზღაიძეს ყოველგვარი ფულის გადახდის გარეშე ერთ საათში გადაუფორმეს სრული საკუთრების უფლებით, ანუ ნაზღაიძეს უფლება ჰქონდა ამ მიწის განკარგვის, შეეძლო გაჩუქება, გაყიდვა და ასე შემდეგ. მითითებული იყო, რომ ამ პიროვნებას განვადებით უნდა გადაეხადა მიწის საფასური. მათ სპეციალურად გაჩინეს საქმეში მესამე, კეთილსინდისიერი მყიდველი, რომ ჩემთვის უფრო გართულებულიყო მიწის დაბრუნების პროცესი. ამ ფაქტის შემდეგ ქათამაძის მეუღლემ, ზვიად ჩოხელმა პირდაპირ მითხრა, ახლა სადაც გინდა, იქ გვიჩივლე, ნაზღაიძის და სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეაო. სასამართლოს მეორე პროცესი 11 ივნისს ჩანიშნა, ჩემმა ადვოკატმა კი მითხრა. რომ პროცესზე 12 ივნისს უნდა გამოვცხადებულიყავი, როდესაც სასამართლოში მივედი. აღმოჩნდა, რომ ერთი დღით დავიგვიანე. სასამართლო პროცესი ჩატარებულა და დაუსწრებელი გადაწყვეტილებაც გამოუტანია – საქმის განუხილველად დატოვების.

– ადვოკატმა მიზანმიმართულად მოგატყუათ?

– დიახ, ვფიქრობ, ჩემი ადვოკატიც მოსყიდული იყო. როცა ჩემს ადვოკატს პასუხი მოვთხოვე, მითხრა, რა ვქნა, რიცხვი ამერია, თუ გინდა მომკალიო... ბუნებრივია, გადაწყვეტილება გავასაჩივრე, პირველი ინსტანციიდან უარი მოვიდა საქმის მიღებაზე, შემდეგ გავასაჩივრე სააპელაციოში, სადაც ჩემი მიწის ახალი მფლობელის და მოსამართლედ მუშაობდა. ბაჟის სახით გადასახდელი მქონდა 5 ათასი ლარი. ამისთვის ათი დღის ვადა მქონდა. ბაჟის გადახდიდან დაახლოებით ათი დღის შემდეგ სასამართლოში მოვიკითხე რატომ არ ინიშნება პროცესი თქო, მითხრეს, ბაჟის გადახდის შემდეგ ქვითარი ჩვენთან უნდა წარმოგედგინათ, რადგან არ წარმოადგინეთ, გადაუხდელობაში ჩაგეთვალათო. ეს, ბუნებრივია, სააპელაციო სასამართლოში სპეციალურად გააკეთეს. უზენაეს სასამართლოში გავასაჩივრე, მაგრამ იქიდანაც უარი მივიღე. ამის შემდეგ საჩივარი შევიტანე ჩემი ხელმონერების გაყალბებისთვის, რომელსაც თამარ კოსტავა აყალბებდა. ბოლოს, დაახლოებით ათი დღის წინ, დავინტერესდი, რა ეტაპზე იყო საქმე და პროკურორმა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები ვერ გამოვკვეთეთო.

შალვა ხაჭაპურიძე: „დაკითხვისას გაირკვა, რომ არანაირ იძულებას ქონების გასხვისების დროს ადგილი არ ჰქონია, არანაირი ყალბი დოკუმენტის შედგენას ადგილი არ ჰქონია“

თამარ კოსტავასა და მისი მეუღლის ადვოკატი, შალვა ხაჭაპურიძე აცხადებს რომ საქმის მასალებს კარგად იცნობს და დღემდე ოჯახი სწორედ მისი რეკომენდაციით დუმდა.

შალვა ხაჭაპურიძე, ადვოკატი:

– მე საქმის მასალებს კარგად ვიცნობ, ვიცი ის პასკვილები, რაც იწერებოდა, ვიცი ის პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციებიც, რომლებიც იბეჭდებოდა, თუმცა, ჩემი რეკომენდაციით, ოჯახმა პასუხი არ გასცა მათ პასკვილებს და როგორც ჩანს, მე შევცდი. რაკი ისევ გრძელდება მათი მხრიდან ცილისწამება, არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენმა მხარემ სამართლებრივი რეაგირება მოახდინოს. ეს, რაც შეეხება პატივსა და ღირსებას. ასევე, არ გამოვრიცხავ, რომ სამართალდამცავ ორგანოებში დავაყენოთ ფულის გამოძალვის საკითხიც გოგიტა აფციაურის მიმართ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე კარგად ვიცნობ ამ საქმის მასალებს. მასალების მიხედვით, გოგიტა აფციაურის განცხადების საფუძველზე ჩვენი მხარე დაიბარეს, დაკითხეს, ჩვენ წარვადგინეთ სათანადო დოკუმენტები, შესაბამისად, დაკითხვისას გაირკვა, რომ არანაირ იძულებას ქონების გასხვისების დროს ადგილი არ ჰქონია, არანაირი ყალბი დოკუმენტის შედგენას ადგილი არ ჰქონია. მეტიც, ჩვენმა მხარემ მოითხოვა, რომ ჩატარებულიყო სასამართლო კალიგრაფიული ექსპერტიზა, რომელიც დაადასტურებდა, რომ არანაირი დოკუმენტი გაყალბებული არ არის, ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ გამოძიებასთან, ნებისმიერ კითხვას გავცეთ პასუხი. თუმცა თუ მეორე მხარე ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დაიწყებს პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის გავრცელებას, მიუხედავად ჩვენი დიდი პატივისცემისა მედიის მიმართ, იძულებული ვიქნებით, სამართლებრივი წესით ვიდაოთ როგორც პატივისა და ღირსების შელახვისთვის, ასევე, თავად გოგიტა აფციაურის ჩვენებებიდან გამომდინარე, დანაშაულებრივი ნიშნების მიმართულებითაც.

– ანუ თქვენი მხარე აპირებს, გოგიტა აფციაურს ცილისწამებისთვის უჩივლოს?

– იქიდან გამომდინარე, რომ ეს ადამიანი სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში ავრცელებს ინფორმაციას, თითქოს დადგენილი იყოს რაიმე გარემოება, რაშიც ჩვენ არანაირი ბრალი არ მიგვიძღვის და ელემენტარულად კავშირშიც კი არ ვართ, ვაპირებთ, პატივისა და ღირსების შელახვისთვის ვუჩივლოთ. რაც შეეხება გამოძალვას, ჩვენ სხვანაირ კვალიფიკაციას ვერ მივცემთ ამ ადამიანის ქმედებას, რადგან ეს არის ზეწოლა, გამოძალვის ფორმები, რომელსაც სამართალი იცნობს. სხვა გზას ეს ადამიანი არ გვიტოვებს. ასე ვთქვათ, სამართლებრივი ფრონტი ორი მიმართულებით გაიშლება, როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის მიმართულებით. ყველაფერს აქვს ზღვარი. რაკი ეს ადამიანი მაინც აგრძელებს ამ გზას, მაშინ მიიღებს სასამართლო პროცესს.

გოგიტა აფციაური

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერვიუ ლევან ფირცხალავასთან

მირიან ბოქოლიშვილი

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ პროკურატურამ ზურაბ ვაზაგაშვილის საქმის მთავარ მოტივად ირაკლი ფირცხალავას პირადი შურისძიება დაასახელა. პირველად „პრაიმტაიმის“ მეშვეობით მკითხველი შეიტყობს პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნის ძმის, ლევან ფირცხალავას მოსაზრებას ამ საქმის ირგვლივ. რა კავშირი ჰქონდა მას ნარკოტიკებთან? იცნობდა თუ არა ალექსანდრე ხუბულოვს და რა ინფორმაციის საფუძველზე დაიჭირა სოდ-მა 2006 წელს?

სანამ ლევან ფირცხალავას ინტერვიუს გაგაცნობთ, შეგახსენებთ ბრალდების მხარის პოზიციას:

„ყველაფერი დაიწყო იქიდან, რომ 2006 წლის 7 აპრილს, სოდ-ის თანამშრომლების მიერ, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დაკავებულ იქნა ირაკლი ფირცხალავას ძმა ლევან ფირცხალავა. აღსანიშნავია, რომ ლევან ფირცხალავას მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაცია სამართალდამცავებს, მის დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე მიანოდა მოგვიანებით სპეცოპერაციის დროს მოკლულმა ალექსანდრე ხუბულოვმა, რის შესახებაც ცნობილი გახდა ირაკლი ფირცხალავასთვის. მისთვის, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნისთვის, მიუღებელი აღმოჩნდა მისი თანამდებობრივი ავტორიტეტისა და რეპუტაციის ამგვარი ფორმით საფრთხის ქვეშ დაყენება, რის გამოც გადაწყვიტა, ლიკვიდაციის გზით, შური ეძია მისი ძმის დაკავების საქმეში მთავარ ფიგურანტ ალექსანდრე ხუბულოვზე“, – ნათქვამია პროკურატურის ბრალდების ტექსტში.

თავად ლევან ფირცხალავა „პრაიმტაიმთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს, რომ 2006 წელს ის არათუ ხუბულოვმა, არამედ მისმა ძმამ დააჭერინა.

ლევან ფირცხალავა:

– იყო რაღაც სიტუაცია. ამას არც უარვყოფ, რომ როგორც 90-იან წლებგამოვლილი ბევრი ჩემი ასაკის ბიჭი, დამოკიდებული ვიყავი ნარკოტიკებზე. დაკავების დროს აღმომაჩნდა გარკვეული დოზა, მაგრამ იმ პერიოდში ამ დოზის გამო არ იჭერდნენ და მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდით შემოიფარგლებოდნენ. დაკავებული ვიყავი მოხმარებაზე. როდესაც არ გამიშვეს, მივხვდი, რომ აქ სხვა რაღაცაში იყო საქმე. ვიფიქრე, რომ, ალბათ, ჩემი ძმა იყო გარეული ჩემს დაპატიმრებაში.

– რატომ? რაიმე უკმაყოფილება გქონდათ ერთმანეთთან?

– ნუ, ირაკლი პოლიციელი იყო და, ცხადია, მისთვის მიუღებელია მსგავსი რამ. სულ მეუბნებოდა, აღარ გაეკარო ასეთ რამესო. განთავისუფლების შემდეგ საერთოდ აღარ გვილაპარაკია. მაგის შემდეგ მართლაც შევეშვი და ერთხელაც არ ვარ შემჩნეული მსგავს სიტუაციაში.

– პროკურატურის ინფორმაციით, პოლიციაში ალექსანდრე ხუბულოვმა დაგასმინათ, რომელიც პოლიციის აგენტი იყო...

– საერთოდ არანაირი შეხება არ მქონია მაგ პიროვნებასთან. მისი სახელიც კი არ ვიცოდი. ერთადერთხელ მკითხა ირაკლიმ, ხომ არ იცნობდი ამ ტიპებსო. სინამდვილეში მათ შესახებ მხოლოდ სპეცოპერაციის შემდეგ გავიგე. რა კავშირი უნდა მქონოდა მე ხუბულოვთან? ჯერ ერთი, ძალიან დიდი სხვაობა იყო წლოვანებაში, მასთან მე არ ვიმეგობრებდი. ჩემი და მაგათი წრე ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან.

– ითქვა ისიც, რომ თქვენ არა მხოლოდ მომხმარებელი, არამედ ნარკორეალიზატორიც იყავით...

– მასე უამრავი სიბინძურე დაიწერა ჩვენს ოჯახზე. იური ვაზაგაშვილმა 10 წელი დახარჯა იმისთვის, რომ ჩვენთვის ასეთი იარლიყები მოეკერებინა. მაგისთვის მე – ნარკორეალიზატორი, ირაკლი – მკვლელი, დედაჩემი კი ტრეფიკიორი იყო. წლების განმავლობაში ხდებოდა მიზანმიმართული მუშაობა, რომ ჩვენი ოჯახისთვის ასეთი იმიჯი შეექმნა.

– უშუალოდ ვინ დაგაკავათ?

– სოდ-ის განყოფილებამ. შემდეგ, რაკი არ გამათავისუფლეს, მივხვდი, რომ ეს ჩემი ძმის პირადი ინიციატივით მოხდა. პრინციპულად დააჭერინა ჩემი თავი და 2 თვე ჩამკეტა. ამ გადმოსახედიდან ვფიქრობ, რომ სწორად მოიქცა, რადგან მას შემდეგ ნარკოტიკს აღარ გავკარებივარ.

– საბოლოოდ საპროცესო შეთანხმებით გამოგიშვეს?

– კი, საპროცესო გამიფორმდა და ჯარიმა გადავიხადე 5000 ლარის ოდენობით.

– კორტების სპეცოპერაცია ჩატარდა თქვენი დაკავებიდან ერთი თვის შემდეგ... თქვენ ამბობთ, რომ ეს უბრალოდ დამთხვევაა?

– საერთოდ არ ვიცნობდი ამ პიროვნებას, ასეთი მტკიცებულება ბუნებაში არ არსებობს. როგორც ვიცი, ხუბულოვი სპეცოპერაციამდე 3 თვით ადრე განთავისუფლდა საპატიმროდან. მანამდე ის ციხეში იჯდა. როდის და სად უნდა დავახლოებოდი ისე, რომ მასთან ასეთი საქმით ვყოფილიყავი დაკავშირებული. აბსურდია. იმის გამო, რომ ირაკლისთვის საქმე შეეკერათ, ამ გარდაცვლილ ბიჭსაც პოლიციის აგენტის იარლიყი მიაკერეს. სინამდვილეში იცით, რა მოხდა? პროკურატურამ საბრალდებო დასკვნაში პირდაპირ გადაწერა ის ჭორები, რომელსაც აწ გარდაცვლილი იური ვაზაგაშვილი წლების განმავლობაში ავრცელებდა. როგორ წარმოგიდგენიათ, ირაკლიმ ჩემ გამო პოლიციის 150 თანამშრომელი მოატყუა, მათ შორის მინისტრის მოადგილე, და ეს ხალხი პირადი შურისძიების მიზნით გამოიყენა? და ეს ყველაფერი გააკეთა სუბუტექსის გამო, რომლის ძალიან მცირე დოზა აღმომაჩნდა და რომელიც ჯარიმას ითვალისწინებდა? ეს ხომ აბსურდია. სინამდვილეში ჩემს დაკავებაზე სოდ-ს „ნაკოლი“ მისცა არა ხუბულოვმა, არამედ ჩემმა ძმამ, ირაკლი ფირცხალავამ.

– მანამდე პოლიციასთან პრობლემები თუ გქონიათ? ან რას საქმიანობდით?

– არანაირი პრობლემა არ მქონია. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა. დაკავებული ვიყავი მცირე ბიზნესით, თუმცა ამჟამად უმუშევარი გახლავართ.

– ასეა თუ ისე, თქვენს სახელს დაუკავშირდა საქმე, რომლის გამოც ახლა 11 ყოფილი პოლიციელია დაკავებული... არ ფიქრობთ, რომ კორტებთან რეალურად ძალის გადამეტებას ჰქონდა ადგილი?

– სპეცოპერაციის დეტალებზე ვერაფერს გეტყვით. მე არ ვარ ამ საქმის სპეციალისტი, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ეს ოპერაცია ჩატარდა კანონის მოთხოვნების შესაბამისად. დაკავებულ პოლიციელებს ჰყავთ ოჯახები. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი ერთი უგუნური შეცდომა გამოიყენეს იმისთვის, რომ ამდენი ხალხი დღეს საპატიმროში გამოეკეტათ. თქვენი გაზეთით მინდა დიდი ბოდიში მოვუხადო ამ ადამიანებს, მათ ოჯახებს და დავპირდე, რომ ყველაფერი გაირკვევა.

„ჩემი ერთი უგუნური შეცდომა გამოიყენეს იმისთვის, რომ ამდენი ხალხი დღეს საპატიმროში გამოეკეტათ. თქვენი გაზეთით მინდა დიდი ბოდიში მოვუხადო ამ ადამიანებს“

„ჩემს დაკავებაზე სოდ-ს „ნაკოლი“ მისცა არა ხუბულოვმა, არამედ ჩემმა ძმამ, ირაკლი ფირცხალავამ“

EXCLUSIVE

რა კავშირი ჰქონდა ირაკლი ფირცხალავას ძმას ნარკოტიკებთან და იცნობდა თუ არა კორტებთან ჩაცხრილულ ალექსანდრე ხუბულოვს?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მსოფლიოში აღიარებული ეგზოტიკური ტყავი ქართულ რეალობაში ჩნდება

EXCLUSIVE

თაკო მექვაბიძემ ახალ ხაზზე მუშაობა დაიწყო

ნანა შონია

ეგზოტიკური ტყავი, რეალობა თანამედროვე მსოფლოს მოდის ისტორიაში. Dolce & Gabbana, SHANEL, DIOR, ეს არასრული ჩამონათვალია იმ მოდის სახლებისა, რომელთა კოლექციაში ნატურალურ, ძვირადღირებულ, ეგზოტიკურ ტყავს მრავლად ნახავთ.

პითონის და იაგუანას ტყავზე დამზადებულ თანამედროვე, მოდურ ფეხსაცმელზე მუშაობა, საქართველოში პირველად ბათუმელმა დიზაინერმა თაკო მექვაბიძემ დაიწყო. პირველი კოლექცია უკვე მზად არის და ის წარმოებაში რამდენიმე დღეში ჩაეშვება.

თაკო მექვაბიძე, დიზაინერი: ეგზოტიკური ტყავი, ეს არის ის, რაც დროს უძლებს და არასდროს ბერდება. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ამ სიახლესთან შეხება. ფაქტობრივად, პირველი დიზაინერი ვარ საქართველოში ვინც მასობრივად ამ მასალის გამოყენება დაიწყო. პირველი კოლექცია უკვე მზად არის და ის წარმოებაში რამდენიმე დღეში ჩაეშვება.

- თაკო, ეს რამდენად ძვირადღირებული სიამოვნებაა და რამდენად დიდია დაინტერესება ამ ყველაფრის მიმართ საქართველოში?

- ეს მართლაც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. თუმცა, ხარისხის გათვალისწინებით, ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ძვირია. მომხმარებელს გაჩნია, ეს მართლაც მაღალი კლასის ფეხსაცმელია და შესაბამისად, მისი ფასიც ადეკვატურია. თუმცა, მართალი გითხრათ, მე ჩემი მომხმარებელი მყავს, მათ იციან ის, თუ რაში იხდიან თანხას. შესაბამისად, დაინტერესება ამ კოლექციის მიმართ დიდია, უკმაყოფილების მიზეზი არ მაქვს. ეს ფეხსაცმელები საქართველოში იკერება, მაგრამ მთლიანად უცხოური პროდუქციაა. მასალას იტალიაში ვყიდულობ, ისეთი კომპანიისგან ვინც SHANEL, DIOR-ზე და მსოფლიოში აღიარებულ მოდის სახელებზე მუშაობს.

- ძირითადად რა სტილის ფეხსაცმელებია?

- თავისუფალი სტილია, ისეთი ფეხსაცმელია, რომ თითქმის ყველაფერზე შეძლებთ მის მორგებას. ზაფხულში უფრო მეტად გაიზრდება ჩემი წარმოება, რადგან ამ პერიოდში ბათუმს უამრავი უცხოელი ტურისტი სტუმრობს. იქნება სანდლები, „ბასანოშკები“, კლასიკური და მრავალფეროვანი კოლექცია. არჩევანი მართლაც დიდია და ფასებიც ადეკვატური. ვფიქრობ, რომ ფეხსაცმლის ღირებულება 800-დან 1000 ლარამდე იქნება.

თუმცა ეს ყველაფერი არ არის, ცხელი ზაფხულის შემდეგ, ბათუმელი დიზაინერისთვის კარი უკრაინის, მერსედესის მოდის კვირეულზე გაიღება. თაკო მექვაბიძემ ნლევანდელ კვირეულზე მოწვეევა უკვე მიიღო.

თაკო მექვაბიძე, დიზაინერი: 18 მარტს იწყება უკრაინაში ყველაზე პოპულარული მოდის კვირეული, რომელსაც ძალიან ბევრი ცნობილი მოდის კრიტიკოსი და ბაერი სტუმრობს. მოწვევა დასასწრებად უკვე მივიღე და იმედი მაქვს შემოდგომაზე, ჩემი კოლექციით ჩავალ.

ნინი ცნობილაძე ჩი

my View
თამარ გონგაძე

„არ უყვარს საჭმლის მოგზადება. რეცხვისას ტანსაცმელს მიპატარავებს. მერე თვითონ იცვამს“

ნინიმ გათხოვება გამოგვაპარა. ექვსი თვეა გიორგი ალავიძესთან ერთად ცხოვრობს. გიორგი ყოფილი ფეხბურთელია და ჩიკაგოში ცხოვრობს. ჯვრისწერა საბერძნეთში უნდათ. ყველაფერი ოთხი წლის წინ დაიწყო. გიორგიმ ნათესავის ბარში მომღერალი გოგონა გაიცნო. სიმპათია მაშინვე გაჩნდა. ახალგაცნობილებს გაბუტვაც მოუსწრიათ. ორ კვირაში „დაშორდნენ“. „18 წლის ვიყავი, ვსწავლობდი და ამ ყველაფრისთვის მზად არ ვიყავი. ამ წლების განმავლობაში ათასში ერთხელ მოვიკითხავდით ერთმანეთს“, - ყვება ნინი. მერე ბიჭი ამერიკას დაუბრუნდა, გოგონა პროექტებით პოპულარული გახდა. წელიწად-ნახევრის წინ კი შერიგდნენ და ისევ შეყვარებულები გახდნენ. ეს ბათუმში მეგობრების გარემოცვაში იყო. „უკვე რომანტიკული ქალაქია ჩემთვის ბათუმი. იმ დღის ემოცია ჩამრჩა. ერთი დღე ვნახეთ ერთმანეთი, მეორე დღეს მე თბილისში წამოვედი“. იმ დროს გიორგიც იხსენებს: „მეც დავლაგდი და ნინიც უკვე ჩამოყალიბებული იყო. ექვსი თვე ინტენსიური ურთიერთობა გვქონდა, მერე კი ორი თვით წავედი ამერიკაში. ამ განშორების პერიოდში მივხვდი, რომ მაკლდა და ცოლად უნდა შემერთო. ყოველდღე ვკონტაქტობდით, თუმცა 4-საათიანი საუბრები არ გვქონია. იქ ღამე იყო, აქ დღე. თან ნინის სულ ეძინა“.

„ნინის მამამ დარიგება მოგვცა, დაგვეცადა, სანამ ნინი უნივერსიტეტს დაამთავრებდა. ივლისში ნიშნობის სიურპრიზი მოვუწყე. ერთ დღეში დავგეგმე ეს ყველაფერი. გავიქეცი და ნიშნობის თვლიანი ბეჭედი ვიყიდე“

„ჩემზე უკეთესთან ვისთან წავა? სცენა ნინის პროფესიაა, რატომ უნდა ვიეჭვიანო? ზედმეტს არაფერს გააკეთებს და არც არავის მისცემს ამის უფლებას. ვენდობი და ეჭვიანობის საბაბი არ მაქვს“

გიორგი სამშობლოს მარტში დაუბრუნდა და ნინის მშობლების გაცნობა გადაწყვიტა.

გიორგი ალავიძე: საქმის კურსში ჩავაყენეთ, ვუთხარით, რომ დაქორწინებას ვგეგმავდით. ნინის მამამ დარიგება მოგვცა, დაგვეცადა, სანამ ნინი უნივერსიტეტს დაამთავრებდა. ასეც მოვიქეცით. ნინიმ სასწავლებელი დაამთავრა და ივლისში ნიშნობის სიურპრიზი მოვუწყე.

ნინი ცნობილაძე: ვგრძნობდი, რომ რაღაცას აპირებდა. ამას ქალს ვერაფრით გამოაპარებ. მაგრამ ასეთ რამესაც არ ველოდები. ღია ლაუნჯში მეგობრები დამიპატიჟა. წავიდეთ, შენთვის სიურპრიზი მაქვსო. ვიფიქრე, რესტორანში ვახშამზე მივდივართ-მეთქი. ბეჭედს არ ველოდი. მეგობრების წინ მთხოვა ხელი. ისინიც შოკში ჩავარდნენ. გეგმა სცოდნიათ, მაგრამ მაინც ეიფორიაში იყვნენ. გათხოვებასთან ვერ მაკავშირებდნენ.

გიორგი: ერთ დღეში დავგეგმე ეს ყველაფერი. გავიქეცი და ნიშნობის თვლიანი ბეჭედი ვიყიდე. ლამაზი ზაფხულის საღამო იყო, კარგი დრო გავატარეთ.

ნინი: სახლში დანიშნული დავბრუნდი, გეშველათ-მეთქი, მშობლებს ვახარე :) მერე ზაფხულში დასასვენებლად წავედით და რომ დავბრუნდით, ერთად საცხოვრებლად გადავედით.

გიორგი ყოფილი ფეხბურთელია. 11 წლის ასაკიდან (ახლა 24 წლისაა) ჩიკაგოში ცხოვრობს. ფეხბურთსაც იქ თამაშობდა, სამი ნელი პროფესიონალთა გუნდში. ტრავმის გამო თამაშს თავი დაანება.

გიორგი: ჩემი ოჯახი საქართველოში ჩამოდიოდა, მე ამის სურვილი 2006 წლამდე არ გამჩენია. იქ ადვილად მოვერგე ყველაფერს. სამეგობრო წრე მყავს, ოჯახურ ბიზნესში ჩავერთე, რომელიც უკვე ჩემი ბიზნესია. თბილისშიც მექნება ჩემი საქმიანობა. ჩემი ოჯახი თბილისს უბრუნდება, ჩვენ ნიუ-იორკში ჩავალთ. ნინის ცოცხალი მეგაპოლისები უყვარს.

ნიუ-იორკში ნასვლას შემოდგომაზე გეგმავენ. მანამდე ნინი საკუთარი სიმღერების ჩაწერას აპირებს. მათი წაღება უნდა. ჯერ ჟანრში ჩამოყა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კაგოელ ქართველზე გათხოვდა

ნინი ცნობილაძე: „ერთი დღე რომ ვერ ვხედავ, მგონია, რომ დიდი ხანი გავიდა. სხვანაირი დილები თენდება“

გიორგი ალავიძე: „ამ განშორების პერიოდში მივხვდი, რომ მაკლდა და ცოლად უნდა შემეართო“

ნყვილი საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადადის

EXCLUSIVE

„22 წლის ვარ, მაგრამ ტკივილიც ბევრი მინახავს და სიხარულიც. შემიძლია გამოცდილებით და გულით ვიმღერო. ამერიკაში არ გავჩერდები, მინდა შემნიშნონ. ერთ ადგილას ჯდომით და ქართულ რესტორანში ხინკლის ჭამით არაფერი მოდის“

ლიბებული არ არის, თავს ეძებს. სოული, ჯაზი, ბლუზი - ეს მისი ჟანრია. ბედს მინდობილია და ყველაფრის გაკეთებას აპირებს, რომ რაღაცას მიაღწიოს. მღერის ცხოვრებაზე, ტკივილზე, სიყვარულზე. ინსპირაციას ყოველ წუთს, ყველაფრისგან იღებს. აქვს დაკვირვებული თვალი და უმღერის ცხოვრებას.

ნინი: 22 წლის ვარ, მაგრამ ტკივილიც ბევრი მინახავს და სიხარულიც. შემიძლია გამოცდილებით და გულით ვიმღერო. ტკივილია ყველა მოუგვარებელი პრობლემა. ტკივილია ისიც, რომ საყვარელი ადამიანი გვერდით არ არის. ეს ყველას ცხოვრებაშია. ამერიკაში ჩასული არ გავჩერდები, ლეიბლებში მივიტან სიმღერებს. მინდა შემნიშნონ. ერთ ადგილას ჯდომით და ქართულ რესტორანში ხინკლის ჭამით არაფერი მოდის. უნდა სცადო.

- ნინიზე, როგორც მომღერალზე, რა იცოდი?

- ბარში სიმღერისას გავიცანი, მაგრამ მომღერლობის მიზანი თუ ჰქონდა ეს არ ვიცოდი. დედა ამერიკაში „ვოისს“ უყურებდა და დამიძახა. ნინი მოეწონა, ნახე, რა კარგად მღერისო. ვნახე და ნინი მღეროდა, ჩავუჯექი და ვუყურე.

- აღმოჩნდა, რომ შენ და დედას ერთნაირი გემოვნება გაქვთ.

- კი, აღმოჩნდა :) დედა, ეს ჩემი ყოფილი შეყვარებულია-მეთქი, ვუთხარი. კარგი გოგოა, კარგად მღერისო, აღნიშნა.

- ვის ამსგავსებ ტემბრით?

- არავის. განსაკუთრებული სტილი და ხმის ტემბრი აქვს.

- ხასიათი?

- მძიმე ხასიათი აქვს. ყველაფერზე ბევრს ფიქრობს. რთულად უყურებს ყველაფერს. მე მარტივად ვწყვეტ. უცებ გადამივლის სიბრაზეც, ნინის სამი დღე გაჰყვება ხოლმე.

- გიორგიზეც ბევრი იფიქრე?

- არ მაფიქრებინა ბევრი. მე რომ ფიქრი დამეწყო, 20 წელი გავიდოდა. აქამდე სიყვარულზე არ მიფიქრია. რომ მკითხა, შეყვარებული თუ გყავსო და არა-მეთქი, რომ ვუთხარი, გაუკვირდა. ეჭვის თვალით შემომხედა. სილაღე მიყვარს. გიორგიც ასეთია და ამიტომ არის ჩემ გვერდით. არ მზღუდავს.

- არ გაკონტროლებს?

- დილის ხუთ საათზე მთვრალი არ უნდა შეხვიდე სახლში და კარი ფეხით არ უნდა გააღო. საზღვარი აქვს ყველაფერს, მეგობრებთან ურთიერთობასაც.

- როგორი ქმარი აღმოჩნდა?

- მზრუნველია.

გიორგი: ნინის ყველაფერი უნდა სთხოვო. ფანტაზია არ აქვს, უნდა უთხრა და გააკეთებს.

ნინი: გიორგის კი ბევრი სიურპრიზი გაუკეთებია. მგონია, რომ სულ ფიქრობს, რითი მასიამოვნოს.

- ერთ ჭერქვეშ ცხოვრებამ რა შეცვალა?

ნინი: ძალიან ბევრს ვჩხუბობთ. ორ დღეში ერთხელ სერიოზულად ვჩხუბობთ.

გიორგი: ცუდ ხასიათზე როცა არის და მე მისი გუნების გამოკეთებაზე ვიწყებ ზრუნვას - მოდი, ნინი, სადმე ნავიდეთ-მეთქი, არაფერი არ მინდა, დაღლილი ვარო, მპასუხობს. ამას ჭკუიდან გადავყავარ. მე ვცდილობ ადამიანის გახალისებას და ის უარეს ხასიათზე დგება. ეს არის ჩვენი ჩხუბის მზეზი.

ნინი: ცუდ ხასიათზე რომ ვარ, ზედმეტი დაწყნარება არ მიყვარს. მაღიზიანებს. ჩემით გამივლის. გამხნევება არ მიყვარს. გიოს მაინც არაფერი სწყინს. უმეტესად ქალაქგარეთ გასვლა გვიყვარს.

- ამერიკელ გოგოებზე არაფერი მოუყოლია?

- არც ვეკითხები. რაში მაინტერესებს.

გიორგი: თავისუფალი ადამიანი ვიყავი თავისუფალ ქვეყანაში.

ნინი: ამიტომ ზედმეტად არ უნდა დაინტერესდე.

- სადილს ვინ ამზადებს?

- გიორგი. ისეთ გემრიელ სოუსებს ამზადებს ქათმისთვის. პასტას ამზადებს, როგორ გააკეთე-მეთქი, ვეკითხები. მე ხუთი საათი ვამზადებდი და არ გამომივიდა. არ გამომდის.

გიორგი: არ უყვარს საჭმლის მომზადება. რეცხვისას ტანსაცმელს მიპატარავებს. მერე თვითონ იცვამს.

„ახალ ხმამდე“ ნინიმ მეგობრებთან ერთად ბენდი გააკეთა და მეგობრის ბარში მღეროდა. ნინის მეგობარი გიორგის ნათესავი „აღმოჩნდა“. სწორედ იქ, სიმღერისას გაიცნო მომავალი საქმრო ცნობილაძემ.

ნინი: მაშინ ძალიან კარგი საღამო გამოგვივიდა. გიორგი მოვიდა და გამეცნო.

გიორგი: ნომერი არ მომცა. მერე „ფეისბუქზე“ „დავუმეგობრდი“.

„ახალი ხმის“ მერე ნინი „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ გამოჩნდა. ამ დროს გიორგის უკვე ხვდებოდა და საგულშემატკივროდ დაჰყავდა. ნინი იმ პერიოდში თავის პირადზე სიტყვას არ ძრავდა, ეჭვსაც ვერ შეიტანდი. გულჩათხრობილი სასწორია, რაც არ უნდა - ვერ დააცდენინებ. საუკეთესოდ ვიცნობ ამ ნიშანს :) ახლა „ორ ვარსკვლავზე“ დაჰყავს ქმარი.

- გიორგი, ნინი ცნობილია, თაყვანისმცემლები ეყოლებოდა. არ ეჭვიანობ?

- არა. ჩემზე უკეთესთან ვისთან წავა? სცენა ნინის პროფესიაა, რატომ უნდა ვიეჭვიანო? ზედმეტს არაფერს გააკეთებს და არც არავის მისცემს ამის უფლებას. ვენდობი და ეჭვიანობის საბაბი არ მაქვს. სცენაზე თავს ბედნიერად გრძნობს. ამით მეც ბედნიერი ვარ. სადაც წარმატებას მიაღწევს, მინდა იქ იყოს. მე ხელს შევუწყობ, რომ პოტენციალი ბოლომდე გამოიყენოს. დარწმუნებული ვარ, ნინი ბევრს მიაღწევს. მიყვარს რომ მღერის, მაგრამ კრიტიკასაც არ ვერიდები.

ნინი: გიორგი ბავშობაში ფორტეპიანოზე უკრავდა, კარგი მუსიკოსი იყო. ყველა მასწავლებელს ახსოვს. დედაც ამ სფეროშია და ახსოვს, ნიჭიერი იყო. შენიშვნას რომ მაძლევს, მიკვრის როგორ ხვდება-მეთქი. კომპეტენტური ადამიანის კრიტიკას ვითვალისწინებ.

- „ორ ვარსკვლავში“ მის პარტნიორზე რას იტყვი?

გიორგი: დადებითი პიროვნებაა, ძალიან კარგად მღერის და ნინის გაუმართლა რომ ამ პროექტში მიკი ჯეჯელავასთან ერთად მღერის. მსახიობი და რადიოწამყვანია და ისეთი სმენა აქვს და ისეთი ხმას უშვებს, მიკვირს. დარწმუნებული ვარ ამ პროექტით არ დასრულდება ჩვენი ნაცნობობა. მინდა მიკიმ მოიგოს, მართლა იმსახურებს მოგებას.

- რა ყოფილა სიყვარული?

ნინი: თავდაჯერებას გმატებს. ბედნიერი დადიხარ. ურთიერთობა, პატივისცემა და ურთიერთგაგებაა. ერთი დღე რომ ვერ ვხედავ, მგონია, რომ დიდი ხანი გავიდა. სხვანაირი დილები თენდება.

გიორგი: უკეთესობისკენ შევიცვალე. დიდი პასუხისმეგლობაა. ცდილობ, რაც შეგიძლია, მეტს მიაღწიო, მეორე ნახევრისთვის ცხოვრებაში წინ ნახვიდე. ნინი მოტივაციას მაძლევს, რომ უკეთესი გავხდე.

„არ მაფიქრებინა ბევრი. მე რომ ფიქრი დამეწყო, 20 წელი გავიდოდა. აქამდე სიყვარულზე არ მიფიქრია. რომ მკითხა, შეყვარებული თუ გყავსო და არა-მეთქი, რომ ვუთხარი, გაუკვირდა. ეჭვის თვალით შემომხედა“

„მეგობრების წინ მთხოვა ხელი. ისინიც შოკში ჩავარდნენ. გეგმა სცოდნიათ, მაგრამ მაინც ეიფორიაში იყვნენ. გათხოვებასთან ვერ მაკავშირებდნენ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ოსკარი“, ქართველები და უცნ

დეა თავბერიძე

„ოსკართან“ დაკავშირებული ვნებათაღელვა ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა. ქართველების ამერიკული ვოიაჟი აქტუალობას არ კარგავს და ეს თემა კვლავ უმრავლესობის განხილვის საგნად რჩება. არც „ვაიკრიტიკოსები“ ჩერდებიან. განსაკუთრებული „წნეხის“ ქვეშ მიშა მესხი მოექცა. ქართველებმა მსახიობს ვერც პასპორტის დაკარგვა აპატიეს და ვერც დაჯილდოების ცერემონიალზე ჩაძინება.

„პრაიმტაიმი“ დღეს მიშას შეფასებასაც გაგაცნობთ და იმ უცნობ დეტალებზეც მოგითხრობთ, რომელიც ჩვენი მკითხველისთვის ამერიკიდან ექსკლუზიურად მოგვაწოდეს.

თქვენ შეიტყობთ სად და როგორ ცხოვრობდნენ მსახიობები, რომელი ქართველი მილიონერი დახვდა მიშა მესხს ამერიკის აეროპორტში, რომელი მდიდარი ქართველის ვილაში აწყობდნენ ოკეანის სანაპიროზე ავთერ ფართებს და რა იყო ლიმუზინში ჩაჯდომამდე რეჟისორის ბოლო ფრაზა.

ზაზა ურუშაძე: „არა, ეს არ არის ჩემი სტატუსი. ვიღაც თვითმარქვია და აფერისტი წერდა ჩემი სახელით და გვარით“

მანამდე კი ფილმის რეჟისორი „პრაიმტაიმთან“ განცდებსა და სამომავლო გეგმებზე საუბრობს.

ზაზა ურუშაძე, რეჟისორი: არაჩვეულებრივი განწყობით დავბრუნდი, კარგი იყო, რომ ჩამოგვეტანა „ოსკარი“, მაგრამ მაინც კმაყოფილები ვართ. „ოქროს გლობუსის“ ნომინაცია, „ოსკარის“ ნომინაციაში ხუთეულში დასახელება, საერთაშორისო პრესის აკადემიის ჯილდოს, ოქროს სატელიტ ჯილდოს მოპოვება, ეს უკვე დიდი გამარჯვებაა. ასევე, ამერიკამ იყიდა ფილმი და აპრილიდან ჩაეშვება დისტრიბუციაში. ამერიკიდან რამდენიმე შემოთავაზება მივიღე ფილმის გადაღებაზეც.

- თუ განიცდიდით და ღელავდით „ოსკარის“ ცერემონიის დაწყებამდე?

- მართალი გითხრათ, ცოტათი კი, მანამდე „ოქროს გლობუსის“ ცერემონიაზე უფრო ვღელავდი. ამიტომ ეს ყველაფერი გავლილი გვქონდა. „ოსკარის“ აღების შანსი და ღელვაც იყო. თუმცა დიდად ნერვიულობა მაინც ვერ მოვასწარი, იქ იცით როგორ არის? სცენასთან ახლოს ლოჟაში უნდა დაჯდე გამოცხადების წინ, რომ მაშინვე ახვიდე სცენაზე, იქ გაგვიყვანეს მოულოდნელად, და რამდენიმე წუთში გამოაცხადეს კიდეც, ეს დათქმულ დროზე ბევრად ადრე მოხდა, ამიტომ ვერც მოვასწარი ნერვიულობა. ძალიან სწრაფად მოხდა ეს ყველაფერი.

- კიდევ თუ ვიხილავთ ზაზა ურუშაძეს „ოსკარზე“?

- არ არის გამორიცხული, მიჩვევა სცოდნია... (იცინის)

„ოსკარის“ აღების შანსი გვქონდა და ღელვაც იყო“

„დიდად ნერვიულობა მაინც ვერ მოვასწარი, იქ იცით როგორ არის? სცენასთან ახლოს ლოჟაში უნდა დაჯდე გამოცხადების წინ, რომ მაშინვე ახვიდე სცენაზე, იქ გაგვიყვანეს მოულოდნელად, და რამდენიმე წუთში გამოაცხადეს კიდეც, ეს დათქმულ დროზე ბევრად ადრე მოხდა, ამიტომ ვერც მოვასწარი ნერვიულობა“

სასიამოვნოა წარმატება... ფეხზე წამოდგნენ ორჯერ „მანდარინებზე“ და ისე უკრავდნენ ტაშს, ეს ძალიან იშვიათად ხდება. პირველად სანტა ბარბარაში, მერე კი რეჟისორთა გილდიამ მოგვიწყო ჩვენება, სავსე იყო დარბაზი, ძალიან ემოციური სანახავია, როდესაც ფეხზე დგანან და ტაშს გიკრავენ.

- საქართველოში იყო კრიტიკაც, ამაზე რას იტყვით?

- არაფერს არ ვიტყვი, რა უნდა ვუპასუხო, ვერ ვხვდები... სასაცილოა... მთავარია, რომ მე ძალიან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდი საქართველოდან.

- კრიტიკასთან დაკავშირებით თქვენ სტატუსიც გამოაქვეყნეთ.

- არა, ეს არ არის ჩემი სტატუსი, მე ასე არ ვწერ ხოლმე. ვიღაც თვითმარქვიამ და აფერისტმა გახსნა ჩემი სახელით და გვარით „ფეისბუქის“ გვერდი და ის წერდა. მე არანაირი სტატუსი არ დამიდია საერთოდ. გაუქმებული მქონდა „ფეისბუქი“. ის კი არ ჩერდებოდა და ჩემი ძალიან ბევრი მეგობარიც დაიმატა, ორ დღეში 1200 კაცი. მერე, ამის გამო ჩემი აღვადგინე.

ახლა კი ჩემს მაყურებელს ვეტყვი, რომ ყველაფერი არის შესაძლებელი. ის, რომ „მანდარინები“ გახდა „ოსკარის“, „ოქროს გლობუსის“ ნომინანტი, სატელიტ ჯილდო მიიღო, ე. ი. შეძლება ჩვენს ქვეყანაში რაღაცების კეთება, რადგან ბევრი ნიჭიერი ადამიანია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკიდან „ოსკარით“ ხელდამშვენებულები ვერ დაბრუნდნენ, საამაყო მაინც გვაქვს ქართველებს. 5 საუკეთესო უცხოენოვან ფილმში მოხვედრილი „მანდარინები“ ამერიკის გარდა კიდევ 15-მა ევროპულმა ქვეყანამ შეისყიდა. ასე რომ, ქართველი რეჟისორის მიერ გადაღებულ ფილმს მალე მაყურებელი სხვადასხვა ქვეყნის კინოთეატრების დიდ ეკრანებზე იხილავს.

„დიდი ინტერესიც იყოს მიშას ჩაცმულობაზე. სმოკინგმა და ბაფთიანმა ფეხსაცმელებმა მოხიბლა ფოტოგრაფები“

მანამდე კი დაპირებული ამბები ამერიკიდან, რომლის შესახებაც კინოცენტრის „დესპანი“ ნინია ახვლედიანი მოგვითხრობს. სწორედ მისი დამსახურებით იღებდნენ ჟურნალისტები ცხელ-ცხელ ამბებსა და ახალ ფოტოებს ჰოლივუდიდან.

ნინია ახვლედიანი: როგორც ჟურნალისტისთვის იქ ყოფნა სასიამოვნოც იყო და ძალიან რთული სამუშაოც. უსაფრთხოების ზომები იყო ზედმეტად დაცული. არც ერთ ფესტივალზე ასე არ მინახავს. ხალიჩაზე, სადაც მოსამზადებელ პერიოდში გადაღების უფლება გვქონდა და სადაც ასობით ჟურნალისტი მუშაობდა, ყველას მკაცრად აკონტროლებდნენ. მეც, როდესაც სტენდაფის ჩაწერა დავიწყე, მომვარდნენ, „შნურიანი“ მიკროფონი უნდა გქონდეს, უსაფრთხოების მიზნით რადიო მიკროფონი არ შეიძლებაო. მერე კი გიტარის ცენტრში გამიშვეს და ახალი, „შნურიანი“ მიკროფონი მაყიდინეს...

გადაადგილება ლოს-ანჯელესში ძალიან საწვალებელია, საცოებებითა და ძვირიანი ტაქსებით...

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა აკრედიტაციებისთვის ფოტო გადაგვეღო და კადრში გამოგვეჩინა, სტენდაფის ჩაწერის დროსაც უნდა შეატრიალოთ, რომ არ გამოჩნდესო. „რუსთავი 2“-ის ოპერატორმა აიფონით გადაიღო, - ცოლისთვის მინდოდა გამეგზავნაო და წაართვეს აკრედიტაცია.

ჩვენი მსახიობები, ზოგადად, ძალიან დატვირთულები იყვნენ, ჩემთვის დიდად ვერ იცლიდნენ, იმდენად ჰქონდათ ყოველი წუთი ამერიკული აკადემიის მიერ დაგეგმილი. იყო ძალიან ბევრი შეხვედრა, სიმპოზიუმით დაწყებული კოქტეილ-ფართით დამთავრებული.

ერთ-ერთ კოქტეილ ფართზე „მანდარინების“ აგენტებმა მეც დამპატიჟეს. ლაკმას ტერიტორიაზე, ჰოლივუდის კოსტიუმების მუზეუმის შენობაში იყო. იქ შევიგრძენი, რომ „ოსკარზე“ ვიყავი და ძალიან გლამურული ამბები ხდებოდა. აქაც კონტროლი იყო უმაღლეს დონეზე. იყო დრეს კოდი ქალები - კოქტეილის კაბებით, კაცები - „ბაბოჩკებით“.

ამ საღამოზე, უცხოენოვანი ფილმის ნომინაციის სერტიფიკატი, ზაზას ჰოლივუდის ვარსკვლავმა ჯესიკა ჩესტეინმა გადასცა... სხვა ბევრი ცნობილი მსახიობიც იყო. მე ძალიან მინდოდა ედი რედმეინის ნახვა, ძალიან... მაგრამ ვერ ვნახე. მიშა კი წავიდა, თუმცა ეძინა, წავსულიყავი მე, ხო ვნახავდი... (იცინის)

- მიშას ჩაძინებას საქართველოში ბევრის კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვა, - სამარცხვინოა სკამზე რომ დაგეძინება „ოსკარზეო“ - წერდა თაკო ჩხეიძე. ბევრიც გამოესარჩლა, როგორი რეაქცია გქონდათ თქვენ და მსასხიობებს მიშას ჩაძინებაზე?

- საქართველო კი არა, აგერ უკვე ამერიკაშიც ილაპარაკეს, რას ჰქვია ეძინა „ოსკარზეო“? მაგრამ ქართველებს რატომ უკვირთ? მიშა მესხი არ იქნებოდა მიშა მესხი, რომ ასეთი რაღაც არ გაეკეთებინა... რამე რომ არ ექნა განსაკუთრებული ეგ უფრო გამიკვირდებოდა. რა ვქნათ? მიშა იყო „ოსკარზე“ წასული და არა ვიღაცა ძალიან დალაგებული და ისეთი ტიპი, რომელიც ყველანაირ ეტიკეტს იცავს. თან ჰოლივუდში ისეთი საგიჟეთია, რომ არ არის აუცილებელი ყველა წესს დაემორჩილო... მოხიტოს ბრალი იყო ეს ჩაძინება...

- იას მიერ გამოქვეყნებული კომენტარიდან ჩანს, რომ გააბრაზა ხალხის რეაქციებმა, მიშა კი, პირიქით, უფრო მშვიდად და იუმორით უყურებს ამ ყველაფერს „უკვე გავიღვიძე ჯიგრებოო“, - წერდა.

- გუშინ ვნახე მიშა და ხალისობს ამ ყველაფერზე, ბევრი მწერს „ფეისბუქზე“ დადებით კომენტარებს და ვინც მე გამლანძღა იმათ ჩემი გულშემატკივრები დაუპირისპირდნენ, ჩემმა მხარდამჭერებმა გა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნოზი დეტალები ამერიკიდან

საქართველოში დაბრუნებული რეჟისორის პირველი კომენტარი

EXCLUSIVE

„იას რა ინფორმაცია ჰქონდა და საიდან ეგონა, რომ შესვლის შანსი ჰქონდა, არ ვიცი ნამდვილად“

„ძალიან ემოციური სანახავია, როდესაც ფეხზე დგანან და ტაშს გიკრავენ“

იმარჯვეს, უფრო მეტნი არიანო.

- მსახიობები „ოსკარის“ ცერემონიალამდე ღელავდნენ?

- „ოსკარამდე“, სამზადისი ძალიან სახალისო იყო. ზაზას სახლი ოკეანის სანაპიროზე ჰქონდა ნაქირავები და იქ ვიკრიბებოდით ყველანი, იქ შევიკრიბეთ მაშინაც. მიშა და გიორგი სასტუმროდან ზაზასთან მოვიდნენ და იქ მოემზადნენ. ჩვენც ვეხმარებოდით, ია ბოლო შტრიხებს უსწორებდა მიშას.

- გული დასწყდებოდა იას, ლამაზი კაბის მიუხედავად „ოსკარს“ ვერ დაესწრო, თუმცა აქ ესეც იქცა განხილვის საგნად, წერდნენ - ია იქ არავის მიუწვევია, აკრედიტაციის ვერ აღება მხოლოდ „ბლეფი“ იყო და ხალხის თვალის ახვევაო.

- მე ვიცი ზაზასგან, რომ ჰქონდა თავიდანვე 6 მოსაწვევი. უფრო ზუსტად, ეს 6 მოსაწვევი იყო მთელი ფილმის, როგორც ქართველების, ასევე ესტონელებისაც. სამ-სამი ანუ. ზაზას შეეძლო, წაეყვანა ცოლი, მაგრამ მან ასე გადაწყვიტა, რომ ეს მოსაწვევები მსახიობებისთვის მიეცა. იას რა ინფორმაცია ჰქონდა და საიდან ეგონა, რომ შანსი ჰქონდა შესვლის, არ ვიცი ნამდვილად. უბრალოდ, იას ეგონა, ალბათ, ან ვიღაცამ უთხრა, ან იგივე მიშამ - რაღაცას ვიზამთ და შევალთო. ფაქტია, რომ ეგონა... მერე ჩემთან ამგვარი კომენტარი გააკეთა - დავაგვიანეთ, ვერ მოვასწარი, რომ გამევლო აკრედიტაცია და ამიტომ ვერ მოვხვდი „ოსკარზეო“...

- აქ ისიც ითქვა, მიშა ისეთი ტიპაჟია, ჰოლივუდში მიშასნაირებს ეძებენ და შეიძლება დაიტოვონ კიდეცო. რამე შემოთავაზება ხომ არ მიუღია?

- ვნახოთ, ვნახოთ... მიშა მართლა ისეთი ტიპია, კაცმა არ იცის რა მოხდება. შეიძლება ვიღაც უცებ მართლაც დაადგეს და წაიყვანოს. დიდი ინტერესიც იყოს მიშას ჩაცმულობაზე. სმოკინგმა და ბაფთიანმა ფეხსაცმელებმა მოხიბლა ფოტოგრაფები.

ლიმუზინში ჩასხდომამდე ფეხსაცმელებს ფოტოც გადავუღეთ. ბევრი იმაიმუნეს. ჩასხდნენ, გადმოვიდნენ, კიდევ ჩასხდნენ... როცა გავისტუმრეთ, იმ სახლში შევბრუნდით, რომელშიც ზაზა ცხოვრობდა. „ოსკარის“ ყურების ფართი მოეწყო, სადაც ძალიან ბევრმა ესპანელმა და ქართველმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი.

ზაზამ, „ოსკარზე“ წასვლამდე გვითხრა: „თუ ავიღეთ ძალიან ნუ გაგიხარდებათ და თუ ვერ ავიღეთ, ძალიანაც ნუ ინერვიულებთო“. მგონი თვითონ იმდენად ნერვიულობდა, რომ ასეთი უცნაური იყო მისი ბოლო ფრაზა.

- როგორც ვიცი, ერთი ქართული ფილმის პრემიერაც გაიმართა ამერიკაში, რომელშიც ცნობილი მსახიობი მალკოლმ მაკდაუელიც თამაშობს. ესწრებოდა ჰოლივუდელი ვარსკვლავი პრემიერას?

- კი... გუშინ ვიყავით ნიკა აგიაშვილის ფილმზე, Tbilisi, I Love You, იაც იყო, მიშაც, გიო მგელაძე, ნუცა კუხიანიძეც იყო ჩამოსული. ფილმმა კინოკრიტიკოსთა მოწონება დაიმსახურა. რაც შეეხება მაკდაუელს, ჩავწერე და უახლოეს ხანში ნახავს „იმედის“ მაყურებელი.

- ბერასთან გადაღებული ფოტოებიც გავრცელდა ინტერნეტსივრცეში, ითქვა, რომ ბერამ შემოქმედებით ჯგუფს უმასპინძლა.

- ბერა მიშა მესხს აეროპორტში დახვდა და მან წაიყვანა სასტუმროში. მიშა და ბერა მეგობრობენ. ამიტომ, როცა მიშა ასე გაწვალდა მგზავრობისას, ბერამ უპატრონა. მერე ყველანი ერთად ვიყავით მხატვარ ნანუკა ჩიჩუასთან, რომელიც ლოს-ანჯელესში ცხოვრობს, და აქვს ულამაზესი სახლი ოკეანის სანაპიროზე, სადაც ძალიან ბევრი აფთერ ფართი გვქონდა ამ დღეების განმავლობაში. ერთ-ერთი ამგვარი ავთერ ფართის დროს ბერაც გვეწვია. თავის ორ მეგობართან ერთად. მეც მაშინ გავიცანი, უშუალო, გულწრფელი და ძალიან საყვარელი ბიჭია, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

მერე ყველამ ოკეანის სანაპიროზე გავისეირნეთ და რამდენიმე ფოტოც გადავიღეთ. ეს ფოტოები გავრცელდა ინტერნეტსივრცეში.

- როდესმე იფიქრებდი, რომ „ოსკარის“ დაჯილდოებას გააშუქებდი?

- ვერ ვიფიქრებდი, მაგრამ უკვე ყოველ წელინადს შევიტან „ოსკარის“ აკრედიტაციაზე საბუთებს. რაღაცნაირად დარწმუნებული ვარ, რომ უკვე ხშირად მოხვდება ქართული ფილმი „ოსკარზე“.

ალბათ, ისევე როგორც ყველა ქართველის, ნინიას სურვილი სამომავლოდ ახდება. ამჯერად კი ზაზა ურუშაძის „მანდარინებმა“ სასწაული მოახდინა, „ოქროს გლობუსის“ შემდეგ „ოსკარის“ გაჟღერებამ ის პოზიტივი მოგვიტანა, რომელიც ასე ძალიან გვჭირდებოდა ქართველებს. ასე ერთიანი, გახარებული და ბედნიერი რამდენი ხანია არ ყოფილა ერი... სახუმარო საქმე ხომ არ არის 5 საუკეთესო ფილმში მოხვედრა.

ამიტომ, ჩვენ რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, ფაქტი ერთია - ზაზა ურუშაძემ უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე ქართული კინოს ისტორიაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი მიქაბერიძე და გიორგი ცხადაია „ევ

მაგდა კლდიაშვილი

ტოტალიზატორ „ევროპაბეთისა“ და გაზეთ „პრაიმტაიმის“ ერთობლივი პროექტის თებერვლის თვის ბოლო აქციას ტოტალიზატორის კოსტავას ფილიალმა უმასპინძლა. ამჯერად, გულშემატკივარს გიორგი მიქაბერიძისა და გიორგი ცხადაიასთან შეხვედრის ბედნიერება ხვდა წილად. „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ აქციის ფარგლებში ეს უკვე რიგით მე-14 შეხვედრაა.

გასული წლის ზაფხულიდან მოყოლებული გაზეთი „პრაიმტაიმი“ და ტოტალიზატორი „ევროპაბეთი“ უპრეცედენტო აქციას ატარებენ და მას „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ ჰქვია. ერთობლივი პროექტის ფარგლებში, პირველად, როგორც ქართველ გულშემატკივარს, ასევე, ქართული ფეხბურთის ვეტერან ვარსკვლავებსა თუ მოქმედ ფეხბურთელებს პირველად მიეცათ საშუალება, საკუთარ გულშემატკივარს შეხვედროდნენ, დალაპარაკებოდნენ. ქართველმა ფეხბურთელებმა სწორედ ამ პროექტის საშუალებით შეძლეს კომუნიკაციის დამყარება საკუთარ ქომაგებთან, რომლებიც მათ მხოლოდ ტრიბუნიდან ან ტელეეკრანებიდან ხედავდნენ.

აქციიდან აქციამდე მოწვეულ სტუმართა სია სულ უფრო და უფრო სოლიდური ხდება, შეფასებები კი წამოწყებაზე მხოლოდ დადებითი და ამავდროულად გულსატკენიც არის, რომ აქამდე, საქართველოს ეროვნული ნაკრების მოქმედსა თუ ყოფილ ფეხბურთელებს საშუალება არ ჰქონიათ საკუთარი გულშემატკივრისთვის ავტოგრაფები დაერიგებინათ, აზრი გამოეთქვათ ფეხბურთთან დაკავშირებით და ა.შ.

14 შეხვედრის ფარგლებში გულშემატკივარს 24 ქართველი ფეხბურთელის გაცნობის საშუალება მიეცა. ესენი არიან: გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, დავით მუჯირი, ლევან კობიაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურა იონანიძე, გიორგი ილურიძე, გივი კვარაცხელია, გიორგი ფოფხაძე, ლადო ბურდული, დავით სირაძე, ლაშა ჯაკობია, ალექსანდრე ინწკირველი, ზურა ბათიაშვილი, დაჩი ფოფხაძე, დაჩი ცნობილაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი მიქაბერიძე და გიორგი ცხადაია.

ორივე ფეხბურთელი ამ მომენტში ბოლნისის „სიონის“ ღირსებას იცავს. როგორც მათ, სხვების მსგავსად, „პრაიმტაიმთან“ საუბარში აღნიშნეს, მსგავსი წამოწყება დროული და საჭირო იყო.

„ჩემს სათამაშო პრაქტიკაში ასეთ აქციაში მონაწილეობის მიღება პირველად არის. აქამდე არ ყოფილა და ამით გახარებული ვარ. ჩემი აზრით, აქციები ხშირად უნდა ტარდებოდეს, რადგან გულშემატკივარმა და ფეხბურთელებმა ერთმანეთი გაიცნონ. ეს ფეხბურთელებს პოპულარიზაციაშიც დაეხმარება“

გიორგი მიქაბერიძე: „ჩემი აზრით, „რეალი“ მოიგებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატში თუნდაც „ატლეტიკოსთან“ თამაში უჭირს და ახლა ორივე ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობს, მაინც მგონია, რომ „რეალი“ შეძლებს ტიტულის შენარჩუნებას“

ტრადიციულად, გათამაშდა ბურთები, იღბლიანები კი ავტოგრაფებით დაასაჩუქრეს, გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები. რაც მთავარია, ყველა შეხვედრის შემდეგ, ვრწმუნდებით იმაში, რომ ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მოთამაშეებსაც იცნობენ და მათ სიხარულით ხვდებიან.

„ევროპაბეთმა“ სტუმრებისთვის სიმბოლური ბილეთებიც დაამზადა, როგორც ეს წინა შეხვედრებისას მოხდა. გიორგი მიქაბერიძე მადრიდის „რეალის“ გულშემატკივარია და მის გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარება, სწორედ ამიტომ სიმბოლურ ბილეთში მადრიდელთა გაჩემპიონება ივარაუდა.

გიორგი მიქაბერიძე:

„ჩემი აზრით, „რეალი“ მოიგებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატში თუნდაც „ატლეტიკოსთან“ თამაში უჭირს და ახლა ორივე ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობს, მაინც მგონია, რომ „რეალი“ შეძლებს ტიტულის შენარჩუნებას“.

თანაგუნდელისგან განსხვავებით, გიორგი ცხადაია „რეალის“ მოსისხლე მტერის, „ბარსელონას“ გამარჯვებაშია დარწმუნებული, ამიტომაც სიმბოლურ ბილეთში დაწერა, რომ „ბარსა“ მოიგებს ჩემპიონთა ლიგას.

გიორგი ცხადაია:

„ჩემი ფავორიტი „ბარსელონაა“ და მგონია, რომ უფრო კარგ ფეხბურთს თამაშობს, სხვებისგან განსხვავებულს, სწორედ ამიტომ ჩემი გუნდი მოიგებს ლიგას“.

ჯერჯერობით, ორივე გუნდს საქმე კარგად მისდის. მადრიდის „რეალმა“ გენზელკრ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ევროპაბეთის“ კოსტავას ფილიალს ესტუმრნენ

EXCLUSIVE

ოლეგ გოგბერაშვილი, გულშემატკივარი: „ძალიან გამეხარდა ქართველი ფეხბურთელების აქ დანახვა, მით უმეტეს, რომ ასეთი კარგი საჩუქრით დამაჯილდოვეთ. თუ გაგრძელდება და ყველა ტოტალიზატორს მოივლის, დიდი მასშტაბი მიეცემა, კმაყოფილი დარჩება ყველა, ფეხბურთელებიც და მონაწილეებიც, თანაც ასეთ მშვენიერ საჩუქრებს ათამაშებთ“

„ჩემს პრაქტიკაშიც პირველია ასეთი შემთხვევა, რომ მოვედი და გულშემატკივარს შევხვდი. ძალიან საჭიროა და რაც უფრო ხშირად იქნება, მით უკეთესი ჩვენთვის - ფეხბურთელებისთვის და გულშემატკივრებისთვისაც“

იხენში „შალკეს“ 2:0 მოუგო და ახლა იგივეს ეცდება საკუთარ არენაზე. გასვლაზე მოიგო ინგლისში „ბარსელონამაც“, რომელმაც „მანჩესტერ სიტი“ 2:1 დაამარცხა, განმეორებითი შეხვედრები კი მარტში გაიმართება და სავარაუდოდ, ჩვენი სტუმარი ფეხბურთელების ფავორიტები, შემდეგ ეტაპზე გასვლას ოფიციალურად გაინაღდებენ.

რაც შეეხება თავად აქციას, ორივე ფეხბურთელის კარიერაში პირველად მოხდა გულშემატკივართან შეხვედრა და მათთვის ავტოგრაფების დარიგება.

გიორგი მიქაბერიძე ამბობს, რომ ეს ქართველ ფეხბურთელებს გარდა კომუნიკაციისა, პოპულარიზაციაშიც დაეხმარება.

გიორგი მიქაბერიძე:

„ჩემს სათამაშო პრაქტიკაში ასეთ აქციაში მონაწილეობის მიღება პირველად არის. აქამდე არ ყოფილა და ამით გახარებული ვარ. ჩემი აზრით, აქციები ხშირად უნდა ტარდებოდეს, რადგან გულშემატკივარმა და ფეხბურთელებმა ერთმანეთი გაიცნონ. ეს ფეხბურთელებს პოპულარიზაციაშიც დაეხმარება“.

წამოწყებას დადებითად აფასებს გიორგი ცხადაიაც. მსგავსი შეხვედრა მის კარიერაშიც პირველია, ამიტომ თავის დადებით ემოციებს არ მალავს.

გიორგი ცხადაია:

„ჩემს პრაქტიკაშიც პირველია ასეთი შემთხვევა, რომ მოვედი და გულშემატკივარს შევხვდი. ძალიან საჭიროა და რაც უფრო ხშირად იქნება, მით უკეთესი ჩვენთვის - ფეხბურთელებისთვის და გულშემატკივრებისთვისაც“.

გამართული აქციებიდან უკვე ფავორიტიც გამოიკვეთა, თუ ვინ მოიგებს ჩემპიონთა ლიგას ქართველი ფეხბურთელების აზრით. უმეტესობამ ფსონი მადრიდის „რეალზე“ დადო, სულ კი, ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

მადრიდის „რეალი“ – გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, დავით სირაძე, ლადო ბურდული, გიორგი ილურიძე, ლაშა ჯაკობია, დაჩი ცნობილაძე, გიორგი მიქაბერიძე;

კატალონიის „ბარსელონა“ – გიორგი ფოფხაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი, დაჩი ფოფხაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი ცხადაია;

მიუნხენის „ბაიერნი“ – გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, დავით ოდიკაძე;

ლონდონის „ჩელსი“ – გივი კვარაცხელია;

ოლეგ გოგბერაშვილი ერთ-ერთი იყო, ვინც გათამაშების გამარჯვებული გახდა და ბურთი მოიგო. ფეხბურთელებთან საერთო ენა ადვილად გამონახა, რადგან, როგორც აღმოჩნდა, თავადაც ფეხბურთელების მშობელია. გამოცდილი გულშემატკივარი ქართული ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია და მოხარულია, რომ მსგავსი სახის აქციები ტარდება, თუმცა ისურვა, რომ მას უფრო დიდი მასშტაბები მიეცეს, რომლითაც ფეხბურთელებიც კმაყოფილები დარჩებიან და გულშემატკივრებიც.

ოლეგ გოგბერაშვილი, გულშემატკივარი:

„ქართული ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ვარ, შვილიც ფეხბურთელი მყავს, რუსეთის გუნდში თამაშობს, ერთმა ახლა დაანება თავი, ამიტომ ჩემთვის უცხო არ არის ქართული ფეხბურთი და ფეხბურთელები. აქ შემთხვევით არ შემოვსულვარ, ხშირად დავდივარ და ძალიან გამეხარდა ქართველი ფეხბურთელების აქ დანახვა, მით უმეტეს, რომ ასეთი კარგი საჩუქრით დამაჯილდოვეთ. თუ გაგრძელდება და ყველა ტოტალიზატორს მოივლის, დიდი მასშტაბი მიეცემა, კმაყოფილი დარჩება ყველა, ფეხბურთელებიც და მონაწილეებიც, თანაც ასეთ მშვენიერ საჩუქრებს ათამაშებთ“.

აქციამ „ევროპაბეთის“ თბილისის ყველა ფილიალი უკვე მესამედ მოიარა. გასული წლის შემოდგომაზე კი რეგიონებსაც ესტუმრა და საკუთარ ფეხბურთელებთან შეხვედრით ბათუმელი და ქუთაისელი გულშემატკივარი გაანებივრა.

რეგიონებში შეხვედრები კვლავ იგეგმება. მარტში, როგორც კი ჩემპიონთა ლიგა ისევ დაუბრუნდება გულშემატკივარს, „ევროპაბეთი“ და „პრაიმტაიმი“ უკვე რეგიონებიდან შემოგიერთდებათ.

გიორგი ცხადაია: „ჩემი ფავორიტი „ბარსელონაა“ და მგონია, რომ უფრო კარგ ფეხბურთს თამაშობს, სხვებისგან განსხვავებულს, სწორედ ამიტომ ჩემი გუნდი მოიგებს ლიგას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დათო ქაცარავა ცოლზე, ქალებზე,

დეა თავბერიძე

საქართველოში სექსუალურ მამაკაცად აღიარებული დავით ქაცარავა, რამდენიმე ხნის წინ ცოლმა ლამის „მახეში გააბა“. საცდუნებლად მას ნიკა გრიგოლიას გადაცემისთვის „ფლეიბოის“ მოდელი თაკო ვაშალომიძე მიუგზავნა. უფრო ადრე კი მისი ნებისყოფის გამოცდა ტრანსსექსუალებმაც გადაწყვიტეს და საზოგადოებისთვის უცნობი ფაქტების გასაჯაროებით დაემუქრნენ...

„სოციალურ ქსელში წერდნენ, მაგისთვის დადიხარ ევროპაში, რომ ტრანსსექსუალებთან გქონდეს ურთიერთობაო“

„ცოტათი ვეჭვიანობ, ყოფილა ისეც, რომ ავფეთქებულვარ რაღაცაზე, მაგრამ ეს სიყვარულით არის გამოწვეული“

სოფო: „ვიცი, რომ ძალიან ვუყვარვარ, ძალიან... დარწმუნებული ვარ ამაში“

დავით ქაცარავა „თავდამსხმელებს“ დღეს „პრაიმტაიმის“ საშუალებით პასუხობს. ასევე საუბრობს სასურველი ქალის აუცილებელ თვისებებზე და იმ ერთადერთ და განუმეორებელ ქალბატონზე, რომელსაც, მისივე თქმით, ვერავინ შეცვლის. ულამაზესი სოფი ხაჭაპურიძეც, რომელთანაც დათოს 15 წელი და სამი შვილი აკავშირებს, „პრაიმტაიმის“ სტუმარია.

სოფო: ერთმანეთი საირმის აუზზე გავიცანით. თავდაჯერებული მოდიოდა, ეკეთა სათვალე, რომელიც ძალიან უხდებოდა და ხელზე პირსახოცი ჰქონდა გადაკიდებული. მეგობარმა გამაცნო. თავიდანვე რაღაც სიმპათიები გამოხატა, ეს მეგობრებმაც აღნიშნეს, მაგრამ არ მჯეროდა. ყველასთან გულგახსნილი და ღიმილიანი იყო. ამიტომ, საიდან დაასკვენით, რომ მე მოვწონვარ-მეთქი გავიკვირვე. ჩემმა დაქალმა სულ სხვა თვალებით გიყურებდაო... მართალი აღმოჩნდა...

რამდენიმე თვეში კონსერვატორიაში აღმოვაჩინეთ ერთმანეთი და იქ ურთიერთობა განახლდა. მერე იყო სტუდენტობა, კაფეები და შვიდწლიანი სიყვარული, ბოლოს შევუღლდით.

- არის შენი ქმარი ისეთი სექსუალური როგორიც ქალებს ჰგონიათ?

- ნამდვილად, ეს ფაქტის აღიარებად მიმაჩნია. მის მიმართ ქალთა ინტერესი აბსოლუტურად ბუნებრივი მოვლენაა.

- ეჭვიანობობის დოზა როგორია?

- ცოტათი ვეჭვიანობ, ყოფილა ისეც, რომ ავფეთქებულვარ რაღაცაზე, მაგრამ ეს სიყვარულით არის გამოწვეული. ამ პერიოდში უკვე ყველანაირი ურთიერთობის გზები მარტივად გახსნილია. ინტერნეტი, ტელეფონის ნომრის გაგება. შესაბამისად, ვისაც ჭკუა არ დაუშლის, შეუძლია რაღაც ნაბიჯების გადადგმა, არსებობს ასეთი ქალების კატეგორია.

„ჩვენი ურთიერთობა, იმდენმა სიტუაციამ, დრომ და ბევრმა რაღაცამ გამოსცადა, ალბათ, სისულელეც არის ჩემი ეჭვიანობა“

მაგრამ ჩვენი ურთიერთობა, იმდენმა სიტუაციამ, დრომ და ბევრმა რაღაცამ გამოსცადა, ალბათ, სისულელეც არის ჩემი ეჭვიანობა. მაგრამ, მაინც ქალი ვარ და ვეჭვიანობ ხოლმე, როცა რაღაც მოგიფრენს უცებ თავში და ცუდ ხასიათზე დაგაყენებს. თუმცა, ამგვარი მომენტი თითზე ჩამოსათვლელად მქონია 15 წლის განმავლობაში.

- რატომ „მოგიფრენს“ ხოლმე? არიან ისეთი ქალები, რომლებიც შენს ქმარზე „ნადირობენ“?

- არ ვიცი, არა მგონია... შეიძლება თვითონ ვიღაცას ეფლირტაოს კიდეც, მაგრამ რომც იყოს რაღაც ამდაგვარი... გამორიცხულია იქ სხვა ზედმეტი... ვიცი, რომ ძალიან ვუყვარვარ, ძალიან... დარწმუნებული ვარ ამაში.

- შენ რა გიყვარს შენს ქმარში ყველაზე ძალიან?

- ყველაფერი მიყვარს მასში. მამაკაცურია, თავაზიანი, გალანტური, თავგანწირულია ურთიერთობაში, არის კარგი მეუღლე, კარგი მამა, რომანტიკოსიც, ზოგიერთს ეს რომანტიკოსობა კაცურობას უკარგავს, დათოს არა. მისი უხეშობაც მოსაწონია. შეიძლება რაღაც თემაზე უკმეხად ილაპარაკოს, მაგრამ სწორედ ეს გამოხატულება მოგეწონოს, ჟესტები, ლაპარაკის მანერა, განათლებულია, ნაკითხი...

- უარყოფითი რა აქვს სოფო? თორემ გამახსენდა ახლა ანგელოზის როლს თამაშობდა ფილმ „ნაწილებში“ და... თურმე მართლა ეკუთვნოდა ეს როლი...

- რაღაცა აქვს, ალბათ, მაგრამ განსაკუთრებით ისე რომ გამაღიზიანოს, ახლა არაფერი მახსენდება.

- ამ ბოლო დროს ტრანსსექსუალებთან ჰქონდა შენს მეუღლეს დაპირისპირება, გაჩნდა სკანდალური ფრაზებიც - არ გაგვასაჯაროებინოო.

- ეს იყო აბსოლუტური აბსურდი. სოციალურ ქსელში წერდნენ მაგისთვის დადიხარ ევროპაში, რომ ტრანსსექსუალებთან გქონდეს ურთიერთობაო. სასაცილო იყო... სოციალური ქსელი ძალიან კარგი ნიღაბია, ბევრმა ადამიანმა პლატფორმა იპოვა და თვითდამკვიდრება განახორციერელა ამით, ბევრი ამით ბოროტად სარგებლობს.

- ე.ი. ტრანსსექსუალებზე არ იეჭვიანე, არც კესარიაზე?

- არ ვიეჭვიანე, რა თქმა უნდა, ეს აბსურდია. კესარიას ვიზუალი ძალიან კარგი აქვს და ვინმემ რომ თქვას მახინჯიაო ე.ი. იტყუება, მაგრამ ის არ არის ქალბატონი. ძალიან ბევრი ტრანსია საქართველოში, რომლებიც ამბობენ ტრანსი ვარო, რატომ სურს ამ ადამიანს „მე ქალი ვარ“ იყოს, არ მესმის.

ვფიქრობ, სწორედ იმ სტატუსით უნდა წარმოაჩინოს თავი რაც რეალობაშია. უნდა იყო ის, რაც ხარ. თვითონ ურევენ ამას და ამით იქმნება მერე სწორედ ეს დაძაბულობა. კესარიას სჭირდება, ალბათ, თემები, რომ იყოს სულ ჰედლაინებზე, რომ გითხრათ არ მესმის-მეთქი, ასე არ არის, მესმის.

დავით ქაცარავა: ძალიან სასიამოვნო არის ხალხის სიყვარული და მათი კეთილგანწყობა, ხშირად ქუჩაში მიღიმიან, ძალიან კეთილად, მესალმებიან...

- ქალები როგორ გამოხატავენ მოწონებას?

- თავშეკავებულად, ალბათ, იციან ჩემი ზოგადი განწყობა და ჩემი სტატუსი, ის, რომ არაჩვეულებრივი მეუღლე მყავს, არაჩვეულებრივი სამი შვილი, ამიტომ, რომ გითხრათ აქტიურობენ და შემოტევებს განვიცდი მეთქი, არა.

- თუმცა, ცოლმა როგორც ერთ-ერთ გადაცემაში ვნახეთ, გაგაბა მახეში, ლამის გაცდუნეს და სექსუალური თაკო ვაშალომიძის მსხვერპლად იქეცი.

- ვერ გამაბა, პირიქით... ჩემი უკეთ გაბმა რომ გამოსვლოდათ, უნდა შემოეპარებინათ მანამდე, რამდენიმეჯერ მაინც უნდა მენახა, საკმაოდ არაბუნებრივი იყო ის აქტიურობა, მისი „შემოტევა“ ჩემზე. მერე კი, აი, ახლა თქვენ გეუბნებით, დავინახე მკერდში დამალული მიკროფონი. ამიტომ თამაშს ავყევი,

„ყველაფერი მიყვარს მასში. მამაკაცურია, თავაზიანი, გალანტური, თავგანწირულია ურთიერთობაში, არის კარგი მეუღლე, კარგი მამა, რომანტიკოსიც, ზოგიერთს ეს რომანტიკოსობა კაცურობას უკარგავს, დათოს არა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ტრანსებსა და ახალ გადაცემაზე

ვიცოდი, რომ უნდა მეღადავა, ისიც ვიცოდი სად გადიოდა ზღვარი, რომელსაც გავყვებოდი, და რომელსაც არ გავყვებოდი.

- რეალურად ცხოვრებაში თუ ყოფილა მსგავსი მომენტი?

- არა, ასეთი შეტევა არ ყოფილა, დაგინახა და ეგრევე გეცა არა, შეფარული კი. მოგატყუებ, რომ ვთქვა, არ ყოფილამეთქი.

- კაცებზე როგორ მოქმედებს დაგინახა და ეგრევე გეცა?

„მეზიზღებიან ადამიანები, რომლებიც სხედან კომპიუტერთან და იქიდან ისეთ რაღაცებს წერენ, რასაც პირდაპირ ვერ გაგიბედავენ“

დათო: „შინაგანად ორივემ ვიცით, რომ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და სხვა ვერასოდეს ჩადგება ჩვენ შორის“

EXCLUSIVE

- ზოგს შეიძლება მოსწონდეს, ზოგს არა, ზოგს აღიზიანებდეს, ზოგს პირიქით... ვფიქრობ, უმეტესად მამაკაცს ეს უნდა სიამოვნებდეს, თვითშეფასება იწევს საკმაოდ მაღლა და გგონია, რა მაგარი ვარ, ქალმა ვერ გაუძლო იმ ტაბუს, ყველა წესს, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ კაცმა უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი და ასე შემომიტია და „მეცა“...

- ქალში რა მოგწონს ყველაზე მეტად?

- ჰარმონია, გარეგნული სილამაზე შერწყმული უნდა იყოს შინაგან მდიდარ სამყაროსთან, ქალი აუცილებლად უნდა იყოს განათლებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან რთულია მასთან ურთიერთობა. ქალი, რომელიც ცარიელია, რაც არ უნდა ლამაზი იყოს, მისი სილამაზე ძალიან ცოტა ხანს ჭრის თვალს. შინაგანი სამყარო უნდა ჰქონდეს ძალიან მდიდარი.

„ეჭვიანია საშინლად, აი, ეს არ მომწონს. მაგრამ რას ვიზამთ, არ არსებობს უნაკლო ადამიანი“

- შენს ცოლში ყველაზე მეტად რა მოგწონს?

- ჩემს ცოლში მომწონს შერწყმა უამრავი იმ თვისებისა, რომელსაც ქალში ვაფასებ. სილამაზე, ინტელექტი, შინაგანი მდიდარი ბუნება, ძალიან მაგარი დედაა, ძალიან მაგარი მზარეულია, ძალიან მაგარი საქმიანი ქალია. ყველაფერი ძალიან მაგრად გამოსდის.

- რა არ მოგწონს?

- ეჭვიანია საშინლად, აი, ეს არ მომწონს. მაგრამ რას ვიზამთ, არ არსებობს უნაკლო ადამიანი. თუმცა არასოდეს მალავს ამას, ეგრევე ეტყობა, ძალიან ცუდ ხასიათზე დგება. მოკლე პერიოდი აქვს ცხვირჩამოშვებულობის. მერე ვჩხუბობთ, ბუნებრივია, ვჩხუბობთ იტალიელებივით, ან გიჟი ქართველებივით... მერე კი შერიგებაა ძალიან ტკბილი...

- რა განაპირობებს ამ ეჭვიანობას, ის, რომ სექსუალურ მამაკაცად მოგნათლეს, თუ შენ ხარ დამნაშავე იმაში, რომ სოფო ეჭვიანობს?

- ალბათ, ზოგადად, ჩემი ტიპაჟიდან გამომდინარეა, კეთილგანწყობილი ვარ, ღიმილი არასოდეს მენანება, ვარ ძალიან გახსნილი და ხშირ შემთხვევაში ეს იწვევს, ალბათ, გაუგებრობეს... თუმცა შინაგანად ორივემ ვიცით, რომ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და სხვა ვერასოდეს ჩადგება ჩვენ შორის.

- შენ თუ ხარ ეჭვიანი?

- რა თქმა უნდა, ვარ.

- შენს ეჭვიანობაზეც ყოფილა ამგვარი სკანდალები? თეფშების ქნევით, ჩხუბით, ყვირილით.

- კი, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ჩემ შემთხვევში ეს თითიდან გამოწოვილი მიზეზი იყო... რაღაცამ გამაღიზიანა, ვიღაცა ბიჭის კომპლიმენტმა... და ასე მომიწია აფეთქება...

- შენი აფეთქება ჯაჯანიძის შოუშიც ვნახეთ, რატომ არ მოგწონს კესარია?

- ჩემი აფეთქება ღია ეთერში არავის უნახავს, ვცდილობ, მძაფრი პოზიციაც კი კორექტულობის ფარგლებში გამოვხატო. თუ ვფეთქდები, ძალიან ცუდად მთავრდება ხოლმე ობიექტისთვის.

კესარიას კი ვერ აღვიქვამ ვერც ქალად და ვერც კაცად. ეს ჩემთვის გაუგებარი ფენომენია... კესარია კი არა, ზოგადად ტრანსსექსუალების მიმართ ვარ ასე განწყობილი, არ მესმის მათი...

„ჩემთვის გაუგებარი ფენომენია... კესარია კი არა, ზოგადად ტრანსსექსუალების მიმართ ვარ ასე განწყობილი, არ მესმის მათი...“

მე არ მადარდებს ვინ რას აკეთებს ცხოვრებაში. ეს მისი საქმეა. მე სხვა რამ მაღაზიანებს, მაღიზიანებს, რა გარემო შეიქმნა დღეს საზოგადოებაში. არაჯანსაღი ატმოსფერო სუფევს. თუნდაც ავიღოთ ბოლო მოვლენები. მიშა გომიაშვილისა და ლალი ალიბეგაშვილის წინააღმდეგ აგორებული კამპანია, დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ ან უნდა თქვა კარგი, ან უნდა გაჩერდე, ნეგატიური აზრის გამოხატვა უკვე სახიფათო ხდება.

- შენ შემთხვევაში რა მოხდა? ერთ-ერთმა ტრანსსექსუალმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ სექსუალური კავშირი გქონდა ტრანსებთან.

- სასაცილოდაც არ მყოფნის, თან უკრაინაში წავიდოდი თურმე ტრანსსექსუალებთან სექსუალური კავშირის დასამყარებლად. ამაზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო? იმდენად ბინძური ხერხია ეს, რაც იმ არსებამ გამოიყენა. რამდენიმე კომენტარი ვნახე და გულისამრევია ეს ყველაფერი. მეზიზღებიან ადამიანები, რომლებიც სხედან კომპიუტერთან და იქიდან ისეთ რაღაცებს წერენ, რასაც პირდაპირ ვერ გაგიბედავენ. ეს არსებები ჩემთვის არ არსებობენ, მაგრამ მე, ზოგადად, სიტუაციაზე მინდა ვთქვა.

როდესაც მე მეზღუდება ჩემი აზრის გამოთქმის უფლება, ამას საგანგაშოდ ვთვლი. შენს აზრს თუ დააფიქსირებ, შანტაჟისა და მუქარის ობიექტი ხდები. ემუქრებიან გომიაშვილს - ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ სამსახურში არ აგიყვანონო. ეს მუქარაა, შანტაჟია, ეს დაშინებაა, მე ეს არაჯანსაღი დამოკიდებულება მაღელვებს.

დავით ქაცარავას მალე TV 3-ში, თავისივე სპორტული გადაცემით ვიხილავთ. კალათბურთი, თხილამურები, ჩოგბურთი, ცურვა, ბილიარდი, სროლა, მშვილდოსნობა, ავტოსპორტი... ეს მცირე ჩამონათვალია იმ სპორტული სახეობებისა, რომელშიც სტუმრებს ეჯიბრება. როგორც ირკვევა, გადაცემით უკვე ერთ-ერთი უცხოელი პროდიუსერია დაინტერესებული. მაყურებლის შეფასებას კი წამყვანის ამპლუაში მოვლენილი დავით ქაცარავა სამ მარტს შეიტყობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N8 (309) ორშაბათი, 2 მარტი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

დათო ქაცარავა ცოლზე, ქალებზე, ტრანსებსა და exclusive ახალ გადაცემაზე

დათო: „შინაგანად ორივემ ვიცით, რომ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და სხვა ვერასოდეს ჩადგება ჩვენ შორის“

„გვიხარია, გულშემატკივართან კომუნიკაცია რომ შედგა“

ხათუნა მიქაცაძე: „ლუკა ძალას მაძლევს. სახლში რომ გხვდება ადამიანი, რომელსაც იცი, რომ სუნთქვას ურჩევნიხარ, რომელიც გეტყვის, რომ მისთვის უფლის გამოგზავნილი ხარ, ქალისთვის ამაზე სასიამოვნო რა არის?“

ლუკა კურტანიძის მეორე ნახევარი

exclusive

ნინი ცნობილაძე: „ერთი დღე რომ ვერ ვხედავ, მგონია, რომ დიდი ხანი გავიდა. სხვანაირი დილები თენდება“

ნინი ცნობილაძე ჩიკაგოელ ქართველზე გათხოვდა exclusive

exclusive

მსოფლიოში აღიარებული ეგზოტიკური ტყავი ქართულ რეალობაში ჩნდება

თაკო მექვაბიძემ ახალ ხაზზე მუშაობა დაიწყო

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

ნიკუშა შენგელაია: „მე და ეკა 19 წელია ერთად ვართ, ხელი კი ახლახან მოვაწერეთ“ exclusive

„მთავარი ხელის მოწერა კი არა, სიყვარულია. მას ვერც ერთი საიტით ვერ გამოიწერ. უნდა დაგეჯახოს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება